

114

1969/3



მეცნიერება



114/3



3

3

1 9 6 2

მნათობი

საქართველოს
საბჭოთა მწერლების
კავშირის

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 39-ე

№ 3

მარტი, 1962 წ.

საპარტველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8797

შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ხმა ზეთისხილის ბაღში. ლექსი	3
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი. რომანი გაგრძელება	5
რევაზ მარგარიანი — ლექსები	19
თენგიზ გოგოლაძე — ნიაღვარი. რომანი	24
მახვილ ქვლივიძე — ლექსები	43
ბორის ჩხეიძე — კეთილი სიტყვა. მოთხრობა	45
უბტ უბტმენი — როცა ეზოში გაზაფხულზე. ლექსი თარგმანი ინგლისურიდან თამაზ ჩხენკელისა	54
ჩაინერ მარია რილყე — ლექსები. თარგმანი გერმანულიდან ზ. ქაკაბაძისა	62
ერნესტ მეშინჯუვი — ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება. თარგმანი ინგლისურიდან ზ. ჩხაიძის და ი. ყაჭვიშვილისა	66

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. გვიშაინი — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები	87
ზუბა შერუღაია — შინაარსიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა	93
გურამ კანკაია — ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები	101
ვარლამ დონაძე — ილია ქაქუცაძემ მილიტარიზმისა და ომის საფრთხის შესახებ ვეროპაში	110
თენგიზ კეშელაია — მაჰარი — შვედობისა და გაზაფხულის მოპლერალი	115
ვ. საფრასველი — ნიკო ნიკოლაძის რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობის ისტორიიდან	122
აღ. კინჭარაული — ვეფ-ფშაველას ტექსტის დადგენისათვის, დასასრული	129

(იხ. მე-2 გვ.)

საბჭოთა
წიგნების
საბჭოთა
კავშირის
გამომცემლობა

კარილე ზღანევიჩი — ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები	136
მერე კარბელაშვილი — სერგო ჭობულაძის ნახატები ქართული ხალხური ზღაპრების კრე- ბულისათვის	145

წარსულიდან

იპოლიტე ვართაგავა — ილია, ვაჟა, გოგა ყიფშიძე	150
ღავით ჩანელიძე — ოსმალების ღაზი სარდლები და სახელმწიფო მოღვაწეები (1783— 1788 წ.წ.)	178

წიგნების მიმოხილვა

ი. ანთელავა — ქართული საზოგადოებრივი აზრის ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის	183
შალვა ამისულაშვილი — შრობილური მიწის მადლით	187
ა. სტეფანიშვილი — მონოგრაფია საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შე- სახებ	189
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ, მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მადრაძე, ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელონეწილია დასაბეჭდად 18/111-62 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა 7 1/4×12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 12. პირობით ფორმათა ჩაოდენობა 16. უე 05304
ტრაჟი 6500. შეკვეთა № 498.

საქ-კვ ც-ის გამოცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.



ირაკლი პაპუაშვილი

სმე ზეთისხილის გალში

„რუსთაველის ნაკვალევზე“

„—სხვა რამ არ მქონდა
სამშობლოზე წმიდათა წმიდა,—
შემინდე, ღმერთო,
მამულის წინ ყოვლის დათმობა:
მნათობი შენი
საქართველოს მწამდა მნათობად,
თოვდა თუ წვიმდა,
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.

ო, პალესტინავ,
პალესტინავ!
ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენის
სიტყვის, ცხოვლისა
მაგრამ უადრეს,
უწინარეს,
უშალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის ვიყავ მლოცველი.

ნექტრით ის მწვავდა,
მწარე მისგან გამმწარებია
მის ცის ქვეშ
ყობადა
ჩემთვის იყო აღამდარობა;
მე უკვდავება
მამულს გარეთ არ მწამებია,
არ მიძებნია
მამულს გარეთ მამამთავრობა.

თუ ღირს ვარ მისი,
მისთა სერთა,
მისთა ტყეველთა,
მისი სიმადლის,
მისი სიღრმის,
მისი განწყობის:
გული და სუნთქვა
ყველა ნიჭი ჩემის კაცობის
მე წმინდად დაედე
საქართველოს საქურთხეველთან.



იქ მივეც მამულს,
 შემოქმედო,
 შენის განგებით
 რაც მოვიხვექე,
 რაც დავკარგე,
 რაც განვიცადე;

იქ ჩაიბარე
 საქართველოს მართალ მიწაზე
 ის ჩემი სუნთქვით,
 ჩემი ტრემლით,
 ჩემი პანგებით.

შემინდე შენს შვილს,
 თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე,
 მაგრამ ვარ ცოცხალ
 იმავ სუნთქვით,
 იმავ ნაღველით!
 დღავ მიწა ჩემი
 შეგავედრო
 ტრემლით მდაგველით
 ამად აღვიძარ,
 ამად მოველ პალესტინაშიც“.



ქონსჯანჯინა გამსახუარი ღავით აღმაშენებელი *

„სამშვილდის მოკარგა“

„ქორნიკოსს სამსოცდაათს სიმარჯვით მოი-
პარეს სამშვილდე“...

ღავით მეფის ქრონიკადან.

თურქების ურიაშული არ ისმოდა. უველას ლოდად აწვა გულზე, რომ ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი და აგარანი თურქებს ეპყრათ.

თრიალეთის საერისთავოს მართავდა მწიგნობართუხუცესის, გიორგი ჭყონდიდელის დისწული თევდორე. სამღვდეს ითათბირეს გიორგი ჭყონდიდელმა, იოანე ორბელმა, თევდორემ და შერგილ ლიპარტიანმა. სამშვილდე უგრძნეულად უნდა აეღოთ. მსტოვარი მოვიდა სამშვილდედან, ციხისთავი დღეღამ ლოთობს და ნადირობსო.

ამ ციხეს ისეთი მტკიცე ვალავანი არტყია სამხრეთით, ხოლო ჩრდილო დასავლეთით დახრამული მდინარენი, ათი ათასი კაცი ლოდსატყორცებით, ვერძებითა და ტაროებით აღჭურვილნი ვერას დაავლებდნენ მას.

შემოწყობისთვის ან წყლის მოწყვეტისთვის ფიქრი სავსებით ამოღ სჩანდა, სამშვილდის ციხის ბელღეში მთელი წლის პურის მარაგი ჰქონდა ციხიონს, ხოლო მდინარენი ისევე მიუღგომელნი იყვნენ მოიერსმეთათვის, როგორც თავით ციხე.

ციხის გარემოცვას ერთი წელიც არ ეყოფოდა, ისიც იმ შემთხვევაში თუ სარდლობა სამხრეთის სამზღვრებს გააშისშელებდა.

ჭყონდიდელმა კარგად იცოდა უგრძნეულად აღებული ციხეების ისტო-

რია, სელჯუკიანები იყვნენ ოსტატები ამგვარი ხრიკებით ციხეთა აღებისა. ბოლოს თავათ სარდლობამ მთლად უცნაური გეგმა დასახა. სარდლობამ კარგად იცოდა, თუ როგორ სულმოსწრაფებული მონადირე იყო სამშვილდის ციხისთავი ჰასან ბენ ბასურგ.

როცა ეს გეგმა წარმოადგინა შერგილ ლიპარტიანმა, ჭყონდიდელი ღიმილორული ამბობდა: „ეჰა, მახარას ქორ-მიმინონი გახდნენ ჩვენი ვერძები და ლოდსატყორცები? ვაგლახ, ვაგლახ“.

ნავროზისკვირადღაში დერევისის სამოსში გადაცმული წარგზავნეს სამშვილდეს ლულუ ბენ ჰაიდარ, სიტყვაი ქორას თან წაყვანა არ ინდომა ლულუმ, ერთი მახინჯიც ვეყოფიო ამ საქმეს.

სამშვილდეს ციხის ჰიშკართან მზერაში იჯდა და ზეპირად წარსთქვამდა ყურანის ლექსებს.

გამოიარა მოლაკმ, ვინაობა გამოკითხა.

„სადაური ხარო, შვილო?“ ლულუმ თავი მოიკატუნა:

„ტფილისიდან მოვდიოდი, ხრამის პირას თავს დამესხნენ გფურჯი ავაზაკები და უქანასკნელღ დირჰემები წამართვეს“.

„სად მიდიოდი, შვილო?“ შეეკითხა გულმოწყალე მოლაკ.

„მეკვას ვაპირებდიო გამგზავრებას“. სამგზის შეაჩვენა მოლაკმ „წყუელი გფურჯები“.

* გავრძელება. იხ. „მნათობი“ № 2.

ახლა მთლად აუჩვილდა გული მოლასს, ციხეში შეიყვანა და ბაირამის სუფრაზე მიიწვია. სამი დიპრემი აჩუქა.

მოლასს ცხენს ქვეში სჭირვებოდა, რა გაიგო ლულუ ამ საქმის ოსტატიაო, მეჭინბეებთან ჩაგზავნა იგი.

მეჭინბეებს გულში ჩაუფარდათ ეს ხუმარა გლახაკი, რომელიც ცხენის ავადმყოფობათა საქმეს ეგზომ კარგად იცნობდა.

ლულუ მოხერხებულად გამოკითხავდა მოხუც მეჭინბეთ, რა კაციაო ეს ციხისთავი?

მოხუცმა ამაგა ციხისთავი, „აქ ყველანი ქირის სპად ვითვლებით, ისპაპანიდან დიხაკ მოსდის ჩვენი გასამრჯელო ამირას, მაგრამ თავით ითვისებს.“

აბა რა ამოყორავს შავის სქელთეძოებიან კახებს. დღე და ღამ ლოთობს, ხანაც ნადირობს, მაგრამ რა უნდა მოინადიროს ღვინისა და თრიაქისაგან გამოლუწილმა.

სამშვილდეში დარჩენელია რომელიღაც გამურჯიერისთავის ქვევრები, რომელნიც ათას კოკას იტევენ. იმ დღეს ჩვენ ვიდროვეთ და შევესიეთ ერთ ქვევრს და ვიხაროდეს, ისე გამოვიღვეთ, რომ ერთი მეორეს ველარ ვცნობდით“.

„თუ მუდამ მთვრალია სანადიროდ როდისღა მიდის ციხისთავი?“

ათი დღის შემდეგ ბაირამობის დღესასწაულია, აიყვანს თავის ჩასკინტლულ ქორებს და ხეობებში დაიწყებს ხეტიალს.

მეორე დღეს ლულუ მეჭინბეებს თან გაყვია ცხენების დასამწყურვალბლად. საღამოთკამს მუცელზე ხელი იტაცა: მუცლისგერემა მაქვსო, წაილულულა და ტყეში შევარდა, მთელი ღამე იარა, ვიღაც მეწისქვილესაგან ვირი შეისყიდა და მხოლოდ მესამე დღეს უწია ნაპარმაგვეს.

გიორგი ჰყონდიდელი თრიალეთიდან გადავიდა სპიანად სამშვილდეს. სამი უტრეანის მანძილზე ცხენებს თოფრები გაუკეთეს მხედრებმა და ტყეში კარგები დადგეს.

ჰყონდიდელი თავის კარავში იწვა და მოლუშულ ცას უთვალთვალვდა.

ვინ თუ გაწვიმდეს და სანადიროდ გამოვიდესო ამირა. სამშვილდის დასავლეთით საოცნებო სანადიროა როკოზულულუ ბენ ჰაიდარმა ციხესთან მისასვლელები კარგად იცოდა. სამთავეს რიგიანი ჯორები ჰყავდათ აბჯროსანი, რომლის თოქალთოს ქვეშ იატაგანები ჰქონოდათ დამალული. იატაგანები ეკიდათ, აგრეთვე, წელზე, ტყაპუპების ქვეშ მიჩქმალულნი.

გზაში მეჭინბე შემოეყარათ ერთი. შეეკითხა თავაზიანად: ციხისთავი სად ბრძანდებო?

„ქირში და მოსაცვეთში, როკოზე სანადიროდ წავიდა დილიდან, ალბათ ხევს გადაღმა იქნება დეკიანში“.

მახარას, არტავაზ არშელსა და ლულუ ბენ ჰაიდარს საოცნებო ქორ-მიმინონი ჰყავდათ, ისე თამამად უწრუწუნებდნენ და უსტვენდენ, თითქოს ნაპარმაგვეში ყოფილიყვნენ.

თავის ხნოვანების მიუხედავად, მახარას სატანისებრ მახვილი თვალი ჰქონდა, მან შორიდან, ძლიერ შორიდან შენიშნა, ქორიანი ცხენოსანი აღმართებს შესდგომოდა, ორი მხედარი მის უკან მოჩაქჩაქებდნენ.

მახარა გზის პირად ჩამოჯდა ქვაზე. ცხენოსანი ამირა გაუსწორდა თუ არა მახარას, თურქულად შეეკითხა:

„ვისიაო ეს ლამაზი ქორ-მიმინონი?“

მახარამ დაბალი სალაში მისცა ციხისთავს და მოახსენა:

„პოი, უფალო, ჩვენ სამნი წარმოგვეზავნა ამირამ ნეჯმ ელდინ ილ-ლაზიმ მარდინის ციხიდან, ალლაჰ, სწყალობდეს მას, რათა ეს ქორ-მიმინონი მივართვათ სამშვილდის ციხისთავს, ალლაჰ, სწყალობდეს მასაც“.

ამირას სახე გაუბრწყინდა. სამშვილდის ციხისთავი მე ვარო, სთქვა ამირამ.

მასან ბენ ბასურგს სანადირო ავაზა ჰყავდა თრიალეთიდან ამირა ილ-ლაზისათვის ვაგზავნილი. აგრე იფიქრა: ალბათ მუქაფა მომიზღაო ამირათა ამირამ.

„პო მაგრამ, თუ ვარგა რამეთ ეს მი-

მინოები, შარშანაც ბარე ხუთი მომართ-
ვა ერთად გდურჯმა, მაგრამ ისეთივე მატ-
ყუარანნი აღმოჩნდნენ, როგორც თავათ
არიან გდურჯები“.

„წავიდეთ, ესინჯოთ, დიდო ამირა“, —
უთხრა არტავაზ არშელმა.

„ეს ჩემები საუკეთესონი არიან, შარ-
შანდელი კაპუეტები, დასძინა ლულუ
ბენ ჰაიდარმა. ესენი სულტან მუჰამედ-
მა მიუძღვნა ამირ ილ-ლაზის და მან მუ-
ქათად სამი არაბული ულაყი მიართვა
სულტანს“.

„მე კიდეც უკეთესნი მყავს, დიდო ამ-
ირაე“. — მიამაბა ხახუტაიმ.

ჰასან ბასურგ მცირე ხანს ცხენდაცხენ
მიხყვებოდა ცხენოსნებს, რომელნიც მას
თურქები ეგონა, ხოლო თურქობა მას
ყოველგვარი სიქველის სვიმბოლოდ მი-
აჩნდა.

ამირამ სამი ოქრო ამოიღო ჯიბიდან
და სათითაოდ ჩამოურთვა მონადირეთა.

„რას ბრძანებ, უფალო, უთხრა არაბუ-
ლად მახარამ, მე ვახლავართ ამირ ილ-
ლაზის დედის ძმა, გარდა ამისა, არც
თავათ ვახლავართ უპოვარი“.

ესა სთქვა მახარამ და ოქროს დირ-
ქემებით სახეც ქისაკები ამოიღო უბი-
დან. ამგვარმა უანგარობამ აღტაცებაში
მოიყვანა ამირა, მოდი, ციხეში გავბრუნ-
დეთ და ვიპურმარდილოთო.

ჩვენ დიახაც გვშია, ამირაე ბატონო,
მაგრამ იმ ბეჭობს ქვემოდ დეკაში რო-
ქოებია, ალბათ, ჰა ჩემი ქორი ინებეთ
ფოლადისფერი, ცოტა წაფინადიროთ და
მერმე ღიხსი გავხდე შენთან ერთად ნა-
ლიმობისა“.

დეკაში კარგა ხანს ინადირეს და ათი-
ოდე როქო აპკიდა ამირამ თავის ბაზიე-
რსა და მეძაქრეს. ახლა ამირ ილ-ლაზის
ახალ საომარ წარმატებათა გამო ესაუბ-
რებოდა ჰასან ბენ ბასურგ მახარას, და
სწორედ ამ დროს ათიოდე ქორიანი მო-
ნადირე გამოვიდა ტყიდან.

ამირას ემცხებთა ეს ამბავი. ამ მონა-
დირეებს ქართული მუხარადები ეხუ-

რათ თავზე და ვადაჯვარიანი ქართული
ხმლები ეკიდათ წელზე.

ამირამ ხმადაბლა ჰკითხა მახარას, ვინ
არიათ ეს გიაურები?

„მე მათ არ ვიცნობ, ამირაე ბატონო“,
მიუგო მახარამ, როცა სულ ახლოს მოს-
დგნენ ცხენოსნები.

„ოქვენ რა გინდათ ჩემს ციხეში“,
უყვილა ამირამ მონადირეებს.

ქალარა მონადირე წინ წამოდგა და
თავაზიანად უთხრა:

„ჩვენ შენს ციხეში როდი მოვსულ-
ვართ, თურქო, არამედ ქართველთა მე-
ფის დაეთის ციხეში“.

„ოქვენ მეფეს ვინ მისცა ეს ციხე,
ბრიყვო, რომელიც სულტანისა და აღ-
ლაჰის ნებით მე მამარია?“

ამის თქმა და ხელშუბიანი მონადი-
რენი გარს შემოადგნენ სამ ცხენოსანს
და უყვილეს:

ხმალი და ჭაჭვი აიხადეო.

ახლა კი მიხვდა ამირა, თუ ვისთან
ჰქონდა საქმე. იგი მახარას მიუბრუნდა
ტკბილად:

„ამირ ილ-ლაზის დედისძმავ, საღალა-
ტოდ მოსულხარ ჩემს ციხეში?“ მახა-
რამ სიცილი ვერ შეიკავა და უთხრა:

ხელი უშვი მშვილდს, თორემ ლან-
დისუსწრაფესად გავაქრობთო.

„ჩამოდი ცხენიდან“, უყვილა ამირას
არტავაზ არშელმა, თურქი ამირა ხედაე-
და, ბრძოლა უკვე ამაო იყო, ცხენიდან
ჩამოვიდა.

ცხენოსნებმა თოკით გაკოქეს ამირა
და მისი მხლებლები, რომელთაც არაეი-
თარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.
ტყვეები წისქვილში წაახხეს და ხმელი
პურის ამარა ამყოფეს საღამომდის სვე-
ტებზე მიბმულნი.

ბინდისას დაიწყო სამშვილდეს იერი-
ში, ათასმა მეომარმა შელუწა რკინის
ჭიშკარი ციხისა. რა კი ამირა შინ არ
იყო, ნამთვრალევი მეციხოვნენი დაიბ-
ნენ.

გათენებისას უკვე ციხეს დაუფლა
ქართული ჯარი.

თურქული შავი ილამი ჩამოიღეს და

ქართული სამეფო დროშა აღამართვინა ციხის ზეთავზე გიორგი ჭყონდიდელმა.

• • •

საკმაოდ ბედითი ამბების გალა ურთიერთს მიჰყვა. შამან ერისთავმა ბარაკონის ციხეში რა შეიცნო გვანცას სიკვდილი, თავისი საყვარელი იაბო მიაყვანინა, თემშარაზე გასულიც არ იყვნენ ერისთავი და მისი ამაღა, მოხუცს რიონის შხუილი რა შემოესმა, ლანდისუსწრაფესად ხელიდან გაუსხლტა თავის მებაჭრეს, ცხენს დეზი ჰკრა და ავზვაგებულ მდინარეში გადაიხვეწა.

გიორგი მეფემ გაიგო თუ არა გვანცას სიკვდილი, ერთი მოზერის ყანწით ღვინო დალია, ქრისტე აღსდგა იგალობა, თავქვეშ ხელი დაიდო, დიოფალი დაანუგეშა: ვიძინებო, მაგრამ არც გამოუღვიძნია.

ორთავეს ცხენები ძაბით მოსილნი თავზე დააყენეს მიცვალებულებს. დავით მეფე სამ დღეს ზნელში იჯდა უსმელ-უჭმელი.

შავებით შეიმოსა მთელი სასახლე. სამი დღე შავით მოსილი ცხენოსნები სამგლოვიარო ზარის ღიღინით შემოდითდნენ ციხის ეზოში. ენების კვირის სწორს დაეითი და ჭყონდიდელი დიდძალი ამალით გაემგზავრნენ ოცეთს. ქარიზმან სეტყელი წინ მიუძღოდა მეფის კორტეჯს, მცირე სმაჰ კვალდაკვალ მისდევდა მას.

ანანურის ციხეში ძელსა ჰკრეს, ციხისთავი და მეციხოვნენი ერთი უბრეკანის მანძილზე წინ შემოეგება მეფესა და ტაძრეულს.

უგუნებობას მეფისა და მის ამალისა ბუნებამ წაუმატა: ჯერ საშინელი გრიგალი ამოვარდა, ღვარცოფები წამოვიდნენ მთებიდან.

მეფემ ყური არ ათხოვა გიორგი ჭყონდიდელისა და ციხისთავის ვედრებას: ნასაუზმევს დაადგნენ გზას. ჯვარის გადასაჯალზე უკვე სთოვდა და ერთბაშად ხოშკაკლამ დაფარა გზა, მეფე ძლიერ ფრთხილობდა მამაი გიორგის არ წაქ-

ცევოდა რომელიმე ღვარცოფის გადალახვისას ცხენი.

ქედების მწვერვალზე, შიქროდნენ ღრუბლები, გააგებული ყივილით მათ უკან მიყვებოდნენ აფხორილი არწივები და ქორები. ჯიხვები ფრთხებოდნენ კლდეებზე, ჩრდილოეთისაკენ გარბოდნენ.

შემოალამდათ ჯვარს გადაღმა ერისთავების ციხეები მაღალ ქედებზე იდგნენ, დავითს ეშინოდა, რომ ჭყონდიდელის გული და მისი ცხენი მანდ ასეღას ვერ გაუძლებდა. ექიმი თურმანისძე ნაირნაირ წამლებს ასმევდა მხედარს.

ბოლოს მეფე და მთელი ამაღა შეეზიხნა მეცხვარე წიკლაურების ფარეხს.

ასოცზე მეტი ცხვარი დაჰკლეს მასბინძვლებმა, ოციოდე ნანადირევი ჯიხვიც ააგეს შამფურებზე.

მეფე და ჭყონდიდელი ხორცს არ გაჰკარებინან. მეცხვარეთა ბინები ტაფობზე იყო, დავითს უსიამოდ ეძინა, მთელი ღამე ქარი ღმუოდა, მგლის ხროვების უსაშველო ყმული გაისმოდა. გათენებისას მამაი გიორგიმ ცისკრის ლოცვა შეასრულა. ტაძრეული და მწყემსები დაჩოქილნი ისმენდნენ ლოცვას.

ქარიზმან სეტყელმა მწვერავები წარგზავნა, წინასწარ მოახსენებდნენ პირველ ვაზირს თუ რა გზებით ეარნათ დარიალისაკენ.

მხედრები მარქაფებზე გადასხდნენ. გრიალებდა ქარი.

მოჰქროდნენ ჩრდილოეთისკენ არწივები და ღრუბლები...

სამეფო კორტეჯს უკან მისდევდა მგლების ხროვა, ცხენები ჭიხვინებდნენ მათი ორანის შემცნობნი.

შემდეგ ღამეს სნოს ციხეს უწიეს. ისევ ცხვრები დაჰკლეს და ჯიხვები გაატყავეს. ყველა გაოცებული იყო, დავით მეფე და ჭყონდიდელი აგრე დაღონებულნი რომ დადგომოდნენ ეგზომ შორი გზას.

ციხისთავს უკვე დიდიდან უჩურჩულა კარის ეკლესიის მოწესემ: დავით მეფე ოცეთის დასალაშქრავად მიდისო.

შემდეგი ღამე დავითის ციხეში გაათენეს და მეორე დღესვე უწიეს ალაგირის ციხის მისადგომებს.

როცა ალაგირის ციხის ქონგურები გამოჩნდა, მამია გიორგი ეუბნება მეფეს:

„ბაბაშენმა ბაგრატმა კეთილად გამოიყენა ოვსთა მეფეების ყმადნაფიცობა, სულკურთხეულ მამაშენსაც არა ჩვევოდა მეზობელ ხალხებთან კინკლაობა. აიშლებოდნენ შირვანელები, ან ოვსები, თავათ ჩავიდოდა მცირე სპით, მამაშვილურად დაარიგებდა:

რათ გვინდა, შვილებო, მუდამ ბრძოლა და მოსისხარობა, ასეთი რამ ორ უგუნურ ვერძს სჩვევია, მიადგებიან ერთიმეორეს და იმდენხანს უჯახუნებენ რქებით ერთმანეთს, სანამ რომელიმე მათგანი არ წაიქცევა.

თუ თურქები აქედან დავსძარიტ, ყველას გვეყოფა, შვილებო, ეს მიწა, ნუ გავიწყდებათ ჩვენ თავათ მიწა რომა ვართ და მიწად ვიქცევით.

შემდგომ ამისა, გაიმართებოდა ნადირობა, ღვინო, დიდი და მცირე კოცნიდა მეფე გიორგის, მერმე ხუთასი ცხენოსანი რაინდი მოაცილებდა მას ჩვენ საზღვრებამდის.

აწინდელი მეფის მამია ურდურე დორღალელი დიდძალი სპით მიეშველა ბაგრატს ამირა ფადლონთან ბრძოლაში. ოვსებს იშველებდა მეფე ლიპარიტის დასათრგუნავად. დორღალელის ვაჟმა, ურეკმა ქართველი ერისთავის ქალი შეირთო.

ჩვენი ბერების ნათხრობისაგან ვიცი, მისი სასახლე ხატებითა და ჭვრებითაა შემკული“. ბარე სამი უტყვანი უკლდათ ოვსთა მეფის ციხემდის, ოვსთა მეფე ურეკ წინ შემოეგება მეფესა და ტაძრეულს ათასი ცხენკეთილი მხედრის თანხლებით.

ურეკ დორღალელს თან ახლდნენ დედისძმა მისი, ოთხმოცი წლის მოხუცი, ხეახეი და უფლისწული ხუდანა.

ხეახეის თეთრი, თეთრი წვერი მოსავდა, ისეთივე მშვენიერი, როგორც მე-

ფე გიორგის, ლაწვისთავეები და ტურნირი ქაბუჯურად წითელი ქქონდა ბერიკაცს. პირველ გოდოლს, რამეიანდნენ, ციხის ეკლესიაში ატყდა ზარების ჟღარიალი.

თავშიშველი ხალხი ირეოდა ციხის ეზოში, ხოლო დედაციხისა და გოდოლების ზეთავზე აღმართეს ჭვრები. ციხიონები ყვიროდნენ:

„მხეგრძელი იყოს მეფე დავითი“.

ღარბაზობას დაესწრნენ მარტოოდენ დავითი, ჭყონდიდელი, ნიანია ბაკურიანი, მახარა, შტორა მორკნეველი, ხოლო ოვსთაგან მეფე დორღალელი ურეკ, დედისძმა მისი ხეახეი და მეფისძმა ხუდანა. საბატო სტუმრები დიდ ღარბაზონში შეიყვანეს, გამოვიდა ციხისთავი ოქროს ტასტით ხელში, ხეახეი ცალი ხელით იღებდა ზორბალს და სახეზე აყრიდა დავით მეფეს. თანაც ოვსურ ლოცვებს ღუღუნებდა ტკბილად გასაგონს.

ჭყონდიდელმა კარგად უწყადა ოვსთა მეფენი და მთავარი ქართულად კარგად მეტყველებდნენ, მაინც თან წამოიყვანა სამი მთავარ-დიაკვანი ოვსეთში მოწესდ ნამყოფნი, ოვსურის კარგად მცოდნენი.

ოვსთა მეფემ დედისძმას აცალა ლაპარაკი და სთქვა ხეახეიმ ასეთი რამ:

„მოგხსენებათ, უძლეველოო დავით მეფე, და შენც, დიდო ვაზირო, გიორგი, ჩვენ უკვე რამდენიმე საუკუნეა მოსისხარნი ვართ ყიფნაღთა მთავრისა და მათი ხალხისა.

ნურავინ იტყვის—უფალნო, ასეთ შემთხვევაში რა შუაშეიო ხალხი, ჩვენ არც თუ უწიგნურნი ვართ და თხუნელასებრ ბნელში მსხდომარენი, ჩვენ ვამბობთ, და ვამტყიცებთ:

ყოველი ხალხი ღირსია იმ ხელისუფლებისა, რომელიც მასა ჰყავს. თუ ჩვენ ვცდებით, დვითის გულისათვის ეგ მიბრძანეთ: რატომ შუბსა და ისარს არ იღებს ხელში ხალხი და სისხლისმსმელ მეფეებს არ დახოცავს? ოჰო, მერმე მოგხსენებათ თუ არა, რა უღმერთო სას-

ჯელი აქვთ ყიფნალებს ერთი თოქალ-
თოს, ან ერთი ბატონის ქურდის საწურ-
თენელად!

პოდა, ცხენის ძუაზე გამოკიდებენ
ღველით და ისე ათრევენ, ბოლოს მო-
ვროვებენ ცხედრებს, ტანზე ვახდიან და
ყორნებს მიუგდებენ საძიძვანად.

ოპო, ჩემი თვალებით მინახავს რო-
გორი ზეიმი ჰქონდა ყორნების ხროვას
იმ უბედური ქურდების ცხედრებზე.
არწივები და ყორნები გააეებული იტა-
ცებდნენ ხორცის ნამუსრევეებს.

ამაზე უფრო საძაგელი სახანაობა ჩემს
თვალს არ უხილავს არასდროს. თავით
ქურდნი და მამათ-მავალნი შვიდი წლის
ბიჭებს ასწავლიან ქურდობას და მამათ-
მავლობას, ეს არაკაცნი და ქრისტეს
მიერ შეჩვენებულნი“.

დავითი და ჰყონდიდელი შეზარა ამ
ამბის მოსმენამ. ხოლო ხეახვიამ განაგ-
როძო:

„ურუსების ქვეყნიდან კავკასიონის-
კენ როცა მიბრძანდებით ცხენით, შო-
რიდან ხედავთ ხეებზე დაკიდულ ვაეე-
ბსა და მოხუცებს, ზოგს ვითომდაც ვა-
რყენილებისათვის სჯიან, ზოგსაც ავაზა-
კობისათვის, თავათ ტერფიდან თხემამ-
ლის გარყენილნი და გარეწარნი.

აჲი აგრე უბნობს ჩვენი ხალხი:

ყიფნაღი კენის ნაშიერნი არიანო.
ეგ უთუოდ სწორია, ოპო...

მე კარგად ვიცნობ ამ ავაზაკებს. სამ
წელს დაეხანული ბორკილები მქონდა
ფეხებში გაყრილი და ორმოში ეგდემ,
როცა მოვავიწოდებოდი, წყალსა და
აქოთებულ ხორცს“ ჩამომიგდებდნენ.

ბოლოს, როგორც ჩანს, აღარა ჰქონ-
დათ საყვები. ერთ დღეს მომეღანდა,
თეგებში ჩამომიგდეს-მეთქი. პაერში
ვტაცე ხელი და ოპოპო, უზარმაზარი
პრელი გველი....

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, იმ ორ-
მოში ვილაც უბედურის ბარძაყის ძვალი
ეგდო, წამოვავლებდი ხელს იმ ძვალსა
და თავებს ვუპეპყავდი მაგ საზიზარ
მეკურავებს.

მოგვხსენებთ, ალბათ, გველს ეშინო-
ცხვისა და მის მატყლს არ ეკარება, მე
თავზე ფაფახი მეხურა, ტანზე ცხვირის
ტყაპუში მეცვა და მატყლისავე მთიუ-
ლური ჩითები. ნაწილობრივ ამანაც მიშ-
ველა.

ერთ ბედნიერ დღეს ურუსებმა შეუ-
ტრეს ყიფნალებს, ნაშუადამევი იყო,
ამომათრიეს, ბორკილები შემხსნეს და
ცხენზე შემომისვა ერთმა ყიფნაღმა.

ალიაქოთის დროს ვიმარჯვე, ყიფნაღი
ვადავაგდე ცხენიდან და თავს ვუშველე-
თითქმის ყოველი ყიფნაღი მშიშარაა.
მაგრამ თუ ერთად მოიყარეს თავი, გამ-
ბედავობას მოიცემენ და აზვავდებიან
ვითარცა მშიერი ხროვა მგლებისა.“

დავით მეფე აიძღვრა მოსმენილის შე-
მცნობით, ბოლოს გიორგი ჰყონდიდელ-
მა დაარღვია დუმილი, ურეკ დორღა-
ლელსა და დედისძმას მისას შეხედა და
სთქვა:

„მე და შენ თითქმის თანაკბილანი
ვართ, ხეახვი ბატონო“.

„თავათ ბატონო“, შესძახა ხეახვიამ.

„აჲ ასგზის ვესმენია სახარების წმიდა
სიტყვები: განაგრძო გიორგიმ — ავა-
ზაკს როდი უნდა უმტრო ისე, როგორც
ევა ქნეს ურიათა გოლგოთაზე მათ,
არამედ ღვთისმოყვარეობა უნდა შევას-
მინოთ, თორემ ამ მიწაზე არავის დაედ-
გომება“.

ხეახვიამ დაისვა თავისი გრძელი ხელი
აქვე გრძელ წვერზე და მიუგო ჰყონ-
დიდელს:

„თავათ ბატონო და ვაზირთა უბირ-
ველესო. ჩვენი ეგვიც ვცადეთ, მაგ ქრის-
ტის ფეხის მკენეტელუბს სხვა რიგად მი-
ვდგომოდით. ერთხელ თორმეტი ბიჭუ-
კელა ტყვედ ჩავვივარდა ყიფნაღებთან
ბრძოლის დროს, მამანი მათნი ამოვხო-
ცეთ და ი ბიჭუკელები ციხეში მოვიყვა-
ნეთ. ჯერ მღვდლები და დიაკნები მი-
ვუჩინეთ და უფლის სიტყვანი და გან-
ცხადებანი ვასმენინეთ, მერმე გვეაწნენ
თავათაც:

მოგვნათლეთო.



მოენათლეთ.

ერთ კვირასაც არ გაუვლია ციხის ეკლესიიდან ოქროს ხატები მოიპარეს ბაგრატ მეფისა და ბიზანტიის კეისრის მიერ შემოწირულნი. უბელო ცხენები დაიჭირეს ქალებში და გაიქცენენ. ბოლოს მღვერამა შეიპყრო ის უხუჯლონი. მაშინ მე ვბრძანე მეფისა და ჩემის სახელით და მარგილებზე გავსვით ის ავაზაკნი“.

დავითი და ჭყონდიდელი შეზარა ამ ამბის მოსმენამ.

„ჩვენს ციხეში ვართ გამოკეტილნი ამ უსჯულოთა გადაწყვიდენი. მოგვხსენებათ, ჩვენ თურქებისა და ყიფჩალების დარად მოხეტიალე ყაჩაღები როდი ვართ, არამედ მხენელ-მთესველნი, მაგრამ არც შინდერების დათესვას გვაცლიან, არც მოსავლის აღებას.

ღამომობით სთესვენ და მკიან საწყალობელი ოვსნი მოხუცი, ვაჟაკებს მზაობაში უნდა ჰყავდეთ ცხენები.

ერთხელ აღსდგით ქრისტიანნი მეფენი და აუწყეთ საქრისტიანოს, რომ მათზეა მეფეთა და მთავართა სიხსლი, მათზეა ჩვენი ძმებისა და შვილების სიხსლი.

ამენეთ მაგ ბერძნებსა და ფრანკებს: რას გადაკიდებიან მაგ უმჯულო სელჯუკიანებს პალესტინაში, ჩვენც მოგვხედონ, იარაღი და საქურველი მოგვაწოდონ, თორემ სულ მალე დავიღუპებით ჩვენიცა და ჩვენი ციხენიცა. ოჰო...

მე ღმერთი ბრწყამს, რა თქმა უნდა, მეფეე ბატონო და დიდო ვეზირო ჭყონდიდელი, მაგრამ ხანდახან აგრე მგონია: ამ ქვეყნად არც ღმერთია არც საქრისტიანო, არც სამართალი.

ერთხელ უნდა მოგაძმენით ჩვენი ოვსთა დიაკების ტირილი, გაშლილ ჩოხებსა და ქამარ-ხანჯლებს გარს მოუსწდებიან, ქვებიც აღუღლებიან მათი საცოდავობისაგან, ზოგი ძმებს მისტირის, ზოგი შვილებს, ზოგიც ქმარს.

ოჰო, მე უკვე აღარ ვიცი, მამაო გიორგი, თუ მართლაც სადმე არსებობს ღმერთი და მისი სამართალი...?“

დავით მეფემ სთქვა:

„არა მგონია, ხეახალი ბატონო, მართლაც სწორი იყოს ეგ რასაც შენა ბრძანებ.“

მე არა ერთჯერ მითქვამს ჩემი სპასალარებისათვის, ღვთის იმედი კარგია, მაგრამ ხმლითაც უნდა წავეშველოთ-მეთქი მას. ის ქრისტიანი ფრანკები ერთობლივად ვერ ომობენ, მაგრამ ოსინი რომ არ დასძვებოდნენ სელჯუკიანებს. სელჯუკიანები თქვენაც გეწვეოდნენ თუნდაც ჩრდილოეთიდან.

მე ჩემი სარწმუნო კაცებისა და მზვერალების პირიდან კარვად ვიცი, თუ ვინ არიან და რანი არიან ის ველური ყიფჩალები, მაგრამ მეფე თქვენი ურეკ იმედია სამშვიდობო გზას მისცემს მათ, მე მათ ვაგზენდი, როგორც ქალაქი მონავარდუ ულაცემს“.

ახლა ურეკა სთქვა:

„ყოველივეს მართალსა ბრძანებს დავით მეფე, მერწმუნე, ბიძა ჩემო ხეახალი, ეგ ისე მოხდება, როგორც დავით მეფემ ბრძანა.

განა ჩვენ ცოტა გვყავს საჩიხეში დაგშილი ავაზები და დათვები, რომელნიც ხელს გვილოკავენ? მერწმუნე, ბიძა ჩემო, დავით მეფე დაგეშავს მათ და იმ სამხრეთელ სელჯუკიანებთან ომებში გამოიყენებს“.

„ოჰო, სთქვა ხეახალი, მაშინ ათზე მეტი ავაზა ამდენივე დაგეშილი ორბი უნდა მივართვათ შენის ნებართვითა, ჩემო ძმისწულოო, დავით მეფესა. ოჰო“.

ალაგირის ციხეში, როგორც იქნა, გადაწყდა ყიფჩალოთა უმთავრესისა და მისი სპისათვის მშვიდობის გზის დათმობა. ამ ჭერად სამ დღეს ეძებდნენ ოვსეთის ველებზე ყიფჩალოთა კარგებს.

შარალან შარალანისძე ჭერ უნდობლად შეხვდა ამ საქმეს, მაგრამ, როცა შტორა მორკნეველმა ამცნო დავით მეფე და ვაზირთა უპირველესი ჭყონდიდელი ციხეში ბრძანდებიანო, ბრძანა კარგებისა აყრა.

სტეფანოზ წილენელი ცას ეწია სიხარულისაგან, მისი ღვაწლი ამ წლების მანძილზე გაწეული, ამოდ რომ არ დაიკარგა. იგი ისე დაბერებული იყო, ძლივს იცენეს მახარამ და შტორამ.

შეიდ აქლემს მიჰქონდა ყიფჩაღთა უმთავრესის, ასულის მისის, მხლებელთა, ათასის თავთა კარგები.

მოაღწია თუ არა ყიფჩაღთა უმთავრესმა და მისმა ამაღამ, ძელსა ჰკრევა ალაგირის ციხეში.

ყიფჩაღი სტუმრები უხმლოდ აწვიეს დიდ დარბაზში. მხოლოდ შარაღანისძესა და მის სპასალარს, საბბავ ბენ ჰასანს წელზე ერტყა იმ სიგრძე ხმალი, რომლის ჰვიტი მიწაზე მიიჩაქვდა.

შარაღანისძის ასული სადედოში წაიყვანეს მანდილოსნებმა. დავითს საამურად ეჩვენა შარაღანისძე. მას ფრიად სანდომიანი სახე ჰქონდა. ხოლო სპასალარი საბბავ გოლიათი იყო, ცივი და მღუმარე, ვახლეჩილ ზემო ტუჩიდან მოუჩანდა მხეცისებრ თეთრი და ვარვარა ლოკები.

მახარა გვერდით უჯდა დავითს.

„ფიჭო არაა, მეფევე ბატონო, თუმცა სტეფანოზს არაფერი მოუწერია ამის გამო, მაგრამ მე დაახლოებით აგრე მყავდა წარმოდგენილი შარაღანისძე“.

შენიშნა მახარამ.

„ეგ არც თუ ისე გასაკვირელია. შესაძლოა შარაღანისძის წინაპარი არაბი ყოფილიყო, ან ირანელი.“

უცნაურად სათნო სახე აქვს ბერიკაცს,

მიუგო დავითმა.

სულრასთან დაჯდომის წინ შარაღანისძემ ხმალი მოიხსნა, წამუყო სპასალარს, საბბავს. ამ უკანასკნელმა ოვსთა მეფის შეაბჯრეს ჩააბარა ხმლები.

სულრა აკურთხა გიორგი ჰყონდიდელმა, ოვსთა მეფემ თასი აიღო და მიმართა საპატიო სტუმარს:

„მოგესალმებით, ყიფჩაღთა ბატონო, ჩემს ციხეში, მე და ჩემი დედისძმა ხვახვია, ჩემი ვაზირები და სპაი.“

დიდება ისედაც დიდებულ დავით მეფეს სამეგობრო გზაზე რომ დაგვაყენა.

აბა თავთ ბრძანეთ, რა გამოვა მტრობისაგან? უნასრულო სისხლის წვიმები მხოლოდ...“

აქ შესდგა მეფე ურეკ, აცალა სტეფანოზ წილენელს ნათქვამის თარგმნა, თავისი მძაფრი, კრელი და მკრელი თვლები შეაულო შარაღანისძეს.

მოაგონდა, ამ სამი წლის წინად მას ცხენდაცხენ მოუხდა შეტაკება ამ ყიფჩაღთან. ძლივს გაასწრეს შარაღანისძემ და მისმა სპასალარმა. ახლა სპასალარს საბბავს შეხედა და უსიამოდ შეიმშუშნა, აღამაინის სხეულზე ასეთი საზარელი და მახინჯი თავი ჯერ არ ენახა მას.

„ყოველი უგუნური მუღამ იმის ცდაშია, განაგრძო ოვსთა მეფემ, რაც შეიძლება მეტი მტერი გადაიკიდოს, ხოლო ბრძენკაცი მუღამ მზადაა მტრობა მეგობრობად შეცვალოს.“

მოგვესენებათ, ამ ტყეში უამრავი ავაზებია, მგლები და დათვები, დრო მოვა და ისინი დასჭამენ ურთიერთს, და ტყე და მინდორი დარჩება ციყვებს, თრითინებს, ვირთხებსა და თავგებს, რომელნიც ისე გონიერნი არიან, აროდეს მტრობენ თვისტოშთა“.

დავითს, ჰყონდიდელს, შარაღანისძეს და ხვახვიას გაელიმათ.

„ახლა რა ვქნათ? ვიომოთ თუ ვიძმოთ? განაგრძო ურეკმა, ჩვენ დავით მეფის ყმადნაფიცნი ვართ და მისნი ერთგულნი, თუ ეს აგრეა, ამიერიდან ჩვენც უნდა ვიმეგობროთ. თუ მეგობრობა ჯერ არ მოხერხდეს, კეთილი მეზობლობა გვქონდეს.“

ჩვენი ციხეები-და თქვენი კარგები დღენიდავ ერთმანეთს შესცქერიან. მაშ, ამიერიდან ვიმეგობროთ და ვიმეზობლოთ, რადგან მხოლოდ შლეგებსა სძულთ თავიანთი მეგობარი და მეზობელი“.

ესა სთქვა ოვსთა მეფემ და ხვახვიამ ჩანოატარა ლუდის ყანწებით ფიცკერცხლი. ერის თავკაცები მხრებზე ეამბორნენ ურთიერთს და კვლავ სელებზე დასხდნენ.

გიორგი ჰყონდიდელი წამოდგა სელი-

დან, ოვსთა მეფე ურეკ და ხვახვაი მას მიჰყენენ, მახვილები გაიძვრეს, სტეფანოზ წილცნელმა ყიფჩაღურ ენაზე გადათარგმნა ჭყონდიდელის ნათქვამი:

თორმეტმა ვაჟკაცმა ხელში აიღეს თავთავიანთი ხმლები და გადააჯვარედინეს.

როცა ყიფჩაღები შეთვრნენ, ისეთი ღრიალი მორთეს, სიმღერის მაგივრად, მგელთა ზროვის ყუმუილი ეგონათ თანადამსწრე არა ყიფჩაღთა.

ღრეობა სამ დღეს გაგრძელდა, მეოთხე დღეს აიყარნენ დავით მეფე და მისი ამაღლა ოვსთა მეფე და ხვახვაი, შარაღან შარაღანიძე. უკვე ძლიერი ქარი ჰქროდა. აქ მოხდა საზარელი ამბავი: გიორგი ჭყონდიდელს ცხენი მიართვა ორმა მეჭინბემ. მან ვერ მოასწრო უზანგში ფეხის ჩადგმა, გაღურჯდა, და იქვე განუტევა სული.

დავით მეფე, მახარა, ოვსთა მეფე და ხვახვაი მისცვიდნენ მიცვალებულს, დიდ დარბაზში დაასვენეს.

ათი ათასმა მეომარმა ატარა დიდი მამულიშვილის კუბო ოვსთა მეფის ციხესაახლიდან ნაჰარმაგვეადის. დავით მეფეს ორი სიმძიმელი მიჰყავდა შინ: ჭერ უხილაგი სასძლო და თავისი უსაყვარლესი მზრდელი, ბირველი ვაზირი და მწიგნობართუხუცესი.

ისევ ბნელში ჩაქდა მგლოვიარე მეფე, რომელსაც მწუხარების გამოსათქმელი სიტყვებიც ვერ მოეძებნა.

მთელ თვეს მოდიოდნენ ნაჰარმაგვეს გიორგის ბიძაშვილები, შვილთაშვილები, ქერივ-ობლები, მთელი საქართველოს საერისთავოებიდან. მარიამ დედოფალმა მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელის დამარხვის დღეს შეამჩნია ჭიღარა დავით მეფის დამწუხრებულ სახეზე.

როცა მის კუბოს შავი ღვთისმშობლის ტაძარში ასაფლავებდნენ, მხოლოდ ჭყონდიდელის დისწულს, თრიალეთის გამგებელს, თვედორეს ეყო მხნეობა ორიოდ სიტყვა ეთქვა:

„ვაგლახ რა დიდი ხარ და რა მცირე კუბომ იკმარა შენთვის, საქართველოს დიდო მამულიშვილო, მამაო გიორგი.“

ინებოს უფალმა, საქართველოს ხალხმა შენ მოგბაძოს უკუნითი უკუნისადმე მტერთან ბრძოლაში. მშვენიერად, ჩვენო ხალხის დაუოკებლო და უკვდავო სული.

შენი ხმალი და შენი ჭვარი მარადის წინ გაუძღვება ჩვენს ერს. შენს სხეულს ვერაოდეს იხილავენ მომავალი თაობანი, მაგრამ შენს სულს დიხაბც უმღერებენ მომავლთა შემატიანენი და მწერალნი.

გვგონებ გეყო მახვილის ქნევა, სამოცდა ხუთმეტი ჭრილობა თან მიგაქვს სამარეში მტერთან ომებში მიღებული.

ვაი ჩვენ, ვაი ჩვენ უშენოდ, თორემ შენ რა გიშავს სულმნათო და ვალმოხდილო რაინდო ჩვენო...“

დავით მეფე მუხლმოყრილი ისმენდა ამ სიტყვებს, ლითამი ჩამოეშვა და ბალივით სტიროდა...

• • •

გურანდუხტისა და მისი ამალის ნაჰარმაგვეში ჩამოსვლას უსიამო ბუზღუნით შეხვდნენ სასახლის შიმუნეარები, მეშანდლენი, მესტუმრენი და დიაკონნი. შექათამ თეონა გესლს ანთხედა:

„ღვთისმშვენიერი დედისიმედი მოაშთობინა მარიამ დედოფალმა მეფეს, მერამე იმ უბედური გვანცას ჭერი მოდგა, ახლა დედოფლად მოგვეგვარეს უშულო და გონჯი დედოფალი, ფუი, ფუი“.

მელოტი მეთონე თეონე ყვიროდა. „ხალხო, ვაგვაგებინეთ, უშულონი ვართ თუ ქრისტიანენი?“

ქარიმან სეტყელი დადიოდა ციხის ეზოში, აშოშინებდა მდაბიორებს:

„ჩემიც მოსმინევით, ხალხო, ლამაზი დედოფალი მოგიყვანეთ და სანაქებო როქის სპაი, ხომ ზედავთ, მთელი საქრისტიანო ებრძვის მაგ შჭულდაქცულ თურქებს და სადაცაა მცხეთაც წაგვართვან.“

ღმერთი მყავს მოწმედ, არც დავით მეფესა და არც მე არავინ მოგვიშთვია, რაც მოხდა, ყველაფერი განგებისმიერი ამბები იყო.

დაწყნარდით, დაწყნარდით, აცალეთ

დავით მეფეს ქვეყნის მართვა და ქვეყნის დაცვა“.

ეპისკოპოზოფილი ხრისტოდულე სისინებდა:

„აჲ ეამბობდი მკვლელია-მეთქი დავით მეფე, ჯერ ლიპარტის ასული მოაკვლევინა, ახლა შამან ერისთავის ერთადერთი ქალი.“

უსინათლო შამანი ქარაფიდან რიონში გადახვეწილა ცხენდაცხენ“.

მარიამ დედოფალი და შიმუნვართა წინამდგომი ვარდია შარვაშისძე გაოცებული დარჩნენ სადედოფლოს ნახვით. მათ აგრე ეგონათ ვინმე გონჯი დიაცი იქნებოდა. ყიფჩაღთა უმთავრესის ქალი.

იგი ფრიად ზრდილი და თავაზიანი აღმოჩნდა, ცოტადენი ბერძნული იცოდა, უკეთ არაბული და თურქული. მის მზითვეს ამკობდნენ აურაცხელი მარგალიტები, ჰინდური აღმასები.

უსარმაზარი პერგამენტის — მზითვის წიგნის მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესი ითვლიდა პატიოსან თვლებს. ქირმანულ, ხორასნულ და დამასკურ შალისა და აბრეშუმის კაბებს, ქათიბებს, წავის, ყარაყუმისა და ჭრელი მელის ქურჭებს, ფერად ქურჭლებში შენახულ ალოპეს, ამბრასა და მოსხუსს.

სალამოს, როცა გურანდუბტი ახანავებს, სუნამოები აფრქვივის შიმუნვარებმა, ვარდია გახარებული მიეჭრა საწოლის დარბაზში მარიამს:

„ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, საყვარელო ავგუსტა, თითქოს ძველი სპილოსძელისაგან გამოუკვეთიათო სხეული მისი. ვინ ვაივონა ყიფჩაღის ქალი და ეგზომ ლამაზი“.

„ეჲ, ვინ მისწვდება განგების ნებას, ვეთაყვანე, შესაძლოა გურანდუბტს ირანული, ან არაბული სისხლი ეღვას ძარღვებში“.

მარიამს ეცოდებოდა მარტოხელა ქალი, რადგან მის ამაღაში არც ერთი დიაცი არ ერია, ცხადია, ჯერისწირამდის მეფე არ შედიოდა მის საძილოში.

ბოლოს მარიამმა ინახულა იგი, ეამ-

ბორა ძველი სპილოსძელისფერ ღრუჭზე. გურანდუბტს გული აუჩვილდა, ბერძნულად შესძივლა:

„რა ვქნა, ბასილისსა, არ მარჯვარს მარტოობა“.

ესა სთქვა და მდულარებამ იწვიმა მის მშვენიერს, იავუნდის თვალთაგან.

„არაფერია, ბასილისსა, ცოტა უნდა მოითმინო.“

ვაიფლის სავალდებულო ვადა გლოვისა და აღარ იქნები მარტო.

ირანული საიდან იცი, ვეთაყვანე“

„ჩემი დიდება ირანული დიდაზნაურის ასული იყო. დედაჩემი ადრე მიიღვალა, ასე რომ შეიდ წელს ვიზრდებოდა ისპაჰანში, დედისძმის სასახლეში. ბერძნულიც იქ მასწავლა ერთმა საჭურჭლსმა, რომელიც ირანულსა და არაბულს მასწავლიდა“.

მარიამ დედოფალმა შეკრძხე დაჰკიდა სასძლოს რუბინის მანიაკი, შიგა და შიგ აღმასები ბზინავდნენ მასში.

ბოლოს გადმოიღო ოქროს ბეჭდები, ლაღებითა და აღმასებით მოოჭვილნი და უსახსოვრა სადედოფლოს. გურანდუბტს ცრემლი მოერია.

ბავშვივით გახარებული უჭკრეტდა ამ ნივთებს.



მახარა, ნიანი ბაკურიანი და გამგეთუხუცესი ვერ აღდიოდნენ ყიფჩაღთათვის კარებებს მოწყობას, მათ ულულსში მხოლოდ ძისთავეზსა და ათასის თავებს ჰქონდათ კარებები, ისიც ვაგლაზად დასვრილნი და დაფხრეწილნი. ყიფჩაღთა სპის ნაწილი და სარდალი ჰასან საბბაგ და ათი ათასის თავი მუხრანში მოათავსეს.

ვაქირდა საქმე წყობის ქირის სპისათვის კარების დადგმა, რადგან ყოველ მათგანს სამზე მეტი ცოლი თან ახლდა.

მახარამ მოყურადენი მიუჩინა მათ. მახარას მრავალი შემწარავე ამბავი ენახა ანატოლიასა და ბალკანეთში ომების დროს, მაგრამ ასეთი რამ ვერც წარმოედგინა.

განუსაზღვრელად სჭამდნენ ისინი სნოს ციხეში, ანანურის ციხეში, მაგრამ მაინც ბაღღებებით მშობისა ვაიმახონდნენ.

გზა და გზა ხოცავდნენ კირკიტებს, ჩხაკებს, კურდღლებს, სახელდახლოდ აძრობდნენ ტყავს და სჭამდნენ.

ობოცებოდნენ ცხენები, მარჭაფებზე ამოკიდებდნენ და მოათავებდნენ ამ მძორს, მუხრანადის, გაზაფხული ილეველა და ქართველ მონასტებს არ გაეველებოდათ ამ აყროლებული ლეშების ვეკრდით.

მახარამ მოაყვანიდა ნოტო, ყასბებს არ აცალეს ყიფჩაღებმა ცხვრის დაკველა, ამოდ მოაწყობინა სამწვადე კოცონები, ყიფჩაღები ნადირივით დაერიცნენ ცხვრებს, თავებს აცლიდნენ, ტყავს აძრობდნენ და უმ ხორცს გლეჯდნენ, როგორც გაფთვებული ნადირი.

მხოლოდ ჰასან საბბაგასა და ათასის თავებს აღმოაჩნდათ პარის გემო, მათ მიწაში დააფლობინეს ტყავგუზნდელი ცხვრები, ზედ კოცონები დაანთებინეს, მაგრამ დიდხანს არ აცალეს, მზარეულებს უბრძანეს: დაუყონებლივ მოგვართვიეთო.

როცა გულარეულმა მახარამ თვალი შეავლო, თუ როგორ გლეჯდა თავისი ღოჯებით ნახევრად შემწვარ ვერძს, ჰასან ბენ საბბაგ, შეზარა ამ სურათმა და ზურგი შეაქცია მხეცკაცს.

ეზოში ვასულმა უარესი რამ ნახა. ხელსახლიანი და პარისისხლიანი ყიფჩაღები დაუცხრომლად გლეჯდნენ, ღრღინდნენ, ხრავდნენ და სიამოვნებასაგან ალტყინებულნი გაუგონარ სიტყვებს ღმუროდნენ.

ამ მრავალგზის გამომთვრალ ყიფჩაღებისაგან მახარასა და ნიანიას, რომელთაც კარგად იცოდნენ ეს თაფლივით ტკბილი თურქული, მოესმოდათ მხოლოდ:

ღავ, ღავ,
ხოვ, ხოვე,
ვიხ, ვიხ, ოპო ხო, ოპოსო“.

„ვაი ჩვენს მოსწრებას, ეუბნება მა-

ხარა ნიანია ბაკურიანს, ეს რა მხეცები მოგვიყვანია, ნიანია ბატონო, სელჯუკები ამათთან შედარებით ანგულოზე ბია“.

„ქეშმარიტად, ქეშმარიტად, მოუგო ნიანიამ, აბა რა ვქნათ, მახარა ბატონო, მეფემ აგრე ინება: მხეცების მეშვეობით მოვიგერიოთო მხეცები“.

მახარამ და ნიანიამ ბრძანეს და ათასის თავები: უკერ, ხურხუხი, არსადან, ოკკიმ და ბუმბა ნაჭარმაგვევის სანახებში ჩააყენეს სპიანად სახელდახელოდ გამართულ კარვებში.

მეფე და მისი სპასალარები დღე და დამ ყიფჩაღთა როქის სპის წურთვნით იყვნენ გართულნი, ისინი ჩინებული მოჭრიოთენი იყვნენ, მათ დიხაჯე ცხვრებოდათ წყობით მომავალ ლაშქრის შეტევა, მაგრამ წყობაში ხმლის მოხმარა არ ემარჯვებოდათ.

სახელდახელოდ გამართულ აღღუშში მეფე განუმარტავდა ყიფჩაღთა სპასალარებსა და ათასის თავებს, შეტევის, უკუქევისა და ხმლის მოქნევის წესებს.

ახლოვდებოდა კონსტანტინე პორფიროგენიტოსის ქორწილი, მაგრამ უმძიმდა მარიამ დედოფალს დამწუხრებული მეფის დატოვება, ბოლოს თავით გამოუტყდა თავის თავს, უმძიმდა ნიანია ბაკურიანის დათმობაცა.

„რა უკულმართად მოუწყვია ჩემი ბედი არსთავანმრიგეს, ერთი რომ ნიანია ათიოდე წლით უმცროსია ჩემზე“... ნიანია ამის გამო აგრე ეტყოდა:

„ოლონდ ერთ წელს მიცხოვრე შენთან, ავგუსტა, შენ აჭარბებ, ავგუსტა, მე ორი წლითა ვარ შენზე უმცროსი“.

ახლა ახალი საქმეები გამოუჩნდა მარიამს, ნაჭარმაგვევში ეახლა მას მხატვართუხუცესი თევდორე და სთხოვა ნება მიეცა დაეხატა მისი სურათი გელათის ღვთისმშობლის ფრესკისთვის.

მარიამს კონსტანტინეპოლშიაც თავს აბეზრებდნენ მხატვრები, მაგრამ იცოდა, გელათი დავით მეფეს თავის საძუ-

ლედ ჰქონდა განკუთვნილი და ამიტომაც უარი ვერ უთხრა მხატვართუხუცესს¹.

• • •

დამწუხრებულ სასახლეში დიდი სიბარული გამოიწვია დავითის ქალების თამარისა და კატის არტანუჯიდან ჩამოსვლამ.

მათ დიდის რულენებით ზრდიდნენ არტანუჯში ბაგრატიონანთა ფარის მონასტერში შემორჩენილი ნათესაეები მეფისა.

ერთი თვეც არ გასულა, სელჯუქიანებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი ტაო-კლარჯეთში, მეფემ ნიანია ბაქურიანი და ჰასან საბზაგ წარგზავნა. თურქები უბრძოლველად უკუიქცნენ.

ბრძოლის ველზე დასტოვეს ათასის თავი აბდალაჰ ბენ ისხაკ.

ნიანიამ ვერც კი მოასწრო მიხედვა, ისე წამოაქდა წაქეუულ ცხენოსანს გამხეცებული საბზაგ და თავი მოსჭრა. როცა ეს ნადავლი დავით მეფეს მიართვა მან, პატრონი ვაგლახად მოიღუშა და უთხრა თურქულად:

„ამიერიდან ეს არა ქნას ჰასანმა, რადგან ჩვენ ქრისტიანები ვართ და მტრის მოკვლა კი შეგვიძლია, მაგრამ თავის მოკვეთა წესად არა გვაქვს“.

• • •

ღედოფალი ვურანდუხტ დიდის ამოღით წაიყვანეს მცხეთაში და სვეტიცხოველში მონათლა იგი ქართლის კათალიკოსმა.

მარიამ ღედოფალმა იცისრა ნათლობა, ცერემონიები რა მოთავდა, მარგალიტებისა და აღმასების მანიაკი დაჰკიდა ყელზე, ერთიც ძვირფასი ჯვარი მაც-

1 ავტორისეული რემარკა: ხსენებული პორტრეტი გელათის ღვთისმშობლისა მოზაიკის სახით გაცემებული, რომელიც ზუსტად ჰგავს ვატიკანში შემონახულ სურათს მარიამისას, დღე-ბაც ამკობს გელათის ტაძარს.

ხვრისა, იაფუნდებით აღმასებით და ლალებით შემკული..

ბოლოს შარაღანისძის სპასალარები, ათასის თავები და როჭის სპარტის-ურბნისთან ჩაუშვეს მტკვარში, არსენ იყალთოელს, ხუთი ეპისკოპოზი და ათიოდე მღვდელი ნათლავდნენ მათ.

ყიფჩალებს ისე იამათ ეს ამბავი, სანამდის არ მოშივედათ წყლიდან არ ამოსულან.

ველზე იღვა თოროსან ცხენოსნების ფიტულეები, მხედრებს ასწავლიდნენ მტრისათვის თავის მოჭრას, მკლავის წაცლას, თორიანად გაკვეთას.

ყიფჩაღურ სწორ ხმლებს მომრგვალებული ჰეინტები ჰქონდათ.

დავითმა ამოიღო თავისი წვეტში წამახული ხმალი და უჩვენა ათასის თავებსა და უთხრა:

„ამიერიდან ასეთი ხმლები გექნებათ. ეს ჰეინტწამახული ხმალი ადვილად გაატანს ჰაჯის პერანგში“.

ახლა მეფე უჩვენებდა ცოცხლად როგორ უნდა შეიპყრო მტერი, ამისათვის საჭიროაო ცხენის გამოკვლა.

ყიფჩაღ მეომართა შორის მხოლოდ ათასის თავებსა და ასის თავებს ეხურათ რკინის მუზარადები, ისიც ვაგლახად დაეყვილი მტრის ხმალთა ცემისგან, საჭირო გახდა მათთვის რკინის მუზარადების შეკვეთა. ასზე მეტი მჭედელი დღე და ღამ აწრთობდნენ რკინის მუზარადებს. ყიფჩაღები ბალღებივით გახარებულნი იყვნენ ასეთი საჩუქრების მიღებით.

უნაგირები კარგი ჰქონდათ უმრავლესობას, დანარჩენები უბელო ცხენებზე ისხდნენ, ზოგიც მარტოოდენ თოქალთოზე.

მახარამ გამოარკვია, თურმე ყიფჩაღები წყლის მოშიმარნი ყოფილან და ამიტომაც დადიოდნენ ოფლით აქოთებულ კაბა-ჭუბითა.

...

სამი თვეც გავიდა.

მარიამი საგონებელში ჩავარდა. მას ძლიერ ეცოდებოდა ახალგაზრდა დედოფალი, რადგან დავით მეფე მუდამ მოღვშული იყო, დღე და ღამ ყოფილ მეომართა წვრთნით და აღლუმებით იყო გართული.

მეფე ამჩნევდა: ისინი მძიმედ ითვისებდნენ ქართული კავალერიის ბრძოლის წესებს.

ყოფილები ბალღებივით ხარხარებდნენ, როცა მათ სააღყო კოშკები ხისა და ვერძები აჩვენეს.

ეს ბალღებისთვის ხომ არ მოგიწყვიათო.

ყოფილ ცხენოსნებს გაუჭირდათ ხანდაკეზე ცხენდაცხენ ხტომა. მერმე გაქენებული ცხენიდან ჩამოხტომა და ეკლავ ზედ მოქცევა.

მათი ცხენები ნამეტნავად ნასუქალი აღმოჩნდნენ, კისერულდრეკი და ფეთიანი.

ახლა მათი ხმლები თავათ გასინჯეს მეფემ და მისმა სპასალარებმა, ისინი უფოლადონი აღმოჩნდნენ.

უკვე დრო იყო მათი ცხენებისა და ახალი ხმლებისათვის ეზრუნათ.

უცნაური ქარწვიმა იყო, მიუხედავად ამისა, დავითი თავათ ხელმძღვანელობდა კარავების აგებას. სამქედღურებში უკვე სჭედავდნენ ქართულ ჯავარდენებს, რომელთაც დავითფერული შეარქვა ჩვენმა ხალხმა.

...

მეფე უგუნებოდ არისო, რა ისმინეს, სული გაკიდეს სამეფოის მტერთა და ქვეგამხედვართა, როგორც შიდა ქართლში, ისე თრიალეთის საერისთაოსა და კახეთში.

დავითი ხანგრძლივად მგზავრობდა ამ მხარეებში. ციხეების გაკეთებითა და გზათა გაყვანით იყო გართული, ალავ ალავ ხანაგანი ააგებინა, ზოგჯერ ქოლბაქინცა, რათა უპოვართა და მთხოვარებს ღამის გათევა შესძლებოდათ.

ბოლოს ბოქორშის ციხე-სასახლეს ეწვია, ციხისთავი, ციხიონი და კარიბ ეკლესიის მღვდელი პურმარილით წინ შემოეგებნენ. სამ დღეს დაჰყო ციხეში და ისევ ნაჭარმაგვეს მიბრუნდა.

სასახლეში მისვლისას დავითმა დიდი დარბაზის კარი შეაღო და მოისმინა, თუ რა ბეჭითად იმეორებდა დედოფალი გურანდუხტი ფსალმუნის ლექსებს ქართულად. ბერძნულად ჰკითხა დავითმა მეუღლეს:

„ხომ არ გეძნელება ქართული, პა?“

„არა, მეფეც ბატონო, რასაც სიყვარულით მოეციდები, არაფერია ამ ქვეყნად ძნელი“.

მთელი დღე ეალერსა და ეთამაშა თვის ასულებს თამარსა და კატაის.

რიგიანად დასვენება ვერ მოასწრო ამოდენა გზის გადამლახველმა, გეგუთიდან მალეშობოლი გამოგზავნა მხატვართუხუცესმა თევდორემ:

თხოვდა: დაუყოვნებლივ ჩამობრძანდესო ბატონი.

საოცარის სისწრაფით ემუშავნათ კირითხუროებსა და მხატვრებს, უკვე საქორო გახდა სახურავისთვის ზრუნვა. გეგუთში მეფეს დაუხვდნენ არსენ იყალთოელი და კირიონ მანგლელი.

„ჩვენ ამბავი მოგვწყვდა, მეფეც ბატონო, სინას მთაზე აპირებო მონასტრის აგებას“.

სთქვა კირიონ მანგლელმა.

„ღიახაც, ღიახაც, მამაო კირიონ, თუ გზაში არ გავვიძარცვეს იმ ავაზაკმა თურქებმა ჩვენი წარგზავნილი კაცებმა, არსენ იყალთოელმა სთქვა:

დავით აღმაშენებელი
საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

„ვგონებ ურიგო არ იქნებოდა, მეფევე ბატონო, კელავ წარგზავნიდეთ ლულუ ბენ ჰაიდარსა და ხახუტაის“.

„მე მინდა მათ გავატანო იოანე უხამური, ბერძნულისა და-თურქულის კარგი მცოდნე.“

სათუთა ვგონებ ჩვენი საქმე, მაგრამ არაფერია, უფალი მოწყალეა, ყოველთვის როდი გაუმარჯვნიათ ქურდთა და მტაცებელთა. ერთხელაც იქნება უფალი ხელებს დაუშოვლებთ მათ“.

მხატვართუხუცესს თევდორეს მხადა ჰქონდა მეფის ხატები. თავზე პიუნანტიური ოქროს გვირგვინი როდი ადგას მეფეს, არამედ ქართული მუზარადი.

მუზარადის წინა კიდეს ამშვენებს ორი რუბინი, ზურმუხტი და აღმასება. მუზარადიდან ძირს მოიმართება ორი მსხვილი მარგალიტებით დამშვენებული შიბა, შიბას ბოლოებში პათიოსანი თვლები და ორი აღმასითვე მოოჭვილი ყვარი“...¹



¹ ავტორიუხუცესი რეზარკა: ეს პორტრეტი დავით მეფისა 1883 ნაპოვნია პროფ. ა. ცაგარელის მიერ და ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ჩვენს მაგივნო

წიგნიდან—„ღიღ“

ქართლის ცხოვრების მშაბიანე ივანე ჯავახიშვილი

სადღაც ბურუსში,
ფერმიმკრთალი,
მტვერგადაყრილი
შან ბევრი კარი,
სიგელ-გუჯრის
გახსნა დიდების.
ქართლის ცხოვრების
მატიანეს
სწერენ დაღლილი,
სანთლადქცეული
და მთრთოლვარე
მისი თითები.

ძველი ფურცელი
გაცოცხლდება
სიზმარეული:
მტრის ქარავანი
ჩემს მამულში
მიდის ზმორებით
და ჩუქურთმებში
გახლართული,
გზაბნეული
ქრიან დამფრთხალი,
პაწაწინა
ნიაშორები.

სოფლად ანკარა
მოკისკისე
წყარო დამშრალა,
ნაშიმშილარი,
ჩამომჰკნარი
ძუძუ დედისა.
ბინდში გახვეულ,
გადათქერილ,
მტერიან ვზა-შარას,

თუ გაანათებს
ბნელში მხოლოდ
ელვა ხმლებისა.

გელათს და მცხეთას
ისევ სიზმრის
რეკენ ზარები
და ჭვარზე ცრემლად,
ცრემლად ღღევა
ხატთან სანთელი.
შუბლგაკაწრული,
დადალული,
ნაიარები
კვლავ ისევ გუთნურს,
ოროველას
მღერის ქართველი.

და ისმის, ისმის
დამტვერილი
ფურცლის შრიალში,
როგორ ცოცხლდება,
მხრებს ისწორებს
ვაზი დამშრალი.
ბედის ტრიალში,
ყიფინაში,
შუბის კრიალში
მოედინება
ისევ ისევ
ის ალაზანი.

ცად რომ მიჭრიან
ოცნებათა
ლურჯი ფრთებია,
ამაყი სული,
დაუღლეული



ქრის გამძაფრებით.
ტაძრები მალა,
ზეცას მხრებით
ეზჭინებთან
და ღმერთებს ხელებს
სათნოებით
ხვევენ ტაძრები.

თვალწინ ცოცხლდება
აწ გარდასულ
წელთა მრავალთა
უმანკო ცრემლი,
ცხელი სისხლი,
კირი — უძღლური.
და კუბრის ზღვაში
ჩვენი მიწა —
ერთი კალათა,
მწვანედ ტიეტრებს
უკვდავების
ციდა კუნძული.

წერსა და ოხრავს
გადაღლილი
ჩვენი სინდისი-
და წარსულიდან
გულდამწველი
ესმის მოთქმანი.
ხედავს: კვამლშია
გახვეული
ღედა — თბილისი,
ნახევარმთვარით,
ვენახებში
ბლავის ხონთქარი.

და აღარა აქვს
ვაებას და სევდას

ჯებირი.
გვიტევენ, გვღევენ
მომხვდურები
გაგულისებით.
ვიდაც ყაენი,
თემურ-ლენგი
ჯალალედინი —
კალიბივით
მოსეული
საჭურისები.

წერს ჩვენი მამა,
შეგერცხლილი
პატიოსნება,
ხანდახან კალამს
გაანათებს
წლები ნათელი.
ცა გაჩაღდება,
მის სულშიაც
გასხივოსნდება —
საუკუნეებს
გადმოლაზავს
ბრძოლით ქართველი.

...და მიღვას თვალწინ
ხალხის მამა,
ერის სინდისი,
მოდის, წარსულით
მოაცილებს
ხალხის გალობა.
ღვას მის წინაშე
გაუტეხი
ღედა-თბილისი
და მარად მისი
მადლიერი
შთამომავლობა.

მეც ხომ ვარ...

ზოგი წინაპარს უწოდებს ვაჟას,
თავს შეილობილად სახავს მრავალი...
რას იტყვის ჩემი სვანური მაჯა,
მეც ხომ ვარ ვაჟას შთამომავალი?!

— გჯერათ?
— არ გჯერათ?
— ჰკითხეთ ჩარგლურას,

როდის მივედი მასთან კანკალით,
მას შემდეგ არსად არ
დაკვარგულვარ,
რადგან მლოცავდა ვაჟას ჩარგალი.

მაშ, რისთვის, რატომ არ შემოძლია,
რაც გულში მიძევს თრთოლვით არა
ვთქვა?



მამ, რატომ შემხვდა, როგორც
მისიანს,
რად შემომბღაველა ფშავის არაგვმა!

მთებში ნისლებმა რისთვის
დამმალეს,
რად გამიმთელეს გული მტკივანი,
დალი რად შლიდა კლდეზე
დალალებს,
რატომ მეძახდა მთას ამირანი?

ვინ დამაფრქვია ცრემლი მდუღარი,
როცა გზა შემხვდა გადანარაგვი?
რისთვის მათობდა ვაჟას ბუხარი,
გზას რად მიკვლევდა ფშავის
არაგვი?

რისთვის მომდევდა ჩრდილი
შევარდინის
ლოცვა-კურთხევით, გიგანობით
ლოცვა-ვედრებით,
მცხეთაში ერთად რისთვის შევარდი
მე და არაგვი, როგორც მხედრები.

მამ, რატომ გიკვირს, ვეძახდე ვაჟას
წინაპარს,
მამას,

როგორც მრავალი.
...რას იტყვი ჩემო სვანურო მაჯავ,
მეც ხომ ვარ ვაჟას შთამომავალი?!

ქველი მგოსნები

თქვენ შემოგვწირეთ ფიქრი, ოცნება
და წლიდან წლობით ისე ხატავდით,
რომ ვარსკვლავებით ძველმა
მგოსნებმა
გააჩირადინეთ ბევრი ქალაღი

თითქოს ცა იყო თქვენი ტრფიალი
და დედამიწა — დედინაცვალი,
სამყაროს ბევრჯერ გაუზიარეთ,
რომ უბედობით იყავთ დამწვარი.

წერდით, რომ ქვეყნად არ
გედგომებათ,
შზიანი დღეც არის მზებნელი, —
განათებული თქვენი გონება
ზეცაში ბედის იყო მძებნელი.

წერდით თქვენივე სისხლის
წვეთებით
მამულის ბედზე სანთლად დამდნარი,
თრთოლვით,
ოცნებით
და იმედებით
ვაფრინდა ბევრი მწარე ზამთარი.

ვაფრინდა ბევრი აუბდომელი
სიზმარი,
დარდი —
კაეშნიანი...

გესმოდათ გმირებს დაუდგრომელი
საუკუნეთა ფრთების შრიალი.

განათებული თქვენი გონება
თავისუფლების იყო ტრფიალი,
ოცნება,
ფიქრი
და შთაგონება
სევდანარევი, იმედიათი.

და დაგვრჩა მარად მოსაგონებლად,
ყანად მოვიმკეთ თქვენი ნახნავი,
მამ, ცაში რაღა მიგაქროლებდათ
თუ თვით იყავით შუქურ —
ვარსკვლავი?!

ამაყი,
ფიცხი,
გზის გამკაფველი
თქვენი ხმა ვერვინ გადაგვაფიწყა,
განათებულნი, დაუძრავებულნი,
ვარსკვლავად დასდევთ ამ
დედამიწას.

...იწოდა, თრთოდა თქვენი ლამპარი,
თავისუფლების იყო ტრფიალი,
მამულის ბედზე სანთლად დამდნარი,
კაეშნიანიც, იმედიათიც.

3წერ მამრამ...



ვწერ, მაგრამ რა ვქნა, არ მეწერება.
გამოიმეტოს ვინმემ წყალობა,
გაფრენილ სიტყვებს რა ვშველება,
მოულოდნელად გამქრალ ვალობას?!
და მე ვმჩატდები, როგორც ბუმბული,

თვალდათვალშუა ქრება ოცნება,
იქნება სჯობდეს ვიხმო ბუღბული,
როგორც იცოდნენ ძველად
მგსნებმა!

თუ ბუღბულს იხმობ, ვარდიც გვირდება,
ეკალიც ახლავს თურმე ვარდობას
და სიყვარულიც მოგიფრინდება
ისევე, როგორც ახალგაზრდობა.

ვწერ, მაგრამ რა ვქნა, არ მეწერება.
გამოიმეტოს ვინმემ წყალობა,
იქნებ მეწვიოს ბედნიერება
და ბუღბულივით ვიწყო ვალობა.

...

ჩემი სულია,
ჩემი ღვიძლია,
თოთო ბარტყივით მიზის უბეში
და ჭერჭერობით არ შემიძლია
სხვაგან გავუშვა ჩემი ნუგეში.

პატარას, ჭერ ფრთა არ შებუშბლია,
სუსტი გული აქვს,
სუსტი ლავიწი.
მას მარტო ყოფნა არ შეუძლია
და ჭერჭერობით ფრენა არ იცის.

არც ხელის გულზე ჭერ არ
დამისვამს,
უბიდან მესმის მისი ფრთხილი.
და მუდამ შიშობს გული მამისა,
რომ არ გამისხლტეს როგორც ნიავი.

ჩემი სულია,
ჩემი ღვიძლია
თოთო ბარტყივით მიზის უბეში
და ჭერჭერობით არ შემიძლია
სხვაგან გავუშვა ჩემი ნუგეში.

საქართველოში სადაც გავივლი...

ენგურის ჩქერში ვარ განზანილი
და მიტომ დაეჭრი შეუჩერებლივ,
საქართველოში, სადაც გავივლი,
როგორც შეიღს მცნობენ
ყველგან ჩქერები.

როცა თოვლიან მთებს გადავივლი,
თუ შემომაკლდა სიტყვის მარაგი,
დასახმარებლად

მთიდან ბალღივით
გამოქანდება სამი არაგვი.

ტალღა შემძახებს ივრის ქალებში,
მოულოდნელად სუნთქვას განაბავს

და მთვარესავით ვერცხლის
მკლავებში
ჩავეუარდები ღამით ალაზნს.

შემდეგ რიონის ქალებს ავყვები,
გზას გავუდგები სვენებ-სვენებით,
გადარეული,

გიუი მაყრები —
შემეყრებიან გზაზე ჩქერები.

ძლივს გამოვარჩევ შავად მჩქეფარეს,
ვიცნობ ყვირილას და ავყვირდები,
შემომაყრიან შეხედებს ელვარეს
მისი ზანგივით შავი ზვირთები.

მოულოდნელად ბაღდადს გაეჩნდები
და კალმახით ვიცნობ ხანისწყალს,
მისი ჩქრიალა ლურჯი ჩანჩქერი
ვერასდროს, ვერვინ გადამაფიწყა!

და უღიახვოდ განა დავრჩები,
სიზმარშიც მესმის მისი ჩქაფანი...
ყველგან ჩქერალი,
ყველგან ჩანჩქერი
და მდინარეთა ლურჯი ფაფარი...

გალაღებული მტკვართან მივედი
და მდინარეთა დედა ნამდვილი
შემომეგება, როგორც იმედი,
მისი უმანკო, წმინდა მანდილით.

მიცნო,
მიმიღო,
ალაპარაკდა,
ერთგულს ადვილად იცნობს



ერთგული.

და საქართველოს დედაქალაქთან
აგვახმიანა მე და ენგური.

ენგურის ჩქერში ვარ განზანდილი
და მიტომ დავჭრი შეუჩერებლივ,
საქართველოში სადაც გავივლი
როგორც შვილს მცნობენ
ყველგან ჩქერები.



თანხიზ მომოდაჲ

ნ ი ა ლ ვ ა რ ი

ნაწილი პირველი

თანხი პირველი

კარგ ზაფხულს უჩანდა პირი.
სოფელი ალიანი იენისის დასაწყის-
შივე აივსო მოავარაკეებით.

ეს სოფელი ძველთაგანვე საავარაკო
ადგილად მიაჩნდათ. ამიტომ მაზრის
მარშალს ოდესღაც აქ აეგო უშველებე-
ლი სასახლე, რომლის ნანგრევები ახ-
ლაც დიდებულად გადაჰყურებს ალი-
ანს. მარშალის სასახლეს მკრთალად,
მაგრამ ჭერ კიდევ შერჩენოდა ის ლა-
ზათი, რაც მნახველს თავის დროზე
მეტისმეტად ხიბლავდა. სასახლე სოფ-
ლიდან ცოტა მოშორებით, გორაკზე
დგას. სახურავი ალაგ-ალაგ ჩანგრევიდა,
ზოგიერთ დარბაზში კარგა ხანია კაცის
ფეხი არ შედგმულა. ერთი ბატარა დარ-
ბაზის ჭერი და კედლები ფერადი ქვე-
ბითა და სარკეებითაა გამშვენირებუ-
ლი. ამასლა ათვალეურებდნენ ალიანში
ჩამოსული მოავარაკეები.

მეორე გორაკის კორტოზზე სხვა სა-
სახლის ნანგრევები შემორჩენილა.
ორიოდე ვადარჩენილ ოთახში ცხოვ-
რობდნენ ამ სასახლის პატრონთა ნაში-
ერნი.

აქა-იქ, ვენახებშიც მოჩანს მეომართა
კოშკები.

სოფელი ხრიოკზეა გაშენებული,
მაგრამ ალიანის გარშემო, გამსაკუთრე-
ბით მდინარე რძიანას ხეობაში, კარგი
მიწებია; აქ ვენახები და ბაღები გაუ-
შენებიათ. ყველანაირი ხილი მოდის,
მსუყე შემოდგომა იცის.

ფუტკრის რუღტნი, ჩიტთა სტვენა-
გალობა, მომღერალი ახალგაზრდები,
მუშა და დარბაისელი ხალხი, ჰურმად-
ლიანი, გულზელგაშლილი... წყალი დი-
დებული, ჰაერი კარგი. ჩრდილოეთის-
კენ შორს გაშლილი სივრცე.

იქით მოჩანს უტყეო, მზით დამწვა-
რი, გძლად გაშლილი მთა, დიდილიო-
ბით წითლად რომ იღებება, მერე წი-
თელში ცსიფერი გაერევა, ალაგ რძის-
ფერი ჰაეროვნება მიემატება. მთა შუა-
დღისას მზვარეში მთლად ითანგება,
ფერმკრთალდება, თითქოს ეს ეს არის
უნდა გაქრესო, საღამოს მეწამული ფე-
რი ეძლევა. ხეობაში ბინდი ჩაიბარება
და შორიდან ეს ადგილები წაბლის-
ფრად გამაჩნდება. მზე ჩადის და მთა
მუქდება.

მთები მთებს უცქერენ. ერთნი დე-
დიშობილანი დგანან, მეორენი ლამაზი
ქალებივით მორთულან და ქართლის
ველთან ჩამომსხდარან.

რძიანას ხეობა ღრმად მიდის სამხრე-
თისაკენ, ჩახერგილ მთებს შორის. ხეო-
ბა ეიწროა, მაგრამ მაინც მოჩანან სამ-
ხრეთ მთიანეთის შორეული თეთრონე-
ბი.

სოფლის გარშემო ალაგ კალთააკე-
ცილი, ალაგ კალთადაფენილი გორაკე-
ბია.

ალიანი მჭიდროდაა დასახლებული.
მეზობელს მეზობლისათვის მიუდგამს
თავისი სახლ-კარი. ბევრს ორსართუ-

ლიანი სახლი უდგას, ბევრიც დაბაღ სახლში ცხოვრობს. ყველა ცდილა, რომ ეზო კოხტა და ჩრდილიანი ჰქონოდა, რომ ზაფხულობით თბილისიდან დაძრულ მოაგარაკეთ თვალი წასვლოდათ, გული აღელვებოდათ.

გზისპირას იდგა კრამიტით გადახურული, ორსართულიანი სახლი. ფიცრული ღობით შემოკაფებულ ეზოს ფართო ჭიშკარი ჰქონდა დატანებული.

ეზოს თავსა და ბოლოში გაშლილ-განავარდებული კაკლის ხეები იდგა. თალარის თალი მალა აწეულიყო და მთელ ეზოს საამური ჩრდილი დაჰფენოდა.

ამ კარ-მიდამოს ფუძის ჩამყრელი ღურგალი იყო. ღურგლობის გარდა სხვა ბევრი რამეც ემარჯვებოდა ფარნა ნაეროზაშვილს. ალიონიდან გვიან დამემდე შრომობდა. ზაფხულამდე მარტოდმარტო შეჰყურებდა თავის მეუღლეს, ელენეს, თვალად ლამაზსა და ტანად ქალს. ცხრაას ხუთში ფარნამ დოესიდან მოიტაცა და ცოცხალი თავით არავის დაანება. მასთან ერთი ქალი შეეძინა, ქალი თბილისში გაათხოვა და ახლა, ზაფხულობით, იმით ხარობდა, რომ ქაბუკი შვილიშვილები, სანდრო და ლევანი, სამ თვეს მასთან ატარებდნენ.

ფარნას კარ-მიდამოს მდგმურებიც ეტანებოდნენ. ზაფხული ისე არ გავიდოდა, ზემო სართულის ორი ოთახი არ ვაეჭირავებინა. ზოგს ისე მოსწონდა აქაურობა, რომ რამდენიმე ზაფხულს ზედიზედ ფარნას ბინაში ატარებდა.

სანდრო აგერ ჩვიდმეტი წლის გახდა, ტანი აიყარა და დამშვენდა. უმცროსი ძმაც არ ჩამოუვარდებოდა ტანადობაში და მოხდენილობაში, მაგრამ ლევანს ჯერ ღინღლი არ მოარეოდა საუღვაშეზე.

დიდლილობით ძმებს ფარნას სახლის მახლობელ გორაკზე უყვარდათ არბენა. გორაკიდან კარგა ჩანდა ალიანის სანახები, მდინარე რძიანას ხეობა.

სანდროს მხატვრობა იტაცებდა და ამიტომ იყო, რომ ბუნების სურათები ყოველთვის იქცეოდა მის ყურადღებას. ვინ იცის რამდენჯერ უცდია დაეხატა მშობლიური სოფლის მზის თაქარებაში გათანგული ვარემო, განთიადისა თუ შებინდების სურათები.

უყვარდა სოფელი. სკოლაში უკანასკნელ გამოცდას ჩააბარებდა თუ არა, ძმასთან ერთად ალიანს მიაშურებდა. აქ გაუტარებია ბავშვობის ტკბილი წლები. აქაც ყავდა მეგობრები.

წელს, ივნისის დასაწყისის ერთ შაბათ საღამოს, სააგარაკოდ ჩამოვიდნენ და თან რამდენიმე დღით დედაც ჩამოჰყვათ.

ფარნამ შეათვალეირა შივლიშვილები.

— მალე ქორწილი გვექნება! — თქვა თავისი ნაშვიერებით მოხიბლულმა.

...დილით ძმები, ის იყო, ჩვეულები-სამებრ, გორაკზე ამირებდნენ ასვლას, რომ სტუმრად მოვიდა რუსიკო, ფარნას მეზობლის ათხაჯანა გოგო.

სანდროს მუდამ თმაგაშლილი და ფეხშიშველი ახსოვდა. შარშანაც კი ასეთი იყო.

წელს სულ სხვანაირად გამოიყურებოდა.

საგანგებოდ გამოწყობილიყო. „ასე არა სჯობს!“ — გაიფიქრა სანდრომ, გაიღიმა და ხელი გაუწოდა რუსიკოს, რომელმაც მკვირცხლად შემოაღო აივნის კარი. სადღესასწაულოდ შეკერილი კაბა მეტად შვეწოდა. თმები გულდაგულ გადაევიარცხნა, ერთი წელი მეტად დასტყობოდა.

გოგონა აღარ ჩანდა ისეთი გაბედული, როგორც შარშან, სანდროს თამამად ველარ შეხედა თვალებში.

შარშანდელი კარგად ახსოვს სანდროს. ერთხელ დიდდემ ხილისთვის ბაღში ვაგზავნა რუსიკოსთან ერთად. ფარნას ბაღ-ვენახი სოფლის ბოლოში ჰქონდა, რძიანას პირას.

რუსიკომ ხელი დაავლო კალათს და მარდად გაუდგა ვზას. სანდრო ფეხდაფეხ გაჰყვა.

რუსიკო სანდროს კბილა იყო, უბრალოდ ეცვა და ხშირად ფეხშიშველი დადიოდა. ფეხსაცმელიც ჰქონდა, ჩასაცმელ-დასახურცი, მაგრამ რატომღაც ასეთი ჩვეულება მოსდევდა.

— გოგო, ლამაზი ფეხები გაქვს, შენსასიკვდილზე, და ნუ იფუჭებო. — ხშირად უთქვამს ელენეს, მაგრამ რუსიკოს გაუცინია, მეორე დღეს ისევ ფეხშიშველი გამოჩენილა.

სანდრო ყვინჩილობდა და ხშირად ეუხერხულებოდა რუსიკოს ასეთი საქციელი. მის გვერდით გავლას თაკილობდა.

მიიღან ბალისკენ. გაიარეს ორლობე, სოფლის წისქვილთან ჩავიდნენ და ბილიკით რუსს გაჰყენენ. მარჯვნივ ფერდობი იყო. ბაღებში ადრეული ხილი მწიფდა.

ხევი გაიარეს და კვლავ ვენახებშორის დაადგნენ ორლობეს. დაჩრდილულ-ორლობეს ცალ მხარეს ბილიკი ჩაუდიოდა, ცალზე კი სარწყავი ვიწრო რუ. რუდან წყალი გადასულიყო და ორლობე აეტალახებინა.

რუსიკო წუმბეში მიატლახებოდა, სანდრო ჰვიდან ჰვაზე ხტებოდა.

— პეწენიკა ქალაქელო, — დასცინა რუსიკომ, — გაიხადე ფეხზე და გასტოპე, არა გიშავს რა.

რუსიკოს ფეხები ესერებოდა, ტალახში იგანგლებოდა, მაგრამ ოდნავ არ მორცხვობდა, არც არავის ეპრანჭებოდა და არც არავის ერიდებოდა.

აი ფარნას ბალ-ვენახიც თავში ბოსტანია, ცალ მხარეს ბაღია, ცალ მხარეს — ვენახი. ბოლოში ალუბალია ბლომიდ. ღობის იქით კოშკი დგას. კოშკს ქონგურები ჩამონგრეული აქვს, მაგრამ მისი სათოფურები ისევ ძველებური რისხვით იშხირება.

ვენახში სიწყნარე იყო. მხოლოდ რძიანას ჩხრიალი ისმოდა.

— წადი, შენ ვაშლი დაკრიფე, მე ამ მსხალს ჩამოვარჩევ, — უთხრა რუსიკომ სანდროს.

ყმაწვილი იდგა და რატომღაც იღმებოდა.

— წადი, რაღას მიყურებ? ხეზე უნდა ავიდე, — გაწყრა რუსიკო, რომ ვაჭი მის ფეხებს მიშტერებოდა.

— თითქოს ჩექმები ჩაგიცვამს, — გაეცინა სანდროს, შეტრიალდა და ვაშლის ხისაკენ გასწია.

— ვისთვის გინდაფ ეს ხილი? — გაუხშირდა რუსიკო ხის ტოტზე უბრად ჩამოძვდარ სანდროს, რუსიკო ბრაზობდა, რომ ასე, მუნჯვით იჯდა და არაფერს ეუბნებოდა.

— რა თქვი? — მოხედა სანდრომ. რუსიკო „ჩექმებთან“ ფეხებს აქანავებდა.

— ყრუ ხარ? — კვლავ გაწყრა რუსიკო, — ნუ შელაპარაკებ რა!

„ჭინკა, ნამდვილი ჭინკა!“ — გუნებაში თქვა სანდრომ.

სოფელში რატომღაც გაბუტულები დაბრუნდნენ.

და აი, დღეს ეს ჭინკა, საოცრად ლამაზი და სულ სხვანაირი ეჩვენა სანდროს.

ანიკოსაც მოეწონა რუსიკო, შეაქო და უარესად დაამორცხვა.

რუსიკო ტახტზე ჩამოჯდა. ანიკო დედას გაჰყვა ჰვემით-სანდრო და რუსიკო პირისპირ დარჩნენ.

— მე ძალიან გამეზარდა შენი წარმატება, — წამოიწყო რუსიკომ და ვაქს შეხედა, — კარგად დაუწერიათ შენზე. ჩვენს სკოლაში ყველამ წაიკითხა ის გაზეთი. ვმირი იყავი, ნამდვილი გმირი... ყველა შენზე ლაპარაკობდა, რა კარგად სწავლობსო.

— ეს რა ვმირობა... — უხერხულად შეიშმუნა სანდრო და გოგონას თვალი ვერ გაუსწორა. არ უნდოდა გაზეთში დაბეჭდილ ნარკვევზე ელაპარაკა. კორესპონდენტს მეტრამეტად გაზვიადებულად დაეწერა და სანდროს ეუხერხულებოდა კიდევ. სწავლობდა ჩვეულებრივ, როგორც მეცხრეკლასელ მოწაფეს მოეთხოვებოდა და ბევრით არა-

ფრთხილად განსხვავდებოდა სხვა ხუთოსნებისაგან.

— ფოტოაპარატი ჩამოვიტანე, რუსიკო, — უცებ ბანზე აავლო სიტყვა სანდრომ, — გინდა გადაგიღო?

— დაიფიცე!

— რა დაფიცება მინდა. გადაგიღებ, აბა რა. აი, თუნდაც დღესვე... ეხლავე. რუსიკომ ტაში შემოჰკრა. ამ დროს ბავშვის თვალები ჰქონდა დიდი სიხარულით გადიდებული.

მშვენიერი დღე დგებოდა, მშვენიერი ზაფხული... ეს უფრო მაშინ იგრძნო სანდრომ, როცა ძმასთან და რუსიკოსთან ერთად გორაკის ფერდობი აირბინა და სოფელს გახედა.

კალოზა ვერ ადრე იყო. თიბათვე მხარებს ისწორებდა. გლეხები სათიბად გასულიყვნენ. შორს, გორაკის ფერდობზე, სადაც სათიბეები იყო, მოჩანდა ბალახის სერელები, სერელების თავში ცელიანი გლეხები...

— აი, აქ კარგი იქნება სურათის გადაღება.

რუსიკო მირბის, შორიახლო დგება, კისერს იღერებს. იქით მოჩანს ცისფრად გავლივებული მთები, რუსიკოს თეთრი კაბა იყარება მზიურში და ამ დროს დიდსა და უსასრულო სამყაროში მოჩანს რუსიკოს სახე.

ისმის ფოტოაპარატის პირველი ტაკუნე, რუსიკოს ტაში. იგი ტრიალებს და სანდრო ნამდვილად ველარ სცნობს.

ნელა დაიწვა დღე.

თუთის ფოთლებზე ზემო-ზემოთ აცურდა ჩამავალი მზის ყვითელი შუქი და ბოლოს სულ გაქრა.

შემქდა ღობის სარი და ბოძი. ხის ფოთლებში გაიბლანდა ბინდი და მერე მდინარის ხეობაში ჩაწვა.

რუსიკო სანდროსთან და ლევანთან ერთად სამხარეთლოში შევიდა. წითელი ფარანი აანთეს. სამთა ცნობის მოყვარე თვალი გაფაციცებით მიაჩერდა

ქურქელს, სადაც სანდრომ ფირფიტა ჩაღო.

ხმას არავინ იღებდა. ისმოდა ფრთხილი სუნთქვა. სანდრომ შეხედა გოგონას. მისი სახე წითლად განათებულიყო და რაღაც საოცრად გამოიყურებოდა. თვალებშიც წითელი შუქი ჩასდგომოდა.

მისი სუნთქვა ესმოდა სანდროს და როცა გოგონა მიუახლოვდა, ლოყახე რამდენჯერმე შეიგრძნო ფრთხილი შეფრფინვა.

სანდრომ ფირფიტა ამოიღო. რუსიკოს მხარეს ცეცხლი დანთებულყო. ვაჟმა გოგონას მხარის ფრთხილი წაყვრით აგრძნობინა მომშორდიო. რუსიკომ შეხედა, მაგრამ არად ჩაავლო სანდროს სურვილი, ფირფიტას მიაჩერდა და ახლა კი თავისივემხარად აღტაცებით დაიძახა:

— მოჩანს, მოჩანს რაღაც!

მართლაც ჩანდა რაღაც გაურკვეველად, ბუნდოვნად, ადამიანისა თუ უსულო საგნების ლანდები. კიდევ ორიოდუ წამი და ფირფიტა ხელახლა გასინჯეს. ახლა უფრო გარკვევით მოჩანდა ვადლებული.

— რუსიკო, ხელს მიშლი, — უთხრა სანდრომ, თან გული გამალებით უცემდა.

— სრულებითაც არა. აი, ჩემთვის ვარ, — რუსიკო სკამზე დაჯდა. ახლა წითლად განათებული ცალი მხარე მოუჩანდა.

შარშანაც ასე იცოდა: ჭიქურად ექცეოდა ვაჟს. სანდროს კიდევ ერთი რამ მოაგონდა:

ძმები სოფლის მოედანზე იყვნენ. ზემოუბნელი შუახნის ქალი, ნატო, დაინახეს ხელის ურმით საფუკვავი რომ მიჰქონდა წისქვილში.

— ბაბო! — დაუძახა სანდრომ და ნატოსკენ გაქანა.

ქალი შეჩერდა და ბიჭებს მოხედა.

— თქვენ გენაცვალეთ! — თქვა ქალმა. მას ყოველთვის უხაროდა ძმების

დანახვა, მათი გაზრდილობა და სიტყვა-პასუხი.

— ბაბო, საფქვეს მე და ლევანი წაგიღებთ, — უთხრა სანდრომ და ურმის სახელურს მისწვდა.

ქალმა ხელი არ შეუშვა ურემს.

— უი, მომიკვდეს თავი, რას ამბობთ! — შეიცხადა მან. მაგრამ ბიჭები არ მოეშვნენ.

წისქვილამდე სულ დაღმართი იყო. სოფლის მოედანზე წყაროს ჩაუარეს. წყაროზე რუსიკო გამოსულყო, გრძელ აუზში ფეხები ჩაეყო და ატყაბუნებდა, თან რაღაცას ღიღინებდა. ხელურებით მიმავალი დაინახა თუ არა, მაშინვე მათ აედევნა, ურმის სახელურს მისწვდა, ლევანი ჩამოიშორა და სანდროს უღელი გაუწია.

— რუსიკო, ნელა! რა გეჩქარება, გოგო? — ეუბნებოდა სანდრო და ცდილობდა შეეოკებინა ურემი. მაგრამ რუსიკო კვლავ წინ მიეჭანებოდა.

ორღობეში შევიდნენ, პატარა რუ გადაიარეს და ურემი ხელახლა მიწაზე შეაგდეს. აქ აღმართი დახვდათ, მაგრამ სანდრომ ვერც კი იგრძნო, რუსიკოსთან ერთად ისე მარდად აირბინა.

უკვე ბნელოდა. უკან დარჩნენ ნატოს და ლევანის ლანდები.

— დონდლო კი არ უნდა იყო, — რატომღაც უსაყვედურა რუსიკომ სანდროს.

— რაში მეტყობა! — იწყინა ვაჟმა.

— მე შენზე ღონიერი ვარ... ვითომ არა? — შეჩერდა რუსიკო და უღლის გამწვეს მიაჩერდა.

— ღონიერი არა, ისა! — ჩაიბურტყუნა სანდრომ.

— აბა გული მიხვენე, ვინ იცის როგორ გიცემს... მე კი სულ არ მიგრძენია დაღლა.

— მე რა, კი არ გეჯობრები.

— მაშ, აბა ვავიქცეთ. წისქვილამდე რაღა დაგვრჩია.

გაიქცნენ. ურემი წისქვილისაკენ მიშავალ ვიწრო და ქვიან გზაზე მირაზრაბებდა.

წისქვილის კართან ორივემ ერთდროულად მოითქვეს სული. რუსიკო ტომარას დასწვდა, ხელში აიტაცა და წისქვილის ღია კარისკენ გააქანა. სანდრომ მისაშველებლად წაიწია, მაგრამ რუსიკომ არ დაანება და მეწისქვილეს ზედ ფეხებთან დაუგდო ტომარა.

— თევდორაანთ ნატოსია, — უთხრა რუსიკომ, — პირველ რიგში უნდა დაუშვა.

— რახან შენ ბრძანებ, — გაეცინა მეწისქვილეს, — აი, პეტოანთ კოლას საფქვევი ჩამოთავდება, მერე ქიპაანთ სონასი უნდა დავაყარო, მერე ცალმკლავა გოლასი, მერე...

— გრიპაა! — შეჭვივლა რუსიკომ.

პეტოაანთ კოლას საფქვევი რომ ჩამოთავდა, რუსიკომ არც აცია, არც აცხელა, ნატოს ტომარა თავად ჩაცალა ხეშირში და გამარჯვებული საღდაც გაიქცა. პირში ჩალაგამოვლებულ მეწისქვილეს რაღა დარჩენოდა იმის მეტი, რომ ყური მიეგდო სარეკელასათვის, რომელიც ახლა ნატოს ხორბალს თვლიდა დოლაბში.

არ გასულა ერთი საათი, რუსიკო წისქვილის კარში გამოჩნდა.

— შენ ისევ აქა ხარ?! — შეუწყრა მეწისქვილე.

სანდრომ მიხედა, რუსიკოს სველი თმა ჰქონდა. ეტყობოდა ებანავა და კაბა გაუმშრალ ტანზე გადაეცვა, ტანსაცმელი სხეულზე შემოჰკვროდა.

— ამ ღამით რამ ვაბანავა, გოგო?

რუსიკომ კბილები გამოაჩინა.

— ცხელი ღამეა... წყალიც ისეთი თბილი იყო!

— აი, შენ მოუყვიდი დედაშენს! ქალივით დასწყევლა მეწისქვილემ, ნამდვილი ალქაჯი ხარ.

რუსიკო კვლავ იცინოდა და სველ თმებს ისწორებდა.

აი, ასეთი იყო რუსიკო.

სანდროს ახლა უნებურად გაახსენდა ეს ამბავი.

ფირფიტა მალე გამოამქლავნეს, გა-

რეთ გაიტანეს და ლამპის შუქზე გახედეს.

პაპა აივანზე იჯდა.

— გამოდის რამე? — იკითხა მოხუცმა.

— გამოვიდა, — უპასუხა სანდრომ და პაპას ფირფიტა აჩვენა, — ახლა გავრცხავ, გამრება და ხვალ ქაღალდზე დავებუქდავთ.

პაპამ შეუქო ნამუშევარი, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფიისა ბევრი არა გაეგებოდა რა.

სამნი ისევ წითელ ფარანთან დაიხარნენ. ლევანს მალე მოსწყინდა სიბნელეში ჯდომა და წავიდა.

რუსიკო დაქინებით უცქერდა სახდროს.

— რად მიყურებ ეგრე, — ჩურჩულით უთხრა ექმა, — ჯერ არ გინახივარ?

სანდრომ სწრაფად ამოიღო ფირფიტა და ფარნის შუქზე გახედა. მხარი კვლავ აეწეა.

— რუსიკო! — ხმა შეუთრთოლდა სანდროს და თვალები მოხუტა, უცნაური ძალა მოერია, ბანგივით მოედო და დაათრო. რუსიკოც შეკრთა და თავი უკან წაიღო, მერე წამოხტა და ელდნაკრავივით გაიჭრა გარეთ.

პაპა ისევ აივანზე იჯდა. მას არ გაუგია რა მოხდა „ფოტოლაბორატორიაში“, აღელვებული რუსიკო კი დაინახა.

— რა იყო, ვოგო?

რუსიკომ წამსვე მოიკრიბა ახრი.

— სიბნელისა შემეშინდა, — თქვა და გაიქცა დაბნეულს და გახარებულს, დამტკბარი და აღელვებული.

სანდრო ვაგონებული იჯდა. როცა რუსიკომ კიბე ჩაიბრინა, დუმდომამ მოიცვა ყველაფერი.

თავი მეოთხე

შარშანდელი მდგმურები ჩამოვიდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ: დოკენტი დიმიტრი ლორთქიფანიძე, დედამისი,

სამოცდაათი წლის ეფროსინე და ორი შედარებული ვაჟი, ილია და ნუგზარი. ისინი შარშან პირველად მოვიდნენ ალიანში. მთელი ზაფხული აქ გაატარეს და კმაყოფილნი დაბრუნდნენ თბილისში.

მოვიდნენ და მოიტანეს ხმაური, სიცოცხლე და ხალისი.

ბიჭები რომ აივანზე გაივლოდნენ, თითქმის მთელი სახლი ზანზარებდა.

მეკრივად ჩადგმული ვაჟაკები იყვნენ. ილია სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე სწავლობდა, ნუგზარი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შარშან შევიდა, მამისა და ძმის კვალს არ გაჰყვა. მშენებლობა არჩია.

დიმიტრი დარბაისელი, მხიარული კაცი, სამედიცინო ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა და ამავე დროს ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში განყოფილების გამგეც იყო.

აი, ამ ოთხი ადამიანის მოსვლით ცოტა შეიცვალა ცხოვრება ფარნას კარმიდამოში.

სანდროს გაეხარა მათი მოსვლა. ლორთქიფანიძის ვაჟები თავიანთზე უმცროს სანდროსთან, როგორც ტოლიტოლთან, ისე მეგობრობდნენ შარშან და ეს მეგობრობა წელს პირველივე დღიდან განახლდა.

დღილით მამა და შვილები აღრიანად გამოჩნდებოდნენ ეზოში. სანდროც არ ჩამორჩებოდა და მათთან ერთად ვარჯიშობდა.

ისე აღრიანად დგებოდნენ, რომ მზე კარგა ხანს კიდევ არ ჩანდა, ქათმები საქათმეში კრიახობდნენ და ეზოში გამოსასვლელად ეშხადებოდნენ.

მოვარჯიშენი გზაზე გავიდოდნენ და წყაროს მიაშურებდნენ.

სოფელი მამინ იღვიძებდა. ქალები მოედინიან კინოხატებსა და თხებს მიე-

ლალებოდნენ. აქა-იქ გოგო-ბიჭებიც თვალების ფშვინებით მისდევდნენ საქონელს.

ილია და ნუგზარი მაისურებს იძრობენ და წყაროს ცივ წყალს ბეჭებს უშვებენ. რამხელა ბეჭები ჰქონდათ! რა კუნთები სანდროც ჯანიანი ბიჭი იყო, მაგრამ მათთან როგორ მოვიდოდა. წყალი თქრიალით გადასდიოდათ და გალალაბებულ ტანზე ციატობდა დილის სხივი. ხენეშოდნენ ბიჭები, გულმკერდზე და ბეჭებზე ხელს ისევამდნენ.

მამა-კმაყოფილი შეჰყურებდა თავის ჯანიან ბიჭებს და ბედნიერი იყო.

წყაროსთან გლეხკაცი მოვიდა. გლეხკაცს წყარო დაუთმეს და განზე გადგნენ ბიჭები.

— ლმერთმა მოგცეთ ჯანი! — დლოცა გლეხკაცმა.

— გმადლობთ, მეგობარო, — უბასუხა მამამ შვილების დამლოცავს.

— შენი ვაჟკაცები არიან, პა?

— ჩემი.

და ეს „ჩემი“ რალაც გახსაკუთრებულნი სიამაყით იყო ნათქვამი, უსახლგროდ ბედნიერი, აურაცხელი სიმდიდრის პატრონის ნათქვამი.

სანდროც შეეჩვია წყალს. მთელი დღე მერცხალივით იყო. მთელი დღე არ შორდებოდა მეგობრებს.

მზე ხანძარს ანთებს, როცა ნასაუზმები ბიჭები და მათი მეთაური დიმიტრი, სოფელში ვადიან.

შარშან კალოობისას დიდი აშბავი ჰქონდათ. პირველად რომ ლეწვავზე გამოჩნდნენ, ზოგიერთმა გლეხმა გაკვირვებით შეხედა, ამით აქ რა უნდა გააკეთონო, მაგრამ გაკვირვება მაშინ უნდა გენახათ, როცა დიმიტრიმ ოსტატურად მოიქნია კონა და მარადღ ჩაშალა, მის ვაჟკაცებსაც ცეცხლი შეენთოთ კუნთებში.

— შეხე, შეხე, რას შერებიან ეს ქალაქელები, კაცო!

ქალეხმაც მოიხედეს სალექიდან.

— ნეტავ თქვენს დედას, რა ვაჟკაცები ჰყვებართ!

რა იცოდნენ დამლოცველებმა, რომ ამ ორი ვაჟკაცის დედა უკვე კარგა ხანია განისვენებდა, ველარ შეესწრო მათ შულერებს. მისი სიკვდილის შემდეგ მამის ხელში იყვნენ ნაზარდნი და ნახარები.

სანდრო ხედავდა ამ „ქალაქელებმა“ გამოცდილი გლეხკაცები როგორ განაცვიფრეს თავისი სიპარღითა და საქმის ცოდნით. განა ერთობოდნენ?! კუნთმაგარი ვაჟკაცები გამამხნეველ ძალად მოეგვინნენ კალოზე მომუშავეთ.

წელსაც ასე აპირებდნენ.

გლეხებს სათიბში გაჰყვინენ, სანდროც თან წაიყვინენ და მთელი დღე აძლერეს ცელები.

ნაჭაფრები შინ ბრუნდებოდნენ. ორლობეში სიმღერა წამოიწყეს. ცხელი დღე იყო და ეამათ ორლობის სიგრილე.

მამა შვილებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა გემრიელად ვისადილოთ და საბანაოდ წავიდეთ რძიანაზე. თანახმა ხართ?

— მაგას რა სჯობს, მამა! — შესძახეს შვილებმა.

როცა შინ მივიდნენ, ეფროსინეს გარდა არავინ დახვდათ. ეფროსინეს სადილი გაემზადებინა და მარტოდმარტო დარჩენილი კარტს ეთამაშებოდა თავის თავს.

ეფროსინე დაფაცურდა, საყვედურით დახვდა შვილსა და შვილოშვილებს, სანდროს კი უთხრა, თქვენები ვენახში გადავიდნენო. ლევიანი პაპას არ შორდებოდა, სადღურგლო საქმე იტაცებდა და მთელი ზაფხული მის შეგირდობას სწევდა. ახლა ვენახში გაჰყოლოდა. სანდროს უნდოდა თავისიანებთან წასვლა, მაგრამ არ გაუშვეს, სანამ არ ასადილეს ლორთლიფანძეებმა.

ნასადილევს მამამ და შვილებმა ცოტა მოისვენეს, სანდრო კი ვენახისაკენ მოუსვა. იქიდან, დათქმულ დროს, რძიანაზე ჩამავალ ბილიკს დაადგა.

არსად კაციშვილი არ ჩანდა.

მოლაღურები საამოდ გალობდნენ და სადღაც სხვა ჩიტი სტყვენდა.

ბალ-ვენახების გადაღმა რძიანა ჩხრი-ალბდა. რაც უფრო უახლოვდებოდა, სანდროს მით უფრო მკვეთრად ესმოდა მისი ხმაური.

ზემო წისქვილთან კარგი ჩახრიალა იყო. აქ უყვარდათ ბანაობა ლორთქიფანძიებებს, ბილიცი თომ ევლო, სანდროს საქამოდ შორი გზა ჰქონდა სავალი, ამიტომ მოკლე გზით წასვლა ამჯობინა.

მეჩხერ, დაბალ ღობეებზე არ ვასკირებებია გზის გაკვავება. მდინარის მუხიან და ბუჩქიან ნაპირზე გამოვიდა. ნაპირი მალალი იყო და ზედ მის ძირში მიდიოდა მდინარის ერთი ტოტი. ამ ადგილას რძიანა საქამოდ მდორედ მოედინებოდა და ერთგან მომცრო ტბასაც ქმნიდა.

სანდროს გაახსენდა, რომ აქ მხოლოდ გოგოები ბანაობდნენ. ერთნი რომ წყალში ბულრაობდნენ, მეორენი მეთვალყურედ იდგნენ, სოფლის ონაგრებისაგან იცავდნენ დედიშობილა გოგოებს.

ამ ადგილზე უნებურად მოხვედრილ სანდროს წინ არავინ გადაუდგა. სჩანს, დღეს არავინ მოსულა საბანაოდ. სანდრო სიერთოდ ერიდებოდა ხოლმე აქეთ გამოვლას, არასოდეს არ გამოჰყოლია საგანგებოდ წამოსულ ბიჭებს.

ბუჩქებში შევიდა და უცებ შედგა. რუსიკოს ხმა მოესმა. თავისებურად, უღარდელად ღიღინებდა.

„ბანაობს“. — თავში გაჰკრა სანდროს და გული საშინელი ძალით აუძგერდა. თვალი შეავლო ტბის ზედაპირს. წყალში ჩამჭდარი რუსიკო დანახა. გოგონას თავი, მხრები და მკლავები უჩანდა მხოლოდ. უცებ ამოიშარათა წყლიდან. შევეტუხა გოგოს ტანი მზებზე ბრინჯაოსფრად აბზინდა.

რუსიკომ სწრაფად გადაიკვა კაბა და ადგილს მოწყდა.

მოულოდნელი და სიზმარეულივით იყო ეს ყველაფერი. სანდრო ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა ბუჩქებთან და

გონს ვერ მოსულიყო. რუსიკოს დანახვამ თავბრუ დაახვია და აადრეულად წინსქვილთან ჩახრიალაზე საბანაოდ სკარამოსულა.

სალამოს, როცა ცა ვარსკვლავებით აინთო და ეზოებში საძოვრიდან დაბრუნებულ ძროხებს წველიდნენ, — კოუტრით წყალზე წასულ სანდროს რუსიკო შეხვდა.

რუსიკო გობში ძმის ხალათ-შარვალს რეცხავდა.

სანდროს ეგონა, რომ იმ დღეს სამზარეულოდან გაქცეული რუსიკო, ახლა ისევე მოერიდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— ამხელა კოცას რომ მოათრევ, წყლით საჯესს მოერევი? — გაექლიოკა რუსიკო, — დღეს სად იყავი?

— სად და ყველგან. რძიანაზედაც წავედი.

— იქ თქვენი მდგმურები დავინახე, შენ კი... სტყუი, არ ყოფილხარ.

— ვტყუი? მაშ ვინ იყო ის, ტბაზე?

— ტბაზე?! — წელში შესწორდა რუსიკო და ბნელში მისმა თვალებმა გაიელვეს, — დამინახე?

— დავინახე.

— შერე?

— კარგი იყავი, ძალიან კარგი, — თითქოს აგდებოთ, გულუბრევილოდ მიუგო სანდრომ.

— შერე?

— მეტი არაფერი.

— აღარ დაგელაპარაკები! დღეს შემდეგ ხმა აღარ გამცე! — რუსიკომ გობს ხელი დაავლო და შინისკენ გაიქცა. ალბათ შეწითლდა, ალბათ სირცხვილით იაღწეა.

სანდრო გამშრალი იდგა და უყურებდა სიბნელეში როგორ ქრებოდა რუსიკოს ლანდი.

წყარო დიოდა, დიოდა, ჩხრიალებდა.

მაგრამ რუსიკომ ვერ შეასრულა თავისი სიტყვა.

...სანდრო ხშირად ზატავდა ალიანის ლამაზ სანახებს. ერთხელ პაპის ვენახ-

თან კოშკი მოხაზა ქალაღღზე. კოშკი აზონხლილი ქვემის ვროვას უფრო წა-
ავგაღდა. აქა-იქ ბნელი ხვრელები მოუ-
ჩანდა. კოშკი კარგი სანახავე არ იყო,
მაგრამ ატეხილი ქალის სურათი ალა-
მაზებდა.

სანდრომ კოშკი რომ მოათავა, ახლა
ბუნების ხატვას შეუღღდა. ბილიკი ბა-
ღებში ჩადიოდა, ქვემოთ ვაშლის ხე-
ების რიგი მოჩანდა. სიღრმეში ბაცი
ბალახი იყო, ხეთა ჩრდილი ალაგ-ალაგ
ამუქებდა.

ფანქარი ჩრდილსა და სინათლეს ეთა-
მაშებოდა. ერთი ფერი მიინც ვერ გა-
მოხატავდა იმ მრავალფეროვნებას, რაც
თვალწინ გაშლილიყო. ფანქრით ძნელი
იყო ამ ფერთა ამეტყველება.

ღრო გასულიყო ხატვაში. სანდროს
სურათი უსახური და ფერმკრთალი ეჩ-
ვენა. უცებ ქალაღღს ალუბლის მარც-
ვალი მოზედა და ნახატი გაიდღაბნა.

სანდრომ მიმოიხედა, მაგრამ ირგე-
ლიე არავინ ჩანდა. უთუოდ ვიღაცამ
ესროლა განგებ და მიზანსაც ზუსტად
მოახვეღრა.

უცებ გაისმა, გოგონას კისკისი და
საღღაც გამხმარი ბუჩქის ღეროების
ლაწანი.

სანდრომ თვალი მოჰკრა ორღობისა-
კენ გაქცეულ რუსიკოს. ესეც შენი
ღამღურება და გაბუტვა!

სანდრომ ნახატი დახია და რუსიკოს
კვალს გამოუღღდა, მაგრამ გოგონა ვე-
ღარსად ღღინაბა.

თავი მესამე

ერთ ღღეს სანდრომ სათიბად მიმა-
ვალ გღეხებს გააყოღა თვალი.

გღეხები სოფლის ფორზე გავიდღენ
და კოღმეურნეობის კანტორასთან შე-
ღღენ. სანდრომ შენიშნა, რომ მცელა-
ვებმა რაღაც შეიცხადღეს და ერთმანეთს
ხეღების მიშვეღიღებით დაუწყეს ლაბა-

რაკი, მათი ხმა არ ამოღღიოღა ფარნას
სახლ-კარამღღე, მაგრამ ეტყუბოღათ,
რაღაციის გამო აღშფოთღღენ. სანდრომ
ყურადღება აღარ მიაცქიღა, რღღან იგი
ბევერჯერ შესწრებია კანტორის წინ
გღეხების ყაყამს, ბრიგადირების ჯი-
ღისხს...

სანდროს თვალეღი სოფლის მოეღან-
ზე სხვას ეტებღღენ, მის გულს რუსიკო
მონატრებოღა. რუსიკო არ ჩნაღა.

ვიღაცამ ქიშკართან ღღიღახა:

— ფარნა!

ფარნამ გავეღა და მიესაღღმა ქიშკარ-
თან მღღომს.

— კანტორაში არ მოღღინარ? ვიღაცამ
ამბავი ამოიტანა, ომი ღღიწყოო. რაღაც
მიჰქარა.

— ომი?! რა ომი, რის ომი! იმ ღღეს
ფირუზა და ონოფრე რომ წაეკიღღენ
ერთმანეთს, ომი იყოო... აღბათ კიღვე
ვიღაცეებმა დაჰკრეს ერთმანეთს, —
თქვა პაპამ და გღეხებს კანტორაში გა-
ჰყვა, სანდროც ფეხღაფეხ აეღღენა.

კოღმეურნეობის კანტორა დაბალი
იყო. ერთსართულიან სახლს წინ აივანი
ჰქონდა. გღეხაცებს, ქალებს და მო-
ზარღებს თავი მოეყარათ და ყაყანებ-
ღღენ. კოღმეურნეობის თავკაცეღი აი-
ვანზე იღღენ და საუბრობღღენ. სოფ-
ლის მონტიორი რადიორებროღექტორს
აივნის ბოშზე ამაგრებდა. რადიო ჯერ
არ მუშაობდა. მალე ჩართეს, მაგრამ
ერთ ხანს კიღვე ღღმდა. თავმღღომარე
სათს უყურებდა, აღბათ დანიშნულ
ღროზე ელოღღენ გადაცემას.

— ეგეც შენი ძმაკაცი! — ნიშნისმო-
გებით თქვა მიტრო აღიმბარაშვიღღმა,
ახლაგზარღა ბრიგადირმა.

ქალეღი ხმას აღარ იღებღღენ. ზოგი-
ერთი გაკვირვებული მისჩერებოღა რა-
ღიოს, ეგებ რაიღე ეთქვა ახალი...

ღმიღტრი ლორთქიფანიძეც მოვიღა
თავისი ვაჟებით. ყმაწვიღეღი აქეთ-იქით
ამოსღღომოღღენ ოღნაგ ვაფითრებულ
მამას.

სოფლის ჯელები მხნედ იყვნენ.

— დედას ვუტყობთ! — ამბობდნენ ისინი და ისე იქცეოდნენ, გვეგონებოდათ წრეში გასულ ფალავნებს უსახური მოწინააღმდეგეები გამოუყვანეს და მთიი დანახვა სასაცილოდ არ ჰყოფინოთ.

მათ, ვისაც ომები უნახავთ, ვისაც ოდესმე უგეძნია სიკვდილ-სიცოცხლის საშინელი შერკინება და უნახავს მდინარეებზე დაღვრილი სისხლი, იცოდნენ რა უნდა მოჰყოლოდა ახლანდელ ომს. გრძობდნენ, გონების თვალთ ხედავდნენ.

რადიოს ხმის ვაგონებაზე სანდროს ქრუანტელში დაუარა. აქამდე ჯერ კიდევ ებარებოდა ეჭვი, არ სჯეროდა გავონილი, მაგრამ ახლა, როცა მოსკოვი ალაბარაჟდა და მთელ ქვეყანას მოჰფინა ომის დაწყების ამბავი, დაიჯერა და შეკრთა.

მძიმე იყო რადიოს ავის მაუწყებელი ხმა. პთელი სოფლის გარინდება, დუმილის სიღრმე...

რადიომ მძიმედ დაამთავრა: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

დადუმდა რადიო და ახლა ხალხი აზვირთდა, ახმაურდა. კაცი ვერ გარჩევდა, ვინ იმუქრებოდა, ვინ ილანდებოდა, ვინ ჩიოდა და წუწუნებდა.

თავაკები კი დუმდნენ. ისინი აივანზე იყვნენ და ხალხს უყურებდნენ. ბოლოს თავმჯდომარემ ხელი ასწია:

— დაწყნარდით, ხალხო... — რაღაც კიდევ უნდა ეთქვა. ისე მიადგა აივნის ხარხიხს, თითქოს სიტყვით უნდა მისართოს თანასოფლელებსო, მაგრამ მღელვარებისგან თუ მოულოდნელი ამბით თავრეტდასხმულს, ენა დაება.

მიტრო ალიმბარაშვილმა დაიძახა:

— წავიდეთ, დღეს რასაც გავთიბავთ... ხვალ თოფ-იარაღი უნდა ავისხათ, ლაპარაკი არ უნდა!

შეტრილდა და მხარზე ცელგადებული წყაროსკენ წავიდა. სანდრომ

თვალი გააყოლა მიმავალს. უწინ ბევრჯერ მოხიზლულა მისი მღვდელმთავარი, მძიმე სიარულით.

მიტრო წყაროსთან მივიდა. პეშვით ჯერ შუბლზე შეისხა წყალი, ხელის გული რამდენჯერმე მიირტყა შუბლზე, ალბათ, ფიქრით დამძიმებოდა გონება, მერე ხარხით მიეძალა ცივ წყალს.

სანდრომ ახლა ლორთქიფანიძეებს შეხედა. ისინი ერთ ხანს კიდევ უსიტყვოდ იდგნენ. მაშას ორივე შევილისთვის მოეხვია ხელი და სოფლელებს გაჰყურებდა, მერე თქვა, წავიდეთ, შევილებო. შეაბრუნა თავისი ვაჭები და შინისკენ გასწია.

სანდრომ იგრიბო რა მდულარებამ დაუთუთქა ხალხს გული. ახლა ნაცნობი სახლის ფანჯრებს უყურებდა. ერთ ფანჯარაში ფარდა ოდნავ იყო გაწეული. ფარდა დაეშვა. „ახლა კარი გაიღება, — გაიფიქრა სანდრომ, — გამოიქცევა აქეთ... ნუთუ სოფლის ჭირ-ვარამის მოზიარეს, ახლა მისი ყისმთი აღარ აფიქრებს?! ავერ, მისიანები ყველანი გარეთ არიან... ის კი არა ჩანს. ალბათ მე გამიბრბის, მერიდება.“

დარდი, სიყვარული, შიში, რამდენი რამ აირია ერთმანეთში.

სანდრო შინისკენ გაიქცა. უკან დარჩა გლეხების ყაყანი, ქალების მოთქმა, ვაქაცების დაქადება.

ლორთქიფანიძეები იმ სალამოსვე აიბარგნენ. მუდამ მზიარულნი, ლალად მოსაუბრენი, ახლა სულ მთლად გამოცვლილიყვნენ. ეფროსინე წუწუნებდა. ჩაალაგეს ბარგი და გაემგზავრნენ. ფარნას არაფერი ეთქმოდა მღვდურების ასე სწრაფად წასვლის გამო. სანდროს გული დასწყდა. მისთვის ჯერ კიდევ ბურუსით იყო მოცული, რა ხდებოდა ქვეყანაზე. კინოში უნახავს ომი, წიგნებშიც წაუკითხავს... ხელოვნებიდან მის გონებაში გადასული სურათები რომანტიულ ელფერს ატარებდა. ამავე დროს სანდროს ამხნევებდა წითელი არმიის ძღვეამოსილება და გამარჯვე-

ბანი შორეულ აღმოსავლეთში და ფინეთის ფრონტზე. ეს უმბავი მარტო მის როდი უკაქებდა გულს.

თავის ძლიერებაში დარწმუნებული ხალხი პირველივე დღეს ვაქაკცურად და მხნელ შეხვდა მტრების შემოსევას.

ომის გამოცხადების მეორე დღეს სოფელში რამდენიმე სამხედრო პირი ჩამოვიდა. ისინი საშუალო სკოლის შენობაში დაბინავდნენ. მალე მათ გარდა სკოლაში ახალგაზრდებიც გაჩნდნენ და უზარმაზარ ეზოში გამოიტანეს მერხები, სკამები, მაგიდები. სამხედროები ოთახიდან არ გამოდიოდნენ, ახლო-მახლო სოფლებიდან და ალიანიდან სასწრაფოდ გამოძახებულ ახალგაზრდებს აღრიცხავდნენ და სკოლის შენობაშივე სტოვებდნენ.

სკოლის ეზოში აბოლდა პირველი სავლე სამზარეულო. სკოლის ეზო წვევამდღეობით აივსო, ხოლო ღობეზე და კიშკარს მომდგარი ქალები და ბავშვები, რომელთაც თვალზე ცრემლი არ უშრებოდათ, დუმდნენ და შესცქეროდნენ თავისიანებს, გუშინ და გუშინწინ ცელით ხელში, ქაფჩით ხელში, წიგნით ხელში მათთან რომ ტრიალებდნენ.

რა ბიჭები შეუტრებიან!

სანდრო ღობესთან დგას და სკოლის ეზოში იყურება.

ერთ-ერთი მეთაური ბიჭებს აწყობს. ბიჭებს ხალხები მოუგდიათ ზურგზე. ყველას ძველმანები აცვია. სულერთია ვახლიან და ახალ, სამხედრო ტანსაცმელს მისცემენ. ზოგს მამაბაბური ქალიმანიც კი მოურგია ფეხზე. გაშვებულნი და ფოლადის ფერნი ჩანან. ეს ორი დღეა სულ მღვრიან და ცეკვავენ. ალბათ, ასეთი დიდი თავშეყრა თუ ახარებთ. იქნებ გულზე მოწოლილი დარდის წამალი იყოს სიმღერა! ვინ იცის, რა უდულს გუნებაში ვაქაკცის! ვინ იცის ვის რა აწუხებს, ვის რა და ვის ვინ ახლდამულებს!

ბიჭები მოაწყვეს. მეთაურმა სიბამოიკითხა. ბეგრნი იყვნენ. სოფლია შარა ხალხით აივსო. ზოგი წამალს კვითინებდა. კაცები უტევდნენ, განუდითო, ვაქაკცებს ცრემლით არ აცილებენო, მაგრამ რაც ვინდა ელაპარაკე ატირებულ გულს, ის მაინც არ წყნარდება. ომი ომია, იქ სისხლი უნდა დაიღვაროს. ვინ იცის ამ ტალიც-ტალიც ბიჭებიდან ვის რა დაემართება.

მწყობრი დაიძრა. არეულნი მიდიოდნენ გაუწვრთნელი ბიჭები.

ქიშკარი გაიღო, ხალხი გაიპო და მწყობრმა ჩაიარა. მაგრამ სწრაფლ შეიკრა, შეერთდა გამცილებელთა და წამსვლელთა ჯგუფები. ისმოდა:

— თავს მოუარე!

— შენ შემოგვევლოს დედაშენი, ბიჭო!

— მიტო!

— ზურაბ!

— კაკო!

— თქვენი ჭირიმეთ!

— რა ბიჭები მიდიან!

სანდროს გული უდუღდა. ახლა იგრძნო ომის პირველი სუსხი. გულდაკოდილი ხალხის მოთქმაში პირველად გაიგონა ომის საშინელება და გული შურისგების ცეცხლით აენთო.

თავი მეთხუთე

ფარნამ ცელი აიღო. სადურგლო სამუშაოები საღამოსთვის გადადო. სოფლის რჩეული ბიჭები ომში წავიდნენ, მოსავალს აღება და დაბინავება უნდოდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თავად საჩარე კაცი, დღე-დღეზე ელოდა არმიამი გაწვევას, ცდილობდა ცოტა რამის გაკეთება მაინც მოესწრო, დაიბარა სოფლის მოხუცები, ქალები, მოზარდები და სთხოვა მხარში ამოსდგომოდნენ.

— ხომ ხედავთ, რა დღე დაგვიდგა!
— აღელვებულიყო, ბოლმა აღჩობდა. იმ წელს საქმე საქმეზე ააწყო, კარგ მოსაველს უჩანდა პირი და სწორედ ამ დროს მკლავმაგარი ბიჭები ხელიდან წაუვიდა.

ხალხს ზედმეტი ლაპარაკი არ უნდოდა. ხალხი თავად მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. თავმჯდომარემ ახალგაზრდებზეც დარაზმა.

პაპა ფარნამ სანდროს უთხრა:

— შენ და ლევანი ჩემთან ერთად წამოხვალთ ხოლმე მინდორში... პური უნდა ავიღოთ.

სანდროს სიტყვა არ უთქვამს, უთენია ამოუდგა პაპას გვერდში და გზას გაუდგა კანტორისაკენ.

გლეხები კანტიკუნტად, მძიმედ გროვდებოდნენ. ხანდაზმულებს მუხლი აღარ ემორჩილებოდათ.

კანტორის ეზოში არავენ ჩანდა. ხალხს ოთახში მოეყარა თავი. ყველა დუმდა. მხოლოდ თავმჯდომარის ხმა ისმოდა. ფეხბაკრებით ემატებოდა გლეხობა. სანდროც ჩუმად შეჰყვია პაპას.

თავმჯდომარე გაზეთს კითხულობდა. სახარბიელო ამბები არ ეწერა წინა დღის ნომერში. აგერ, ერთ კვირაზე მეტია ომი დაიწყო და ყოველ დღე ერთი და იგივე:

„ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქები...“

ვიღაც ღრმად ამოიხარებს და ამით, უთქმელად გამოხატავს ხალხის აზრს.

იმ წუთებში კვლავ გაურკვეველიყო რა ძალასთან ჰქონდათ საქმე. გაზეთები აცხადებდნენ, რომ მტერი ძლიერი და ავი იყო... მაშ ომი კარგა ხანს გაგრძელდებოდა.

თავმჯდომარე ჩუმდება, ისმის ქალაქის შრიალი. გაზეთს კეცავს. რამდენიმე კაცი ოხრავს.

რუსიკოც მოსულიყო კანტორაში. ქალიშვილებში ჩამდგარიყო. სანდროს არასოდეს არ ახსოვს იგი ასეთი მორიდებული, მფრთხალი... ეს აღჭაჭი გოგო არასოდეს სირცხვილით არ დამწვა-

რა, თვალებს მუდამ გაბეჯულად უსწორებდა. ახსოვს რუსიკოს მკვახე სიტყვა, გაიცხება და შემორტყვა, მაგრამ ასეთი რამ კი არა.

მამაკაცები მინდორში წავიდნენ პურის საქრელად. იმ დღეს პირველად ააგრიალეს სალუწი მანქანა და პირველად გაისმა მოზარდების ყიჟინი კალოზე. ყველაფერი შარშანდებურად იყო, ხოლო პურისმჭრელები არ იყვნენ ჯელები. ახლა ისინი გამოსულიყვნენ, ჯელობამ ამ რამდენიმე წლის წინათ ხომ ჩამოართვა ცელი. ძველმა მკლავმა ძველებური გაიხსენა. ბერიკაცებმა კვლავ ააღვარეს ცელისპირები.

სანდრო ერთ ხანს პაპას მიჰყვებოდა ფეხდაფეხ.

შხაპ, შხუპ. ჩოგ და ჩოგ, — ისმოდა ცელის სიმღერა.

სანდრო ცდილობდა პაპას არ ჩამორჩენოდა. სხვა მომყოლებივით სიმარჯვეს იჩენდა, საქმეში ძმასაც იშველიებდა.

პაპა დინჯად ცელავდა. ცელს კობტად ხმარობდა. სანდროს რამდენჯერმე უნახავს პაპის ხელში ცელი, ვენახში რომ გამოსთიბავდა ხოლმე ცოტაოდენ ბალახს, მაგრამ ახლა სულ სხვა ჩანდა იგი. აგერ, ორიოდ საათია ისეუპებიან ცელები, მას კი არ შეუსვენია, დინჯად, ხელების მძიმე მოძრაობით აცურებდა ცელისპირს. ერთ ხანს წინ გასცქერის, მერე მომყოლებს მიხედავს, ნახელავს შეუმოწმებს და ისევ წინ მიდის.

იკრება კონები. ძნა ურამებით მიიქვთ კალოზე. ერთი მომცრო გორაკის გადაღმა ტრაქტორი გუგუნებს, სალუწი მანქანასაც ახმინებს.

მინდორს იქით ბალებია, ბალებშუაზევი. ხეში ცივი წყარო ჩქეფს.

სამხრობას ფარნამ სანდრო წყლის მოსატანად გაგზავნა. სანდრომ დაღლილი პაპა და ძმა ერთ ხის ძირას დატოვა, სადაც სხვა მცელაელები და მომყო-

ლებიც შეეფარნენ ზაფხულის პაპანა-
ქებას.

სანდრომ გაუჭრელ ყანას ჩაუბრინა.

ცხელოდა გახურებულ მიწას აღმუ-
რი ასდიოდა.

გაჭრილ ყანიდან გაუჭრელისაყენ
დაძრული მწყერები ქვითქვითებდნენ,
ქვევით გარბოდნენ. შეშინებულთ ერთი
ვაი-ვიში შესდგომოდათ.

სანდრომ ბაღში შეირბინა და ხევის-
კენ დაეშვა. ბილიკი მწვანიაინში მიდიო-
და, სადაც საამთ სივრილე იდგა. აქ
უფრო მკვეთრად იგრძნობოდა დამწი-
ფებული პურის სურნელი.

„საღმრთე თმია და ერთმანეთს კლა-
ვენ...“ — გონებაში გაუბრინა სან-
დროს. მას უნდოდა მთელა სიცხადით
წარმოედგინა ომის საშინელება, მაგ-
რამ გარემო იმდენად წყნარი იყო, ისე
მომხიბლავი და წარმტაცი ყოველგვ,
რომ საშინელ სურათებს მაშინვე აქარ-
ვებდა.

ყმაწვილკაცი მიდიოდა. თავქვე და-
ეშვა და წყაროს მიუახლოვდა. იქ არა-
ვინ იყო. ცოტა ხანს შეისვენა, ხელ-ბი-
რი დაიბანა. ეამა ცივი წყლის ალერსი.
მერე კოკა შეავსო და ირგვლივ მიმოი-
ხედა. ხევში ცოტა წყალი დიოდა, წყა-
როს წყალაც ემატებოდა და რიყეზე
ლიკლიკით გარბოდა. საამური ხმა
ჰქონდა.

სანდრო ქვაზე ჩამოჯდა და ყური
მიუჯდო. „ნუთუ მოვლენ და აქაურო-
ბასაც ააოხრებენ?!“ დასცეცხლა ამის
გაფიქრებაზე. გულში ცეცხლი და ში-
ში ერთად მოეკიდა.

წამოდგმა კოკას დაავლო ხელი და
შეტრიალდა. იქ, სადაც ბილიკი თავ-
დებოდა და ხევში გადმოსასტომი პა-
ტარა ფლატე იყო, — იდგა რუსიკო.
უბრალო კაბა ეცვა, ფეხზე უბრალო
ჩუსტი. თავზე ხილაბანდი წაეკრა. იდ-
გა თავდახრილი, ლოყებამწვარი ქვეშ-
ქვეშ იყურებოდა.

სანდრო შეკრთა. მიხვდა, რომ რუ-
სიკო დააბნია მისმა მოულოდნელმა
შეხვედრამ. „რალა შენ გამოგზავნეს!“

— გულში გამოელაპარაკა.

რუსიკო რიყეზე გადმოხტა.

— რატომ ჩვენთან არ მოდიხარ?
ჰკითხა სანდრომ და მეტის თქმა ვერ
მოახერხა.

— საძაგელო! — მიახალა რუსიკომ
ვაეს. კვლავ ფიცი ეჩვენა სანდროს.
თავი აიღო და წყაროსკენ წავიდა.

სანდროს გული გამალეებით უცემდა.
არ ელოდა რუსიკოს ასეთ მოქცევას.
მისკენ არ მოუხედავს. ბილიკზე ავიდა
და ის იყო ჩქარი ნაბიჯით აპირებდა გა-
შორებოდა იმ ადგილს, რომ რუსიკოს
ხმა მოესმა:

— სანდრო!

ვაი შედგა. სუნთქვა უჭირდა. მიხე-
და: რუსიკო ბილიკზე იდგა კოკით
ხელში.

— არ დამიციდი? — ჰკითხა რუსიკომ
და მისკენ გაიქცა.

სანდროს ახლა კი თბილი ეჩვენა წე-
ლან გამწყრალი მისი თვალები. გულს
მოეშვა. გაიღიმა ამ ბედნიერი წუთით
გალაღებულმა.

— რად იცინი? — შეეკითხა რუსი-
კო და თავადაც გაუღიმა.

სანდრომ კოკა ბილიკზე დადგა.

მაშინ კი აჩქარდა რუსიკო, წავიდე-
თო, თქვა და ვაეს გაუსწრო.

— რუსიკო. — ხმის თრთოლვით
შეუძახა სანდრომ და აედევნა.

— არაფერი მითხრა, — უკან არ
მოუხედავს, ისე სთხოვა ვაეს რუსიკომ.
სიარულში კოკიდან წყალი ექცეოდა.

მოულოდნელად შეჩერდა, კოკა დად-
გა და ღრმად ამოისუნთქა.

— რუსიკო!

— არაფერი მითხრა.

და კვლავ გაიქცა. წყალი ექცეოდა.
სანდრო აღარ მისდევდა, იდგა და
აღლევებული გაჰყურებდა ქალიშვი-
ლის კვალს. ყანაში გადაუხვია და თა-
ვისიანებმისკენ ბედნიერი წამოვიდა.

ფარნას სუფრასთან ერთი გლეხკა-
ციც იჯდა. ერთად სამზრობდნენ.

სანდროს მიერ მოტანილ ცივ წყალს

ბევრი დამლევით გამოუჩნდა. კოცა ხელად დაცალეს და ახლა სხვა ყმაწვილი გაგზავნეს წყაროზე. ის ბიჭი სანდროს კბილა იყო. სანდრომ იფიქრა: „ვინ იცის, იქნებ მასაც შეხედეს ვინმე წყაროზე. კოცას წყლით აავსებს, გულს კი ბედნიერებით!“

რა დღე იყო!

ფარნას ასე მზიარული და თვალებანთებული არ ახსოვს შეიღუშვილი. სანდრო ხალისით ჩაქდა მოხუცებთან და ძმასთან. პური გატეხა და მადიანად შეექცა. გული კალოსკენ ეწეოდა, სადაც რუსიკო იყო. ალბათ იქაც სამხრობდნენ. ტრაქტორისა და სალენის გუგუნი აღარ ისმოდა და წყნარი იყო გარემო. ციმციმებს მზის სხივი, კამკამებს ცის თაღი... და სადღაც, ამ დროს გახურობული ომია, იღვრება სისხლი, ზედზედ ეცემა ქალაქები, სოფლები, ჩვენი ჯარები უკან იხევენ. სანდროს კვლავ მოედრებოდა შუბლი. გულში სიყვარულია. გულში დარდიცაა. გულველარ იტევს ამდენ საფიქრალს და საგულედან ამოვარდნას ლამობს.

მეზობელი გლეხი ფარნას პატარა ჭიქაში უსხამს ღვინოს, თავისთვისაც ისხამს და ბიჭებსაც უვსებს ჭიქებს. ილოცება, მერე თავის ოჯახურ ამბებს ყველაზე:

— გუშინ ჩემი მარო ქალაქიდან გამოიქცა... ჭმარი ჯარში წაიყვანეს და სამი ბავშვით კისერზე დამაწეა. თავის დროზე ვერაფერი ვასწავლე. არ ვიცი, ახლა რა უნდა გააკეთოს.

ღვინო მოსვა, პური და ნივრის მწნილი მიაყოლა.

— კოლექტივში აუარება საქმეა, ჩემო შიო, — უთხრა ფარნამ.

— რა ვიცი, აბა, რა უნდა გააკეთოს. თოხს ვერ აიღებს და ბარს...

— ვითომ რადიო, მაგაზე ნაკლები ქალები არიან?! თოხიც უჭირამთ და ბარიცა. ომია, ომი, ახლა ყველას გამოზოგილი ლუქმა გვაქვს. უშრომლად და უზრუნველად ყოფნა არავის არგია.

შიომ ამოიოხრა, წამოდგა, ცელს ფხა

გაუსინჯა და მძიმე ნაბიჯით წავედო და ვის სურელისკენ. მიმყოლი უკვე ცელს და.

ფარნა ყანას მიუახლოვდა, ცელი მოიპარჯა და იმ დროს. როცა ცელისპირი ყანაში შეაღებდა, ამღერდნენ სხვა ცელებიც.

მზე იხრება. მესვეურებს და მიმყოლებს მკლავი ედღებათ. სად ჩასულან! რა მარჯვედ გაუჭრათ ყანა! ქვევით, სწორეზე, კომბაინი სჭრის. ახალა დაინახეს იგი მომკვლებმა. გორაკს გადაღმა კი სალენი გუგუნებდა და გუგუნებდა.

სანდრო რუსიკოზე ფიქრობდა, ამ სადამოს სურათებს ვანახებო. ისევ ანთებდნენ წითელ ფარანს, ისევ წითლად განათდებოდა რუსიკოს სახე და... ნუთუ ისევ გაიქცევა შეშინებული?

სანდრო ძნას კრავს, ულოს მარჯვედ უჭერს და წინ მიიწევს.

რა მარჯვედ ცელავენ ეს მოხუცები. ვეკაცებს არაფერში ჩამოუვარდებიან. მაგრამ დღის ბოლოს შეეტყუოთ დაღლილობა, ცელები მხარზე გაიდეს და მძიმე ნაბიჯით გაუდგნენ გზას სოფლისაკენ. ახალგაზრდები დაწინაურდნენ. კალოს ჩაუარეს. რუსიკო იქ არ ჩანდა. სანდრომ თვალი პირველივე ორღობენი შეასწრო, როცა სოფელს მიუახლოვდნენ. ფეხს აუჩქარა და წამოიწვია.

რუსიკო ქალიშვილებთან ერთად მიადიგებდა. ხორბლისფრად დამკრახულ გოგოს თვალები ნადგერდლებივით უღვივოდა. დაღლილი კი არ ჩანდა, ძალიან მომატებული იყო. თავი ამყავდა ეჭირა. სანდრო შენიშნა და გოგოებს ჩამორჩა.

— რუსიკო, სურათები... — წამოიწყო სანდრომ.

— გამოვიდა რამე? — ჰკითხა რუსიკომ.

— იცი რა კარგად გამოვიდა!

— მერე, რატომ არ მომეცი?

— რა ვიცი, გამებუტე და... ჩვენთან გადმოხვალ?

— გადმოვალ, — უთხრა ქალიშვილმა და ამხანაგებს გამოედევნა.

...საღამოს პატარა მაგიდას ისევ ანათებდა წითელი ფარანი. რუსიკო სანდროს შორიანლო იჯდა. როცა ლევანი წამოდგა და წავიდა, რუსიკოც ფეხზე დადგა.

— მიდიხარ? — ხელი დაუჭირა სანდრომ და აღელვებული ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა. მაგრამ რუსიკომ იძალა, ხეალ კიდევ მოვალა, უთხრა და წავიდა.

მეორე დღეს ისევ წყაროსთან შეხედნენ ერთმანეთს ხევში. რუსიკოს კოკა გაუტყდა სანდრო ღიმილით უყურებდა ქალიშვილს. რუსიკო ვაგონებული დასცქეროდა კოკის ნამტვრევებს. ბოლოს წამოიხედა თავის მოციმციმე, მაგრამ საყვედურით სავსე თვალებით და ვაჟს უთხრა:

— სულ შენი ბრალია.

— ჩემი რადა, რუსიკო?

— აი, რა ვიცი... სულ სხვანაირად იქცევი ამ ბოლო დროს და მეც გონება ამერია.

— გიყვარვარ? — ჩურჩულით ჰკითხა სანდრომ.

რუსიკომ შეხედა, თვალები ცრემლით აევსო.

— რა გატირებს, რუსიკო? — ახლოს მივიდა შეშინებული, თან სიხარულით აღელვებული სანდრო და ქალიშვილს მკლავში მოჰკიდა ხელი.

ნაწვიმარზე რომ მზე გამოიხედავს, ისე გამოიხედა რუსიკომ... მისი ცრემლით მოწუწული სახე იცინოდა.

სანდრო დაიბნა. აქეთ-იქით მიდგამოდგა.

წყაროსთან მით გარდა არავინ იყო, მაგრამ მაინც ვერ შეხედა ქალიშვილს მიჰკარებოდა. უკან დაიხია, კოკას დასწვდა და გაუწოდა რუსიკოს.

— აჰა, წაიღე... კოკა ვითომ მე გამიტყდა... შენიც ხომ ამნაირი იყო.

რუსიკო მიუახლოვდა. მისი მკერდი დელავდა.

ისინი წამს სულ ახლოს გაჩერდნენ ერთმანეთთან. ორივემ თვალები მოხუ-

ჭეს და შეკრთნენ. უცებ რუსიკომ კოკას დაავლო ხელი და ადგილს მოწუდა. ხოლო სანდრომ ფეხი ვერ დაძვრა სადღა გილიდან.

რა კარგი დღე იყო! რამდენი მზე და რა დიდი სიყვარული. ჩვიდმეტი წელი — სიყვარულის კარი და გასაღები!

თავი მათუთი

სოფელი ვაგაკეებისგან იცლებოდა. ნეტავი კარგი ცნობა მაინც მოსულიყო ფრონტიდან, მსხვერპლს ვილა დაგიღვედა!

მიტრო ალიმბარაშვილი ცალად წავიდა ჯარში.

სანდრო იმ დროს სოფლის გზაზე მიდიოდა, როცა მიტრომ თავისი ეზოს ჰიშკარი გამოიხურა. ეტყობოდა მკაცრად გაეფრთხილებინა თავისიანები. გზაზე არ გაჰყოლოდნენ გასაცილებლად. ლობეს მოსდგომოდნენ და იცრემლებოდნენ: მოხუცი მამა, დედაცოლი და ორი შვილი, ერთი გოგო. მეორე ვაჟი.

მიტროს უკან არ მიუხედავს. ჰიშკარი რომ გაიხურა, ხალთა ზურგზე შეისწორა და გზას გაუდგა. ვილაქას ხელი ჩამოართვა, კარგად იყავო, მშრალად გადაუგდო და გასწია. დამკინავი და აგდებული იერი ჰქონდა. ვის იგდებდა? ვის დასცინოდა? სახეზე სხვა რამეც ეხატა და არც ნერვიულად გადადგმულ ნაბიჯში იმალებოდა მისი მღელვარება. მაგრამ არ იმჩნევდა, უნდოდა მხნედ გაეცლო სოფელში.

არც სანდრო გამორჩა.

— კარგად იყავ, ჯელო!

— კარგად იყავ, ძია მიტრო!

ხელი არ ჩამოურთმევია, არც ხეირიანად მიუხედავს, უყურებდა სერებს, გორაკებს, სახლებს, ეზოებს, ბალებს, ცაზე ჭულა-ქულა შეპენტილ ღრუბ-

ლგხს... ყველაფერს ემშვიდობებოდა. ეს ცხადი იყო.

ალარ მიუხედავს. არ უნდოდა რომ მიეხედნა?

მიდიოდა. კვლავ ვილაღ შეხვდა. იმ ვილაღამ კარგი სურვილები გაატანა. მიტრო მასაც უგულლოდ გამოემშვიდობა, თუმცა გული მასთანაც დაარჩა.

სანდრომ ამას წინათ ბევრჯერ ნახა ჭგროდ მიმავალი ახალგაზრდები. შეიძლება მათში ბევრი იყო სევდა, წუხილი, თავისიანებთან განშორების სიმძიმე, მაგრამ ერთმანეთის იმედი ჰქონდათ. მიტრო კი ცალად მიაბიჯებდა სოფლის მტერიან შარაზე. თავისებური კაცი იყო და აკი არც არავინ გაიყოლა გასაცილებლად. ისე გამოდიოდა, თითქოს შინაურებმა აწყენინეს და სამუდამოდ გაეცალა ასე გაგულისებულო.

ბოგირს მიუახლოვდა. ცოტა ხანს აქ შედგა, ხევს გადახედა. ალბათ რაღაც მოიგონა, მერე ხალთის ზონარი მხარის აკერით შეისწორა და გასწია. თვალს მალე მიეფარა.

ლობესთან გოგო და ბიჭი მოთქმით სლუკუნებდნენ. სანდრომ დაინახა სამი ადამიანის ცრემლით სავსე თვალებიც. ისინი უსიტყვოდ გახევებულიყვნენ და გზას გაჰყურებდნენ.

ამ ამბის გამო მთელი დღე აღელვებული იყო სანდრო. თვალთაგან არ შორდებოდა მიტროს ნაღვლიანი, გაკერპებული სახე, მისი ავღებული, თითქოს უგულო მზერა.

საღამო ხანს აივანზე იჭდა მარტოდმარტო. მუხლზე სახატავი რვეული დაედო და ხატავდა. ხატავდა თვალთაგან მოშორებული კაცის სახეს, რომელმაც მძიმე ფიქრი მოახვია მის გონებას.

ბოგირი, ხევი, გზა. გზაზე კაცი მიდის, ხალთა ზურგზე მოუკვია და გულში დიდი ვარამი ჩაუტევია. მაგრამ ამ ნახატში რომ არა ჩანს ვარამი და სევდიანი თვალები!

მიტროს მეტად დასამახსოვრებელი

სახის ნაკვეთი ჰქონდა, მეტად თბილი, ალერსიანი თვალები. მაგრამ უკანასკნელად სოფლის გზაზე ჩავლისას ის სულ სხვა იყო და სწორედ ეს სხვა უნდოდა დაეხატა სანდროს, დაეხატა და ემზირა, ებაასნა მის გულთან, რომ თავის გულზე დაწოლილი ვარამი გადაჰყოფდა.

ხატავდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

დაბინდდა. პაპა ფარნამ საღურგლო საქმეს მიჰყო ხელი, ლევანი მასთან იჭდა და ენმარებოდა. დიდება სთონეში ტრიალებდა. ვახშმის თადარიგს შესდგომოდა.

აივანზე შეუმჩნევლად შემოიპარა რუსიკო და სანდროს თავს წამოადგა.

— რას ხატავ, სანდრო? ნეტავ ასეთი ხატვა ვიცოდე.

— გინდა, შენც დაგხატავ.

— დამხატე. ჭერ მე არავის არ დევუხატე.

იმ დღეს უკვე გვიან იყო. სანდროს ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღეს რუსიკო კარგა ხანს გაუნძრევლად იჭდა და ითმენდა უძრავობას. სანდრო უყვებოდა გულმოდგინედ ამბავს. თუ რამ შთააგონა გზად მიმავალი კაცის დახატვა... რუსიკო უსმენდა, იჭდა და ითმენდა, სახეზე ღიმილი უთამაშებდა და სანდრო ცდილობდა ამ ღიმილის დაჭერას... ერთ ხანს ჩქარობდა, მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა და რუსიკოს თავდაჭერამ მასაც შთააგონა მოთმინება. საიდანღაც, უძირო სიღრმიდან თანდათან მოდიოდა სახე, ნელა იძვრებოდა, იქსოვებოდა შტრიხების უამრავ აბლაბუდაში.

სანდრო თავს ასწევდა, შეხედავდა რუსიკოს. იგი კვლავ გაუნძრევლად იჭდა და ერთ წერტილს უმზერდა, ილიმებოდა.

— დაილაღე, რუსიკო?

— არა.

— დაისვენე, დაილღებოდი.

— არა. დამხატე... მე მინდა, რომ

კარგად დამხატო... — რუსიკო ცდილობდა, რომ იერი არ შეეცვალა.

„როდემდე, როდემდე?“ რეკავდა სანდროს გონებაში და გულში უხაროდა, რომ რუსიკოს ასეთი მტკიცე ნებისყოფა და მოთმინების ასეთი დიდი ძალა გააჩნდა.

დიდდამ აივანზე გაიარა. ნახატს დახედა.

— კარგია, კარგი! ეს გოგო ნუ მოკალი, ბიჭო!

როცა დიდდა წავიდა, რუსიკო წამოდგა და ნახატთან ჩამოხვალა, თავის ორეულს მიაჩერდა.

— ზა კარგია! — თქვა და მიხედა დაბალ სკამზე ჩამომჯდარ სანდროს. მის მომცინარე თვალებში სიყვარული ენთო.

ქვემო სართულიდან ლაპარაკი შემოესმათ. ფარნასთან ვიღაც მოსულიყო.

კაცი კაცს შეხვდებოდა და მაშინვე ომზე ჩამოაგდებდა სიტყვას. ახლაც ომზე ალაპარაკდნენ. მოსულმა ამბავი მოიტანა:

— კაცო, ჩვენებს კიდევ რამდენიმე ქალაქი დაუტოვებიათო... როგორ მოძვრებიან ის მგლები! ჩემი ბიჭი იწერება, დედას ვუტირებთო, მაგრამ... ეჰ!

და ეს „ეჰ“, საოცრად მძიმე იყო. ფარნას არაფერი უთქვამს.

გამშრალი რუსიკო სანდროს მისჩერებოდა, თითქოს ახლა პირველად გაიგო ომი რომ იყო ქვეყანაზე. „ნუთუ ეს ომი მალე არ დამთავრდება? ნუთუ სანდროსაც მოუწევს ბრძოლა? რომ მოკლან?“ ამგვარი ფიქრები წამოეშალა რუსიკოს და შიშის ერთანტელმა დაუარა, თვალებში ცრემლი მოადგა.

— რა იყო, რუსიკო?

— არაფერი. მე ისე... — შეირბა გოგონა და ნაძალადევად გაიღიმა. — მითხარი ხოლმე რაც გინდა, ყველაფერი მითხარი.

თავი მეთექვსი

წლებანდელი ზაფხული არ გავდა შარშანდელს. შარშან შეიძლებოდა გულხელდაკრეფილს ვაგესიერა, გარემოს მშვენებით დამტკბარიყავი, დასვენებაზე გეფიქრა. მაგრამ წელს, როცა მუშახელისაგან დაიცალა სოფელი, როცა შინ მოხუცები, ქალები და მოზარდები დარჩნენ, როცა ფრონტიდან ყოველდღე უარესი და უარესი ამბები მოდიოდა, — სადღა იყო ნავარდის დრო. ვისაც კი მკლავში ძალა ჰქონდა, კოლმეურნეობას ეშველებოდა, რომ მოსავალი დროზე აეღოთ.

შარშანდელთან შედარებით დიდი ცვლილება ეტყობოდა ხალხს. ყველა დაფიქრებულიყო, ყველა რაღაცას განიცდიდა.

სანდროს და ლევანს შრომადღებები დაეწერათ.

სოფლის კლუბში დიდი რუკა გამოაკრეს. სანდრო გაოცებული შეჰყურებდა ხოლმე ჩვენი ქვეყნის სიღრმეში გადმოწეულ საზღვარს. რუკასთან შეკრებილნი მხრებს იჩენდნენ და ერთი ღრმა ამოოხვრით ყველაფერს ამბობდნენ.

— ე ალიანშიც არ მოვიდნენ, ის ღმერთგამწყრალები! — იძახდა ერთი.

— რა ბიჭები გავგზავნეთ! — თავს აქნევდა მეორე.

— იარაღი გვაკლია თურმე. სამ ბიჭზე ერთი თოფი მოდისო... ისინი კი კბილებიდანაც ცეცხლსა ყრიან თურმე.

მეორე დღეს საზღვარმა კიდევ გადმოიწია.

— ჰაი დედასა! აქ რომ ერთი სანტიმეტრია, იქ ასობით ვერსი იქნება.

— ასობით ვერსი!

გაზეთებში პირველად გაჩნდა გმირთა სახელები. სანდრო ვატაკებით კით-

ხელობდა მათ საგმირო ამბებს და გულში იმედი ესახებოდა.

ერთხელ რუსიკო და იგი გაატყვეს საზღაპრო ამბავს კითხულობდნენ.

სანდრომ გაზეთი დაკეცა და თქვა:

— ვერ წარმომიდგენია...

— რა, სანდრო?

— თავის განწირვა... გულახდილად გეუბნები, სიკვდილისა მეშინია. მეშინია იმიტომ, რომ ქვეყანა ასეთი ლამაზია, შენ ასეთი ლამაზი ხარ... და თუ მომკლეს სამუდამოდ უნდა დავშორდე ყველაფერს.

ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა. მერე რუსიკომ თქვა:

— მაგრამ თუ შენი სიცოცხლის ფასად ვადარჩება ის, რაც შენ გიყვარს?

— მაშინ... მაშინ, ფიქრი არ უნდა. თავს გაეწირავ.

— მალე მინც დამთავრდეს ომი! — ამოიოხრა რუსიკომ და თვალები ცრემლით აევსო, — მე არ მინდა შენ რომ წახვიდე... რომ დაიღუპო.

— რატომ გგონია, რომ მინცდამინც დავიღუპები?

— ტყვია ბრმაა. მერედა, რამდენი ჯარისკაცი იღუპება ისე, უსახელოდ, ბრმა ტყვიით... ტანში მზარავს, როცა ყოველივე ამას წარმოვიდგენ. იქნებ მალე დამთავრდეს ომი.

სანდროს ქალიშვილის ხელი ხელში უჭირავს და უაღერსებს. რუსიკოს სითბო და ხელიდან შეგრძნობილი ალერსი ბევრ რამეს ავიწყებს.

როცა რუსიკო კალოზე გამოჩნდება, მზე ჯერ კიდევ არა ჩანს ცაზე. სხვებიც მოდიან. ტრაქტორს მოხუცი კაცი მართავს. ომის დაწყებამდე ამ მანქანას მისი შვილი პატრონობდა. მოხუცს უჭირს, მაგრამ თავს ძალას ატანს, ვინმე მკლავმაგარ დედაკაცს ამოაკრევიანებს სახელურს, მანქანა აგუგუნდება, სქელი ღვედი გაიქცევა-გამოიქცევა სალქსა და ტრაქტორს შორის და პურის ლქვეც დაიწყება. რუსიკო სალქსზე ადის. აქ ხელმარჯვე სხვა ქალიშვილი-

ბიც შემდგარან, სამთითებით მიწოდებულ კონებს შლიან და მანქანის ტახტზე ყრიან თავთუხს.

რა დრო გასულა! თითქოს ახლახან მოვიდნენ. ვილაცამ თქვა. მომშვიდო. შარშანდღეოვით პურხვევიანი აღარ არი გლახაკის სუფრა. სულ რაღაც ერთი თვე არ გასულა და უკვე დიეტოთ მომჭირნობა. ვილაცამ ამბავი მოიტანა, ქალაქში პურის ბარათები შემოულდათო.

სამხარიც გათავდა. დღე დაილია. მამაპაპურ კალოზე ხარები გამოეშვათ და პურს ანიაგებდნენ.

სალამო ხანია. ღამე ჩუმად მოიპარება.

სოფელში უკანასკნელი ხმები წყდება. ჩუმდება ქვემო უბანში ატირებული მელანოც, რომელსაც სამი დღეა ცრემლი არ შესრობია თვალზე. ომმა პირველად მელანო დააქვრივა ალიანში.

კლუბში გამგემ საზღვარი ქვეყნის შიგნით გადასწია.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! — შეუტია ვილაცამ და მუშტიც კი მოუღერა.

კლუბის გამგემ გაკვირვებით გადახედა გლახებს. ისინი ჩუმად იყვნენ და იბღვირებოდნენ. გამგე თავის ოთახისაკენ გაიძღრა. მეორე დღეს სოფლებს რუკა აღარ დახვედრიათ. ვილაცამ გამგეს მიუკაეტა კარზე. იგი გამზარებული გამოვიდა.

— რა გინდათ?

— რუკა რა უყავი?

— ვალდებული არა ვარ გავიკრაო. გაზეთები იკითხეთ და იქიდან გაიგებთ ყველაფერს. მეც არ მესიამოვნება! ნახვამდის! — თქვა და კარი მაგრად მიხურა. კარს იქით გაისმა მისი აჩქარებული ფეხის ხმა, სკამის ხმაური და ყველაფერი მიუხედა.

სოფელში პირველი დაქრილი ჩამოვიდა. თითქმის მთელი სოფელი მიეხვია ოქროაშვილების სახლს.

თალა გვიან ღამით მოსულიყო. სისხამ დილაზე კი მთელ სოფელს მოედრო მისი ჩამოსვლის ამბავი. დიდი და პატარა ოქროსშვილებისაკენ იჩქაროდა.

თალა ფეხში დაეჭრათ. იგი თავისი დაბალი სახლის აივანზე იჯდა. ბანდით შეხვეული ფეხი წინ გაეშვირა, ტაბურეტზე მორივით გაედო, ყავარაჭნები გვერდით მოეწყო და სანახავად მოსულ სოფელებს ღიმილით ესალმებოდა. არცთუ გატანჯული მოჩანდა თალა.

— უი, უი, უი! — წუხდნენ ქალები თალას ფეხის დანახვაზე.

— ეს რა არი... — იწყებდა თალა და შუბლი ეკმუხნებოდა, — უარესი კი არ მინახავს?!

— ნუ იტყვი, ნუ, შეილო! — შესთხოვდნენ გაფითრებული ქალები.

— ჩემი მიტუშა ხომ არ შეგხვედრია?

— ჩემი დიმიტრისა ხომ არა იცი რა?

— არ ვიცი... არ შემხვედრია... ჩემთან ერთი ნიაბელი იყო. მოკლეს. არ ვიცი, როგორ შევატყობინო მისიანებს.

— უბედური!

— როგორი პირი უჩანს ომსა, ბიჭო?

— აბა რა ვიცი. ერთი დღე ვიყავი ცეცხლში და... აი, — დაქრილმა ფეხზე დაიხედა, — გერმანელები თვალთაც არ დამინახავს... საიდანღაც ცეცხლს გვიშენდნენ და მომხვდა... მერე აღარაფერი მახსოვს.

მართლაც ბევრი არაფერი სცოდნოდა დაქრილს. თავისი თანასოფელი არაეინ შემხვედრია. არც გერმანელები უნახავს... საინტერესო არ იყო მასთან

ლაბარაკი. მალე, რამდენიმე მეგობრის გარდა, თალასთან აღარაეინ მიდიოდა. თავად თუ ჩაივლიდა სოფელში, ყავარაჭნებზე დანდობილი.

უკანასკნელ ხანს დაღუპვის ცნობები უფრო მეტი მოდიოდა სოფელში. ცრემლი, ვაი-ვიში, წყევლა და კრულვა გამრავლდა. სოფლის მალაზიაში შავი ნაქრის გაყიდვას ვერ აუღიოდნენ.

ზაფხული გათავდა. ომი არ თავდებოდა.

მთვარიანი საღამო იყო. სანდროს და ლევანის სოფელში ყოფნის უკანასკნელი საღამო.

რუსიკო და სანდრო გორაკზე ნანგრევებთან ისხდნენ. მთვარეს მოევერცხლა გარემო. შორს, შორს რძიანა. ზოლი ბრწყინავდა. ალიანი ზღაპრულ სამყაროს გავდა. ცა ვარსკვლავებიანი იყო.

ჩუმად ისხდნენ. სანდროს ქალიშვილის ხელი ეჭირა და უაღერსებდა.

— ამრიღში თვრამეტისა გახდები, — თქვა რუსიკომ აღელვებული ხმით.

— რა მოკლე იყო ეს ზაფხული, რა მალე გაირბინა!

რუსიკომ თავი ხელტბში ჩარგო და აქვითინდა.

მშვიდი ღამეა. სოფელი დუმს.

რუსიკომ ცრემლი მოიწმინდა და შორეულ სივრცეს მიაჩერდა. თვალსაწიერზე მხოლოდ მუქი ლანდები ჩანდა. ალაგ-ალაგ მთვარეს გორაკისა და მთის თხემები გაეშუქებინა.

(გაგრძელება იქნება)

მიხაილ ქვიციანი

შორეულ შთამომავალს

ის კი არა მშურს, რომ შენ ოდესმე
მთვარის მიწაზეც გასტეხავ ყამირს,
რომ გაფრინდები იმ სიშორეზე
და გააკვირვებ ქვეყანას ამით.

ის კი არა მშურს, რომ შენს
სამყოფელს
ვერ შეედრება თვითონ ედემიც,
რომ ყველასათვის მარად სამყოფი
გექნება სარჩო-საბადებელი,

რომ აშენდება, რასაც აშენებ
და რასაც ებრძვი — განადგურდება.
დაიზრდებიან შენი ბავშვები
და ყველა ნატვრა აგისრულდება...
არა! მე ის მშურს, რომ ერთ
მშვენიერ

მაისის დილით შენ მოირთვები,
ქუჩაში გახვალ, გაისეირნებ,
მე კი —
ამ ქვეყნად აღარ ვიქნები!

გამარჯვება

მინაწერი ფრანკისკო ვოიას ოფორტზე

განთიადს დამესთან დაედო ზავი, —
ცამ კარი გაულო მეწამულ მხედარს.
შაშხანის ლულაზე ჩამოკდა ყვავი,
ჭირისუფალივით დასჩხავლა ცხედარს.

უჩვევი დუმილი გამეფდა ირგვლივ, —
გვამი თუ ელოდა დაკარგულ
სითბოს, —
და მხოლოდ ფერდობზე მომხმარი
ჩირგვი
თელვმდა და სიზმარში სუნთქავდა
თითქო...

მერე ის გამოჩნდა... და ბნელში ჩანდა
სიკვდილის ლანდივით სწრაფი და
დიდი,
უეცარ მოსხლეტით შეჩერდა გვამთან
და მკერდის იარას დაადო თითი.

დაემზო მიწაზე ჩრდილებთან ერთად,
და როს დაიღალა ცრემლით და
რისხვით,
სიტყვა „გამარჯვება“ — წითლად და
მკვეთრად —
მიწას დააწერა ცხედარის სისხლით!

...

მე განგებ, განგებ გამოველ ადრე
სახლიდან... შენი დაქანცვა მსურდა, —
რომ, დაღლილს, უფრო ნაკლებად
გეგრძნო
მწარე ტკივილი განშორებისა...

გახსოვს? სადგურში ვისხედით ორნი.
მოწყენილები, როგორც ჩიტები

და არ უჩანდა მოლოდინს ბოლო...
ბაქანზე სიციხის აღმური იღგა.

ლუდის ჯიხურთან ბრბო ყაყანებდა
და ეხვეოდნენ მწვანე ბუხვები
ასფალტზე დაღვრილ ლუდის
გუბებზე...
და ჩვენ გვშიოდა, და ჩვენ
გვწყუროდა,

და არ უჩანდა მოლოდინს ბოლო...
 მერე ჩამოდგა მატარებელი...
 შენ მიმაცილე ვაგონის კართან,
 მხარზე დამადე ხელი და სწრაფად
 გამშორდი ისე, უკან ერთხელაც
 არ მოგიხედავს...

მე კარგად მახსოვს შენი დაღლილი,
 გაფითრებული, სნეული სახე...
 ჩალამებული თვალები... მკერდზე
 შესხნილი ღილი... და თეთრი, თეთრი
 თვალისმომკრელად თეთრი წვივები,
 სადგურის კარში რომ გაიეღვეს.

წინათქმა

მე „მოკითხვამდე“ დავარქევი ამ წიგნს,
 ამ მცირე ნაკრებს ახლის და ძველის...
 მე შევადარე ეს წიგნი წერილს,
 რომელიც თავის მომკითხველს ელის.

მე ეს კრებული წერილს ვადარე,
 (ფოსტაში მათი მინახავს გროვა)

და მტკიცედ მჯერა: გვიან თუ ადრე
 მის წასაღებად ვიღაცა მოვა...

ო, მომკითხველო სად ხარ? ვინა ხარ?
 შენ გელის ჩემი წერილი-წიგნი,
 ვახსენი ოღონდ და დაინახავ:
 შენია იგი!



პირის ჩხიმი

კეთილი სიტყვა

მაღალი, ოდნავ გამხდარი წვივ-კანჭი, კოხტა მუხლები, შეწვრილებული წელი, მკვეთრად გამოთარგული კიპკიპები, მზისაგან შეტუსუსული სახის კანი, ძნის-ოდენა წაბლა თმა, ამხედრებული ჩითის ზედაწელით დაფარული მკერდი. ეს იყო თამია, რომ იტყვიან ერთი ფუნჯის მოსმით.

ასეთი გარეგნობის ქალი, რად უნდა გამხდარიყო სანადიროსუბნელების დასაწუნი? ამის მიზეზი არავინ იცოდა. მხოლოდ ერთი მოხუცი არ უწევდა თამიას სანადიროსუბნელ ავად დამფასებლებს არავითარ ანგარიშს.

— ხარბი თვალის ბრაღია, — ამბობდა ის. — კარგი, მოსაწონი, მშვენიერი, ყველას უნდა მხოლოდ მას, ერთადერთს ერგოს, ერთადერთს ეკუთვნოდეს. თუ სხვას შეხვდა, მაშინ ხელი უშვი, მშვენიერს მახინჯად გამოაცხადებენ.

— შენ ამ ქვეყნის რა გაგეგება? არაფერი! — შეუტევედნენ მოხუცს.

მოხუცი იძულებული იყო ხმა აღარ ამოეღო, გაიუმეებელიყო.

გარდა იმ გარეგნობისა, რომლითაც შოშიაშვილების პატარძალმა ვერას გზით ვერ აამა სანადიროსუბნელებს, დაგებისათვის უფრო ხელჩასაკიდებელი სხვა ნაკლიც ჰქონდა. ეს სახელი იყო. პატარძალს თამია ერქვა. არა, ამაში ვეღარ გამოედავებოდით სანადიროსუბნელებს. მართლაცადა, რა სახელია თამია? ყველამ იცის — ნინო, ქეთევანი, თინათინი, დარეჯანი ჯობია. სანადიროსუბნელებმა ყბაში გასაგდებად ქალის სწორედ ეს ნაკლი დაიხვეეს ენის წვერზე.

— რა ჰქვიაო, რა ჰქვიაო, შოშიაშვილების პატარძალს?! ჰაი, ჰაი, რა უცნაურები არიან. მაგათ გასძვრათ ყველას ყურები. შარშანწინ ერთი დედაბერი გარდაეცვალათ. აკი მასაც, ახლანდელ პატარძალივით, რალაც გაუგონარი სახელი, გვარანდუბტი ერქვა. ამას კი თამია ჰქვია. ჰი... ჰი... ჰი...

ვაჭირდა საქმე. სანადიროსუბნეში ვინაც ეკითხებოდა და არ ეკითხებოდა სინინებდნენ, ჭირჭილებდნენ, ქილიკაობდნენ.

პატარძალი ბევრს არ ენახა, მისი სახელი გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. იმას კი არავინ დაგიდევდათ, როგორ უჭირდა ამის გამო სანადიროსუბნეში გაძლება, ახლად გამოჩენილ ან, როგორც იტყოდნენ, ახლად ჩამოთესლებულ ქალს.

რა თქმა უნდა, პატარძალს ქვას არავინ ესროდა. არც ქედაფს ასხამდნენ ლამაზ. და რატომღაც საწუნარ სახეზე. მაგრამ სიცოცხლე სიცოცხლე იყო და იგი შეტისმეტად ეწამლებოდა ახალგაზრდა ქალს. ბოლო არ უჩანდა ქილიკს. ათვალწუნებული სახელი ძვირითურთ, ცოტა უყლდა, სანადიროსუბნიდან დიდ ქალაქს კიდით კიდემდე მოედო გაფრთიანებულ, საძრახ შეძახილად.

ამოჩემებული ქალის მიმართ აღამიანები თანდათან მკაცრობდნენ. სანადიროსუბნელი თვალხარბი და უხამსი კი არა გულკეთილებიც აპირებდნენ პატარძლის აუგს დათანხმებოდნენ და მათაც ჩაესოთ ეკალი უცხო, უნახვე ქალისათვის. და, ვინ იცის, ეს სადამდე გაგრძელდებოდა, რომ პატარა ხნით სინინ-ძრახვა სიკვდილმა შეაჩერა. უბანში ანდრია ღონეთელის ცოლი, ქოლგის-

ოდენა პრელმლიაპიანი წმარნი ქალი გარდაიცვალა. ხარბები და უხამსები რამდენიმე დღით დადუმდნენ.

ანდრეას ბევრი მესამძიმრე გაუჩნდა. ისინი ათეულობით მოდიოდნენ, მიუტოვებდნენ კაცს და ისევ შინისაკენ გასწევდნენ. ამდენ ხალხში ერთი მომხმარეც არ იყო. ანდრეამ გარდაცვლილი დამკრძალავ ბიუროს აგენტს გამოაწყო ბინა. მესამე დღეს წინა ოთახში გაიტანა, საიდანაც ვასვენებდნენ დანიშნულ დროს. ამ საზარ წუთებს თამიაც დაესწრო. მას ქეშმარიტად ტყენდა გულს ლიზიკოს გარდაცვალება. სანადიროს უბანში ეს ქოლგისოდენა შლიაპიანი ქალი სხვადავით არ სისინებდა, თამიას თავაზიან სალამს აძლევდა. პატარა ძლის აზრით, ასეთი ტკბილი ქალი ქმრისათვის მეტად საყვარელი უნდა ყოფილიყო და, როცა ცხედარი წინა ოთახში გაიტანეს, თამიამაც მიუსამძიმრა ანდრეა ღონეთელს.

ანდრეა ფეხზე ძლივს იმაგრებდა თავს. ცოტა უკლდა წაქეუულიყო და ისიც მისწოლოდა გვერდით ლიზას.

ახალგაზრდა ქალი მაშინვე მხარში შეუდგა დარდით მოქანცულ კაცს. კიბე ჩაატარა, სადაც ბავშვიანი აკვანი ედგა, მეტი ბინა არც ჰქონდა, გადაქცეული მგზობელი იქ შეიყვანა. მალე მაგიდაზე წინ სადილიდან ვადარჩენილი თუ ქმრისათვის შემონახული უგრებელის ღომის კერძი დაუდგა. მოუტანა ნაკლული ბოთლით ღვინოც. მერე კონიაკისფერი, მაგარი ჩაიც შემოუდგა სუფრას.

აკენის თავებს გადაყუდებული ქალი ბავშვს ძუძუს აქმევდა და წარბებს ქვემოდან ხედავდა გამჭრიახი თვალებით: ყოველი ლუკმისა და ჩაის ყლუბის შემდეგ მომაკვდავ კაცს ფერი, ჯანი, სიცოცხლე უბრუნდებოდა.

თამიამ ეს სამსახური ისე უბრალოდ გაუწია ანდრეა ღონეთელს. ანდრეას ეს იმ წუთს ჰირდებოდა. სისუსტით გული უღონდებოდა. მეხუთე დღე იყო ლიზიკოს ერთადერთი ჰირსუფალი არავის გახსენებოდა. თამია მოუხვდა, რომ კაცს სიმშვილი მორევეოდა. მიუხვდა, მი-

ეშველა და რატომღაც სანადიროსუბნელებში ეს არ აპატიეს, თითქოს შეეხარბათ, ჩვენ რად არ მივხვდითო? — დაიციინეს.

ამ შემთხვევამ სულ მოუთავა ხელი პატარაძალს. თამიასაკენ ის მცირერიცხოვანი მოკეთებიც აღარ იხედებოდნენ, რომლებიც აქამდე, ასე თუ ისე, მას მგობრობდნენ. არავინ იცოდა სადამდე გაგრძელდებოდა დაუშასხურე ბელი აუგი და ჩავგრა. ზემობდა უკეთურობა, არსად ჩანდა თავისი ომხიანი ხმით სიკეთე. თურმე ნუ იტყვიო, კეთილი ადამიანები იქვე მანლობლად უჩინშიანის ქუდებით დადიოდნენ. უკეთურებს კი ეგონათ, აქ მარტო ვართო. სიკეთე გვიან აღშფოთდა.

— გამაგებოთ, ხალხო, მეზობლებო, რას ერჩიან ამ ბატანა, დაუქალეხელ გოგოს? ჯერ ისევ დედის უბეში უნდა იჯდეს. მან კი გათხოვება გაბედა, ვაჟკაცს მხარში შეუდგა, აგერ ბავშვიც ყავს. თქვენ კი... რა დაიმსახურაო, სახელი არ მოგვწონსო. თქვენ უთუოდ არ იცით, რა გრძნობებს აქსოვდნენ მისი მშობლები მაგ სიტყვებში, როცა მათ ახლადგაჩენილ ქალს თამიას არქმევდნენ.

ეს სიტყვები, საკმაო რიხით ანდრეა ღონეთელმა ერთ შაბათ საღამოს უთხრა სანადიროსუბნელებს. ამ საღამოს ისინი სასეირნოდ გასულიყვნენ უბნის მთავარ ქუჩაზე. თავკაცებთან ერთად ქუჩაზე ბევრი იყვნენ თავქალები და ქიქვაჯობა. ესე იგი, ჰასაკში შეუსვლეელი გოგობიჭები. ბევრი მათგანი შეზარბოშებუელიც კი იყო, თოვლს ტყეპნიდნენ ქუჩაზე, თავს სხვისი სუსტის ან უთქმელის გაკილეითა და ძრახვით ირთობდნენ.

ანდრეა ღონეთელი ორმოცი წლის კაცი იყო. უბანში ახირებული და უცნაური კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. აბა რით არ იყო ასე? ჩვენი საუკუნის იმ წლებში, როცა ანდრეა პირველი გამოქეშმაგა თამიას, მამაკაცები პირისახეზე უღვაშებს ატარებდნენ.

საკუთარი სამართლებლით მუდამ შეიარაღებული ანდრია ასე არ იქცეოდა. წარბეზისა და წამწამების გარდა, არაფერს იყენებდა თავპირზე ისეთს, რასაც ბალანი ერქვა. სხვა მამაკაცები მხედრული წესით შეკერილ მრავალჯიბებშიან კიტელებს და ვალიფე შარვლებს იცვამდნენ. ანდრია? მას იდაყვებზე ვაცხაგებული პიჯაკის ქვეშ, შავი ვალსტუკითა და მოოქროვილი ღილებით დამკვნიებული თეთრი პერანგი ეცვა. თავს სანადიროსუბნელებისათვის სასაცხლოდ გახუნიებული ფეტრის ქუდი ეხურა. ყველამ იცოდა ანდრიას ნატვრა, სადმე წარმოებაში „ტექნიკად“ მოწყობილიყო მეგობარ-ნაცნობებს აკი არწმუნებდა, ტექნიკური განათლება მიქვსო. ამის დასამტკიცებლად (ასე ეგონათ სანადიროსუბნელებს), საშუალო სასწავლებლის უკანასკნელ კურსელებს გაკვეთილებს უსწორებდა ყველა რთულ დისციპლინებში.

სანადიროსუბნელებს გული მოსდიოდათ. ცრუობსო, ამბობდნენ. თუ მართლა ტექნიკური ცოდნა თავს ტეხს, ქარხანაში რათ არ მიიღეს სამუშაოდო.

ამას იგივე პირები ამბობდნენ, რომლებსაც პატარძლის სახელიც არ მოსწონდათ და ღიღად არ ინადვლებდნენ, თუ ახალგაზრდა ქალი პირველსავე მშობიარობას, თუნდაც მეორეს, თან გადასყვებოდა.

ჯერჯერობით, ანდრია საქმეთა მმართველად მუშაობდა იქ, სადაც ღიღად არ სჭირდებოდათ (ასე ეგონათ სანადიროსუბნელებს) მხოლოდ სიბრალულით მის საშტატო ერთეულს არ აუქმებდნენ. იმას კი არავინ დაგიდევდათ, რომ სიბრალული არაფერ შუაში იყო. მის შტატს უფროსილდებოდნენ, ანდრიას დწერით მიმართვას წყალი არ გაუვიდოდა და იმიტომ.

ანდრია მის უბნელებს არ უყვარდათ. არც არავის ძულდა მიინცდამიანიც. არც სიყვარულისა და არც სიძულვილისათვის საფუძველი არავის ჰქონდა.

მაშ როგორღა შეძლო ასეთმა კაცმა ახალგაზრდა ქალის მთელ სიცოცხლებზე

ჩამოფარებული შავი ღრუბლის გაფანტვა, ნათელის გამოჩენა? მას ვრდაცვიდაცები მაინც უწევდნენ სანადიროსს, სწავლული კაციაო, ეს იყო და ეს თორემ სხვა მხრივ? ხელი უშვით, ჩირის ფასი არ ჰქონდა. ღიზიკოს შემდეგ ანდრიას უარი უთხრეს ქალის მითხოვებაზე. სხვის ხარჯზე ცხოვრების ოსტატი ქალებიც არ იხედებოდნენ მისკენ, თუმცა იცოდნენ, ანდრიას ჯიბეში საცუცნი მოგზოვებოდა. და როგორ დასაბუთებულ უარს ეუბნებოდნენ ქალის მითხოვებაზე, ან თვითონ ქალები რას ლაპარაკობდნენ მასზე! ანდრიამდე ყველა საგინებელი სიტყვა არ აღწევდა თორემ...

უადგილო არ იქნებოდა ერთი გაურკვეველი პროფესიის კაცის — ლენტოს სიტყვები მოვიყვანოთ.

— არა, მეზობლებო! კარგად იქცევით. — ლენტომ ანდრია არ მოიხსენია. მაგრამ პირდაპირ მისახვედრად კი თქვა:

— საქმეთა მმართველს ქალს როგორ გავატანო! ეგ რა სწავლულია! მაგ თანამდებობა ოთხკლასიანმა უნდა შესძლოს. ერთიც ვნახოთ, შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გაავდეს. მე გეტყვით ხარაზი, თერძი ან დურგალია, სადაც წავა ქუჩის პირას დაჭდეს, ხელობამ იქ დააჩინოს! ისიც გაუგებარია, რა ნახა შოშიაშვილების პატარძალში. ნეტავი რად ესარჩლება? ჩვენ ეწუნობთ, მას მოსწონს. გამიგონეთ, ღმერთმანი, ეს გამოწვევაა, მეტი არაფერი. ან აქ, იცოდეთ, მიხვდით, სხვა რაღაცა ძაღლის თავია ჩაფლული. მოვითმინოთ, ვნახოთ, გავიგებთ. მაშინ ვაი მაგის ბრალი!

— ჰო და, რით არის ცუდი, თამია? ან სახელს რას უწუნებთ, ქართული ასოებით ვერ იწერება, თუ ენით ვერ გამოითქმის?! — თამამდებოდა გამოსარჩლებაში ანდრია. ერთხელ კი ანგარიშგასაწევი საბუთიც წარმოადგინა: — მოიგონეთ, აკი ქართველთა მეფეს სახელად თამარი ერქვა. თამია შემოკლებული, მოფერებითი სახელია, რასაც,

ალბათ, ჩვენ მეფესაც ეძახდნენ ბალო-ბისას.

ანდრიას ასეთ შეტევას სანადიროს-უბნებში აგვულებმა თითქმის ვეღარ გაუძლეს. ენა გულგვაში ჩაიგდეს. სიტყვა თამარი და თამია ახლა სმენას მაგრად ხვდებოდა. ამ სახელით, დიახ, გავგონათ ქართველთა ხელმწიფე.

თამიამ მოისვენა, უბანშიც ამოისუნთქა. ენაკვიმატ-გულბოროტებმა ქილიკაობით ლაპარაკი შეანელეს. დაქალუბულ პატარძალს ზიზღით სავსე თვალით აღარავინ უყურებდა.

მასზე აღრე მოყვანილი სანადიროს-უბნის რძლები, ტუჩაბზუებით აღარ უვლიდნენ გვერდს თამიას. ზოგიერთი მეზობელი ურთიერთობის გაბმას შეეცადა აქამდე გამოძილ პატარძალთან. ბაზარში ერთად წავიდეთ, საწვრილმანოს მე ამოგარჩევინებ დამტარებლას ყუთიდანო, ერთმა „დარბაისელმა“ მანდილოსანმა ხომ დიდი სამსახური შეთავაზა! დაუჭდა თამიას, ლექტია წაუკითხა, როგორ მოქცეოდა ახალგაზრდა ცოლი შინდარუნებულ ნაჭეითარ ქმარს და მის ნათესავ-ნაცნობებს.

— სიმთვრალის დროს მოუთმინე.—
დაარტა. — სამაგიეროდ მეორე დღეს დაატყდი თავზე მეხვიით.

— ესე იგი, როცა ღვინო გამოხელდება, გამოფხიზლდება? — მიამიტად შეეკითხა თამია.

— შენ ვერაფერს მიხვდები. — იწყინა მანდილოსანმა. — ახია შენ თავზე, რაც მოგივა.

ახალ ვითარებაში, როცა ძაგება-წუნების ტალღის გორიალმა ახალგაზრდა პატარძლის თავზე შენელება იწყო, კეთილისმყოფელებს აჯობა წყალსადენის ხელოსანმა, კაცმა არ იცის. ოსტატმა თუ რაღაც მოხელემ, ის ახალგაზრდა ქალს და მის ქმარს, სილოვან შოშია-შვილს შემთხვევით შეეყარა წინ სანადიროსუბნის გარეთ და დალაპარაკების ღირსნი გახადა ორთავენი.

— ჰეი, ხარატო! დაჰკრა ხელი მხარზე სილოვანს. — საით ვაგიწევია? ჯანდაბას იარე, ბიჭო. ეგეთი ლამაზი გოგო

ვინ მოგაქვია? ვანა პატრონი არა ჰყავდა, რომ შენ ხელში ჩაგიგდო. მზითევი აქეთ მიიღე თუ სასყიდელი იქით მიუტანე? ლამაზი შენი ცოლისთვის რა სიტყვაა! ლამაზთან მარჯვეცაა და ეს ორი თვისება ერთად სწორედ ქმრის ბედნიერება არის. დიახ, ზედ გეტყობა მისი ამაგი. შენსავით სუფთა, მოვლილი კაცის ფერ-ხორციით სანადიროს-უბნიდან ძირს, რუსთაველის და პლებანოვის გამზირებზე ბევრი არავინ გამოდის.

ეს პირდაპირ იყო ზურგს უკანაც ბევრს ლაპარაკობდნენ ახლა ქებას. რაკილა ერთხელ შემობრუნდა ბედი თამიასკენ, შემობრუნდა და შემობრუნდა. სულის სიმძიმე შეუმსუბუქდა, გარეთ ირიბად ვეღარავინ უბედავდა შეხედვას.

თქმა არ უნდა, თამიას სმენამდე აღწევდა ყველაფერი, რაც მის ვარშემო ხდებოდა, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ. ასეთი შემოტრიალებათა მიზეზის, მტრისა და მოყვრის უნსტად მცნობმა ქალის გულმა, თამია ანდრია ღონეთელამდე მიიყვანა. ის იყო სიკეთის წყაროს ამოსავალი ნაპრალი. დიახ, მიიყვანა თამია სიკეთის წყაროს პირამდე და თავის ღმერთს, ქალის ღმერთს, რომ ეძახიან, პირობა მისცა, გულში ჩაიჭდიოს ადამიანისაგან ადამიანისათვის წაცხებული მალამოს მამებლობა. ქმარს კი უთხრა:

— ეჰ, სილოვან, თუ ვიცოცხლე, გადაუხდინი ანდრიას მის სიკეთეს.

— ხა... ხა... ხა... — ხარხარებს სილოვანი ხანდახან, როცა მოაგონდება ცოლის დანაქადევი, იმიტომ, რომ დიდი დრო გავიდა. თამიას შვილები საშუალო სკოლას ამთავრებენ. ბევრმა წყალმა ჩაიარა მტკვრის ხეობით. ჰა, მიინც, როგორ გადაუხდის, შეიძლება შიშველი სიტყვის გულს ასე დაჩნევა? იქნება, ანდრიას გამოსარჩლებამ კაპეიკად ღირებულიც არაფერი გააკეთა, იქნებ, მხოლოდ სილოვანის ბედნიერმა ხასიათმა გასჭრა. რაკილა ერთხელ ახალგაზრდა, თანატოლ ქალის გულში ღუზა ჩაუშვა.

ჭაჭვი ადვილად აღარ აპკრება. თამია მისთვის მთელი მისი არსებობაა.

ეინ არ იცის მამაკაცის ხასიათი. ცოლი თუ ოდნავ მაინც ოჯახის მოყვარული, წყნარი, მომთმენი ბუნებისაა, ცოტა ვარჯაე არ ეზარება, ქმარი ასეთ ქალს, თავის ჭანსა და სიცოცხლეს შეაღწეს. შეიყვარებს კი არა, თუ კი შენაძლოა, ღვთაებად დაისვამს, თვალის ჩინივით გაუფრთხილდება.

დროებამ ანდრიაე შესცვალა. ლიზიკოს ქმარს დაეიწყებოდა საქმეთა მმართველის თანამდებობა. დიდხანია ქარხნის ერთ სამჭროში ცვლის ინჟინრის თანამდებობა უკავია. იქვე ხარატად და საშუალო ტექნიკოსად მუშაობს სილოვან შოშიაშვილი. ანდრია დილით ადრე დგება, სანადიროსუბნიდან სანამ გავიდოდეს, სილოვანს შეეყრება. ძველი ნაცნობები ერთად მიდიან ქარხანაში და ერთადვე ბრუნდებიან. ანდრია მოხუცდა, ბეჭებში მოხარა, სიარული უქირს, ცოლი შეირთო, მასავით ხანში შესული მხაზველი, ოღონდ შვილი არ გაუჩნდა და შერე ისიც მოუკვდა, სილოვანს კი ექვსი ქალვაეი დახვევია. თამია ახალგაზრდად გამოიყურებოდა. შალაი წვიე-კანჭი გავსებია, დასრულებია, კობტა მუხლები გამძლავრებია, წელი ისევ შეწვრილებული დარჩენია, კიპიბები აღარ უჩანს ყელს ქვემოთ. სავსე სხეულზე სქელი თმა ისევ ძნასავით აყრია, თეძოები განზე გაქცევიან... ერთი სიტყვით, მის ნახვას არა სჯობია რა! ამ ქალმა ეს ამოდენა შვილები კი არ დაბადა და მკერდით გაზარდა, ველურ ყვავილებივით შინდორში დაკრიფაო, — ამბობენ სანადიროსუბანში. თამიას დაძახებას როგორღა გაუბედავენ, დიდი ხანია თამარს ეძახიან. დასცინიან კი არა ახალგაზრდა გოგოებს ეუბნებიან: აი, შეხედეთ, თამიასავით გამოიჩეკეთ, მაგასავით გახედეთ თვალებით ქვეყანას და შეიცანით ცხოვრება. ქალღაცეგეთი უნდა!

სილოვანი და იმისი მეგვარეები თამარს მათ კუთვნილ ჭილდოდ სთვლიან. აბა, ნაკლები რად უნდა რგებოდათ

წილში ქალების მოვლით განთქმულ შოშიაშვილებს.

ეინ-ეინ და სილოვანი ედგა დარაჯდ თამიას ცხოვრებას! აბა, ერთხელ დაეთანხმე ხარბი და ბოროტი ენის პატრონს, აპყევი უკეთურს? ნახავ რა დარჩება თამიასაგან — აშლილი ნერვებით სავსე პარკი, მჩხაევანა, სიცოცხლის გამაწმარებელი დედაკაცი. თუმცა, რაც არ უნდა ცდილიყო, სილოვანს ოჯახური სიმშვიდე არ გამოუვიდოდა, თუ კი თამია თავისთავად ხელში არ მიყვებოდა, მისი გონების კვალს ვერ მიუხვდებოდა, ზოგერთი ქალივით ქმრის პიროვნებაში მჩაგვრელსა და მტარეალის პეტს ვერას დაინახავდა.

გონიერებისათვის, მიმყოლ-მომყოლი ხასიათისათვის სილოვანმა გადასწყვიტა აამოს რამე თამიას. მაგრამ რა აამოს? განა ყველაფერს რაც აბადია, თამიას არ ეკუთვნის? მაინც გადასწყვიტა დაბადების დღე გადაუხადოს ახალ ბინაში, რომელიც დღეს თუ ხვალ, შემოდგომის დამლევს უნდა მიიღონ. ერთი ვარემოება გადაელობა წინ. ინჟინრებმა სახლი ვერ დაამთავრეს დროით, მიმდებმა და განმანაწილებელმა კომისიებმა ჩასახლება არ დაადასტურეს. დეკემბერში კი არა, გაზაფხულზე არ იყო იმედი, სანადიროსუბანის ძველი ბინიდან ქარხნის ახალ კორპუსში გადასულიყვნენ. დაბადების დღე კი ახლოდებდა. დეკემბრის ბოლო მოვა სადაცაა. მერე რა კარგი ამინდია ქეიფ-დროსტარებისათვის. გარეთ შემოდგომასავით თბილა. მაშ თუ ახალი ბინით არა, სხვა რით გაახაროს სილოვანმა მისი თამია-თამარი? ხვალ, ხვალ... გაჩენის დღეა. და სწორედ ამ დღეს სამუშაოდან შინ დაბრუნება დაავიანა ქმარმა. თამიამ უფროსი შვილები აფრინა, გასწით, კაცს გაუღექითო. სილოვანი დიდხანს არსად ჩანდა და გვიან, ღამით შემოალო კარი. წარბგაუხსნელად შევიდა შინ. სელის უხეში ქსოვილის გაბერილი ტომარა შეიტანა, კუთხეში მიაგდო, ფეხი ჰკრა, გადაავორა, არა მკითხონ, შიგ რა ყრია, რა მო-

ვიტანეო. ის, რაც მოიტანა მეტად მცირე საჩუქრად მიიჩნდა.

თამარს ნაბოლარა შვილი ლოგინიდან აყენებინა, ყველას ახლად ახალი ტანსაცმელი ჩაეცვა. სუფრა გაშლილი იყო, შინაური, ოჯახის სუფრა, უსტუმროდ სავაზმოდ. გუგულ-სათის მოკლე ისარი ათს უახლოვდებოდა. თამიას მისი დაბადების, გაჩენის დღესაც გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ მისიანებისათვის ეზრუნა. სამზარეულოს კუთხეში მიმალულიყო, შუშის ჭურჭელს მეფეთაქესავით აწყარუნებდა.

— თამია, ხუთ წუთში დადგება შენი გაჩენის წამი! — გაახსენა ქალს სილოვანმა.

— მანდ შენი შვილები და შენ დასხედით სუფრასთან!

თამია დაღლილი იყო, დიდიდან ფეხზე ტრიალებდა.

— მოდი, ბური აგვალეზე ხელში! — არ ეშვებოდა სილოვანი.

— დაიწყეთ, მეც მოვალ!

— არა, ჩვენ კი არა, შენ, შენ დაგვაწყებინე, უშენოდ არ შემიძლია სუფრას ხელი დავყო.

— რადო, მაინცდამაინც — შეეკითხა თამია ქმარს და ყური გაამახვილა — აბა, შემდეგ რას იტყვისო.

— რადო? — თქვა სილოვანმა — მგონია ამას იქით მიყვარხარ და იმიტომ. და თუ ასეა, უშენოდ ან სუფრა რად მინდა, ან ეს სახლი.

ეს სიტყვები ისე, თავისით მრადგა ენაზე სილოვანს. თამიამ სწრაფად უშვა ხელი მდოგვის შენელება-გათქეფვას, მივიდა სუფრასთან, სადაც მას უცდიდნენ.

— როგორ, ვანა ახლა იგრძენი ჩემი დიდი სიყვარული, როცა ამოდენი შვილები გეყავს და ერთიერთმანეთის იქით წასასვლელი გზებიც აღარ არის. როცა შემირთე მაშინ?... მაშინ რას გრძნობდი?

— მაშინ, მაშინ... — სილოვანს ენა დაება, მაგრამ მაინც მოახერხა, — მაშინ ამაზე ძლიერ მიყვარდი, ოღონდაც ბრმად. ჩემ მაშინდელ გრძნობას იმით

გაუვედი, რომ წამოგიყვანე და მადლობა ჩემს იღბალს!..

ქმრის ასეთმა პასუხმა თამიას ლიმილი მოჰგვარა. თავით ფეხსმდე შეათრია ლიერა საფეთქლებშეთეთრებული სილოვანი, სწრაფად მიუჭდა მაგიდას. ყველას კერძი გადაუღო, შემწვარი კარგი გამოსულიყო. ქმარი და შვილები რომ მადიანად ილუკებოდნენ, ეს იყო ამის საბუთი. მაგიდასთან კი დიდხანს ვერ მოიკადა. სამზარეულოში კიდევ იწყებოდა კერძი და ცხვებოდა ნამცხვარი. მოსალოდნელი იყო სტუმრებიც შემოსულიყვნენ. სილოვანი ეცა, თითქმის ნაძალადევად ისევ სკამზე დასვა. მერე მერე ოთახში გავიდა, გამოიტანა, ის იყო, შინ მოტანილი ტომარი, რაც თამიას ჯერ არ დაენახა.

— ეგ რაღაა? — იკითხა ქალმა.

— ახალ ბინაში გადასვლა გვაგვიანდება, — უთხრა სილოვანმა. — ამის მაგივრად აი ეს საკაბე, — ტომრიდან ქსოვილი ამოიღო. ეს ერთი დასტა დაწყობილი პერანგები, ეს ფეხსაცმელები, ეს საკოსტუმე, ეს, ეს... ისეთი საყელოა, როგორიც შენ ერთ ქალს დაუნახე შარშან. ინატრე, ნეტავი ისეთი რამ მაშოენინაო.

თამიამ ხელი შეაზო საჩუქრებს. აღტაცების ნაცვლად წარბი წარბში გაუყარა. ცოლის ზოგიერთი უცნაურობა აშინებდა, დაბადების დღეს საჩუქრის ასე ცივად მიღებამ კაცს მღუღარე წყალი გადაასხა. არ იცოდა, რა ექნა. ფასი აღარ ჰქონდა სუფრასთან ყოფნას. მეტად დაფიქრებულიც იყო. ამ დროს თამია ისევ შევიდა. საჩუქრებს უეცრად დახვია ხელი. არ გაუსინჯავს, დაკუმში. კარადაში შეყარა. სელის უხეში ტომარა ოთხად გაკეცა; დალაგებულ ლოგინს, აფუებულ ბალიშებს ზემოდან გადააფარა.

— ეგ რა ჩაიდინე, ტომარას მანდ რა უნდა! — გაჭავრდა სილოვანი, გაჭავრდა და სწრაფად პირზე ხელი მიიფარა, ენას კბილი დააჭირა. იქ, სადღაცა, გულისა და გონების საზიარო

შესახვედრ შორეულ კუნძულში, რაც გააკეთა თამიამ, მოეწონა. თანაც შენიშნა, ქალი ქუჩაზე გასასვლელად პალატოს ასწორებდა და ამზადებდა.

— ქალო, რას აპირებ? სად მიხვალ? ნუთუ არაფრად ღირს, რაც შინ შემოვიტანე, მოგიტანე, ხომ არ წამილია?

— სილოვან! — ძლივს გაიღო ხმა თამიამ. — იმოდენი ნაყიდი იმ ტომრით ისე რად შემოვიტანე? განა აგრე ვახვევენ ქალისთვის საჩუქრებს?

— შევედი, რა ვქნა! უეცრად მიხლოდა გამეხარებინე.

— სწორედ ეგ შეგატყვე. ამიტომაც ის ტომარა ჩემთვის ახლა ყველაზე ძვირფასია. აჟი იმით მოგქონდა ჩემთვის მოულოდნელი სიხარული. ახლა გამიშვი, ერთი სტუმარი უნდა მოვიყვანო. ამ სტუმრის ჩემს სახლში შემოყვანას სანადიროსუბანში მოსვლის დღიდან ყოველ წელიწადს ვაპირებ და..

—ა გასწი, მოიყვა, ოღონდაც მალე, ჩქარა! — შეეხვეწა სილოვანი.

თამიამ კარი სწრაფად გაიხურა. ეზო გაიარა, ქუჩა გადასჭრა და მოპირდაპირე სახლის ჰიშკარი შეაღო. კიბის თავზე ასულმა კარს დაუაკუნა.

სად იყო სად არა, ლენტომ ჩამოიარა.

— იმ დედაკაცს იქ რა უნდა? — ჩაიბურტყუნა თავისთვის და ჩაიცინა.

ოთახის პატრონი, რომელსაც თამიამ დაუაკუნა, მოწყენილი იყო. ეს არის დაბრუნდა შინ. ოთხედელშუა დახურულში ნამყოფ ჰაერს ნესტის მძიმე სუნი უდიოდა. ქარხნის სასადილოში სადილობაც დაავიწყდა. ახლა შიოდა. რაჟი და შინ მოწყენილობა იყო, თანაც ცოტა რამეთი წახემსება ჰქირდებოდა, გადასწყვიტა, სადმე რესტორანში წასულიყო. იქ მუსიკასაც მოუსმენდა. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად კიდევაც მოეწყო, რომ კარზე კაკუნი შემოესმა. კაცს გული აუფართქალდა, ვის, ვის მოაგინდა მოხუცი? სახლმმართველს? ბინის, წყლის, ელექტრონის ფული გადახდილი აქვს. მეგობრებს? ისი-

ნი გადაეჩვიენ მასთან მისვლას და აღარ დადიან. ფოსტალიონი? გვიანაა. ჩანს, ვინმე დაბნეული მისამართს მაძებარია. დიახ ასეა. მისამართს ეძებს ვილაცა ვილაცისას და მას მიადგნენ კარზე! მუხლების კანკალით გაემართა ანდრია კარისაკენ.. ვინ უნდა იყოს? მისი ქოლგისოდენა შლიაპიანი ლიზიკო ხომ არა? უპ... რამდენი ხანი გავიდა მას მერე. ორ ათეულ წელიწადს გადააბიჯა. ბოლოს გააღო კარი და უეცრად ვილაცა ქალი გადაეხვია, გადააკონა და როგორ? ანდრიას ლოყაზე ცეცხლი მოედო, ხორცი ნაშანთივით დაედავა, ქალის თმის მათრობელა სურნელებამ კაცი კინალამ წააქცია. როცა კარგად გაარჩია, დაინახა ვინც იყო, ანდრია შეძრწუნდა:

— რა ამბავია, ჩემს, ან შენ თავზე, თამია? — შეეკითხა.

— მალე, მალე ჩემთან წამო, ეახშმად, სილოვანი გიკდის. დღეს იყავი ჩემი სტუმარი, მხოლოდ ჩემი და სხვისი არავისი.

— გასწი, მოვალ! — დაჰპირდა ანდრია. სტუმრისათვის დიდი ბოდიში არ მოუხდია, მაშინვე ქუჩისაკენ გასწია. მანქანაში ჩაჯდა, ქალაქის მთავარ ქუჩისაკენ უბრძანა.

ქუჩებში სინათლეები ბღღვრიალებდნენ. გვიან იყო. ნეტავი რად პატიოზენ ანდრიას? — ეკითხება იწყინერი თავისთვის — და დაასვენის:

— მიგიხვდი, მიგიხვდი, ქალბატონო. თორემ წინათ, რათ არაფერი გაიმეტე ხოლმე ჩემთვისა. მოფერებას ვინ ჩივს, სალამიც გიჭირდა მოგეცა. ახლა ახლა? ახლა მოხველ და ვახშამზე დამპატიე. იმიტომ, რომ ანდრია ღონეთელი ის აღარ არის, რაც იყო. ისიც რაღაც ვახდა ქვეყანაზე, რაღაცას მიაღწია. მაგრამ ანდრია მაინც გესტუმრებდა. იმიტომ, რომ მოუხარია შენთან, თავიდანვე კარგი იყავი და კარგი თვალით დაგინახა.

ავტომობილი ამასობაში მთავარ ქუჩაზე გავიდა.

ანდრიამ დიდი ხანია დაივიწყა ის დღეები, როცა საქმეთა მმართველად იყო. პირველი ხუთწლედის ბოლოს ერთ ამხანაგს გადაეყარა შემთხვევით. ამხანაგმა დიდი ქარხნის პატარა სახელოსნოში მიიწვია ტექნიკოსად. ანდრიამ ერთ წელიწადში აღიდგინა მესიერებაში მათემატიკა, ხაზვა და დავგემარება. რა საოცრად მალე მიდიოდა დრო! და ამ სიჩქარეში ანდრიამ ბერდებოდა, ლიზიკო იქ, სამარეში მიწდებოდა. ბოლო ორმოცდაათიან (ცოტა იქით, ცოტა აქეთ) წლებში, ქარხნის იმ პატარა სახელოსნოში, სადაც ანდრიამ მუშაობდა, ხელის გასამართავად, მანქანა-იარაღებზე მუშაობის მისახვევად, პრაქტიკაზე სტუდენტები გამოგზავნეს.

ანდრიამ ისინი უმალვე სილოვანთან მიიყვანა, ავერ, ბიჭებს, ჩარხების, დაზგების მოხმარა ასწავლევო.

ხანდახან დროს იშოვიდა. თვითონ დაუტრიალდებოდა ახალგაზრდა ზიკებს. ცივი რკინის ცივად დამუშავების ხელოვნებაზე ელაპარაკებოდა დიდ ხანს. არც თუ იშვიათად საუბარი ისე გაგრძელდებოდა, რომ სამუშაოს დამთავრების საათს ვეღარ შენიშნავდნენ. მერე როგორ მოხდა, სტუდენტებმა მიიტანეს მისი ამბავი ინსტიტუტში, თუ ინსტიტუტის დირექტორს რაღაც მოეჩვენა, ანდრიამ ლაბორანტად მიიწვიეს სასწავლო კომბინატის კორპუსში. თანამდებობის დასაკავებლად როგორც გამოცდა, მცირე ნაშრომი მოსთხოვეს და შეასრულებინეს საჩქაროდ, ეს სამუშაო პატარა ხელნაწერი შეიქმნა. სულ პატარა, უბრალო რამეს შეეხებოდა, (ასე ეგონა ანდრიას, რომ სულ უბრალო რამე იყო). ნაშრომი აღწერდა სილოვანისა და მისი ამხანაგების შრომას წარმოებაში. და სწორედ ეს მოუწონეს ანდრიას, რომელიც ეფიცებოდა ყველას, აქ სულაც არაფერია, ეს ყველას შეუძლია ისე გააკეთოს, როგორც სილოვანი და მისი ამხანაგები აკეთებენო. ის, რაც ქუთაისელმა

იოსებ ხაზარაძემ შესძლო წარმოებისათვის, იმას, აბა, სხვა ვინ შესძლებსო. მაგრამ არავის სჯეროდა ეს, ეთანხმებოდნენ, ხაზარაძის ოდენა დამსახურება, მართლაც, არაა, მაგრამ მაინც, ძალზე საჭიროაო.

მერე თითო-ოროლა ნაცნობს უამბობდა ანდრიამ: მუშები ფრთხილად, თავგზიანად ხარჯავენ ცივად დასამუშავებელ ლითონის ნაჭრებს. ჩარხებს, დაზგებს, ხელსაწყოებს ეფერებიან, საცხებ ზეთებს მომჭირნედ უსვამენ მანქანებს ნასვრეტებზე, სხვადასხვა მარკის ლითონის ბურბუშელასაც ცალცალკე ავროვებენ; სამუშაო დროს ერთ წუთს არ უშვებენ უქმად.

ეს აღწერა, ეს დაწერა, მეტი არაფერი? აბარა არის ეს? თითქმის უმნიშვნელო იმასთან შედარებით, რაც ლითონის დამუშავებაში ახლა ქარხნებში ხდება. ნაშრომი მოიწონეს, ანდრიას მეცნიერული ხარისხი მისცეს. თუ საკმაოდ გახადეს რამე გამოცდილმა ინჟინრებმა, პროფესორებმა, დოქტორებმა და დოცენტებმა, — ეს იმიტომ, რომ ანდრიამ ღონეთელი კამათში გაეტყუებინათ, მეცნიერულ ფარეკობაში გაეგოთ, როგორი ენის ქავლის პატრონი იყო მომავალი კოლეგა. ნაშრომი, თითქოს ნაცემივით გვერდებმტიკნეული დაბრუნდა შინ ანდრიამ. კმაყოფილი და რაღაც საოცრად გახარებული იყო. სხეული კი მაინც სტკიოდა. დასამუშავებლად ჯერ პირამიდონი მიიღო მერე, იქნებ დამეძინოსო, ბრომურალიც დააყოლა და მართლაც დაიძინა. როცა გაეღვიძა, თავი სიზმარში ეგონა, კარგა ხანს.

ეს ამბავი შემოდგომის დამლევს მოხდა. პირველი იანვრიდან ანდრიამ ლექციების კითხვას შეუდგება.

— დიან, დიან! ხალხი გაეშმაყდა. — ეპარება რატომღაც ეჭვი ანდრიას. — შოშიაშვილები სხვაზე უკეთესები არ არიან... გაიგეს, რომ სილოვანი, მისი ბრიგადის წევრებითურთ იმ ნაშრომში, თითქმის, ყოველ გვერდზე მოიხ-

სენება. აგერ შენ, ანდრია, ამისათვის სასყიდელი! გადაგოცნეს, ვახშმად მიგიატყვეს. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ესტუმრება ანდრია შოშიაშვილებს. იქ თამია, თამარია. იპ, იპ, იპ, როგორი გამხდარი, წვრილ ფეხებსა და კოხტა მუხლებზე შემდგარი ვაზაფხულის შხოლარივით გოგო იყო და ახლა როგორ დადგააკებულა! გასწევს ანდრია შოშიაშვილებისას სტუმრად, ერთ ნაჭერ შემწვარს გადმოიღებს, ორიოდ ჰქია წითელ ღვინოს შესვამს...

მთავარ ქუჩის ყველაზე განათებულ მაღაზიაში შოკოლადი იყიდა, საყვავილეში რამდენიმე ცალი ყველაზე ძვირფასი ყვავილი გამოართვა. მყიდველებთან ჯაჭგურში ვიღაც ბიჭმა ჭიბეში ხელი ჩაუყო, ორი ცალი სამშანეთიანი ამოართვა ანდრიას. ეპ, ეპ, ჯანიც გავარდნია. მძლოლმა დადგენილის ნაცვლად, ერთი სამად გადაახდევინა, ამასაც ჯანი გავარდნია!

— მომილოცავს, თამია-თამარ შენი გაჩენის დღე!

— გაიხარეთ, გაიხარეთ!

ეგებებიან შოშიაშვილები ანდრიას და იქ სვამენ სტუმარს, სადაც სილოვანის და თამიას უფროსი, ორი გასათხოვრად ერთმანეთს მოწეული და საცოლედ მოსწრებული ვაჟი ზის. სილოვანმა გახსნა ბოთლები. ხან წითელ ღვინოს დაუსხამს ანდრიას, ხან თეთრს, ხან ვარდისფერს, ხან ატენურს, ხან კახურს.

სტუმარს სირცხვილი ბუძგავს ტან-

ში. მასპინძლებმა არაფერი იციან ანდრიას მიწვევაზე ინსტიტუტში ღვინოების წასაქობავად. არც პატარა ნამურომის დიდი გამარჯვებისა სმენიათ რამე. სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისათვის ხომ ყურიც არ მოუქრავთ! თურმე ისე, უანგაროდ უყვართ ანდრია სილოვანს, თამიას-თამარს, მათ ეჭვს შვილს და კიდევ ბევრს სანადიროსუბანში! ამაზე კი უკაცრავად, ვერ იტყვი ჯანი გავარდნიაო. ეს რაღაც უფრო დიდი და ძნელად მისახვედრი მოვლენების შედეგი უნდა იყოს, რომელიც აი იქ, ორნახევარი ათეული წლის წინათ კეთილი სიტყვის თესლში გაისახა, აღიზარდა, მშვენიერებად იქცა.

გვიან, ძალიან გვიან გამოვიდა შოშიაშვილებიდან ანდრია ღონეთელი. სანადიროსუბნელთაგან ბევრი ისევე გარეთ დადიოდა. ლენტოც იქ იყო. დაიარებოდა თოვლზე და ბორცოსიტყვაობის გეშმა მთლად შეიპყრო.

— იპ, რა უნდოდა ამ დროს მაგ ბერუხუნას შოშიაშვილისას? ნეტავი რად დაეხეტება იქ? ვის უთვალთვალებს თამიას თუ მის ორ ქალს? ჰი... ჰი... ჰი...

ანდრიამ მოჰკრა ამას ყური. აბა, როგორ გამოედავებოდა, როცა ჯერ ერთხელაც არ შელაპარაკებულაო ლენტოსთან. კიბე აიარა. ელექტრონი რომ აანთო, თვალწინ დაუდგა შორს, ძალიან შორს დარჩენილი ქოლგისოდენა შლიაპიანი ლიზიკო, და შინ ვედარ გაჩერდა.



უზ უიზანი

როცა ეზოში გაზაფხულზე

1

როცა ეზოში, გაზაფხულზე კვლავ აყვავდა იასამანი
და მწუხრის ცაზე დასავლეთით მიიწურა დიდი ვარსკვლავი,
მე ვტიროდი და ვიტირებ მუდამ,
ყოველთვის, როცა გაზაფხული კვლავ დაბრუნდება.

ყოველ გაზაფხულს ეს სამება ძველებურად იქნება ჩემთან,
აყვავებული იასამანი და დასავლით მიწურვილი დიდი ვარსკვლავი,
და ფიჭვი ჩემთვის საყვარელ კაცზე.

2

ო, დიდი, დიდი ვარსკვლავი ჩაქრა!
ჰოი, თქვენ ჩრდილნო ღამისანო, ცრემლიანო, მწარე ღამეო...
ჩასვენდა მისი შარავანდი, შემობურა შავმა ღრუბელმა,
ო, ეს ხელები, უღონოდ რომ ჩამქიდებიან!
ო, სიძაბუნე ჩემი გულისა!
ო, ეს ღრუბელი ყრუ და მქისე,
გული შავად რომ შემიღება და არ უნდა ჩემი გაშვება!

3

ძველი სახლის წინ, ეზოში, კირით შეთეთრებულ მესერის ახლოს
ყვავდა თურმე შტომრავალი იასამანი,
გულისმაგვარი და მუქმწვანე ფოთლით მოსილი,
შემკული ნაზი ყვავილების მირიად ფურცლით,
ძალოვანი სურნელის მქონე,
და თვითველი მისი ღერო სასწაულს ჰგავდა,
და ეზოში ამ იასამანს,
ასე ნაზი და ფეროვანი ყვავილით შემკულს,
გულისმაგვარი და მუქმწვანე ფოთლებით მოსილს
მე ყვავილებით გაფეთქილი შტო ჩამოვტეხე.

4

შორს მიყრუებულ ლაქაშებში მიყუყულა მრეში ჩიტი
და თავისთვის გალობს და გალობს,
მარტოხელა მგალობელი, კაცთა სამყოფს განრიდებული,



თავისთვის გალობს საგალობელს,
 სისხლგამდინარი ყელის სიმღერას,
 სიცოცხლის ქებას, რაშიც სიკვდილი იწურება (რადგან ძმავ ჩემო, ჩემო, ჩემო)
 მე კარგად ვიცი, შენ მოკვდებოდი, გალობა რომ არ შეგძლებოდა).

5

გაზაფხულის გაღვივებულ შერბულზე, ქვეყნის გულში, ქალაქთა შორის,
 გზათა შუა და ძველებური ქალების წიაღ,
 სადაც ახლახან, შარშანდელი ფოთლების ლექზე,

მექ წინწყლებად კორჩიოტა ამოიწვება,
 ბილიკთა გავლით, რომლის გასწვრივ და გარდიგარდმო
 მობიზინე ბალახთა ზღვაა,
 ჯეჯილების და ბაღების ახლოს,
 ვარდისფერად გადაპენტილ ვაშლების გვერდით,
 მკვდარი სხეული სამარისკენ რომ მიაქვს მძიმედ —
 შეუსვენებელივ მოგზაურობს დღედაღამ კუბო.

6

ნელა მიიწევს კუბო ქუჩით და ბილიკებით,
 დღისა და ღამის წიაღ მიდის,

დიდ შავ დრუბელში, რომლისგანაც შავდება მიწა,
 ნახევრადგაშლილ დროშების წიაღ, შავად შეფუთვულ ქალაქთა შორის
 და შტატებს შორის, ძაძითმოსილ ქალებს რომ გვანან.
 და თავდახრილი პროცესია ანთებული ჩირაღდნებით მიჰყვება უკან,
 და ამ ღამეულ ნათლის შუქზე, დამწუხრებული სახეების ზღვა მიიწვება.
 ელოდებიან სადგურები და კუბო მიდის

და დაღვრემილი სახეების ზღვა ხედება ყველგან,
 და ტყდება ღამე პანაშვიდით და სივრცეს არყევს
 ათასხმოვანი საგალობლის აგუგუნება,
 და მოტირალთა გულსაკლავი ხმა წვიმად იღვრება კუბოს გარშემო.
 მბეჭუტავ სათლევით მოცამციმე ეკლესიებით,

და სიმწრისგან ათრთოლებულ ორღანოებით,
 სამგლოვიარო ზარის რეკით, დაუმცხრალი, მძლავრი გუგუნით
 მიემართები შენს გზაზე კუბოვ,

და იქ, სადაც შენ ასე მძიმედ გაივლი ჩემს წინ,
 მე გაძლევი ჩემს შტოს იასამნისას.

7

არა მარტო შენ და მხოლოდ შენ ერთს,
 მწვანე შტოებს და თაიგულებს მე თვითვე კუბოს მივუტან,
 რადგან დილისებრ ამოს და ცინცხალს —
 საგალობელი მსურს გიმღერო შენ, ტყბილო და წმინდა სიკვდილო!

მთლად შენ ვარდებით ო, სიკვდილო,
 მთლად შენ ვარდებით და აღრეულ შრომანებით მინდა შეგამყო,
 მაგრამ უფრო კი იასამნით, ყველაზე აღრე რომელიც ჰყვავის.

ვამტვრევ და ვამტვრევ ლილხაფერ შტოებს
 და ყვავილებით ხელაწილი მოვდივართ შენთან და გულზე გაყრი,
 შენ გაყრი გულზე ამ ყვავილებს
 და შენს ყველა კუბოს — სიკვდილო!

8

ო, დასავლეთით დადრეკილო დიდო ვარსკვლავო,
 ახლა მე ვიცი რას მიმალავდი,

ერთი თვის წინათ,

მდუმარე და გამჟვირვალე ღამის წილ, როცა ვიდოდი,
 როდესაც ვნახე რომ ჩემსკენ დახრილს, რაღაცის თქმა გინდოდა ჩემთვის
 და იხრებოდი უფრო და უფრო, თითქოს ჩემსკენ ეშურებოდი,
 (ხოლო ცით, ყველა სხვა ვარსკვლავი ჩვენ დაგვეურებდა),
 როს იმ დიდებულ ღამეს ერთად დავეყოლობდით,
 (რადგან არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც არ მაძინებდა),
 როცა ღამეში გავსცქეროდი მე დასალიერს
 და ცის კიდეზე შენ ვიხილე კმუნეითმოსილი,
 როს გამჟვირვალე, სუსხიან ღამეს, გრილ ნიაქქარში
 მე ბექობზე ვიდეჭი მარტო

და ვპერეტდი როგორ მოწყდი ცას და გადაეშვი ღამის უკუნში,
 როს ჩემი გული შემკრთალი და შეძრწუნებული
 შენ დაგედევნა, — ბნელში დანთქმულ მწუხარე ვარსკვლავს.

9

ო, იგალობე, იგალობე მაგ ლაქაშებში
 შენ — მგალობელო, მწყაზარო და კდემამოსილო,
 მე მეყურება შენი სტვენა, შენი ძახილი,
 მეყურება და მესმის შენი და მალე მოვალ,
 მაგრამ ცოტახნით დავყოვნდები,
 რადგან ვარსკვლავმა დამაკავა მე ერთი წუთით,
 ვარსკვლავს, მიმავალ ჩემს ამხანაგს,
 ვუპყრივარ და აღარ უნდა ჩემი გაშვება.

10

როგორ ვუმღერო საგალობელი მიცვალებულს,

რომელიც მე ასე მიყვარდა?

როგორ ვუმღერო მე სიმღერა ჩემგან წასულ უსაყვარლეს კაცს?

ანდა როგორი სურნელება დავუკმით ძვირფას სამარეს?

აღმოსავლის და დასავლეთის მძლავრი ქარები,

აღმოსავლის და დასავლეთის ზღვით მობერილი,

პრერიებში ერთმანეთს რომ შეეყრებიან —
 ამ ქარებით და ჩემგან ნათქვამ საგალობლით,
 მათი სურნელით ამოვავსებ ძვირფას სამარეს!



11

რას ჩამოეკიდებ მისი მყუდრო ბინის კედლებზე?
 ან როგორ მოვრთავ მის აკლამას, მის ძვალოშესალაგს?

მე სურათებით მოვრთავ კედლებს
 და სურათებზე აღბეჭდილი იქნება სივრცე,
 სოფლის ხედი და მოზღვავება გაზაფხულისა,
 მზის ჩასვენება და მაისის მყუდრო საღამო
 დაისების მოელვარე შარავანდედით,
 ცის კიდეს ზანტად დამავალი მზის ოქროს ჩქერი,
 ნელლი და მსუყე ბალახები,
 ნაყოფმრავალი ხეები და მწვანე ფოთლები,
 მდინარის წყნარი ზედაპირი, ალაგალაგ გაკაწრული ნიავის ფრთითა
 და ნაპირებზე ბორცვების მწკრივი,
 და იქვე, ახლოს რომ მოსჩანდეს ქალაქი მჭიდროდ დასახლებული,
 საკვამური მიღებით და ქუჩაბანდებით,
 და რომ ცხოვრების ყველა კუთხე იყოს უკლებლივ,
 რომ ჩანდეს ყველა სახელოსნო
 და მუშაკაცი მომავალნი სამუშაოდან.

12

ეგ არის, — სული და სხეული — ჩემი ქვეყანა,
 ჩემი მქუხარე მანპეტენი, სახლების ქიმი,
 ნაპერწკლიანი, ტალღაჩქარი წყალი, გემები.
 უთვალავ ფერით მორჭმული მიწა,
 სამხრეთი და ჩრდილოეთი ნათელმოსილი,
 ოპაიოს ნაპირები და ცეცხლივით მოლაპლაპე მისურის ზურგი,
 სიმინდითა და ბალახებით მობიბინე
 მარადემული, უნაპირო მინდორველები.

აჰა, ყველაზე ლამაზი მზე, ასეთი მშვიდი, წყნარი, ამაყი.
 აჰა, ეს დილა ცისფერთვალება ნიავისგან ოდნავ რბელი,
 შეუწერელი ბრწყინვალეობა — ამო, რბილი, ნაზადშობილი,
 და სასწაულად მიმოღვრილი
 ყოვლისწარმხოცი, სრულმყოფელი, ოქროს შუადღე.
 საამური საღამო და სანატრელი ღამე თავის ვარსკვლავებითა,
 რომლებიც მშვიდად ციმციმებენ ქალაქის თავზე
 და ლიყვარულით ეხვევიან კაცს და ქვეყანას.

13

ო, ივანოზე, ივანოზე მრეშო ჩიტუნა,
 მაგ უკაცრიელ საფარიდან მომაწვდინე შენი სიმღერა,

წყვედიადიდან უსასრულოდ ნაგალობევი,
 იქიდან, სადაც ნაძვები და კედრები დგანან.
 იმდერე ჩემო ძვირფასო ძმავ,
 სალამურივით მოკლურტულე შენი სიმღერა,
 უსაზღვრო სევდით აფსებული კაცური და ხმაალალო საგალობელი.

ო, ნაზო და წარმდინარო, თავისუფალო,
 სულის მეოხო, ო, ჯადოსანო მგალობელო მიმდერე კიდევ.
 მე შენ ყურს გივდებ, მაგრამ ვარსკვლავი არ მიშვებს შენთან,
 მაგრამ არ მიშვებს გულისწამლები სურნელეზა იასამნისა.

14

ვიდრე მე ვიჭექე ღამითნოსილი და ჩემს წინ ყოველს მოვიხილაედი. —
 ვუმზერდი მყუდრო შეღამებას, გაზაფხულის ხოდაბუნებს,
 მოფუსფუსე დაბას და სოფელს,
 მე ჩემი ქვეყნის თვალწვდენელ სანახებში, თავის ტბებით და
 ტყეებითურთ
 ამ პაეროვან, შეუმღვრეველ სილამაზეში (უამინდობის და ბობოქარ
 ქარების შემდეგ).

სალამო ხანის ცის თალის ქვეშე, სალამო ხანის,
 რომელიც ასე სწრაფად ვადის ბალღების და დიაცების ყივილხივილში.
 მე მოვიხილე დაუცხრომელი მიმოქცევა ზღვის ტალღებისა,
 მე მოვიხილე ხომალდები იალქნიანი,
 ახლოვდებოდა ხეაერელი შემოდგომა
 და ყოველ სახლში საყუთარი ცხოვრება დუღდა,
 და გუგუნებდენ ბობოქარი ქუჩაბანდები
 და გულდასშული ქალაქები თავისთვის იდგნენ და სწორედ ამ დროს.
 გამოჩნდა ნისლი, გამოჩნდა გრძელი და შავი ბლონდი
 და მე ვიცანი სიკვდილი, მისი გულსსიტყვა და წმინდა ცოდნა.
 და სიკვდილის ეს წმინდა ცოდნა ახლა ჩემს გვერდით
 მოაბიჯებს მშვიდად ერთ მხარეს.

და გულსსიტყვა სიკვდილისა მოაბიჯებს მეორე მხარეს,
 და მე მათ შორის ვით მოყვასი — მათთან ხელგაჩაქიდებული.
 მე მივრბივარ ამ უსიტყვო, ყოველისმიმღებ, ბნელი ღამისკენ.
 მივრბივარ ქვევით, ნაპირისკენ,
 ღამის წყვედიადში გაყუჩებულ ყრუ ბილიეებით,
 ბნელ და დიდებულ კედართა მიმართ,
 აჩრდილებივით გარინდებულ, ბნელითმოსილ ნაძვებისაკენ.

და მგალობელი მწყაზარი და კდემამოსილი მე არ უარყოფს,
 მრეში ჩიტუნა გვეგებება ჩვენ, — სამ მეგობარს
 და სიკვდილის ქებას გვიგალობს,
 და გვიგალობს საგალობელს ჩემთვის ძვირფას ადამიანზე...
 ღრმა და მიუვალ სამალავიდან,
 აგრე მღუმარე, აჩრდილებივით ბნელითმოსილ,
 სურნელოვან ნაძვების და კედრების მხრიდან



ფრინველის ლალი, მზიარული სიმღერა ისმის.
 ალტაცებას მგერის ეს სიმღერა გულისშემძვრელი,
 როცა მე ვდგავარ თითქო ხელბეჩაყიდებულ
 ჩემს დამეულ მეგობრებთან — ორ ტბილ მოყვასთან
 და ჩემი სულის ხშიანობა მგალობელის სიმღერას ერთვის:

შენ, მოალურსე და ტბილო სიკვდილო,
 ქვეყნის გარემოვლით შემოქცეულო,
 შენ, სხივოსანო, მოდიხარ, მოდიხარ,
 დღისითა და ღამით, ყველგან და ყველასთან,
 ადრე თუ გვიან — სათნო სიკვდილო!

დიდება უძირო სამყაროს,
 სიცოცხლისა და სიბარულისათვის, ცოდნის და ცნობის საწადელი
 საგნებისათვის

და სიყვარულის, ტბილი, ტბილი სიყვარულისათვის!
 მაგრამ დიდება, დიდება, დიდება,
 სიკვდილის მარჯვე და შავარ ხელებს
 და ვულზე შირქმას სისხლის გამყინაჯს.

ბნელო დედაო! —

შენ მარადე ფეხაკრეფით დასეირნობ ჩვენს შორიახლოს,
 ჩემი და რბილი ნაბიჯებით,
 უგალობია ვინმეს შენთვის საგალობელი გულითადი მისალმებისა?
 მე ვიგალობ ამ საგალობელს, მე გადიდებ ყოველთა ზედა,
 ფეხშეუშლელი ნაბიჯით რომ მოხვიდე ჩემთან,
 როცა ჩემი საათი დაჰკრავს..

ძალგულოვანო ჩვენო მშსნელო, მო, მოგვეახლე!
 ყველას, ვინც კი შენ მიგითვისია მე ქებას ვეტყვი,
 ხალისიანი ხმით ეუმღერებ მე გარდაცვლილებს,
 შენი უძირო სიყვარულის უფსკრულში დანთქმულთ,
 სიკვდილო, შენი ნეტარების წარღვნით განზანდილთ!
 შენ გქონდეს ჩემგან გალობანი სიბარულისა,
 ზემითა და როკვით შეგხედეს ყველგან ყოველი,
 მოიკაზმონ და ინადიმონ, იმზიარულონ.

ეგ შენ შეგფეროს მაღალი ცა, მხარგაშლილი, უსაზღვრო სიერცე,
 ველმინდერები და უზარმაზარი, ფიქრიანი, მდუმარე დამე.
 ვარსკვლავებით დახუნძლული მდუმარე დამე.
 ოკეანის ნაპირი და გულისათვის საცნაური ზრინწიანი ხმა ტალღებისა..
 და სული შენსკენ მოპყრობილი, ო, სიკვდილო,
 გულმოდგინედ შეფუთნულო, შეუწერელო,
 და სხეული, რომელიც შენ გეხუტება მადლიერებით.

ხეთა მწვერვალთა ზე შევმართავ ჩემს სიმღერას, სიკვდილო, შენთვის,
 დანთქრეულ და ზედამართულ ტალღებსა და უკიდვანო,
 უნაპირო მინდორველებზე,
 ხალხით გაჭედილ ქალაქებზე,

მოფუთფუთე ვერფებზე და შფოთიან გზებზე,
მე შენ გიგზავნი ამ მხიარულ საგალობელს,
გიხაროდენ, ჰოი, სიკვდილო!



15

ხმაშეწყობილი ჩემს სიმღერასთან
მკაფიოდ და მძლავრად სტვენდა მრეში ჩიტუნა,
წმინდა და მკვეთრი ხმით ავსებდა უსაზღვრო ღამეს.
მკაფიოდ — ნაძვთა და მოქუფრულ კედართა შორის,
მკვეთრად — ლაქაშთა სურნელოვან, სველ სიგრილეში,
და მეც ჩემს სათნო მეგობრებთან — იქ, ღამეს შორის!

და ჩემს წინაშე შეიმშუშნენ მამის ჯარები,
და თითქო უხმო ზმანებებში მე ვიხილე საბრძოლო დროშა,
ათასი დროშა, ომის ცეცხლში ხმარებული,
დაცხრილული ტყვიების წვიმით,
და ეს დროშები ბრძოლის ალში შეტრუსულნი, მისხლით მოთხვრილნი,
აქეთ-იქეთ ეხეთქებოდნენ,
და ბოლოს დროშის ორი-სამი ნაფლეთიდა შერჩა დროშისტარს
(და დუმოდა დაისადგურა)
და ჰა, ტარებიც გადაიმსხვრა და დაიღწა.
და მე ვიხილე მირიადი გვამი ომისა,
ომში დახოცილ მეომართა დაზვიუნული გვაშების გროვა,
მაგრამ მე ვნახე რომ ისინი სულ არ იყვნენ ისეთები,
როგორც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი,
ისინი მშვიდად განისვენებდნენ, ისინი არ იტანჯებოდნენ,
ცოცხლები მწარედ იტანჯებოდნენ, იტანჯებოდა მოკლულის დედა,
ცოლი და შვილი და გულმწუხარე ამხანაგი იტანჯებოდა
და ის ჯარები, რომლებიც ომს გადაურჩნენ იტანჯებოდნენ.

16

ამ ჩვენებათა და ღამეთა წიად მავალი, — გალობის წიად,
განდევილი მრეში ჩიტი ხმაშეწყობით რომ გალობდა ჩემს
სულთან ერთად —
გამარჯვების მძლე სიმღერა, სიკვდილისა დამთრგუნველი,
მაგრამ მულამ ცვალებადი, მრავალხმიანი,
გულამოსკვნილი, ნაღვლიანი საგალობელი,
ასეთი წმინდა და წკრიალა, მხნე მოძახილით,
რომ დგებოდა და ეცემოდა და მოვარდნილ ღვართქაფად რომ
ავსებდა ღამეს —
ხან გულმწუხარედ ხმაჩამკვდარი, ხან ქუხილივით მოქუხარე,
ხან მთრთოლავი ბედნიერებით, —
ეფინებოდა დედამიწას და ავსებდა ცათა სიღრმეებს,
და როდესაც შემომესმა ღამეული ველებიდან ეს მძლე ფსალმუნი, —
ამ ჩვენებათა და ღამეთა წიად მავალი,



გამოგებობოვე მე შენ, ჩემო იასამანო,
 ხარობდე კვლავაც ამ ეზოში, ყვავილობდე ყოველ გაზაფხულს,
 ჩემს საგალობელს მე შენ გამო ვანებე თავი
 და აღარ გიმზერ უკვე, აღარც დამავლეთით ვიყურები რომ გესაუბრო,
 ო, სხივოსანო მეგობარო, ვერცხლისფერად სახემოსილო.

და მაინც გულში მე მარადღე დავიმარხავ
 ამ ღამისაგან მონიჭებულ ყველა საუნჯეს,
 მრეში ჩიტუნას მიერ ნამღერ გასაოცარ, მხნე საგალობელს
 და იმ გალობას; ჩემმა გულმა რომ იმღერა მის საპასუხოდ,
 და დატანჯული სახით მზირალ მწუხარე ვარსკვლავს,
 მიმწუხრძას დასავლეთის ცაზე მიწურვილს.
 და მათაც, მათაც, მხარდამხარ რომ მომყვებოდნენ
 მგალობლის მხნე დამახილზე, —
 ჩემი მოყვასნი და მე მათ შორის, მე ისინი არასოდეს დამავიწყდება,
 იმ კაცის გამო, რომელიც მე ასე მიყვარდა,
 ყველა ჩემს დღეთა და ყველა ქვეყნის უბრძნესი და უტკბილესი
 სულისა გამო.

მის გამო, ჩემი ძვირფასის გამო.
 იაამანი და უარსკვლავი და მრეში ჩიტი მოეძერწნენ ჩემი სულის
 საგალობელს
 იქ, სურნელოვან ნაძვებსა და ბნელითმოსილ და მოქუფრულ
 კედართა შორის.

ინგლისურიდან თარგმნა თამაზ მანუჩიძე



ჩინჩა მარია ჩიკა

როგორ მოვიდა სიყვარული...

როგორ მოვიდა, მოგეახლა სიყვარული მაინც თავიდან?
იქნება ისე, როგორც თოვლი მზის თუ ყვავილთა,
იქნება ისე, როგორც ლოცვა? — მიამბო მინდა:

ბედნიერება მოსკდა ცათა ტანმოვლვარე
და აფეთქებულ, აყვავებულ სულის მწვერვალზე
გადმოშეკიდა მოქნეულ ფრთითა.

ესპანელი მოცეკვავე ქალი

როგორც ასანთი გაკერის უმაღლვე,
სანამ მოასწრებს ალად მოდებას,
აცახცახებულ ენებს გაიწვდენს —
ისეა მისი ცეკვა მხურვალე:
ამგერებული გაფართოვდება
ამ ვიწრო წრეში მაცურებელთა,
გარს რომ ერტყმიან.
და მერე უცებ გადიქცევა ალად ერთიან.

თმებში ცეცხლს გაიჩენს თვალთა ნაპერწკლებით
და კიდევ ერთხელაც ამ მღუარ ხანძარში
დაატრიალებს კაბას გადაშლილს;
თითქოს გველებია ცეცხლში დაფეთებით,
ცეცხლში გაავებით
გარეგაშოწვდილან, გარესაგსავებენ
ფხიზლად მოტკიციალე შიშველი მკლავები.

ერთბაშად თითქოსდა შეაკლდა ცეცხლი,
სხეული შემართა დედოფლის ეშხით,
ერთად მოკრიბა და დაიგდო ფერხთით
ნარჩენი ცეცხლი.
დაიგდო ფერხთით და დახედა იმწამსვე
როგორ გახელებით კვლავ ერთი მიწაზე.
გამარჯვებულის შემართა მზერა და
სახეზე დამტკბარი ღიმილის შერხვეით
მიწას წაუშინა პატარა ფეხები.



მე შიში ამიტანს

კაცთა სიტყვებისგან შიში და ძრწოლა
 ამიტანს: ყველაფერს დაარქვეს სახელი.
 ეგ ძალლი არისო და ის კიდევ სახლი,
 აქ თავი არის და იქ კიდევ ბოლო.
 მე აზრი მაშინებს სიტყვებში ნათქვამი,
 მათ ყველა იციან, რაც იყო, იქნება,
 მათ არ გააოცებთ მწვერვალთა მიგნება,
 მათი საბრძანისი მიატანს ცათამღი.
 განზე გავუდექი, სიტყვებს მოვერიდე.
 მე თავად საგანთა სიმღერას ვისმენ.
 სიტყვით ხელყოფილი მუნჯდება მყისვე,
 კვდება და მუნჯდება ირგვლივ ყოველივე.

ძ რ წ ო ლ ა

გადამხმარ ტყეში დგას გაშლილი ფრინველთ ძახილი,
 ფრინველთ ძახილი უცნაური ისე მოისმა,
 როგორც უაზრო, უსახელო და უსაგანო:
 გამხმარ ტყის შიგნით;
 და მაინც იგი,

წარმომდგარი ამა დროისგან,
 უცნაურ მრგვალი და გარშემო,
 ვითარცა ზეცა დაუსაბამო,
 გადამხმარ ტყეზე ასვენია ფრინველთ ძახილი.
 უკან დაიხვეს, გადადგება მის წინ ყოველი,
 მასში შთაინთქა მთლად ქვეყანა, ქვეყნად რაც არი,
 მასში შთაინთქა ქარი დიდი, უზარმაზარი.
 და წუთი ერთი, დროდინებას მისდევს რომელიც,
 ვაფთორებულა იღუმალის რისმე გაგებით:
 თითქოს იცოდეს უსახელო მისი სახელი,
 რაც წარმომდგარა იმა ძახილით
 და გარდუვალის რისიცი განგებით,
 აღესრულება ქვეყნად ყოველი.

წიგნის კითხვისას

მე ვკითხულობდი დიდხანს და დიდხანს,
 თავმიცემული ჟინიან კითხვას,
 დაბმული თვალთ და ყურადღებით —
 მას აქეთ რაკი ნაშუადღევ
 წვიმის წვეთებად უცებ აშხედდა
 და ისე მოდგა სახლის ფანჯრებთან.
 დაიხშო მაშინ სამყარო გარე,
 დაყრუვდა მაშინ შრიალი ქარის,
 ველარ ატანდა ჩემამდე შიგნი:

ისე მიმძიმდა ეგ ჩემი წიგნი.

მე ჩავეყურებდი წიგნს ფურცლებში, ვუმზერდი ფურცლებს,
როგორც სახეებს ფიქრით ბნელთ და გარეშემოსილთ...

და დრო ჩაგუბდა ჩემი კითხვის გარეშემოზე.

მერე როდესაც კიდევ ერთხელ ინათა უცებ,

ინათა წამით

და შეუქი ერთი გადაფურცვლილ ფურცლებში ჩაწვა.

მე ჩავეკითხე აღრეული სიტყვების ნაცვლად
სალამოჟამი, სალამოჟამი...

ისევ ვკითხულობ, მაგრამ ჩაწყდა სტრიქონი სწორი,
მოწყუნენ, მოეშენენ და გაგორდნენ სიტყვები შორით...

და ვიცი ახლა: გაჩაღებულ ბალებს გადაღმა

მზე გადაქანდა, უბოლოო ხეცას გადააყვავა,

გადასცდა ბალებს, შემობრუნდა მერე იქედან

და ალობებზე კიდევ ერთხელ გადმოიხედა.

მერე დაბნელდა, ჩამოეშვა ზაფხულის ღამე;

მანაც გაეარჩიე: გზებს მიყვება ჭგუფ-ჭგუფად ხალხი,

შორ გზებს მიყვება, ახვევია ბურუსი თალხი...

და სულ შორიდან — მეტს ნიშნავდეს ვითომცდა რამეს —

მოისმის მათგან ღარხეული ბინდიან ხმებად

ამბაეი მათი რამ მცირედი, რაც კიდევ ხდება.

და ახლაც როცა წიგნს წავეართვი თავი და თვალი,

როგორც ახლობელს, ისე ვიცნობ თვითვეულ საგანს;

გარე დამხვდებია, რაც ჩემს შიგნი ცოცხალი არი,

და უსახლდგროა ყოველივე იქაც და აქაც;

მაგრამ როცა კი მზერა ჩემი ბოლომდე მისწვდა

დინჯად უბრალო, უზარმაზარ სიდიდეს ნივთთა,

მაშინ აღივსო, აღიმართა ცათამდე მიწა,

ცათამდე მისწვდა.

ღედამიწა ისე აღიღდა...

და სულ პირველი ცის ვარსკვლავი იმ სხივად იქცა,

რომელს მოისვრის ღედამიწა ბოლო ფანჯრიდან.

სულია განა...

სულია განა, თქვენში მოყდარუნე რომ არი

თითქოს მასხარას ეგვანის ხმებად

წარჩინების და ტაშის მათხოვარი,

ბოლოს რომ ისევ უმწეოდ კვდება,

გოთურ ეკვდერის საკმევლის ბოლში

ეხვევა, ქრება...

სულია განა?

მე როცა ეუმზერ ლურჯთვალა ამინდს,

მაისისაგან დათოვლილ ღამით,

რომლის სიღრმეში იმთავით თურმე

სამყაროები მოგზაურობენ —



ისეა, თითქოს შევემართე შკერდით
 მარადისობის ნატეხი ერთი;
 და აცივლებულ ვნებით ვნებული
 აბორგენული, დაუღვარო,
 იმ სამყაროებს დადევნებელი...

სულიც ეგ არი.

მას მუდამ ჰქონდა ცხოვრება მშვიდი

მას მუდამ ჰქონდა ცხოვრება მშვიდი,
 ამბებით ღიჯით

არა ყოფილა ვალაღებული,
 წლები წლებზე ისე აღესრულებია.
 და მერე უცებ დაეშვა თვალწინ
 შუქიანი და გაჩაღებული
 სიყვარული — თუ რაც იყო, სულერთია.

ქალმა თვალი გაუშტერა შიშნარევი
 გუბედ დამდგარს და სახლის წინ მინატბორეცს...
 ასე იცის: დაიწყება სიზმარივით,
 მერე, როგორც ბედისწერა, მიგატოვებს.

ს ი ჩ უ მ ე

გესმის, სიყვარულო, შევემართე ხელები მაღალი —
 თუ გესმის; ხმაური დაირხა...

ხომ მუდამ მოისმენს საგანი მრავალი
 მარტოობისთვის დაცდენილ მიმოხერის ნაირხმას!

გესმის, სიყვარულო, დავხურე წამწამი,
 ესეც ხმაურია შენსკენ და შენამდე,
 გესმის, სიყვარულო, გავხსენი კვლავ წამით...

...მაგრამ არსაით ხარ, თვალით რომ გხედავდე.
 ყოველი მიმოხვრა სხეულს დაცდენილი,

რხევა უმცირესი,
 როგორც ანაბეჭდი, რჩება დაჩენილი
 აბრეშუმით სიჩუმის პირზე;

და სულის ყოველი ოდნავგაუჩუოლება
 სიერცხთა ფარდებზე აჩნდება ზოლებად.

და ვარსკვლავთ ციმციმი სუნთქვას
 აჰყოლია ჩემსას;

და სურნელებანი მელვრება ტუჩებზე შესმად,
 და შორ სიერცხეებში თვალის გაღვევებით

ვიცან ანგელოსთა მე ხელის მტევნები.
 მხოლოდ შენ,

რომელსაც გეკუთვნის ფიქრები ჩემი,
 კვლავაც უხილავი რჩები.

იანეს კვიციანი

ფრენის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება

საუზმის დრომ მოატანა. ისინი სსსა-
დილო კარვის მწვანე ფარდულის
ქვეშ ისხდნენ და თავი ისე ეპირათ,
თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

— თქვენ ღიმონის წვეწას მიირთმევთ
თუ ღიმონას? — იკითხა მაკომბერმა.

— კოკტეილს, — უპასუხა რობერტ
უილსონმა.

— მეც, — თქვა მაკომბერის მეუღ-
ლემ. — რაიმე მძგარი მინდა დავლიო.

— ჰო, რა თქმა უნდა, კოკტეილი
აჯობებს, — დაეთანხმა მაკომბერი, —
უბრძანეთ ბიჭს სამი კოკტეილი შეაზა-
ვოს.

ზანგი ბიჭი უკვე იღებდა ბოთლებს
სველი ტომრებიდან. კარავზე მოჩრდი-
ლებულ ხეებს შორის ნიავე ქრთა და
ჩაიციებულ ბოთლებს ორთქლავდა.

— რამდენი მიეცე? — ჰკითხა მაკომ-
ბერმა.

— ვირვანქა ეყოფა, — უპასუხა უილ-
სონმა. — ნუ გაანებბივრებთ.

— უფროსს მიეცე და ის გაუყოფს,
არა?

— ჰო, ასე აჯობებს.

ნახევარი საათის წინ ფრენის მ-
კომბერი ბანაყის საზღვრიდან კარვამდე
ზევით მიაცილეს მოსამსახურე ბიჭე-
მა, მზარეულმა, გამტყავებელმა და მე-
ბარგულეებმა. მეთოფეები პროცესია-
ში არ მონაწილეობდნენ. როდესაც
ზანგებმა მაკომბერი მიწაზე ჩამოსვეს,
მან ყველას ჩამოართვა ხელი; მოისმინა
მათი მილოცვები, კარავში შევიდა და
ცოლის გამოჩენამდე საწოლზე იჯდა.
ცოლს ხმა არ გაუცია. მაკომბერი გა-
რეთ გავიდა, სიგზაო ტამბაში ხელპირი

ჩაიბანა და სსსადილო კარავთან ტილოს
საგარძელში ჩაჯდა.

— აი, თქვენ მოკალით კიდევ ლო-
მი — უთხრა მას რობერტ უილსონმა, —
მერე და რა ლომი!

მისის მაკომბერმა თვალი გადაჰკრა
უილსონს. მაკომბერის მეუღლე ძალიან
ლამაზი და თავნება ქალი იყო. სილა-
მაზემ და საზოგადოებრივმა მდგომარე-
ობამ ხუთი წლის წინათ ხუთი ათასი
შოუტანა მას, — გამოხმაურების ფასი
(ფოტოსურათის თანდართვით) კოსმე-
ტიკურ საშუალებაზე, რომელიც მას
არასოდეს არ უხმარია. იგი ფრენის
მაკომბერს თერთმეტი წლის წინათ გა-
ყვა ცოლად.

— მართლაც ზომ იყო კარგი ლო-
მი? — თქვა მაკომბერმა. ახლა ცოლმა
მას ვადახედა. ქალი ორივე მამაკაცს
ისე უყურებდა, თითქოს პირველად
ხედავდა.

ერთ მათგანს, თეთრ მონადირე უილ-
სონს, გულდასმით მართლაც ახლა აკ-
ვირდებოდა. იგი საშუალო ტანის
კაცი იყო, ქერათმიანი, ჯაგარა უღვა-
შებით, წითელი სახითა და ძალიან ცის-
ფერი ცივი თვალებით, რომლის კუთ-
ხეებშიც, გაღიმებისას, მზიარული თეთ-
რი ნარკები ჩნდებოდნენ. ახლა ის მი-
სის მაკომბერს უღიმოდა. ქალმა მო-
ნადირეს თვალი აარიდა, მხერა მის
ხალვათ ფრენზე, დაფერდებულ
მხრებზე და გულისჩიბესთან დამაგრე-
ბულ ოთხ ვაზნაზე გადაიტანა. რიგრი-
გობით შეაგლო თვალი უილსონის
მზით გარუჯულ ვეება ხელებს, ნახმარ
სპორტულ შარვალს და მტვრიან ფეხ-

საცმელებს. მერე ისევ შეხედა მის წითელ სახეს. ქალმა შენიშნა, წითელი სიღამწვერე ფართო ფარფლებიანი ქუდის თეთრი ნაკვალევით თავდებოდა. ქუდი ახლა კარვის ლატანზე დაჭედებულ ლურსმანზე ეკიდა.

— ლომზე გამარჯვებისა დავლიოთ. — თქვა რობერტ უილსონმა და ისევ გაუღიმა მაკომბერის ცოლს; ქალმა კი ცნობისმოყვარედ შეხედა ქმარს.

ფრენსის მაკომბერი მაღალი ტანის მოხდენილი კაცი იყო, ნაკლად თუ არ ჩავთვლით სწორედ მის სიმაღლეს. შვიდი თმა შენიჩბესავით მოკლედ ჰქონდა შეკრებილი. მას ლამაზ მამაკაცად თვლიდნენ. ეცვა ისეთივე სანადირო კოსტუმში, როგორც უილსონს, ოღონდ მთლად ახალი და ძალზედ შემოტმასნილი. ოცდახუთმეტი წლისა იქნებოდა. რამდენჯერმე აიღო პირველი ადგილი მეთევზეთა შეჯიბრებაში, ჩოგბურთსაც ჩინებულად თამაშობდა და სწორედ ახლახან თავი გაიმქდავნა, როგორც მშისარამ.

— მაშ ლომზე გამარჯვებისა იყოს, — თქვა მან. — თქვენს სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ.

მარგარიტმა, ფრენსისის მეუღლემ, მზერა ისევ უილსონზე გადაიტანა.

— მოდი, ლომზე ნულარ ვილაპარაკებთ, — თქვა უილსონმა და ქალს შეხედა. ახლა ქალმა თვითონ გაუღიმა.

— უცნაური დღე იყო, — თქვა მარგარიტმა. — თქვენ კი გიჯობთ ქუდი დაიხურათ. შუადღისას ფარდულის ქვეშაც აცხუნებს. ამას თქვენვე შეუბნებოდით.

— შეიძლება დაიხუროს კაცმა, — თქვა უილსონმა.

— იცით მისტერ უილსონ, ძალიან წითელი სახე გაქვთ. — უთხრა მარგარიტმა და ისევ გაუღიმა.

— ბევრსა ვსვამ, — თქვა უილსონმა.

— არა მგონია მაგის ბრალი იყოს, — თქვა მარგარიტმა. — ფრენსისიც ბევრსა სვამს, მაგრამ სახე არასოდეს არ იწითლდება.

— დღეს გამიწითლდა, — სცადა ხუმრობა მაკომბერმა.

— არა, — თქვა მარგარიტმა. — ეს გეწითლდება დღეს, ხოლო მისტერ უილსონს სახე მუდამ წითელი აქვს.

— ალბათ, რასის ბრალია, — თქვა უილსონმა. — საერთოდ გვეყოფა ჩემს სიწითლზე ლაპარაკი. თქვენ რას იტყვიან?

— მე მხოლოდ ახლა დავიწყე.

— ჰოდა გაეათავით, — თქვა უილსონმა.

— მაშინ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? — იკითხა მარგარიტმა.

— ნუ სულელობ, მარგო, — შეუბღვირა ქმარმა.

— როგორ თუ რაზე, — თქვა უილსონმა. — აი, მოგვალთ მშვენიერი ღოგამი. მარგარიტმა მამაკაცებს შეხედა. მათ შენიშნეს, რომ ქალი საცაა ატირდებოდა. უილსონი მოელოდა ამას და ეშინოდა; მაკომბერს კი დიდი ხანია აღარ ეშინოდა ასეთი რამეების.

— ოჰ, ნეტავ ასე არ მომხდარიყო, — თქვა ქალმა და კარავისკენ წავიდა. ხმა არ გაუღია, მაგრამ მამაკაცებმა დაინახეს, როგორ აუთრთოლდა მსარები ვარდისფერ ტილოს ხალათში.

— ქალური ხუმტურია, — თქვა უილსონმა. — ნერვების ბრალია გაივლის.

— არა, — თქვა მაკომბერმა. — რაც გადამხდა, ნამდვილად არ შეპატიება.

— სისულელეა, — თქვა უილსონმა. — მოდი, ვისკი დავლიოთ. დავივიწყებ ეს ამბავი. ნუ აზვიადებთ.

— ვნახოთ, — თქვა მაკომბერმა. — თუმცა, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, არ დამავიწყდება.

— კარგით ერთი. — თქვა უილსონმა. — ეგ ყველაფერი სისულელეა.

ასე ისხდნენ ტოტებგადაშლილი აკაციების ჩრდილში, მათ უკან ქვიანი ფლატე იყო. წინ კი, ქვეშით დახერგილ მდინარის ნაპირებამდე მწვანე მთლი ბიბინებდა. მდინარის გაღმა ტყე იწყებოდა. წრუპავდნენ ფორთოხლის

წვეს და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ბიკტებმა საუბრე, გააწყვეს. უილსონს ექვი არ ეპარებოდა, რომ ზანგებმა ყველაფერი იცოდნენ. მან თვალი შეასწრო, რა ცნობისმოყვარეობით უქვერტადა მაკომბერს მოსამსახურე ბიკტი, რომელიც მაგიდაზე თეფშებს ალაგებდა. უილსონმა სუპიალის ენაზე შეაგინა მას. ბიკტი შემკრთალი გაბრუნდა უკან.

— რა უთხარით? — ჰკითხა მაკომბერმა.

— არაფერი. ვუთხარი გაინძრეს, თორემ, ვუბრძანებ თხუთმეტი როზგი უთავაზონ.

— როზგი?

— ეს, რა თქმა უნდა არ არის კანონიერი, — თქვა უილსონმა. — წესით უნდა გაჯარიმებდეთ.

— თქვენში ახლა კიდევ სცემენ მათ?

— ჰო. რომ იჩივლონ ერთი აურზაური ატყდება, მაგრამ ისინი არ ჩივიან. ჯარიმას გაროზგვა ურჩევენიათ.

— უცნაურია, — თქვა მაკომბერმა.

— არც ისე, — თქვა უილსონმა. — თქვენ რომელს ამჯობინებდით ხელფასის დაჯარგვას თუ გაროზგვას? — უილსონმა უხერხულობა იგრძნო, ასეთი შეკითხვა რომ მისცა. პასუხს არ დაუცადა, ისევე განაგრძო: — ასეა თუ ისე, ჩვენ ყოველდღე გვეცემენ.

ფლი რშმაკს. მით უარესი, — გაიფიქრა თითქმის მონადირემ. — დიპლომატად არ გამოვდგებით.

— ჰო. ჩვენ ყველას გვეცემენ. — თქვა მაკომბერმა ისე, რომ უწინდებურად არ შიოხიდავს უილსონისთვის. — საშინლად არ მსიამოვნებს დილანდელი ამბავი. ის ამბავი ჩვენ შორის დარჩება, ხომ? იმიდი მაქვს ვერაფერს გავიგებს.

— თქვენ გულისხმობთ, მოყვებოთ თუ არა იმ ამბავს მატიაგას კლუბში?

უილსონმა ამჯერად ცივად შეხედა მაკომბერს. ამას კი აღარ მოელოდა.

მაკომბერი მხდალზე მხდალი კი თაბრიყვზე ბრიყვიც ყოფილა, თქვა მან. რიგი. დღემდე საკმაოდ მომწონდა. თქვა. — ა ვინ გაუგებს ამ ამერიკელებს.

— არა — თქვა უილსონმა. — მე მონადირე ვარ. ჩვენ არასდროს არ ვლაპარაკობთ ჩვენს კლიენტებზე. შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. ამასზე ხეწნა უხერხულიც კია.

ახლა უილსონმა გადაწყვიტა, ბევრად უკეთესი იქნებოდა წახუტებოდა მაკომბერს. მაშინ უილსონი ცალკე მიერთმევს და ჰამისას რაიმეს წაიკითხავს. ცოლქმარიც ცალკე ისაძილებს. უილსონი მათ მარტო ნადირობისას შეხედება, მაგრამ ურთიერთობა ექნებათ ძალზე ოფიციალური, — რას უწოდებენ ამას ფრანგები? Consideration distiguée?!

ასე ბევრად უკეთესია, ვიდრე მათ სისულელეებს აყვებს. უილსონი შეურაცხყოფს მაკომბერს და იჩხუბებენ. მაშინ უილსონს შეეძლება წაიკითხოს ჰამისდროს და უწინდებურად სვას მათი ვისკი. ყოველთვის ასე ამბობენ, თუ ნადირობისას რაიმე უსიამოვნება გავმოტყურა. ხედები სხვა თეთრ მონადირეს და ეკითხები „როგორ არის საქმე?“ — ის კი გიპასუხებს: „არაუშავს. უწინდებურად ვსვამ მათ ვისკის“, და — მაშინვე ხედები, რომ საქმე ხელიდან წაასულა.

— მამბატიეთ, — თქვა მაკომბერმა და უილსონისკენ მიაბრუნა თავისი ამერიკული სახე, სახე, რომელიც სიბერემდე ბიჭური რჩება. უილსონმა შეხედა მის მოკლედ შეკრეჭილ თმას, მშვენიერ თვალებს, სწორ ცხვირს, თხელ ტუჩებს და კონტად მოყვანილ ნიკაპს — მამბატიეთ. ვერ მოვისახურე. ბევრი რამ არის ქვეყნად, რაც კაცმა არ იცის.

— აბა, რა უნდა ქნა ახლა? — თქვა მან და უილსონი. უნდოდა მაკომბერს ერთხელ და სამოდამოდ წახუტებოდა, მაგრამ ამ ყვეფის, რომელიც ის-ის იყო შეურაცხყო. პატიების თხოვნა მოუვიდა.

1 სუპიალი — სამხრეთ კენის ერთ-ერთი ტომის ენა აფრიკაში.

1 უადრესად მოკრძალებული.

აზრად. უილსონმა კიდევ ერთხელ სცადა.

— ნუ ნაღვლობთ, მე არ ვიყუბებ, — თქვა მან. — არ მინდა გასამრჯელო დაგეარგო. იცით, აქ, აფრიკაში, ქალი არასოდეს არ ააცდენს ლომს, ხოლო თეთრი მამაკაცი არასოდეს არ ვაქცევა.

— მე კურდღელივით მოვეყრცხლე, — თქვა მაკომბერმა.

ფუ გაიფიქრა უილსონმა, აბა რას გააწყობ კაცთან, ასეთ რამეებს ლაპარაკობს?

უილსონმა გულგრილად შეხედა მაკომბერს მეტყვიამტრქვევის გამპრიაზი თვლით. მაკომბერმა გაუღიმა, ღიმილს არაუშავდა, თუ არ შენიშნავდით რა უბედური გამოხედვა ჰქონდა მაკომბერს.

— იქნებ ვარეულ კამეჩებზე ნადირობისას გამოვისყიდო, — თქვა მაკომბერმა. — მე მგონი, ახლა მათი ჯერია.

— ხვალ დილითვე, თუ მოისურვებთ — უბასუხა უილსონმა. იქნებ ტყუილუბრალოდაც გავბრაზდი. მაკომბერი არ ტყუის, მართლაც ასე უნდა ექიროს თავი. ამ ამერიკელებს, ჰიაზე რომ გასკდვ, მაინც ვერ გაუგებ. უილსონს ისევ მოუბრუნდა გული. დღევანდელი დღის დაეწყება რომ შეიძლებოდა; თუმცა რას დაეიწყება, დილიდანვე ცუდი პირი უჩანდა.

— აი, შემსაიბიცი¹ მოდის, — თქვა უილსონმა. მარგარიტი თავისი კარავიდან მოდიოდა დასვენებული, ხალისიანი და მომხიბლავი: მას ისეთი საუცხოო და უნაკლო სახე ჰქონდა, რომ ერთი შეხედვით სულელი გეგონებოდათ; მაგრამ მაკომბერის მეუღლე სულელი არ არის, ფიქრობდა უილსონი. სხვა რაც გნებავთ, ოღონდ სულელი — არა.

— როგორ ბრძანდება მშვენიერი წითელსახიანი მისტერ უილსონი? ფრენსის, ძვირფასო, შენ უკეთ ხარ?

— ბევრად უკეთ, — თქვა მაკომბერმა.

— მე გადავწყვიტე დავეიწყო დოლანდელი ამბავი — თქვა ქალმა და მთავრადს მიუჯდა. სულ ერთი არ არის, ფრენსისი კარგად ხოცავს ლომებს, თუ ცუდად? ეს მისი ხელობა არ არის. ეს მისტერ უილსონის საქმეა. მისტერ უილსონი მართლაც კარგი სანახავია. როდესაც კლავს. თქვენ ყველაფერს ხოცავთ, ხომ მართალია?

— ჰო, ყველაფერს, — თქვა უილსონმა. — ყველაფერს. რასაც კი მოისურვებთ.

ასეთები, ფიქრობდა უილსონი ყველაზე გულქვანი არიან; ყველაზე გულქვანი, ყველაზე უღმობელნი, ხარბნი და მაცდურნი ისეთი გულქვანი არიან, რომ ქმრებს საწველ ფერებად აქცევენ ან ნეგრასტენიით აავადებენ. ან იქნებ განგებ ირჩევენ ისეთ ქმრებს, რომლებთანაც შეიძლება მორიგება? მაგრამ ეს საიდანღა უნდა იცოდნენ, ისინი ხომ ადრე თხოვდებოდნენ. ფიქრობდა უილსონი. კიდევ კარგი, ამერიკელი ქალი უილსონისთვის უცხო ხელი არ არის, რადგან მარგარიტი საოცრად მიმზიდველია.

— ხვალ კამეჩებზე სანადიროდ მივდივართ. — უთხრა უილსონმა ქალს.

— მეც წაშოვალ.

— თქვენ არ წამოხვალთ.

— წაშოვალ. ნუთუ არ შეიძლება ფრენსისი?

— იქნებ ჯობდეს ბანაკში დარჩე?

— არაფრის გულისათვის, — თქვა ქალმა. — ისეთ სანახაობას, როგორსაც ამ დილით შევესწარი, არაფრის გულიათვის არ მოეკლდება.

როცა ის გამოსატირებლად წავიდა. ფიქრობდა უილსონი, საუცხოო ქალად მომეჩვენა. თითქოს თანაუგრძობდა ქმარს, ნაწყენი იყო მასზეც და თავის თავზეც. ხედავდა რამიც იყო საქმე, ხოლო ოცი წუთის შემდეგ ბრუნდება ამერიკელი ქალური სიმკაცრით აღჭურვილი. საშინელი ქალები არიან, ნამდვილად საშინელნი.

¹ ქალბატონი (ინდიელთა ენაზე).

— ხვალ შენთვის ისევ მოვაწყობთ სანახაობას,— თქვა ფრენის მაკომბერმა.

— თქვენ არ წამოხვალთ,— თქვა უილსონმა.

— ცდებით— შეესიტყვა მარგარტი.— კიდევ ერთხელ მიიდა დაეტყუებთ თქვენი ცქერით. ამ დილით ძალზე მომხიბლაობად ჩაითვლება ვინმესთვის თავის გაგლეზინება.

— აი, საუზმეც,— თქვა უილსონმა.— თქვენ მგონი ძალიან კარგ გუნებაზე ხართ.

— რატომაც არა, მე აქ მოსაწყენად არ ჩამოვსულვარ.

— ჰო, მოწყენით ჯერ არ მოგვიწყენია,— თქვა უილსონმა. მან გახედა მდინარეში ჩახერვილ ქვეებს. მაღალ ნაპირს, ხეებს იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა და დილა გაიხსენა.

— დიახაც,— თქვა ქალმა.— შესანიშნავი იყო. ახლა კიდევ ხვალ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ველოდები ხვალინდელ დღეს.

— ანტილოპა კუდუს ბივშტექსი ვასინჯეთ,— თქვა უილსონმა.

— ეს ძროხისებური დიდი ცხოველია და კურდღელივით დახტის, არა?

— აღწერილია საკმაოდ. ზუსტად,— თქვა უილსონმა.

— ძალიან გემრიელი ხორცი აქვს,— თქვა მაკომბერმა.

— ეს შენ მოჰკალი ფრენისს?— ჰკითხა მეუღლემ.

— ჰო.

— მერე და საშინი არ არიან?

— თავს თუ დავესხნენ, კი — თქვა უილსონმა.

— დიდი შედეგათია!

— არ შეიძლება სისაძაგლის გარეშე, მარგო?— შეუღრინა ქმარმა. ბივშტექსს პატარა ნაპერი ჩამოაჭრა, ჩანგალი ჩაურჭო და კარტოფილის პიურეთი, სტაფილოთი და სოუსით გააწყო.

— კარგი, საყვარელო,— თქვა ქალმა.— რახან შენ ასე თავაზიანად მთხოვე!

— საღამოს შამპანურით დავასვე-

ლოთ ლომი.— თქვა უილსონმა.— ახლა ძალიან ცხელა.

— ჰო, მართლა, ლომმა,— თქვა მარგარიტმა,— სულ არ გადამაფიწყდა!

— ამა, გაიფიქრა უილსონმა, ახლა ქმარს მასხარადაც იგდებს. ან იქნებ ჰგონია: ასე უნდა ეპიროს თავი? როგორ უნდა მოიქცეს ქალი, როცა დინახავს, რომ მისი, ქმარი მხალზე მხალა? მეტისმეტად მკაცრია. თუმცა ქალები საერთოდ მკაცრნი არიან. ისინი ზომ მბრძანებლობენ და რაყი მბრძანებლობ, მკაცრიც უნდა იყო. საერთოდ. კმარა მაგათი ბატონობა.

— კიდევ გადაიდეთ შემწვარი,— თავაზიანად უთხრა უილსონმა მარგარიტს.

საღამო ხანს უილსონი და მაკომბერი, ზანგ მძლოლ და ორ მეთოფესთან ერთად ავტომობილით გაემგზავრნენ. მისის მაკომბერი ბანაკში დარჩა.— ცხელა, წამოსვლა მეზარებაო. მითუმეტეს ხვალ დილით აპირებდა მათთან ერთად გამგზავრებას. როცა ავტომობილი დაიძრა, მარგარიტი დიდი ხის ქვეშ იდგა. ვარდისფერ ტილოს კოსტიუმში უფრო მიმზიდველი ჩანდა ვიდრე ლამაზი. შავი თმა უკან გადაევარცხნა და კედასთან ჩაეხვია. სახე ისეთი ქორთა აქვს, გაიფიქრა უილსონმა, თითქოს ინგლისში იყოს. მარგარიტმა ხელი დაუქნია მათ. ავტომობილმა ბალახიანი დარტაფი გადასერა და კვრინჩხის ბუჩქნარით დაფარულ პატარა ბორცვებისაკენ ხეებს შორის ზიგზაგებით გაიკვლია გზა.

კვრინჩხის ბუჩქნარში წყლის ანტილოპას ჯოჯი წამოყარეს. მანქანიდან ჩამოვიდნენ და გრძელი, გაღუნულქებიანი ბებერი ხარი შეათვალიერეს, რომელიც მაკომბერმა ორას ნაბიჯზე ზუსტი გასროლით მოკლა. დანარჩენები დაფრთხნენ. თავგაწიროვით მიქროდნენ, ფეხებს მკერდზე იკრავდნენ და ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ ისეთივე უაზრო, ნარნარი და გრძელი კამარებით, ხანდახან სიზმარში რომ ვაკეთებთ ხოლმე.

— კარგი გასროლა, — თქვა უილსონმა. — არც ისე ადვილია მაგათი მოქცევა.

— ხომ კარგი რამეა? — ჰკითხა მაცოშხბერმა.

— ჩინებულია, — უპასუხა უილსონმა. — ყოველთვის ასე ისროლეთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

— როგორ ფიქრობთ, ვიპოვით ზეალ გარეულ კამეჩებს?

— შე მგონი, ვიპოვით. ისინი საძოვრად დილაადრიანად გამოდიან და თუ ბედმა გაგვიღიმა მინდორში თავზე წავალგებით.

— შინდა როგორმე გამოვისყიდო დილანდელი ამბავი, — თქვა მაცოშხბერმა. აბა, რა სასურველია ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდე მეუღლის თვალწინ.

ჩემის აზრით, ეს ამბავი თავისთავად არასასიამოვნოა, გაიფიქრა უილსონმა, სულ ერთია, გხედავს შენი ცოლი თუ არა; ასე ლაპარაკი ხომ სისულელეა. მაგრამ მან სულ სხვა თქვა:

— მოეშვიტ ამაზე ფიქრს. პირველ შემხვედრ ლომს შეუძლია ყველას შეუცვალოს ნირი. მორჩა და გათავდა.

მაგრამ ნაევანშევს, კოცონთან სოდიანი წყლისა და ვისკის შემდეგ, როცა ფრენის მაცოშხბერი კოლოებისაგან თავდასაცავად მარლის ქვეშ თავის საწოლზე იწვა და ყურს უგდებდა დაძეულ ხმებს, ეს არ გათავებულა. არ გათავებულა და არც ახლა იწყებოდა. მას ყველაფერი ზუსტად ისევე ედგა თვალწინ, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა; მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი ძალზე მკვეთრად ამოტივტივდა მცხიერებაში და მაცოშხბერს აუტანელად რცხვენოდა. თუმცა სირცხვილზე უფრო ცივსა და მსუსხავ შიშს გრძნობდა. შიში იყო მასში, როგორც ყინულოვანი ნაპრალი; რომელსაც ოდესღაც მისი რწმენა ავსებდა ხოლმე. ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. შიში იყო მასში და არ ტოვებდა.

ეს ამბავი წინაღობით დაიწყო, როცა

მაცოშხბერმა გაიღვიძა და ზევით, მდინარესთან, ლომის ბრდღენებს მიჰყურა ყურით. დგრინისებური ბრდღენივან-ბურტყუნით და ზველებით თავდებოდა; თითქოს ლომი იქვე კარავთან იყო. მაცოშხბერი შეშინდა. მას ესმოდა ცოლის თანაბარი სუნთქვა. მარგარიტს ტკბილად ეძინა. მაცოშხბერი ვერავის ვერ ეტყოდა, ვერავის ვერ გაუყოფდა შიშს. ის იწვა მარტო და არ იცოდა სომალური თქმულება, რომ გულად კაცს სიცოცხლეში სამჯერ შეაშინებს ლომი; როცა პირველად ნახავს მის ნაკვალევს, როცა პირველად გაიგონებს მის ბრდღენებს და როცა პირველად შეეყრება. მოგვიანებით, მზის ამოსვლამდე, როცა ისინი სასადილო კარავში ფარნის შექმნე საუზმეს შეექცეოდნენ; ლომმა ისევ დაიღრიალა. ფრენისის მოეჩვენა, რომ ლომი იქვე ბანაკის გვერდით იყო.

— ბებერს წაავას, — თქვა რობერტ უილსონმა. ყავას და შებოლოლ თევზს თავი ანება. — გესმით, როგორ ახველებს?

— ძალიან ახლოა აქედან?

— დაახლოებით მიღზე; ზევით მდინარესთან.

— ჩვენ ვნახავთ?

— შევეცდებით.

— ყოველთვის ასე შორს ისმის ლომის ბუხუნი? თითქოს შიგ ბანაკში იყოს.

— ძალიან შორს ისმის, — თქვა რობერტ უილსონმა, — საოცრად შორს. ეტყობა სასიკვდილოდ არის განწირული. ზანგები ამბობენ, ამ მიდამოში ვეებერთელა ლომი გამოჩენილა.

— სროლაზე თუ მიღვა საქმე, სად დაეუმიზნო, რომ შეეაჩერთო? — ჰკითხა მაცოშხბერმა.

— ბექვებში, — თქვა უილსონმა. — თუ შესძლებთ კისერში მოარტყით. ეცადეთ ადგილზევე გააფრთხობინოთ სული.

— იმედი მაქვს არ ავაცდენ, — თქვა მაცოშხბერმა.

— თქვენ მშვენიერად ისვრით, — უთხ-

რა უილსონმა.—ნუ აჩქარდებით. დავკვირვებით ესროლეთ. პირველი გასროლა გადაწყვეტილია.

— რა მანძილიდან ვესროლო?

— ძნელი სათქმელია. ეს ლომზეც არის დამოკიდებული. თუ შორს იქნებით ნუ ესვრით. აუცილებლად უნდა მოარტყათ.

— ას ნაბიჯზე ახლოდან?—ჰკითხა მაკომბერმა.

უილსონმა თვალი გადაჰკრა მას.

—ასი ზედგამოჭრილია. შეგიძლიათ ცოტა უფრო ახლოს მოუშვათ. ამაზე შორს ნურცა სცდით. ასი—კარგი დისტანციაა. ას ნაბიჯზე, სადაც ვინდა იქ მოახვედრებ. აი, მემსაიბიც.

— დილამშვიდობისათ, — თქვა ჰალმა.—მივდივართ ლომზე სანადიროდ?

— როგორც კი ვისაუზმებთ,— თქვა უილსონმა. ხომ კარგად გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად, — თქვა ჰალმა,— თუმცა ძალიან ვღელავ.

— ვნახავ, მზად არის თუ არა ყველაფერი.—უილსონი ადგა. ლომმა ისევ დაიღრიალა.—აი, ახმაურდა კიდევ.— თქვა მან.—არაუშავს. მალე ჩავაჩუქებთ.

— რა მოვივიდა, ფრენის?—ჰკითხა ცოლმა.

— არაფერი,— თქვა მაკომბერმა.

— რაღაც უგუნებოდა ხარ.

— გეჩვენება...

— თქვი, — ცოლი დაყინებით შეაჩერდა სახეში.—ცუდად გრძნობთ თავს?

— ეს ღრიალი.— თქვა მაკომბერმა, — დალაზეროს ეშმაკმა; მთელი დამე არ გაჩუქებულა.

— მერე და რატომ არ გამადვიძე? მე დიდი ხალისით მოვეუსმენდი.

— მე უნდა მოგვლა ეგ წყევლი ლომი.—საწყლად თქვა მაკომბერმა.

— შენ ხომ მაგისტვის ჩამოხვედი აქ?

— ჰო, მაგრამ, რატომღაც ვღელავ. ნერვებს მიშლის ეს ღრიალი.

— უილსონისა არ იყოს, შენც მოჰკალი და ჩააწყვეტინე ხმა.

— კარგი, ძვირფასო,— თქვა ფრენ-

სის მაკომბერმა.—სათქმელად იიღო; მართალს არ ვამბობ?

— შენ რა, ხომ არ გეშინია?

— რა თქმა უნდა, არა. მთელ ღამეს ვუსმენდი და ვნერვიულობდი.

— აი, მოჰკლავ და ყველაფერი რიგზე იქნება,— თქვა ჰალმა.— ვიცი რომ მოჰკლავ. ერთი სული მაქვს ამ ამბის ნახვამდე.

— ისაუბრე და გავემგზავროთ.

— ასე ადრე?— თქვა მარგარიტმა.— ვერ ხეირიანად არც კი გათენებულა.

ამ დროს ლომმა ისევ დაიღრიალა. დაბალი ბრღვინვა უცებ ხორხისმიერ გრგვინვად იქცა. ჰაერი შეინძრა. მერე ლომმა ამოიხვნეშა და ყრუ, დაბალი დრტვინვით გაათავა.

— თითქოს აქვე იყოს,— თქვა მაკომბერის ცოლმა.

დალაზეროს ეშმაკმა,— თქვა მაკომბერმა,— უბრალოდ ვერ ვიტან ამ ღრიალს.

— შთამაგონებლად ქდერს.

— შთამაგონებლად კი არა, პირდაპირ საშინელებაა.

რობერტ უილსონი ღიმილით ძიუბალოვდა ცოლქმარს. ხელში მოკლე და მოუხეშავი მსხვილლულიანი შაშხანა ეჭირა.

— წავიღეთ, — თქვა მან. — თქვენი სპრინგფილდი და მეორე თოფი ბიჭმა წამოიღო. ყველანი მანქანაში სხედან. ვაზნები თქვენა გაქვთ?

— კი.

— მე მზად ვარ. — თქვა მისის მაკომბერმა.

— ლომს ხმა უნდა ჩავაწყვეტინოთ. თქვა უილსონმა. — მძლოლთან დაჯექით. მარგარიტი ჩემთან ერთად უკან დაჯდება.

ისინი მანქანაში ჩასხდნენ და დილის ნაცრისფერ ბინდ-ბუნდში ტყე-ტყე შეუყვინენ მდინარეს. მაკომბერმა თოფის საკეტი გასწავა. დარწმუნდა, რომ გატენილი იყო; ისევ დაკეტა და მკველზე დააყენა. ხელები უკანკალებდა. ჯიბეში ვაზნები მოსინჯა. მკერდზე დამაგ-

არებულებს შეავლო ხელი. უილსონისკენ შებრუნდა, რომელიც მარჯაიტთან ერთად უკანა სკამზე იჯდა. ისინი მღელვარედ იღიშებოდნენ, მანქანას კარები არ ჰქონდა და ჰგავდა თვლებზე შედგმულ კოლოფს. უილსონი წინ გადაიხარა და მაკომბერს წასჩურჩულა:

— ხელავთ, ფრინველები სხდებიან. ეს ჩვენი ბებერი განერიდა თავის საცბილოს.

მაკომბერმა სვავები შენიშნა. ისინი ირაოს აკეთებდნენ მდინარის გაღმა აზიდული ხეების თავზე და მერე ძირს ეშვებოდნენ.

— ვიდრე საცბილოს ჩაუსაფრდება, წყლის დასალევად მოვა აქ, — ხმადაბლა თქვა უილსონმა. — თვალი გეჭირათ.

ისინი ნელა მიიწვედნენ მდინარის მაღალ ნაპირზე. ნაპირი ამ ადგილას ღრმად შეჭრილიყო ქვიან კალაპოტში. ავტომობილი ზიგზაგებით მიძვრებოდა მაღალ ხეებს შორის. მაკომბერი გაღმა ნაპირს ათვალიერებდა. უცებ მხარზე უილსონის ხელის შეხება იგრძნო. მანქანა გაჩერდა.

— აი, ისიც. — გაიგონა მან უილსონის ჩურჩული, — პირდაპირ, მარჯვნივ. გადადიო და ესროლეო. მშვენიერი ლომია.

ახლა მაკომბერმაც დაინახა ლომი. ლომი გვერდულად იდგა, ვეება თავი მაღლა აეწია და მათგან მივბრუნებინა. დილის ნიავი ოდნავ არხევდა მის მუქ ფაფარს.

მდინარის გაღმა ნაცრისფერ დილაბნელში ლომი ქანდაკებასავით გამოკვეთილიყო; უხარმარარი ჩანდა. დაუჭვრებლად ფართო მკერდი და გლუვი, მშზინავი ტანი ჰქონდა.

— რა მანძილზეა? — ჰკითხა მაკომბერმა და თოფი მხრიდან ჩამოიღო.

— სამოცდათხუთმეტი ნაბიჯი იქნება. გადადიო და ესროლეო.

— აქედან, არ შეიძლება?

— ლომს ავტომობილიდან არ ესე-

რიან, — გაიგონა უილსონის ხმა. — გადადიო. მთელი დღე აქ კი არ იდგება.

მაკომბერი ავტომობილს მარჯვლად კრილში გაძვრა, რომელიც კარების მაგვირობას სწევდა. ლომი იმავე ადგილზე იდგა. ამაყად და მშვიდად უჭურებდა უცნობ საგანს, რომელსაც უცნაური ზემარტორქის ლანდად აღიქვამდა. ლომთან ვერ აღწევდა ადამიანის სუნი. აქეთ-იქით აქნევდა ვეება თავს. შიშს ვერ გრძნობდა, მაგრამ წყალზე ჩასვლა ვერ გადაწყვიტა, სანამ ეს „რალა“ გამოღმა იდგა. უცებ დაინახა, როგორ გამოეყო ადამიანის გამოსახულება უცნობ საგანს. მაშინ კი თავი მიიბრუნა და სწორედ იმ წამში დაიძრა ტუისკენ, როცა ტყვიის ძლიერი დარტყმა იგრძნო და გამაყრუებელი ჰახანიც გაიგონა. ტყვია ფერღში მოხვდა და დამხრუკავი გულისრევით კლუვი გაუხვრიტა. ზორზოხი, დიდთათებიანი, სიმამლისაგან დამძიმებული დაჭრილი ლომი მაღალი ბალახებისკენ გაიძვრა. ისევ გაისმა ჰახანი. ამჯერად ტყვიამ ჰაერში გაიშხულა. კვლავ დაიქვეა. ტყვიამ ახლა ნეკნებში გაუარა ლომს. ენაზე ცხელი, ჰაფიანი სისხლი იგრძნო. მაღალი ბალახებისკენ გაძუნძულდა და იქ ჩასაფრდა, რომ ახლოს მიეტყუებინა მქუხავი „რალა“; მერე კი მოულოდნელად თავს დასხმოდა.

როდესაც მაკომბერი მანქანიდან გადავიდა, სულაც არ ფიქრობდა იმაზე. თუ რას გრძნობდა ლომი. ძლიერ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ხელები უკანაყლებდა. ბარძაყები გაუშვშდა. გრძნობდა როგორ უთრთოდნენ კუნთები. თოფი გადმოიღო, ლომს ქჩროში დაუმიზნა და ჩახმახს გამოსწია. თოფი არ გაეარდნილა, თუმცა ისე აქერდა ჩახმახს თითს, რომ კინაღამ მოიმტვრია. მაკომბერს გაახსენდა, თოფი მცველზე ჰქონდა შეყენებული; ძირს დაუშვა და კიდევ ერთი უნდობელი ნაბიჯი გადადგა. ლომმა დაინახა. როგორ გამოეყო მანქანას ადამიანი და ტუისკენ იბრუნა პირი. მაკომბერმა ისროლა, დამახასიათებელი „უთნგ“ გაი-

გონა და მიხვდა, რომ მოარტყა. მაგრამ ლომი სულ უფრო და უფრო შორდებოდა. მაკომბერმა კიდევ ერთხელ ესროლა. ტყვიამ გაქცეული ლომის ცხვირწინ მიწა ააბღღვია. უცებ გაახსენდა, რომ დაბლა უნდა დაემიზნებინა. ესროლა და მოარტყა კიდევ. მერე, სანამ საეცტის საბელურს ხელახლა წინ წასწევდა, ლომი ოთხზე გადავიდა და მაღალ ბალახებს შეაფარა თავი.

მაკომბერი უძრავად იდგა. თოფის ჩამოშვება ვერ მოეხერხებინა. გული ვრუოდა, ხელები უცაცხებდა. გვერდით ცოლი და რობერტ უილსონი ედგნენ. იქვე ზანგები შეჯგუფულუყვნენ და ვაკამბას ენახე რალაცას რატრატებდნენ.

— მოვარტყი, — თქვა მაკომბერმა, — ორჯერ მოვარტყი.

— თქვენ მას ნაწლავები გაუხვრიტეთ და მგონი მკერდშიც მოარტყით, — უხალისოდ თქვა უილსონმა. ზანგებმა ჩაფიქრებულუყვნენ. — შეიძლება მოკალით კიდევ, — განაგრძობდა უილსონი. — ცოტახანს შევიცადოთ, მერე წავიდეთ და მოვნახოთ:

— როგორ?

— როცა მოსუსტდება ნაკვალევს მიყვებით.

— აა, — თქვა მაკომბერმა...

— დიდებული ლომია, ეშმაკმა წაიღოს, — მხიარულად თქვა უილსონმა. შოლოდ ძალიან სახიფათო ადგილას კი დაიმაღლა.

— რით არის სახიფათო?

— ვიდრე თფზე არ წაადგები, ვერ დაინახავ.

— აა, — თქვა მაკომბერმა.

— აბა, წავიდეთ, — თქვა უილსონმა — მემსაიბი ჯობს მანქანაში დარჩეს, სისხლის ნაკვალევს უნდა დავხედოთ.

— აქ დარჩი, მარგო, — უთხრა ცოლს მაკომბერმა. მას პირი გაუშრა და ლაპარაკი უშორდა.

— რატომ — ჰკითხა ცოლმა.

— უილსონს ასე უნდა.

— ჩვენ ლომის მოსაძებნად მივდევართ, — თქვა უილსონმა. — თქვენ დაარჩით. აქედან ყველაფერი მოხანს.

— კარგი.

უილსონმა მძლოლს სუაქილის ენახე რალაც უთხრა. მან თავი დაუქნია და უბასუხა:

— კი, ბატონო.

ისინი მდინარის ციყაბო ნაპირზე დაეშვნენ. წყალში ჩახერგილ ქვებზე გადავიდნენ და მიწიდან ამოშვერილი ფესვების დახმარებით მეორე ნაპირზე აცოცდნენ. მაღე იმ ადგილს მიადწიეს, სადაც, ცოტა ხნის წინათ, ლომი გარბოდა. დაბალ ბალახს სისხლის მუქი ლაქები აჩნდა. სისხლის ნაკვალევი მდინარის გასწვრივ ხეებს მიჰყვებოდა.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა მაკომბერმა.

— საქმე ასარჩევად არა გვაქვს, — თქვა უილსონმა. — ავტომობილს მდინარის გაღმა ვერ გამოვიყვანოთ. ნაპირი ციყაბოა. ცოტა კიდევ დასუსტდეს ლომი, მერე კი ერთად წავიდეთ და მოვნახოთ.

— ბალახს ციყბლი რომ გავუჩინოთ? — ჰკითხა მაკომბერმა.

— ძალიან ნედლია, არ წავიკიდება.

— ზანგები რომ გავგზავნოთ?

უილსონმა ახედ-დახედა მაკომბერს.

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — თქვა მან, — მაგრამ ეს კაცისკვლას უდრის. ხომ იცით, რომ ლომი დაჰრილია. დაუჭრელი ლომის წინ გადგება შეიძლება, სმაურს გაეცლება. დაჰრილი კი თავს ესხმის. სანამ თავზე არ წაადგები, ვერ შეამჩნევ. ისეთ ადგილებში გაეკვრება მიწას, სადაც გვონია კურდღელიც ვერ დაიმალება. ასე რომ, მარტყებს ვერ გავგზავნი. რომელიმეს აუცილებლად დააშავებს.

— მეთოდები?

— მეთოდები ჩვენთან ერთად წამოვლენ. ეს მათი ვალია, ხელშეკრულება აქვთ დიდებული. თუმცა წამოსვლა არ ეხალისებათ.

— არც მე მინდა წამოსვლა, — თქვა

მაკომბერმა. სიტყვები უნებურად წამოსცდა; ვიდრე მიხვდებოდა თუ რას ამბობდა.

— არც მე, — თქვა უილსონმა მხნედ. — მაგრამ რას იზამ. — თითქოს რაღაც მოაგონდა, მაკომბერს შეხედა და დაინახა, როგორ კანკალებდა იგი, რა საწყულური გამოხედვა ჰქონდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ არ წამოხვიდეთ, — უთხრა უილსონმა. — სწორედ ამისათვის არ დამიქირავეთ? ამიტომაც ვფასობ ასე ძვირად.

— თქვენ რა, მარტო ფიქრობთ წასვლას? სულაც რომ მივატოვოთ?

— როგორ მივატოვოთ? — ჰკითხა უილსონმა.

— უბრალოდ, მოვეშვათ.

— ვითომ ვერ მოვარტყით?

— არა, უბრალოდ მოვეცილდეთ.

— ამ დროს ასე არ იქცევიან.

— რატომ?

— ჯერ ერთი, ლომი წვალობს. მეორეც, საშიშია ვინმე არ წააწყდეს.

— გასაგებია.

— აუტალბელო არ არის, ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ.

— წამოსვლით წამოვალ, — თქვა მაკომბერმა. — უბრალოდ ვდელავ.

— მე წინ წავალ, — თქვა უილსონმა. მოხუცო კონგონი კვალს მიჰყვება. თქვენ უკან მომყევით, ოდნავ გვერდზე. როგორც კი დავინახავთ ლომს, თრიფენი ვესვრით. ნუ დელავთ, ვერადიდან არ მოგცილდებით. იქნებ მართლაც ჯობდეს რომ დარჩეთ? წადით მემსაიბთან. მე კი ლომს ბოლოს მოვუღებ.

— არა, მეც წამოვალ.

— როგორც გენებოთ, — თქვა უილსონმა. — მაგრამ თუ არ გინდათ, მაშინ მე მარტო წავალ. ეს ხომ ჩემი ვალია...

— მეც წამოვალ, — თქვა მაკომბერმა.

ისინი ხის ქვეშ ისხდნენ და ეწეოდნენ.

— არ გინდათ მემსაიბს ელაპარაკოთ? — ჰკითხა უილსონმა. — *მეცააწარმოებ*

— არა. — *ზეზინიძე*

— მაშინ მე წავალ და ვეტყვი, რომ მოთმინებით აღიჭურვოს.

— კარგი, — თქვა მაკომბერმა. ის იჭდა გაოფლილი და ნერწყვებამშრალი. გულის კოვზთან რაღაც წიწყნიდა. ვერ გაებედა ეთქვა უილსონისათვის, რომ უმისოდ წასულიყო და მოეცა ლომი. არ იცოდა რა გაცეცხლებული იყო თეთრი მონადირე. უილსონი თავის თავზე ბრალბდა, აქამდე რომ ვერ შეამჩნია მაკომბერის მდგომარეობა და უკან გაგზავნა ცოლთან.

უილსონი მალე დაბრუნდა.

— თქვენი შტუცერი თან წამოვიღე.

— თქვა მან. — აი, ინებეთ. ჩვენ საკმაოდ წიფეციოთ ლომს. წავიდეთ. მაკომბერმა შტუცერი ჩამოართვა.

უილსონმა თქვა:

— ხუთი ნაბიჯით უკან მომყევით, ოდნავ მარჯვნივ და ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც მე გეტყვით. — მერე უილსონმა სუაპილას ენაზე რაღაც გადაულაპარაკა მეთოდებს, რომლებსაც ცხვირბირი ჩამოსტროდათ.

— წავიდეთ, — თქვა უილსონმა.

— ერთი ყლები წყალი, — თქვა მაკომბერმა.

უილსონმა უფროს მეთოდებს, წელზე მათარა რომ ეკადა, რაღაც უთხრა. მეთოდემ მათარა მოიხსნა, მაკომბერს გაუწოდა. მაკომბერს მათარა ემძიმა. მისი ხაოიანი და მქისე ქეჩის შალითა იგრძნო. მათარა ტუჩებთან მიიტანა და მაღალი ბალახების იქით ხეების ბრტყელი წვეროები დაინახა. მსუბუქი ნიავი სცემდა სახეში. ბალახებზე პატარ-პატარა ტალღები გაბზოდნენ. მერე მეთოდეს შეხედა და მიხვდა რომ ისიც შინისაგან იტანჯებოდა.

ოცდაათხუთმეტი ნაბიჯის იქით მიწაზე გაბრტყილიყო ვეება ლომი. ყურებდაცქვეტილი უძრავად იწვა. მხოლოდ გრძელი კული უთრთოდა, რომლის ბოლო შავ ფუნჯს წააგავდა. ლომმა საფარს მიაღწია თუ არა, მაშინვე ჩაწვა

და გაინახა. ახლა გულს ურევდა გამჭოლი ქრილობა, რომელიც საკმლით ამოყორილ მუცელში ჰქონდა მიყენებული. ქრილობისაგან ფილტვებში სისუსტეს გრძობდა. ყოველ ამოსუნთქვაზე ხახაში წითელი ქაფი ამოსდიოდა. ფერდები გაოფლიანებოდა და უხურდა. ნეკის ფრჩხილის ოდენა ნატყვიარებზე ბუზები ეხვეოდნენ. ზიზღისა და ტკივილისაგან დავიწროებულ დიდრონ ყვითელ თვალებს ყოველ ამოსუნთქვაზე ოდნავ ახახამებდა. ბასრი ბრწყალები ღრმად ჩაესო რბილ მიწაში და პირდაპირ იყურებოდა.

მასში ყველაფერი, — ტკივილი, გულსრევა, სიძულვილი და შემორჩენილი ძალღონე უკიდურესობამდე დაძაბულიყო მხოლოდ ერთი ნატომისათვის. ლომს ესმოდა ადამიანის ხმა და ერთ სურვილად გადაქცეულიყო, — როგორც კი მონადირეები ბალახში ფეხს შედგამდნენ, თავს დასკვმოდა. თანდათან ახლოვდებოდა ხმაური. ლომს კუდიც გაუშეშდა. ბოლოს, როცა მონადირეებმა ბალახებამდე მიაღწიეს, ჩახლიჩილი ხმით დაიბუხუნა და კამარა შეჰკრა.

მოხუცი კონგონი წინ მიდიოდა და სისხლიან კვალს აკვირდებოდა. უილსონს შტუცერი მოემარჯვებინა, თვალს ადევნებდა ბალახის ყოველგვარ მოძრაობას. მეორე ზანგი აყურადებდა. მკომბერმა თოფი ფეხზე შეაყენა და უილსონს მიჰყვა. ბალახებში შესვლა ვერც კი მოასწრეს, რომ მკომბერმა ხროტი-ნისებური ბრღლიწვა გაიგონა და ბალახები მსუილით შუახე გაიბო. უცებ მკომბერმა იგრძნო, რომ შიშისაგან თავქუდმოგლეჯილი გარბის, შეშლილივით გარბის ბალახებისაგან შორს, მდინარისაკენ.

მკომბერმა გაიგონა, როგორ დაიქვექა უილსონის შტუცერმა — „კარა-უნგა“ და კიდევ ერთხელ — „კარა-უნგა“. შეტრიალდა და დაინახა, — თავგავლევითი ლომი უილსონისკენ მიბობდავდა. უილსონმა შემართა თავისი მოკლე მოუხეშავი თოფი, ყურადღე-

ბით დაუმიზნა და ისევ დააქუნა — „კარა-უნგა“. ყვითელ ლომს ზორზობი ტანი გაუშეშდა, დამახინჯებული ნეკებზე თავი მიწაზე დაემხო. შუა შინდროში გატენილი თოფით მდგარმა მკომბერმა დაინახა, რომ ლომს სული ამოხდა. ორი შავი და ერთი თეთრი მონადირე ზიზღით უყურებდნენ ნირწამსდარ მკომბერს, რომელიც ახლა უილსონისკენ მობლაცუნებდა. მისი მაღალი და მოხდენილი ტანი სინდისის უტყვე ქნჯნას წააგავდა. უილსონმა შეხედა მას და ჰკითხა:

— სურათებს არ გადაიღებთ?

— არა, — უპასუხა მკომბერმა.

აეტომობილამდე მეტი არაფერი თქმულა. აჰ, კი უილსონმა თქვა:

— მშვენიერი ლომი იყო. ახლა გაატყავებენ. მანამდე შეგვიძლია ჩრდილში ჩამოვსხედეთ.

ცოლს ერთხელაც არ შეუხედავს მეუღლისათვის. არც მკომბერს შეუხედავს მისთვის, თუმცა ერთად ისხდნენ მანქანის უკანა საჯდომზე. უილსონი წინ იჯდა. მკომბერი შეინძრა, ცოლს ხელზე ხელი დაადო, ისე, რომ, იქით არც კი გაუხედავს. ქალმა მაშინვე წაართვა ხელი. მკომბერმა მდინარის გაღმა ნაპირს გახედა, სადაც ზანგები ლომს ატყავებდნენ და მიხედა, — მარგარიტს ყველაფერი მშვენივრად დაეწახა. მარგარიტი წინ გადაიხარა, უილსონს მხარზე ხელი დაადო. უილსონმა თავი მოაბრუნა. მკომბერის მეუღლე საჯდომის დაბალ საზურგეზე გადაიხარა და ტჩებებში აკოცა თეთრ მონადირეს.

— აბა, აბა, — თქვა უილსონმა და წითელი სიღამწერის ქვეშაც კი აენთოს სახე.

— მისტერ რობერტ უილსონი, — თქვა ქალმა. — მშვენიერი წითელსახიანი მისტერ რობერტ უილსონი.

მერე ისევ თავის ადგილას დაჯდა, მკომბერს ზურგი შეაქცია და მდინარის გაღმა გაიხედა, იქით, სადაც ლომი იწვა. ლომს გატყავებული თეთრი თაბები, კუნთებითა და მყესების ბადე-

ბით, ზევით ჰქონდა აშვერილი. მუცელი რუმბივით გაბეროდა. ადამიანები ნელა ატყავებდნენ. ბოლოს ზანგებმა ლომის მიძიმე, ნეღლი ტყავი მოიტანეს, დაგორგლეს და მანქანაში უკანიდან აძურნენ. მანქანა დაიძრა. ბანაკამდე ხმა არავის ამოუღია.

აი, რაც იმ დილით მაკომბერს თავს გადახდა. მან არ იცოდა რას გრძნობდა. ლომი კამარის შეგვრამდე ან შერე, როცა ტყვიამ თავი გაუგლიჯა. ვერც ის გაეგო რა ეწეოდა ლომს წინ მას შემდეგ, რაც მეორე გამაყრუებელმა დარტყვამ კუსებო გაუტეხა; რამ აიძულა ფორთხვით წასულიყო ცეცხლსროლელი მტრგენიანი საგნისაყენ, რომელმაც მას ბოლო მოუღო. უილსონმა ასე თუ ისე რაღაც იცოდა ამის შესახებ, რაც გამოხატა სიტყვებით, — „მშვენიერი ლომი“. მაკომბერმა არ იცოდა, რას გრძნობდა უილსონი; არც ის, თუ რას ფიქრობდა ახლა მისი ცოლი. იცოდა მხოლოდ ის, რომ მარგარიტს მასთან ლაპარაკი აღარ უნდოდა. მისის მაკომბერს არაერთხელ გადაეწყვიტა გაყროდა ფრენისს. მაკომბერი მდიდარი კაცი იყო და იმედი ჰქონდა, თუ კიდევ უფრო გამდიდრდებოდა, ცოლი არასოდეს არ მიატოვებდა. ეს მან მშვენიერად იცოდა. მოტოციკლიც იცოდა (რასაც მან ყველაზე ადრე გაუგო). ავტომობილიც. იხვებზე ნადირობა, თევზაობა, — კალმახობა; ორაგული და ზღვის დიდი თევზი; სქესის საკითხებში უფრო წიგნების მიხედვით ერკვეოდა. უყვარდა წიგნები; ჩოგბურთიც; ძაღლებიც; ცოტა რამ ცხენების შესახებაც გაეგებოდა. იცოდა ფულის ყადრი. ეს ყველაფერი მის სამყაროს შეადგენდა. დარწმუნებული იყო, რომ ცოლი არასოდეს მიატოვებდა. მარგარიტი ახალგაზრდობაში ლამაზი ქალი იყო. მართალია ის ახლა აქ, აფრიკაში ძალაღან ლამაზი ჩანდა, მაგრამ შტატებში ისეთი ლამაზი აღარ იყო, რომ ფრენისის მიეტოვებინა და უკეთესს გაპოლოდა. ეს ორივემ კარგად იცოდა. მარგარიტმა ხელიდან გაუშვა ის მომენტი, როცა შეეძლო მე-

ულე პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა და ესეც იცოდა ფრენისსმა, მაკომბერი რომ ქალებზე მტრულად იყენიყო, მარგარიტს ის აზრი არ ჰოასვენებდა, ფრენისის უფრო ლამაზ ცოლს იშოვისო; მაგრამ ის კარგად იცნობდა: ნეულღეს და ამ ანგარიშით დამშვიდებული იყო. ამასთანავე მაკომბერი იშვიათი მომთენი და რბილი ხასიათისა იყო, რაც ქალის თვალში მის ერთერთ ყველაზე სასურველ თვისებას წარმოადგენდა.

საერთოდ, საზოგადოების აზრით, ეს იყო შედარებით ბედნიერი წყვილი მათ შორის, რომლებიც ჰორებს თუ დევუჭერებთ, საცაა გაიყრებიან, მაგრამ არასოდეს არ იყრებიან. ახლა ისინი, როგორც აღნიშნა „მსოფლიო ქრონიკის“ რეპორტიორმა, „იმედოვნებენ, რომ სათავგადასავლო ელემენტი სიცხოველეს მისცემს მათი მრავალი წლის პოეტურ რომანს; სანადიროდ გამგზავრნენ ყოფილ შავ აფრიკაში, ვიდრე მარტინ ჯონსონი ამ მხარეს ვერცხლისფერ ეკრანზე გააცოცხლებს. ისინი იქ ნადირობენ სიმბოს ჯიშის ბებერ ლომებზე, გარეულ კამეჩებზე, ტემბოს ჯიშის სპილოებზე და თან მასალებს აგროვებენ საზუნებისმეტყველო მეცნიერების მუზეუმისათვის“. იგივე რეპორტიორი უკვე შესამეჭერ ატყობინებდა საზოგადოებას, რომ ცოლქმარის დამოკიდებულება წკიბზე იყო მიმდგარი. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ისინი ყოველთვის რიგდებოდნენ. მათ ცოლქმრობას მტკიცე საფუძველი ჰქონდა. მარგარიტის სილამაზე საწინდარი იყო იმისა, რომ მაკომბერი არასოდეს არ გაეყრებოდა. ხოლო მაკომბერის სიმდიდრე იმის გირაო იყო, რომ მარგარიტი არასოდეს მიატოვებდა.

ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ფრენისის მაკომბერმა ლომზე ფიქრი შეწყვიტა და ჩაეძინა. გამოეღვიძა და ცოტახნის შემდეგ ისევ ჩაეძინა. სიზმარში ნახა, თავზე პირისსხლიანი ლომი წამოსდგომოდა. შიშისაგან გამოეღვიძა. მიაყურა და საკუთარ გულისცემაზე

მიხვდა, რომ ცოლის საწოლი ცარიელი იყო. ამ აღმოჩენის შემდეგ კიდევ ორ საათს აღარ მოუხუტავს თვალი.

ორი საათის შემდეგ მარგარიტი კარავში შევიდა, ფარდა გადასწია და ლოგინში მშვიდად ჩაწვა.

— სად იყავი? — ჰკითხა მაკომბერმა სიბნელეში.

— ჰელოუ, — თქვა ქალმა. — შენ არ გძინავს ფრენის?

— სად იყავი მეთქი?

— ისე, სუფთა ჰაერზე გავისვირნე.

— სულელი ნუ გგონივარ.

— რა გინდა ჩემგან, ძვირფასო?

— სად იყავი?

— სუფთა ჰაერზე.

— ეგ რა, ახალი ტერმინია? გაფუქებულს!

— შენ კი მშინარა ხარ!

— ასე იყოს. — თქვა ქმარმა, — მე რე შენ რა?

— არაფერი. მოდი, ჩემო კარგო, ნუ ვილაპარაკებთ, ძალიან მეძინება.

— შენ გგონია ყველაფერს მოგითმენ?

— ვიცი, არ მომიტომენ.

— ჰოდა, არ მოგითმენ.

— ჩემო კარგო, მოდი გავჩუმდეთ, საშინლად მეძინება.

— შენ ხომ აღმიტყვი; რომ ეს აღარ მოხდებოდა.

— რა ვუყვით, ახლა მოხდა, — თქვა ქალმა აღერსიანად.

— ავი დამპირდი, თუ აქ ჩამოგიდლოდით, ეს აღარ განმეორდებოდა.

— ჰო ვეთაყვა, ასე ვაპირებდი, მაგრამ გუშინტელმა დღემ ყველაფერი გააფუქა. ღირს კი ამაზე ლაპარაკი?

— შენ არ კარგავ შესაძლებლობას. როცა ხელში კოზირი გაქვს.

— მოდი, ძვირფასო, ნუ ვილაპარაკებთ. მე ისე მეძინება.

— მე კი ვილაპარაკებ.

— მაშინ, მამატიე, მე დავიძინებ. — და დაიძინა.

გათენებამდე სამივენი სიუზმეს უსხდნენ. ფრენის მაკომბერი გრძნობდა, რომ იმ ადამიანებიდან, რომლებიც მას

სძულდა, ყველაზე უფრო რობერტ უილსონი ეზიზღებოდა.

— როგორ გეძინათ? — ჰკითხა უილსონმა ყრუ ხმით. იგი ჩიბუხს ტენიდა.

— თქვენ?

— შესანიშნავად. — უბასუხა თეთრმა მონადირემ.

არამზადა, გაიფიტრა მაკომბერმა, ურცხვი არამზადა.

აღმათ, ცოლმა გაადვიძა, როცა დაბრუნდა, ფიქრობდა უილსონი, თან ორივეს გულგრილი და ცივი თვალეზით აყვირდებოდა. ყურადღება მიაქციოს ცოლს. რა ჰგონია, მე რა, წმინდანი ვარ? უფრო გულისყურაანი იყოს. თვითონაა დამნაშავე.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვიპოვით გარეულ კამეჩებს? — ჰკითხა მარგარიტმა და ნუშით სავსე თეფში იჭით მისწია.

— აღმათ, — თქვა უილსონმა და გაუღიძა. — არ ჯობია ბანაკში დარჩეთ?

— არაფრის გულისათვის — უბასუხა ქალმა.

— უბრძანეთ, ბანაკში დარჩეს, — უთხრა უილსონმა მაკომბერს.

— თქვენ თითონ უბრძანეთ, — უბასუხა მაკომბერმა ცივად.

— მბრძანებლობას თავი ანებეთ. კეუთი იყავი ფრენის. — თქვა მარგარიტმა ზუმრობის კილოთი.

— მივდივართ თუ არა? — იკითხა მაკომბერმა.

— შე მზად ვარ. გინდათ მემსაიბი ჩვენთან ერთად წამოვიდეს?

— სულერთი არ არის, მინდა თუ არა?

აი, თავსატეხი, გაიფიტრა რობერტ უილსონმა, მართლაც თავსატეხი. ახლა საქმე გართულდა. მაგრამ დაე ასე იყოს.

— მართლაც სულერთია. — თქვა მან.

— იქნებ თქვენ მარგარიტთან ერთად დარჩეთ ბანაკში და კამეჩებზე ნადირობა მე მომანდოთ? — ჰკითხა მაკომბერმა.

— უფლება არა მაქვს, — თქვა უილ-

სონმა, — ეს უაზრობაა. თქვენს ადგილზე ამას არ ვიტყოდი.

— უაზრობა კი არა საზიზღრობაა.

— საზიზღარი, — არ არის კარგი სიტყვა.

— ფრენის, იყავ კეთილი, ჰკვიანურად ილაპარაკე, — თქვა მისმა ცოლმა.

— ეშმაკმა წაგიღოთ, მე ისედაც ჰკვიანურად ვლაპარაკობ, — თქვა მკომბერმა. — გიჟამით როდისმე ასეთი სისამაგლე?

— თქვენ უკმაყოფილო ხართ საჭმლით? — მშვიდად ჰკითხა უილსონმა.

— ნაკლებად, ვიდრე სხვა დანარჩენით.

— თავი შეიკავეთ, გეთყვია, — თქვა უილსონმა მშვიდად. — ერთ ბიჭს ცოტა ინგლისური ესმის.

— ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი.

უილსონი ადგა. ჩიბუხის ბოლებით გავალა ცოლქმარს და მეფოფეებს სუაპილის ენაზე რაღაც უთხრა. ცოლქმარი ისევე მაგიდას უსხდნენ. მკომბერი დაღვინებით უმზერდა თავის ფინჯანს.

— შენ თუ აურზაურს ასტებ, ძვირფასო, მივატოვებ, — თქვა მარგარიტმა მშვიდად.

— არ მიმატოვებ.

— სინჯე და ნახავ.

— არ მიმატოვებ, არა!

— ჰო, — თქვა ქალმა — მე შენ არ მივატოვებ, შენ კი წესიერად მოიქცევი.

— წესიერად? სასაცილოა. წესიერად.

— ჰო, წესიერად.

— მე დიდხანს ვეცადე, ჩემო კარგო.

— ვერ ვიტან იმ წითელსიფათიან ღორს, — თქვა მკომბერმა. — მარტო მისი იერიც გულს მირევს.

— იცი, რა? ის ძალიან საყვარელი მამაკაცია.

— ხმა ჩაიწყვიტე. — დაუყვირა მკომბერმა.

ის იყო სასადილო კარავთან მანქანაც ვაჩერდა. მძლოლი და ორივე მეთოფე

მანქანიდან ჩამოხტნენ. უილსონი ცოლქმართან მივიდა.

— მივდივართ სანადიროდ, — თქვა მან.

— ჰო, — თქვა მკომბერმა და ადგა. — მივდივართ.

— სვიტრი წამოიღეთ, ეციება, — თქვა უილსონმა.

— მე წავალ. ტყავის ჭურთუქს ავიღებ, — თქვა მარგარიტმა.

— ჭურთუქი ბიჭსა აქვს, — თქვა უილსონმა და მძლოლის გვერდით დაჯდა. ფრენის მკომბერი კი მეუღლესთან ერთად უკანა სკამზე მოთავსდა.

ამ რეგენმა ზურგში არ დამახალის, ფიქრობდა უილსონი. სისულელეა ქალების სანადიროდ წაყვანა.

ავტომობილი მდინარისკენ დაეშვა და ქვევით დახვრიტოდა თავთხელ წყალში ფონს გავიდა. მერე ნაცრისფერ დილაზნელში ზიგზაგებით ავიდა მაღალ ნაპირზე, იმ ვხით, რომლის გაჭრაც უილსონმა წინაღობით ბრძანა. გზა იმისთვის გააყვანინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მეჩხერ ტყემდე და დიდ მინდვრებამდე მანქანით მისვლა.

კარგი დილაა, ფიქრობდა უილსონი. მიდამო დილის ცვარს დაეფარა. მანქანა დაბალ ჯგანარში მიდიოდა. უილსონი გრძნობდა გასრესილი ფოთლების სუნს, რომელიც ტირიფის სუნს აგონებდა. მას უყვარდა დილის ცვარის სურნელება, გასრესილი გვიძრა და ნისლში გამოკვეთილი ზეების შავი ტანი. უყვარდა, როცა მანქანა უგზო-უკვლოდ მისრიალებდა მეჩხერ ტყეში. ცოლქმარი დიდხანა გადაავიწყდა, ახლა გარეულ კამეჩებზე ფიქრობდა. კამეჩები დღისით ბუჩქნართან ჰაობებში ისვენებდნენ. იქ მათზე ნადირობა შეუძლებელი იყო. ლამ-ლამობით კამეჩები საძოვრად გაშლილ მინდვრებზე გამოდიოდნენ. ახლა თუ მანქანას ისე მიაყენებდნენ, რომ ჰაობებისკენ გზა გადაეჭრათ, მან მკომბერი გაშლილ მინდორზე დახოცავდა მათ. უილსონს მკომბერთან ერთად არც კამეჩებზე და არც სხვა ცხოველებზე არ უნდოდა ენადირა, მაგ-

რამ ეს მისი პროფესია იყო. მაკომბერზე უარეს ტიპებთანაც ჰქონია საქმედღეს თუ კამერები იპოვნეს, მარტორქალა დარჩებათ. ამგვარად მაკომბერი დამთავრებს საშვიმ გართობას. შეიძლება საქმე კარგად წავიდეს. უილსონი მარგარიტს თავს დაანებებს. მაკომბერი კი მოინებებს წუხანდელ ამბავს. ეს, ალბათ, მისთვის პირველი არ არის. საცოდავი. ეტყობა შეეჩვია ასეთ რამეებს. თვითონაა დამნაშავე, დოყლაბია, უბედური.

ნადირობის დროს რობერტ უილსონს ყოველ შემთხვევისათვის მოგანივრო საწოლი დაჰქონდა. კარგად იცნობდა თავის კლიენტებს, დროსტარების მოყვარე საზოგადოების ნალებს, სპორტის მოყვარულებს; ქალებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ გადახდილ ფულზე რაღაც დააკლეს, თუ თეთრ მონადირესთან ფართო საწოლზე ერთ ღამეს იანცი არ გაათევენ. უილსონს სძულდა ისინი, როცა შორს იყვნენ, მაგრამ ვიღრე ერთად იყვნენ, რამოდენიმე მათგანი მოსწონდა კიდეც. ასეა თუ ისე, მათი წყალობით სუამდა ბურს და ჭერჭერობით ამ ხალხის საზომი უილსონის საზომიც იყო.

ისინი ყველაფერში უილსონის საზომები იყვნენ გარდა ნადირობისა. აქ კი მას თავისი საზომი ჰქონდა. ამიტომ ეს ხალხი ან უნდა დამორჩილებოდა უილსონს, ან სხვა მონადირე დაეჭირავებინათ. უილსონმა იცოდა, სწორედ ამისთვის სჯიმონენ პატრიკს. ეს მაკომბერი კი უცნაური კაცია; მართლაც უცნაური. მშუღლევ უცნაური ჰყავს. ჰმ, იკოლიც ასეთი უნდა... კმარა, მზარა მათათუ თიქრი. უილსონმა იკოლ-ქმარს გადახიდა. მაკომბერი პირქუშად იჯდა მარგარიტმა გაუღიმა უილსონს. იგი თითქოს გაახალგაზრდავებულისყო და უფრო უმანყო ჩანდა, ვიდრე პროფესიონალი ლამაზი. ღმერთმა იცის, რას ფიქრობს ახლა, ვაიფიქრა უილსონმა ღამით იოტა ილაპარაკა. მე მიანცი მსიამოვნებს მისი ცქერა.

ავტომობილმა მომცრო აღმართი აი-

ვკა და ხეებს შორის ნელა გაგორდა. კიდე-კიდე მიჰყვა მაღალი ბალახით დაფარულ მინდორს, ისე რომ ტენის პირზე ხეების ჩრდილსაც არ სცილდებოდა. უილსონი დაძაბული გაჰყურებდა ვრცელ მინდორს. მძლოლს მანქანა გაჩერებინა; მინდორი დურბინდით მიათვლიერა. მერე მძლოლს ხელით ანიშნა და ავტომობილმა გზა განაგრძო. ნელა მიიწვედნენ წინ. მანქანა გვერდს უვლიდა გარეული ღორების დანათხარ ორმოებს და ტერმიტების ბორცვების მაგვარ წოწოლა ბუდეებს. უილსონი თვალს არ აშორებდა მინდორის დასაღიერს. უცებ შებრუნდა და თქვა:

— გაიხედეთ, აი, ისინიც.

მანქანა წინ გაქანდა. უილსონმა მძლოლს სუაჰილის ენაზე გაუბა ლაპარაკი. მაკომბერმა იმ მხარეს გაიხედა. საითაც უილსონი მძლოლს უთითებდა და სამი უზარმაზარი შავი ცხოველი დანახა, რომლებიც ქენებით მისტრავდნენ მინდორს. მათ ცილინდრისებური ზორზოხი ტანი ჰქონდათ და შავ ტანებს ჰგავდნენ. მაკომბერმა თვალი მოჰკრა მათ წაგრძელებულ კისრებს. ფართოდ გაშვერილ, დაგრებილ რქებს და გაშეშებულ თავებს.

— სამი ბებერი ხარი, — თქვა უილსონმა, — მოვასწრებთ, გზას მოვუჭრით ქაობისაკენ.

მანქანა ორმოცდახუთი მილის სისწრაფით მიფრინავდა კოლბოხებზე. მაკომბერის თვალში კამეჩები თანდათან იზრდებოდნენ და იზრდებოდნენ. უკვე შეეძლო გაეჩნია ერთი მათგანის ნაცრისფერი, დაფუფხული ტანი; იგი ხედავდა, როგორ გადადიოდა კისერი მხრებში და როგორ ელვარებდნენ დაგრებილი, ვეება რქები წინა ორი. მძიმე და თანაბარი ოთხით მიჭენობდნენ. მანქანა კამეჩებს წამოეწია და უკაბ ისე შეინჯორა, თითქოს რაღაცას დაეჯახაო. მაკომბერი კარგად ხედავდა როგორ ხტოდნენ ჩამორჩენილი კამეჩის მტკრიან და მიჩხერ ბეწვებზე ახორბოლილი გორბები. იგი ხედავდა რქების თართოდ ფუქს და წინ გაშვერილ განიერნესტო-

ებთან დრუნჩს. ის იყო თოფი გადმოიღო, რომ უილსონმა დაუყვირა: „მანქანდახ არა, შე გამოტვივებულო!“ მაკომბერი შიშს აღარ გრძნობდა. ის გრძნობდა სიმულეილს უილსონისადმი. მძღოლმა დაამუხრუჭა. მანქანა გვერდზე შებრუნდა და ისე უცებ გაჩერდა, რომ მიწა დათხარა. ერთი მხრიდან უილსონი ჩამოხტა დაბლა, მეორედან — მაკომბერი. ოდნავ წაბოჩიქდა და გაისროლა. კამეჩი თანდათან სცილდებოდათ. მაკომბერს ესმოდა, როგორ ხედებოდა კამეჩს ტყვიები და მთელი ჭერი მიუშვა. კამეჩი ისევ გარბოდა. მაკომბერს გაახსენდა, რომ ბეჭში უნდა დაემიზნებინა. თოფის გატენას შეუდგა, მაგრამ დაინახა, რომ კამეჩმა წაიხოქა, მერე დაეცა და მძიმე თავი გადააქნია. მან ახლა შეწინავეს ესროლა და შორტყა კიდევ. კიდევ ესროლა, დააცილა. მერე უილსონის შაშხანის გამაყრუებელი „კარა-უონგ“ გაიგონა და დაინახა, როგორ წაერტო კამეჩი დრუნჩით მიწაში.

— ახლა მესამე — თქვა უილსონმა, — აი, ეს სროლაა.

მესამე კამეჩი თანაბარი ოთხით შეუპოვრად მიიწვედა წინ. მაკომბერმა ესროლა, მაგრამ ააცილნა. ტყვიამ ბლღერი ადინა მიწას. უილსონმაც დააცილა. ტყვიამ ისევ აყენა მტერის კორიანტელი. „მანქანაზე, ასე ვერ მოქალავთ“. — დაიძახა უილსონმა, მაკომბერს ხელი ჩაავლო და ორივენი აქეთიქიდან მანქანის საფეხურზე შებტენენ. მანქანა ოკრო-ბოკრო მიწაზე მიჰქრთადა. სწრაფად ეწეოდნენ დათხილ კამეჩს. მაკომბერი თოფს ტენიდა, სიჩქარისაგან ვახნები ებნეოდა. ჩახმახმა უმტყუნა, მაგრამ მალე გამართა. ამასობაში კამეჩს წამოეწვივნენ. უილსონმა დაუყვირა: „გააჩერე!“ მანქანა გვერდზე შეტრიალდა, კინალამ გადაბრუნდა. მაკომბერი მანქანიდან ჩამოხტა, მაგრამ არ წაქცეულა. ჩახმახი შემართა და გაქნებულ კამეჩს ზურგში ესროლა. დაუმიზნა და კიდევ ესროლა. მერე მთელი ჭერი მოუშვა. არც ერთი არ აუც

დენია, მაგრამ კამეჩი მაინც მიბრუნდა. თითქოს ტყვიები არავითარ ზიანს არ აყენებდნენ. მერე მაკომბერი უილსონის შაშხანის გრუხუნმა გააყრუა და დაინახა, რომ კამეჩი დაბარბაცდა. მაკომბერმა გულდასმით დაუმიზნა და კიდევ ერთხელ ესროლა. კამეჩი ჭერ ჩაიკეცა, მერე მიწაზე მოადინა ზღართან.

— ყოჩაღ, — თქვა უილსონმა. — სუფთა ნამუშევარია. ესეც მესამე.

მაკომბერი სიხარულმა აიტაცა.

— რამდენჯერ ესროლეთ? — ჰკითხა უილსონს.

— მხოლოდ სამჯერ, — თქვა მან. — პირველი, ყველაზე დიდი, თქვენ მოკალით. დანარჩენ ორზე მე წაგვხმარეთ. მეშინოდა ტერვში არ გავტყეოდნენ. ისინიც თქვენს მოკლულად ითვლება. მე მხოლოდ ოდნავ შეგეხიდეთ. მშვენივრად ისროდით.

— მანქანასთან მივიდეთ, — თქვა მაკომბერმა. — მე მინდა დავლიო.

— ჭერ ამას მოველოთ ბოლო, — უთხრა უილსონმა.

კამეჩი მუხლებზე წამოჩოქილიყო. როცა მონადირეები მიუახლოვდნენ, თავი გაშმაგებით გადააქნია და დაიბლაგვლა. თან ღორის ვიწრო თვალები გადმოკარკლა.

— ფრთხილად, არ წამოდგეს, — თქვა უილსონმა და შემდეგ დაუმატა: — ცოტა გვერდზე მიდექი და ყურისძირში რეხვე. მაკომბერმა კამეჩს კისერში დაუმიზნა და ესროლა. ვეება თავი მიწაზე დაემხო.

— სწორია, — თქვა უილსონმა. — შიგ კისრის მალში მოხვდა. აი, საფრთხობელა. ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი.

— წამო, დავლიოთ, — თქვა მაკომბერმა. სიცოცხლეში პირველად გრძნობდა თავს ასე კარგად.

მარგარიტი ფერმიხდილი იჭდა მანქანაში.

— შენ საოცარი სანახავი იყავი, ჩემო კარგო, — უთხრა მან მაკომბერს. — აი, ნადირობაც ამას ჰქვია.

— ძალიან ინჯღრეოდა? — ჰკითხა უილსონმა.

— ძალიან. სიცოცხლეში არ განმიცდია ასეთი შიში.

— მოდით, ყველამ დავლიოთ, — თქვა მაკომბერმა.

— აუცილებლად, — თქვა უილსონმა. — მაკომბერმა პირველად დალიოს. — ქალმა ოდნავ გადასწია თავი და მათარიდან სუფთა ვისკი მოსუვა. მერე მათარა მაკომბერს მიაწოდა, მან კი — უილსონს.

— თავი ამტკივდა, — თქვა ქალმა. — ძალიან ვღელავდი. არც კი ვიცოდი ნებადართული თუ იყო მანქანიდან გამეჩხვებ სროლა.

— მანქანიდან არავის უსვრია, — ცივად თქვა უილსონმა.

— თუნდაც მანქანით დევნა.

— საერთოდ არ არის მიღებული, — თქვა უილსონმა. — მაგრამ დღეს არა უშავდა, მომეწონა კიდეც. კოლბოხებზე და ორმოებზე მანქანით უგზო-უკვლოდ სარბოლვა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ფეხით ნადირობა. კამეჩს შეეძლო ყოველი გასროლის შემდეგ დაგეცემოდა. მაინც ნურავის მოუყვებით ამ ამბავს. უკანონობაა. ალბათ, ეს გჭონდათ მხედველობაში.

— ჩემის აზრით, — თქვა მარგარიტმა. — უნამუსობაა ამ სქელ და უმწეო ცხოველების მანქანით დევნა.

— ნამდვილად?

— რას იტყვიან, ეს რომ ნაირობში გაიგონ?

— ჯერ ერთი მოწმობას ჩამომართმევენ, — თქვა უილსონმა და მათარიდან ვისკი მოსუვა. — ათასი დავიდარაბა მელის. ასე რომ, უმწევეარი დავრჩები.

— მართლა?

— ჰო, მართლა.

— აი, ხედავთ, — თქვა მაკომბერმა და მთელი დღის განმავლობაში პირველად გაიღიმა. — მარგარიტი ახლა თქვენ აგვიხრდათ.

— რა მშვენივრად ლაპარაკობ, ფრენსის, — თქვა მისის მაკომბერმა.

უილსონმა შეხედა ორივეს და გაიფიქრა: თუ ქმარი ტუტუცია და ცოლი

ნაგავი, შეილები რაღა გამოუვით? მაგრამ მან სულ სხვა რამე თქვა:

— ჩვენ ერთი მეთოფე დავკარგეთ, არ შეგიძინევიათ?

— ღმერთმანი არა, — თქვა მაკომბერმა.

— აი, მოდის კიდეც — თქვა უილსონმა. — პირველ კამეჩს რომ ვუშორდებოდით, ალბათ, მაშინ გადმოვარდა მანქანიდან.

მოხუცი კონგონი კოჭლობით მოდიოდა. ხაქის მოსასხამი, მოკლე შარვალი და რეზინის წაღები ეცვა. მისი მოლუშული სახე ზიზღს გამოხატავდა. ახლოს რომ მოვიდა, უილსონს სუაპილის ენაზე რაღაც უთხრა. ყველამ დაინახა, როგორ შეეცვალა სახე თეთრ მონადირეს.

— რაო, რას ამბობს? — ჰკითხა მარგარიტმა.

— რაო და, პირველი კამეჩი წამომდგარა და ტვერში შესულა, — თქვა უილსონმა ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე.

— ოჰო, — დაბნეულად თქვა მაკომბერმა.

— მასხადამე ლომის ამბავი გაეორდება, არა? — გამოცოცხლდა მარგარიტი.

— დასწყევლოს ეშმაკმა, მთლად ისე არა, — თქვა უილსონმა. — მაკომბერ, თქვენ კიდე დალევთ?

— კი, გმადლობთ, — თქვა მაკომბერმა. — ის ელოდა, რომ გუშინდელი შეგრძნება დაუბრუნდებოდა, მაგრამ ახლა მასში შიშის ნასახიც კი არ იყო. შიშის მაგივრად იყო აღტაცების მკვეთრი შეგრძნება.

— წავიდეთ, მეორე კამეჩს მივხედოთ, — თქვა უილსონმა, — მე ვუბრძანებ მძლოლს მანქანა ჩრდილში დააყენოს.

— თქვენ საით? — იკითხა მარგარიტმა.

— კამეჩს მივხედავთ, — უბასუხა უილსონმა.

— მეც თქვენთან წამოვალ.

— წამოდით.

სამივენი იქით გაემართნენ, სადაც მეორე კამეჩი შავი ბელტივით ეგდო მიწაზე. მძიმე რქები უკან გადაეყარა და კისერი წაეგრძელებინა.

— ძალიან კარგი თავი აქვს, — თქვა უილსონმა. — რქებს შორის ორმოცდაათი დღე იქნება.

მაკომბერი შოხიბლული დასცქეროდა კამეჩს.

— საზიზღარი სანახავია, — თქვა მარგარიტმა. — არ წავიდეთ ჩრდილში?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა უილსონმა, — შეხედეთ, — უთხრა ახლა მაკომბერს და ხელი წინ გაიშვირა, — ხედავთ იმ ტევებს?

— ვხედავ.

— იქ დამალულა პირველი კამეჩი. როცა კონგონი მანქანიდან გადმოვარდა, კამეჩი თურმე მიწაზე იწვა. კონგონი ჩვენ გვაღვევებდა თვალს. ამასობაში კამეჩი წამოდგარბო და მას მისჩერებოდა. კონგონიმ ჩვენსკენ მოკურცხლა, კამეჩი კი ნელა გაემართა ტევრისაკენ.

— ახლავე მივყვით უკან? — მოუთმენლად ჰკითხა მაკომბერმა.

უილსონმა ახედ-დახედა. რა უცნაური კაცია, გაიფიქრა მან, გუშინ შიშისგან კანკალებდა, დღეს ვეღარ ვაკავებ.

— არა, ცოტახანს დავიცადოთ.

— ვეთაყვათ, წავიდეთ ჩრდილში, — თქვა მარგარიტმა. სახე მთლად გათეთრებოდა, ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა.

ისინი ტოტებგანიერი ხის ქვეშ ჩამოსხდნენ, აეტომობილთან.

— იქნებ კამეჩი კიდევაც მოკვდა, — თქვა უილსონმა. — ცოტა შევიცადოთ და მერე მოვიქნებით. — მაკომბერი ანგარიშიუცემელ ბედნიერებას გრძნობდა. ასეთი რამ არასოდეს განეცადა.

— ნამდვილი დოლი იყო, — თქვა მან. ჭერ არაფერი განმიცდია ამის მსგავსი. საუტბო იყო. ხომ მართალია, მარგო?

— საძაგლობა იყო, — თქვა ქალმა.

— რატომ?

— საძაგლობა იყო, — თქვა მან მწარედ — სიბილწე.

— იცით, მე ალბათ არასოდეს არაფრის აღარ შემიშინდება, — უთხრა მაკომბერმა უილსონს. — რალაც შარდა ჩემში, როცა კამეჩს გამოვევით. თითქოს კაშხალი გაირღვა, უზარმაზარი სიამოვნება განვიცადე.

— ღვიძლისათვის სასარგებლოა, — თქვა უილსონმა. — რალა არ ემართებათ ხოლმე ადამიანებს.

მაკომბერს სახე უბრწყინავდა.

— ჩემში მართლა გარდაიქმნა რალაც, — თქვა მან. — თავს სულ სხვა ადამიანად ვგრძნობ.

ცოლმა არაფერი უთხრა. საზურგეს მიყრდნობილმა ერთი უცნაურად შეხედა. მაკომბერი წინ გადახრილიყო, უილსონს ელაპარაკებოდა. თეთრი მონადირე მძლოლის გვერდით იჭდა და პასუხობდა.

— იცით, ერთხელ კიდევ სიამოვნებით გავინაჯარდებდი ლომზე, — თქვა მაკომბერმა. — ახლა სულაც არ მეშინია. ბოლოს და ბოლოს რა უნდა მიქნან?

— სწორია, — თქვა უილსონმა. — უკიდურეს შემთხვევაში მოგვლავენ, როგორც ეს შექსპირსა აქვს. ძალიან კარგი ადგილია. ეხლავე გავიხსენებ. ახ, მშვენიერი ადგილია. იყო დრო, ხშირად ვიმეორებდი. აბა, ესინჯავ: „ჩემთვის, მართალი ვითხრათ, სულერთია. სიკვდილს ვერსად გაექცევი. ჰოდა, ის ვინც წელს მოკვდა, გაისად სიკვდილისგან დაზღვეულია“. კარგი ნათქვამია, არა?

უილსონი ააღელვა ამ სიტყვებში. ეს სიტყვები ბევრს ნიშნავდა მის ცხოვრებაში: ადამიანები პირველად როდი აღწევდნენ მის თვალწინ სრულწლოვანებას. ეს კი ყოველთვის ადღეუვებდა. საქმე იმაში ხომ არ არის, აუცილებლად ოცდაერთი წელი უსრულდებათ თუ არა.

ნადირობისას გარემოებათა უცაბედო დამთხვევა და უშუალო მოქმედება, მაშინ, როცა მოფიქრებისათვის დრო აღარ ჰქონდა, — აი რა დასჭირდა მაკომბერს, სრულწლოვანი რომ გამხდ-

რიყო. სულერთია როგორც არ უნდა მომხდარიყო. ეს, მთავარია რომ მოხდა. უყურეთ ამ საწყალს, ფიქრობდა უილსონი, ბევრი მათგანი დიდხანს ბოჭუნებად რჩებიან. ზოგი მთელი სიცოცხლის მანძილზეც კი. კაცი ორმოცდაათი წლისაა, შესახედობა კი ბოჭური აქვს. ყბადაღებული ამერიკელი მამაკაცი — ბიჭები. უცნაური ხალხია ღმერთმანი. მაგრამ ეს მაკომბერი მოსწონს უილსონს. უცნაური, მართლა უცნაური. ამის შემდეგ, ალბათ, რქებს აღარავის დაადგმევენებს. რას იზამ, კარგი საქმეა. ცუდი საქმე არ არის, ეშმაკმა წილოს საწყალს, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ეშინოდა. არავინ იცის, როდის დაიწყო მისი გამამაკაცება, მაგრამ ახლა კი დასრულდა. ვერ მოასწრო კამეჩების შეშინებოდა. ჭერ ერთი გაბრაზებული იყო; მერე კიდევ ავტომობილი. ავტომობილიდან ყველაფერი უბრალოდ გიჩვენება. ახლა ვეღარც დააკავენ. სწორედ ასევე იყო ომშიც. ეს უფრო ცვლილებაა, ვიდრე უმანკობის დაკარგვა. შიში საღლაც გაქრა, თითქოს ამოკვეთესო. მის მაგივრად არის რაღაც ახალი, ის რაც ყველაზე მთავარია მამაკაცში. ქალები ამას გრძნობენ. შიში საღლაც გაქრა.

ავტომობილის კუთხეში მიკუნჭული მარგარიტი ორივეს ათვალერებდა. უილსონი არ გამოცვლილა. იგი ისეთივე იყო, როგორც წინა დღეს. მარგარიტმა იცოდა რაში იყო მისი ძალა. ფრენის მაკომბერი კი გამოიცვალა. ქალი ამასაც ხედავდა.

— თქვენთვის ნაცნობია სისხარულის შეგრძნება, როცა რაღაცას ელი? — ჰკითხა მაკომბერმა; თან თავის ახალ განწყობილებას აკვირდებოდა.

— ამაზე, როგორც წესი, არ ლაპარაკობენ, — თქვა უილსონმა. იგი სახეში უყურებდა მაკომბერს. — შესმის კაცმა თქვას, შეშინაო. თქვენ კი მერწმუნეთ კიდევ არაერთხელ შეგწმინდებათ.

— ჰო, მაგრამ, თქვენთვის ნაცნობია სისხარულის ის შეგრძნება, როცა წინ მოქმედება გელით?

— ჰო, თქვა უილსონმა. — კმარა. რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, შეიძლება ყველაფერი გააფუჭოთ. როცა რაიმეზე ბევრს ლაპარაკობენ, ყოველგვარი სიამოვნება იკარგება.

— თქვენ ორივენი ჩმახავთ, — თქვა მარგარიტმა. — სამ უმწეო ცხოველს მანქანით გამოენთეთ და თავი გმირებად წარმოიდგინეთ.

— ვთხოვთ, მამაკითხეთ, — თქვა უილსონმა. — მე მართლაც ხედმეტი მომივიდა. — უკვე შეწუხდა, — გაიფიქრა მან.

— როცა არ გესმის რაზე ვლაპარაკობთ, ნუ ერევი, — უთხრა მაკომბერმა ცოლს.

— შენ უცებ საშინლად გულადი გახდი, — ზიზღით თქვა მარგარიტმა. ამ ზიზღს დამაჭერებლობა აქვდა. ქალს შიში დაუფლუბოდა.

მაკომბერმა მზიარულად და ძალიდანებულად გაიცინა.

— შენ წარმოიდგინე—თქვა მან. — მართლაც გულადი გავხდი.

— გვიან ხომ არ არის, — მწარედ თქვა მარგარიტმა. ქალი წლები მანძილზე ცდილობდა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, ხოლო იმ ყოფაში, რომელშიც ახლა ისინი იყვნენ, დამნაშავე არც ერთი იყო და არც მეორე.

— ჩემთვის არ არის გვიან, — თქვა მაკომბერმა.

მარგარიტს არაფერი უთქვამს. უფრო მიიკუნჭა მანქანის კუთხეში.

— მე მგონი ღროა, — მხნედ უთხრა მაკომბერმა უილსონს. — თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ვცადოთ, — უთხრა უილსონმა. — ვაზნები დაგრჩათ?

— მეთოფეს აქვს რამოდენიმე ცალი. უილსონმა სუაპილის ენაზე რაღაც დაიძახა. უფროსი მეთოფე, რომელიც კამეჩის თავს ატყავებდა, წელში გასწორდა, ჯიბიდან ვაზნების კოლოფი ამოიღო და მაკომბერს მიუტანა. მაკომბერმა შაშხანა გატენა, დანარჩენი ვაზნები ჯიბეში ჩაიწყო.

— თქვენ სპრინგფილდით უკეთ ის-

ვრით, — თქვა უილსონმა. — შეჩვეუ-
ლი ხართ მანლიხერი მემსაიბს დავუტო-
ვით მანქანაში. კონგონი შტუტეერს წა-
მოიღებს. მე ჩემს კარამბოლს ავიღებ.
ახლა კი, რასაც გეტყვით, დაიხსომეთ.
— უილსონმა ეს ბოლოსთვის შემოინა-
ხა, რომ მაკომბერი არ დაეფრთხო. —
როცა გარეული კამეჩი ადამიანს თავს
ესხმის, თავი წინა აქვს წაგრძელებუ-
ლი, — რქების ფუძე მთელ შუბლს
უფარავს. ასე რომ თავში სროლა უშე-
დეგოა. პირდაპირ დრუნწში უნდა მოა-
რტყათ. თუ გვერდიდან ღვებართ, მკე-
რღში სროლაც შეიძლება. შეგიძლიათ,
აგრეთვე, კისერში ან მხარში ესრო-
ლოთ. დაჭრილი კამეჩის მოკვლა ძალზე
ძნელია. ოინზაზობას თავი ანებეთ.
ამორჩიეთ ყველაზე მოხერხებული
სროლა. მაშ ასე, კამეჩის თავი უკვე გა-
ატყავს. წავიდეთ?

უილსონმა მეთოდებს გადასძახა.
ისინი ხელების წმენდით წამოვიდნენ.
ყველაზე უფროსი მანქანაში უკანიდან
აძვრა.

— მე მხოლოდ კონგონი მომყავს, —
თქვა უილსონმა. — მეორე აქ დარჩე-
ბა, ფრინველებს დააქშევს.

ავტომობილი ნელა გაგორდა ტყიანი
კუნძულისაკენ, რომელიც მწვანე ენასი-
ვით გასდევდა მდინარის მშრალ კალა-
პოტს. მაკომბერს გული უცემდა. პირი
გაუშრა, მაგრამ ეს შიში კი არა, აღზ-
ნება იყო.

— აი, ამ ტვერში შესულა, — თქვა
უილსონმა და სუაპილის ენაზე მეთო-
ფეს უბრძანა: — კვალი მოძებნე.

ავტომობილი მწვანე კუნძულს გაუს-
წორდა. მაკომბერი, უილსონი და მე-
თოფე მანქანიდან ჩამოვიდნენ. მაკომ-
ბერმა უკან მიიხედა და დაინახა, ცო-
ლი უყურებდა. გვერდით თოფი ედო.
ფრენსისმა ხელი დაუქნია, მაგრამ მა-
რგარიტი არ გაეპასუხა. წინ ხშირი ტე-
ვრი იყო. სწრაფად მიაბიჯებდნენ
მშრალ მიწაზე. კონგონი სულ გაოფლი-
ანდა. უილსონმა ქუდი თვალებზე ჩა-
მოიფხატა. მაკომბერი სულ ახლო ხე-
დავდა მის წითელ კისერს. უცერად

კონგონიმ უილსონს რაღაც უთხრა და
წინ გაიქცა.

— მომკვდარა, — თქვა უილსონმა.
— სუფთა ნამუშევარია.

ის შემობრუნდა და მაკომბერის ხე-
ლი ჩაბლუჯა. იმ წუთას, როცა ნეტარე-
ბით ილიმებოდნენ და ერთმანეთს ხელს
მაგრად ართმევდნენ, კონგონიმ განწი-
რულის ხმით დაიყვირა. მათ დაინახეს,
რომ მოხუცი ტვერიდან ცხრაფეხასა-
ვით გვერდულად და სწრაფად მოარბო-
და. უკან კამეჩი მისდევდა, ნესტოები
დაჰბეროდა, პირი მოემუწა და სისხლი
ჩამოსდიოდა. უზარმაზარი თავი წაეგ-
რძელებინა, პატარა, სისხლიანი ღორის
თვალები კონგონისთვის მიებჯინა. უი-
ლსონი ახლოს იდგა და დაჩოქილმა ეს-
როლა. მაკომბერის გასროლის ხმა
შტუტეერის გრუბუნმა დაჰფარა. მან და-
ინახა, კამეჩის თავი შეტოკდა და შუბ-
ლიდან ფიქალისებური ნამსხვრევები
ჩამოსცივდა. უილსონს უკვე ვეღარ
ხედავდა. გულდასმით დაუმიზნა და ის-
როლა. კამეჩი უკვე მიუახლოვდა. მისი
თოფი უკვე კამეჩის სარქვენლად წაგრ-
ძელებული თავის დონეზე იყო. მერე
პატარა, ბრაზიანი თვალები დაინახა.
კამეჩის თავმა თანდათან დაბლა იწყო
დაწევა. უცბად მაკომბერმა ტვინში და-
მაბრმავებელი ნათება იგრძნო. მეტი
აღარაფერი უგრძენია.

უილსონი გვერდზე გადაგა, რომ კამე-
ჩისათვის მხარში ესროლა. მაკომბერი
ადგილიდან არ დაძრულა. დრუნწში ეს-
როდა კამეჩს, მაგრამ ცოტა უფრო ზე-
ვით ახვედრებდა, ვიდრე საჭირო იყო.
ტყვიები კამეჩის მოლაბლაკე რქებს
ხედებოდა და ფიქალივით ფშენიდა. მა-
რგარიტმა დაინახა, — კამეჩი საცაა
რქებზე ააგებდა მაკომბერს. ავტომობი-
ლიდან მანლიხერით ესროლა კამეჩს
და მეუღლეს საფეთქელში მოარტყა.

ფრენსის მაკომბერი პირქვე იწეა,
ორიოდ ნაბიჯზე იმ ადგილიდან, სა-
დაც კამეჩი ეგდო. მათ შორის მარგა-
რიტი დაჩოქილიყო. გვერდით უილსო-
ნი ედგა.

— ნუ გადააბრუნებთ, — თქვა მან.

ქალი ისტერიულად ტიროდა.

— წადით, ავტომობილში ჩაჯექით, — თქვა უილსონმა. — თოფი სადღაა?

ქალმა თავი გადააქნია. სახე დაღმეკოდა. კონგონიმ მიწიდან აიღო თოფი.

— ადგილზე დასდე, — უთხრა უილსონმა და დაუმატა — წადი, აბღულა მოიყვანე, დაგვემოწმება.

უილსონმა ჩაიჩოქა, ჯიბიდან ცხვირსახორცი ამოიღო და ფრენისის მკაცრ ბერს მოკლედ შეკრეპილ თავზე გადააფარა. მშრალი, ფხვიერი მიწა სწრაფად იწვედა სისხლს. უილსონი ადგა, გვერდზე დაგორებულ კამეჩს დახედა, რომელსაც ფეხები გაეწვართა. მუცელზე, მეჩხერ ბალანში ტკიპები დაცოცავდნენ. „ზორბა კია, ეშმაკმა წაიღოს, — ავტომატურად აღნიშნა მისმა ტვინმა. — ორმოცდაათ დუიმზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება“.

უილსონმა მძლოლს გასძახა. უბრძანა მიცვალებულისათვის მოსასხამი გაგადაეფარებინა და იქვე დარჩენილიყო. მერე ავტომობილისკენ გაემართა, სადაც ქალი კუთხეში მიკუნუული ტიროდა.

— კარგი საქმე კი გააკეთეთ. — თქვა მან სრულიად გულგრილად. — ის თქვენ აუცილებლად მიგატოვებდათ.

— გაჩუმდით, — თქვა ქალმა.

— რა თქმა უნდა, ეს უბედური შემ-

თხვევია, — თქვა უილსონმა. — კარგად მესმის.

— გაჩუმდით, — თქვა ქალმა.

— ნუ სწუხართ, — თქვა უილსონმა.

— დიდი უსიამოვნება გელით, მაგრამ მე რამოდენიმე სურათს გადავადებინებ. გამოვადგებათ. მეთოფეებიც და მძლოლიც დაგემოწმებინა.

— გაჩუმდით, — თქვა ქალმა.

— ბევრი წვალემა მოგვიხდება, — თქვა უილსონმა. — ტბაზე მანქანა უნდა გავგზავნოთ, რომ იქიდან თვითმფრინავი გამოიძახონ. თვითმფრინავი სამივეს ნაირობში ჩაგვიყვანს. რატომ არ მოწამლეთ. ინგლისში ასე იქცევიან.

— გაჩუმდით, გაჩუმდით, გაჩუმდით.

— დაუყვირა ქალმა. უილსონმა შეხედა მას თავისი გულგრილი ცისფერი თვალებით.

— მეტს აღარაფერს გეტყვი, — თქვა მან. — ცოტა არ იყოს გაებრაზდი. თქვენი ქმარი, ის იყო, სულ უფრო და უფრო მომწონდა.

— ო, გთხოვთ, გაჩუმდით, — თქვა ქალმა. — გთხოვთ, გთხოვთ, გაჩუმდით.

— ასე ჯობია, — თქვა რობერტ უილსონმა. — გთხოვთ. — ასე ბევრად უკეთესია. ახლა კი გაჩუმდებით.

ინგლისურიდან თარგმნის

ზ. ნაბიძგაძე, ი. შაბუნიანი



6. პირობანი

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დიპლომატიის გზები

პარტიის ახალ პროგრამაში, თანამედროვეობაში ამ დიად პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტში, სკკპ XXII ყრილობის მასალებში, მოცემულია გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები. „ტექნიკური პროგრესის, მშრომელთა კვლტურულ-ტექნიკური დონის აღმავლობის საფუძველზე მიმდინარეობს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის პროცესი. მოწინავე ტექნიკით და ცოდნით შეიარაღებული მუშისა და კოლმეურნის შრომაში შეხამებულია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის ელემენტები. საშუალო და უმაღლესი განათლება ახლა აქვს მუშების 40 პროცენტს და კოლმეურნეების 23 პროცენტზე მეტს. ახლა, უკვე ბევრ შემთხვევაში, ძნელა განასხვავებ მოწინავე მუშა ინჟინრისაგან, მოწინავე კოლმეურნე — აგრონომისაგან“¹.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ტექნიკური პროგრესი და მშრომელთა კვლტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება საფუძველია გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის.

ტექნიკური პროგრესი სოციალისტური წარმოების შემდგომი ზრდის გადამწყვეტი პირობაა, ტექნიკური პროგრესის არსი, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს წარმოების ტექნიკის განვითარებაში. ტექნიკის ქვეშ იგულისხმება შრომის საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც დახმარებოდაც აღამიანი ზემოქმედებას ახდენს შრომის საგანზე და სახვს უცვლის მას.

კ. მარქსი გვაჩვენებს, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს შრომის საშუალებათა შორის შრომის ტექნიკური საშუალებანი წარმოადგენენ, რომელთა ერთობლიობას შეიძლება ეწოდოს წარმოების ძეგლ-კენთოვანი სისტემა; ხოლო შრომის ისეთ საშუალებებს, რომლებიც შრომის საგნის შენახვის ემსახურებიან, მარქსი

წარმოების სისტემ-ძარღვოვან სისტემას უწოდებს. ასეთ შრომის საშუალებებს შეეკუთვნება მიწები, კასრები, ქილები და სხვ., რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ქიმიურ წარმოებაში ასრულებენ.

ტექნიკური პროგრესი ნიშნავს როგორც ტექნიკის, ისე წარმოების ტექნოლოგიის (თუ როგორია მასალის დამუშავების ხერხები, როგორია საწარმოო პროცესთა თანმიმდევრობა) სრულყოფას. ტექნიკური პროგრესის ეს ორივე მხარე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

კომუნისტური საზოგადოების აშენება სამკოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. სოციალიზმის თანდათანობით გადახრდა კომუნისტური ობიექტური კანონზომიერებაა. კომუნისტური უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წარმოების განუწყვეტელ განვითარებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, აიარალებს აღამიანს ყველაზე სრულყოფილი და მაღალეი ტექნიკით, უდიდეს სიმამლიზე აყავს აღამიანთა ბატონობა ბუნებაზე, შესაძლებლობას გვაძლევს სულ უფრო მეტად და სრულად ემართავდეთ ბუნების სტიქიურ ძალებს.

კომუნისტური, რომელიც თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, ნიშნავს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის. ამის მატერიალური საფუძველია შექმნა საზოგადოების ახალ ტექნიკური ბაზისა, რომელიც წარმოების სრულ ავტომატიზაციაზე დაფუძნებულია.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის დროს მოსაპოვებელია გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის დაპირისპირება, რაც ექსპლოატატორული წყობილებისათვის არის დამახასიათებელი.

ექსპლოატატორული წყობილების დროს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირება წარმოიშვა როგორც გარღვეული შედეგი საზოგადოების დაყოფისა მწავერდულად და

1 ნ. ს. ხ რ უ შ რ ი ვ ი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობას, გვ. 125.

ჩაგრულებად, როდესაც ყველა სახეობის გონებრივი შრომა გადაიქცევა გაბატონებული კლასებისა და მათთან დაახლოებული ქვეყნების მონოპოლიად და მჭიდრებულა შემკვიდრებითი პრივილეგია ვახდ.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა ბოლოს უღებს ასეთ მდგომარეობას, აქ გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის ადამიანებს საერთო ინტერესები აქვთ, ისინი აკეთებენ საერთო საქმეს, შრომობენ მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ინტელაგენცია მუშებისა და კოლმეურნეების რიგებიდან გამოივლი, მისი მიზნები და ამოცანები უმთხვევიან მუშათა კლასისა და გლეხობის მიზნებსა და ამოცანებს, ინტელაგენცია მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომობს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, წინ მიჰყავს მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა, ხელოვნება, ჯანმრთელობის დაცვა, ეწევა მოზარდი თაობის აღზრდას, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანებს შორის შტრობის მოსპობა სოციალიზმის უდიდესი მონაკაფარია.

სოციალიზმის პირობებში არსებობს გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანებს შორის არსებითი განსხვავება. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ მუშებისა და კოლმეურნეების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს მაშინ, როდესაც მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები და გონებრივი შრომის სხვა მუშაკები ეწევიან ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას და მოღვაწეობენ მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ფიზიკური შრომის მუშაკთა დიდი ნაწილის ზოგადსაგანმანათლებლო კულტურული დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე გონებრივი შრომის მუშაკებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშების უმრავლესობის კულტურულ-ტექნიკური დონე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დონეზე დაბალია, ხოლო კოლმეურნეთა უმრავლესობის დონე — აგრონომიული დარგის მუშაკთა დონეზე დაბალი, იმისათვის, რომ ავამაღლო წარმოების მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონე, საჭიროა ფართოდ დავწერგოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესი. ტექნიკური პროგრესი გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოების პროცესის მთავარი მამოძრავებელია.

სოციალიზმის დროს საზოგადოება განუწყვეტლად ზრუნავს იმაზე, რომ მუშაკი იყოს ყოველმხრივ განვითარებული და კულტურული ადამიანი, ტექნიკის მუშაქმედი და მისი მძრავნებელი. სწორედ სოციალისტური საზოგადოებაში აქვთ თანა მამართლელი ზოგადი და პროფესიული განათლების მთელი სისტემა.

სოციალიზმის დროს ტექნიკური პროგრესის მთავარი გზებია: წარმოების იარაღთა და ტექ-

ნოლოგიურ პროცესთა სრულყოფა, შრომის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაცია, ქიმიის ფართოდ გამოყენება წარმოებაში, კლასის ენერჯის გამოყენება მშენილობის მიზნით.

წარმოების იარაღთა სრულყოფას და განვითარებას უდიდესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში მართვის ავტომატიზაციის დანერგვისათვის.

წარმოების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ქიმიზაცია, ელექტრონიკის, გამოთვლელი და ნადგარების ფართოდ გამოყენება, ელექტრონიკის, ყოველმხრივი განვითარება ძირითადი ცვლიან შრომის ხასიათს. სოციალიზმის დროს შრომა ადამიანისაგან სულ უფრო მეტად მოთხოვს მუდმივ გონებრივ ზრდას, ფართო პოპოზონტს, დიდ ცოდნას, შემოქმედებითი მიდგომას. ადამიანის ყოველმხრივი განვითარება, უწინარეს ყოვლისა, შრომაში ხდება. იგი ქმნის ხელსაყრელ პირობებს ადამიანის გონებრივი განვითარებისათვის.

კომუნისტური საზოგადოება, რომელსაც უფუძვლად უდგეს მალაღორგანობებული წარმოება და განვითარებული ტექნიკა, ცლის შრომის ხასიათს, მაგრამ საზოგადოების წევრებს არ ათავისუფლებს შრომისაგან. იგი სრულიად არ იქნება ანარქიისა და უწარბობის საზოგადოება. თეთიული შრომისუნარიანი მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივ შრომაში და უზრუნველყოფს საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმდიდრის განუწყვეტელ ზრდას. საზოგადოების ყველა წევრს, იმის მეოხებით, რომ შეიცვლება შრომის ხასიათი და გაიზრდება მისი ტექნიკური აღჭურვილობა, იმის მეოხებით, რომ მაღალი იქნება შევსების დონე, განუვითარდება შინაგანი მოთხოვნილება ნებაყოფლობით და თავისი მიდრეკილების მიხედვით იშრომოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

წარმოების მექანიზაციის და ავტომატიზაციის მაღალი დონის დროს მუშათა და კოლმეურნეთა შრომა სულ უფრო უახლოვდება ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების შრომას. წარმოების მექანიზაციის დროს ხელით შრომის შეცვლის მანქანები, მანქანების სისტემა, მანქანური შრომით ხელით შრომის შეცვლაში, მდგომარეობს ადამიანთა ტექნიკის მთელი პროგრესი.

მეშველობაშია მისაღები ის, რომ რა მაღალიც არ უნდა იყოს წარმოების ამა თუ იმ რგოლის მექანიზაციის დონე, სინამ მათ შორის არსებობს ხელის ოპერაციები, ახალი ტექნიკის საერთო ეკონომიური ეფექტიურობა არასაკმაბისია და შრომის ნაყოფიერება ნელა იზრდება. ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ კომპლექსურ მექანიზაციას. კომპლექსური მექანიზაცია ნიშნავს წარმოების პროცესის ყვე-

ლა სტადიის, ერთმანეთთან დაკავშირებულ, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სტადიების შექმნილობის და უყრდნობა ურთიერთშემესებში მანქანების სისტემას. მისთანადე კომპლექსური შექმნილობის დროს მანქანების გამოყენებას ადგილი აქვს არა მარტო ძირითად, არამედ დამხმარე პროცესებშიც. იგი სპობს წვეუტრობას წარმოების შექმნილობაში, იწვევს წარმოების პროცესთა ინტენსიფიკაციას, აღიღებს შრომის ნაყოფიერებას. კომპლექსური შექმნილობა, რომელიც ურთიერთშემესებში მანქანების სისტემის შექმნას მოითხოვს, წარმოების ყველა დარგში გადამკრით აწახლებს ავტომატიზაციას, წარმოების ავტომატიზაცია შექმნილობის უმაღლესი საფეხურია. იმ შემთხვევაში, როცა მთელი სისტემა მანქანებისა, რომლებიც მოიცავენ წარმოების პროცესს მთლიანად, მოქმედებს თვითრეგულირების საფუძველზე, ჩვენ გვაქვს მანქანების ავტომატიზაციის სისტემა. მანქანების ავტომატიზაციის სისტემა ასრულებს წარმოების ყველა პროცესს, რაც აუტომატიზაცია ნელის მასალის შხა პროდუქტად გადაქცევისათვის, უშუალოდ ადაპტირებს დამამარბელად და საქმროებს მხოლოდ კონტროლს ადამიანის მხრივ. შექმნილობა ადამიანს ათავსებულებს მძიმე ფიზიკური შრომის ტვირთისაგან, ხოლო ავტომატიზაცია ზედმეტი წარუღლი დაძაბულობისაგან.

სკპ პროგრამით გრანდიოზული ამოცანება დასახული კომპლექსური შექმნილობისა და ავტომატიზაციის დარგში. „მანქანთმშენებლობის განვითარების საფუძველზე პირველ ათწლეულში განხორციელდება კომპლექსური შექმნილობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კომუნალურ მეურნეობაში, კომპლექსური შექმნილობა გამოიწვევს დატვირთვა-გამატივირება ხელის სამუშაოთა ლაკვიდაციას და გამოიკცაქს მძიმე შრომის ძირითადი და დამხმარე საქმროთა რეპროდუციის შესრულებისას.

რუსულელს მინძილუ მასობრივი მსშტაბითი განხორციელდება წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია და სულ უფრო მეტად გადავალთ ავტომატ სამქროებას და საქმროებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალტექნიკური მანქროებს. დამქარდება ავტომატიკური მართვის უაღრესად სრულყოფილი სისტემების დანერგვა. ფართოდ იქნება გამოყენებული კიბერნეტიკა, ელექტრონული საინჟინო-ამსახსნელი და მმართველი მოწყობილობანი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და ტრანსპორტის საქმროთა პროცესებში, მეცნიერულ კვლევაში, საგვგამო და სამრეკტრო-საკონსტრუქტორო განვარჩევაში, აღრიცხვისა და მართვის სფეროში“.

ჩვენი ქვეყნის საქმროებაში ფართოდ იქნება გამოყენებული შექმნილობა და ავტომატიზაცია, ამის დამადასტურებელია ინტენსიფიკაციის მეტალურგიული ქარხნის კომპლექსურმა დიდი მუშაობა გასწია „400“ მილსაგლიანე ავტომატიზაციის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის. ამ ავტომატიზაციის შემდეგ და დანერგვა მთელი რიგი შექმნილობები, რომლებშიც მთლიანად მისაქმნის ხელის შრომა ყველა ტექნოლოგიურ ნაკადზე, რომელთა სიგრძე 1.000 მეტრს აღემატება.

მილსაგლიანე წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში ქარხნის შემეცნება პირველად შექმნეს შექმნილობა ავტომატიზაციის, სამართლის ავტომატიკური შევლისათვის „400“ ავტომატიზაციის ავტომატიზაციის ყველა განხორციელებულმა ლინისებებმა წელიწადში დაზოგა 2 მილიონ მანეტზე მეტი.

დიდი მუშაობა შესრულდა ჩაის ფაბრიკების მწარმოებლრობის გასაადიღებლად. შექმნილობები და ნაწილობრივ ავტომატიზებულია საწარმოო პროცესები 52 ფაბრიკის როგორის საამქროებში, რამაც მათი სიმძლავრე 50 პროცენტით და მეტით გადაიდა.

თბილისის ავეჯის კომბინატიში ნაკეთობის მსახპირკეთებლად იყენებენ აპარატს, რომელიც შექმნიკრად ასახს ზედამირს ლაქს და შემდეგ საქრო ადარ არის ავეჯის გაპარლება. კომბინატიში დეკალების შესაწებებლად იყენებენ მაღალი სიმძლავრის დენის ავტომატიზაციის საშუალებითაც დეტალების შეწებება ხდება 5 წუთში. წინათ ამ რეპროციაზე 1,5 საათამდე დრო იხარჯებოდა.

დურგის საქმების დასაშახლებელი და ასაწყობი ნახვერადავტომატიკური ხახი აწუწვდა თბილისის ავეჯის ფაბრიკაში, რომელიც წელიწადში 100 ათას სხვადასხვაგვარ საქმს გამოუშვებს. საქმროველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, ახალდაბის და სხვა ავეჯის საქმროებაში ხელთ მოდინავდა შექმნიკური მოფანეკური შეიკვალა. ფაბრიკებში დგას 400-ტონიანი ჰიდრაულიკური წნეხები. შექმნიკრმა მოფანეკრამ 2,5-კერ დააქტარა საქმროთა პროცესი და მნიშვნელოვანდ გააუმჯობესა მოფანეკრის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ავეჯის საქმროებაში ასხიო ტექნოლოგიით ხდება ფიტრების ვახშობა, დეტალების შეწებება, ავეჯის ვაპარლება, რამაც მნიშვნელოვანდ დააქტარა საქმროთა პროცესები, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში დაიწყო კომპლექსური შექმნილობისათვის აუცილებელ შექმნილობა სისტემების დანერგვა. მნიშვნელოვანდ გადაიდა ზედმეტი წონა ტრაქტორებისა, რომლებზედაც მოწყობილია ჰიდრაულიკური სისტემა საკიდი იარაღებით მუშაობისათვის, ამათთან დაკავშირებით აღარ არის საქმრო დამატებითი მუშა-

კი, რომელიც ადრე მისამგელ იარაღებს მართავდა. საითხე კელტურის კვლარატულმა დაზარალი თვისება და დარგვის შემოღობამ შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედების ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი დარგის მექანიზაცია.

უახლოეს ხანში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობამ დიდძალი ახალი ტექნიკა მიიღო. ამის დამადასტურებელია ის, რომ ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შემოსულ მათხზე მეტო ტრაქტორი, 1.700 კომბაინი და მრავალი ათასი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა. ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაცია.

1961 წელს პირველად რესპუბლიკაში ინერგება ახალი ტექნიკა კარტოფილის მოსავლის ასაღებად. აღსანიშნავია, რომ კარტოფილის ასაღები მანქანები საუკეთესოდ შემოაბრუნ.

როცა საქართველოში ახალი ტექნიკა ინერგება, ცხადია, ეს საუბრებს წარმოების მუშაების კელტურულ-ტიპურად დონის ამაღლებას, რათა აღმაშენების შერეულტიპურად იქნეს გამოყენებული ახალი ტექნიკა. სწორედ ამიტომ ასრულებს ვადამწვეტ როლს ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი გზა — წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსაბრუნებელი საშუალება.

წარმოების ყოველმხრივ ავტომატიზაციაზე გადასვლა, ტექნიკის ახალი დარგების განვითარება ნიშნავს წარმოების მუშაკთა ტიპის შეცვლას. მათთან დაკავშირებით მოსაზრობა მეტროლოგიის სყუდვლები საზოგადოების დაყოფისა გონებრივ შრომის მუშაკებად და ფიზიკური შრომის მუშაკებად. თითო წარმოება თავისი ხასიათის მიხედვით მოითხოვს საინჟინრო-ტექნიკური ტიპის მუშაკებს. უკვე წარმოების სრულ ავტომატიზაციაზე გადასვლის პროცესში იზრდება მოთხოვნილება კვალიფიციურ და მაღალკვალიფიციურ კადრებზე.

მხედველობაშია მსალები ის, რომ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის რა დონეც არ უნდა იყოს, მეტროლოგიური წარმოება წარმოუდგენელია ფიზიკური ძალის გარკვეული დაზარების გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოზავად შრომა მეტროლოგიური წარმოებაში გაერთიანებს, როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური მუშაკების ელემენტებს. ეს იქნება ახალი ტიპის შრომა, რომლის დროსაც მთლიანად გამოინდება აღმაშენის ფიზიკური ძალე და სულოერი უნარიც.

ელექტროფიკაცია, რომელიც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ნაბიჯს წარმოადგენს, წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში.

საკმა ახალი პროგრამით გრანდიოზული ამოცანებია დასახული ელექტროენერჯის წარმო-

ების გადიდების დარგში. შეიქმნება სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, რომელსაც სიმპლავრეთა საკმაო რეზერვი უქნება, რაც საშუალებას მოგვცემს გადავიკეთო ელექტროენერჯია ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში და ევროპულ ნაწილში, და რომელიც დაკავშირებული იქნება სხვა სოციალისტური ქვეყნების ენერჯისისტემებთან.

საქართველოს სსრ წლითწლით იზრდება ელექტროენერჯის გამოშვებება. 1955 წელს, ახალი ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების აშენების შემდეგ, გამოშვებულ იქნება თითქმის ერთიარად მეტო ელექტროენერჯია, ვიდრე 1953 წელს. განხორციელდება დიდი სამუშაოები ენერჯისისტემის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის.

ავტომატიზაციის დარგში ქვემარტო ვადატრიალებას იწვევენ ელექტრონული მანქანები. ისინი ცელიან აღმაშენის შრომას ისეთ დარგში, როგორცაა მანქანათა ავტომატიკური სისტემის კონტროლი და მართვა. თანამედროვე ავტომატიკურ წარმოება — ესაა სრულყოფილი მანქანებისა და მარბების სისტემა, რომლებსაც მართავენ ელექტრონული გამოსათვლელი მანქანები.

თანამედროვე ტექნიკის პროგრესი გამოიხატება აგრეთვე ქიმიის სულ უფრო ფართოდ განვითარებით და ნეოთერების ქიმიური გადაშენების მეთოდების გამოყენებით. თანამედროვე ქიმია უაღრესად აფართოებს სახალხო სიმდიდრის ზრდის, წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი და იაფი საშუალებებისა და სახალხო მომხარების საგნების გამოშვების შესაძლებლობებს, ლითონს, ხეს, სხვა მასალის სულ უფრო მეტად შეცვლის ეკონომიური, პრაქტიკული და მსუბუქი სინთეზური მასალები.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაწერვა წარმოების მუშაკებისაგან მოითხოვს როგორც საერთო, ისე სპეციალური საინჟინრო-ტექნიკური ან ავტომატიკური განათლების მაღალ დონეს. უამისოდ შეუძლებელია საზოგადოებრივი შრომის ისეთი ნაყოფიერების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია კომუნისტური გადასასვლელად. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების სწრაფი კულტურული ზრდის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებული განსხვავების თანდათანობით მოსაბრუნებელი ელექტრონიკული მასალები.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევაში სოციალისტური დროს დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრება სახალხო განათლების სისტემას.

სახალხო განათლების სისტემა, — სწრაფ პარტიის პროგრამაში, — ისე ეწყობა, რომ მოზარდი თათბის სწავლა და აღზრდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ნაყოფი-

ერ შრომასთან, რომ მოზრდილ მოსახლეობას შეეძლოს შეხამოს წარმოების სფეროში მუშაობა სწავლისა და განათლების განგრძობასთან პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ასეთ პრინციპებზე დამყარებული სახალხო განათლება ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრას — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრას.

საბჭოთა საზოგადოება ყველაზე განათლებული საზოგადოება გახდა მსოფლიოში, ხოლო საბჭოთა მეცნიერებამ მოწინავე პოზიციები დაიკავა ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა — კომუნისტური ადრეულ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მოთხოვნა მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს. წარმოების მუშაობა კულტურულ-ტექნიკური დონე ეს წარმოებითა და ცოდნის, შრომითი ჩვევების, ზოგადი და სპეციალური განათლების ერთობლიობაა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში ხორციელდება მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის განხრებილი და საყოველთაო აღმართლობა, ფიზიკური შრომის მუშაობა დონის თანდათანობით ამაღლება გონებრივი შრომის მუშაობა დონემდე, ძველი პროფესიული შესუბუღლობის თანდათანობით ლიკვიდაცია და საზოგადოების წევრთა უნარის სულ უფრო და უფრო ყოველმხრივი განვითარება.

შეშასადავ, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია ადამიანი გაათავისუფლებს სიცოცხლის მანძილზე ერთ და იმავე პროფესიაზე მიჯაჭვულობისაგან, გაათავისუფლებს მის ინტერესებს, ფართო გასაქმანს მისი ცემის უნარისა და ტალანტის გამოსავლინებლად.

სოციალისტური წარმოების წესის განვითარება ნიშნავს ძირითად, თვისობრივ ცვლილებებს მშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიულ შემაღლებლობაში. მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისთვის შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთებას. „...შეძლებულია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ.—წერდა ვ. ი. ლენინი,— თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნე-

ბა აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მცენიერებულ ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს...“ [ქვემოთ დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო განათლების მთელი სისტემის ძირითად გარდაქმნას. რომელიც სკვპ ცენტრალური კომიტეტის ანტი-ციატივით 1958—1959 წლებში გატარდა.

რეფორმის ღელაარსია პოლიტექნიკური განათლების პრინციპების ფართოდ განხორციელება, წარმოებასთან სწავლების შეიღრო კავშირი. სასკოლო განათლების გარდაქმნის გამოკიდობამ დაადსტურა, რომ დროული და დასაბუთებული იყო პარტიის ღონისძიებით. მთლიანად განმტყიცდა სკოლის კავშირი ცხოვრებასთან და წარმოებასთან, გაუმყობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა. საშუალო სკოლის კერძონათავრებულები წარმეტებით მუშაობენ სახალხო მეურნეობაში. წლითწლობით იზრდება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი, ასევე ათასობით ახალგაზრდა ადამიანი სწავლობს წარმოებისაგან მოუწყებულად.

საბჭოთა კავშირში შემოღებულია საყოველთაო საეღლებული რვაწლიანი სწავლება. შექმნილია პირობები, რომ ყველა მსურველმა მიიღოს სრული საშუალო განათლება. სახალხო განათლების დარგში შემდგომი ამოცანა საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა სკოლის წინაშე აყენებს ახალ დიდ მოთხოვნებს. სკოლა არ უნდა წამორჩეს თანამედროვე მეცნიერებისა და წარმოების სწრაფ განვითარებას.

სკოლის გარდაქმნასთან შეიღრო და ურთიერთკავშირით მიმდინარეობს უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიული განათლების განვითარება. 1961 წელს უმაღლესი სსსწავლებელთა დღის განყოფილებებზე მოიღებდა სტუდენტთა ნახევარზე მეტს აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჯი. საღამოს და დაუსწრებელ სწავლების სისტემის მეშვეობით უკანასკნელ ხუთ წელიწადში დაახლოებით მომზადებულია უმაღლესი განათლების მქონე ნახევარი მილიონი სპეციალისტი.

საბჭოთა კავშირი ამაღლებს სამეცნიერებებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო გონებრივი შრომის მუშაკები ჩვენში ოც მილიონზე მეტია. იმ ფაქტადან, რომ სოციალისტური საზოგადოება განათლების და სწარმოთ კვალიფიკაციის ამაღლებას ადგენ ყურადღებას უთმობს, არ გამომდინარეობს, რომ მას მხედველობაში აქვს

შეიძლება ვიწრო სპეციალისტების მომხილება. მისი მიზანი გააცილებით უფრო ფართოა—ესაა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება. კომუნისტური წინსვლის კვალობაზე ყოველი ადამიანი სულ უფრო მეტ შესაძლებლობას ღებულობს შედარებით ადრეობით და თავის პირაზონტს, ავითარებდეს თავის ნიჭს.

წინასწარ ელემენტარული ფართოდ გამოყენების საფუძველზე იყვლება შრომის ხასიათი და გლეხის სახე. ტექნიკური ცოდნის დონით იგი სულ უფრო მეტად უახლოვდება ფაბრიკა-ქარხნის მუშას.

აუცილებელი პირობა იმისა, რომ ფიზიკური შრომის ადამიანებმა შესძლონ ცოდნისა და კულტურული დონის ამაღლება, არის სამუშაო დღის შემცირება. ფიზიკური და გონებრივი შრომის შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრაში მეტად დიდ როლს ასრულებს სოციალისტური შეჯიბრება; შეჯიბრების გაშლა ხელს უწყობს მისში მონაწილეებს სრულყოფილად დაეუფლონ წარმოების თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიას. იზრდება რაციონალიზატორთა და გამოგონებელთა რიცხვი. შეჯიბრებისა წარმოების მოწინავეები, იჩენენ რა შემოქმედებითს ინიციატივას წარმოებითი პროცესების სრულყოფაში, გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთების მაგალითს გვიჩვენებენ.

სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა—კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვერლების მოძრაობა, გამოხატავს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას. კომუნისტური შრომის ბრიგადების მიერ აღებულ ვალდებულებებში, არის ასეთი მუხლები: ნაღალი წარმოებითი მაჩვენებლების მიღწევა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა, ყოფაცხოვრებაში სანიმუშო მოქცევა, ცოდნის წარმოებით დაეუფლება და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება.

ამრიგად, ტექნიკური პროგრესის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სასოფ-

ლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახეობად გადაქცევა, მუშების და გლეხების ცოდნის და კულტურის დონის ამაღლებას ინიციატივურ და აკრძალვითურ მუშაობაში, დონემდე, მოასწავებს გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის არსებითი განსხვავების მოსპობას.

კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება, რომელიც გადაწყვეტი რგოლია ეკონომიური, სოციალური და კულტურული ამოცანების დაკმაყოფილებისა და ნაგარსახევი ზვენი საშრომლო განვითარების პირობებით, უზრუნველყოფს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას; „... თანდათანობით გარდაქმნათ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა კომუნისტურ ურთიერთობად, შექმნათ უკლასო საზოგადოება, მოვსოთ არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ხოლო შემდეგ გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის.“¹

კომუნისტური დროს სახეობით ქრებიან კლასები; არ იქნება სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის; საწარმოო ძალების განვითარების დონითა და შრომის ხასიათით, წარმოებითი ურთიერთობის ფორმებით, საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონით სოფელი ქალაქის დონეს მიაღწევს. კომუნისტური გამარჯვების შემდეგ ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში მოხდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანიული შეერთება. ინტელიგენცია აღარ იქნება ცალკე სოციალური ფენა, რამდენადაც ფიზიკური შრომის მუშაკები თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონით გონებრივი შრომის ადამიანთა დონეს მიაღწევენ.

ამგვარად, კომუნისტური სოციალიზმის თანდათანობით გადაზრდას თან მოჰყვება გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია.

ხუთა ბეჩიაშვილი

შინაარსიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა

(ნინო ნაკაშიძის დაბადების 90 წლისთავის გამო)

ოთხმოცდაათი წელი დიდი მონაკვეთია დროისა და მის ზღურბლს მხოლოდ ბედნიერნი გადასცილდებიან ხოლმე. ნინო ნაკაშიძე ეკუთვნის ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მღელვარე ეპოქაში; რომლებიც ოცნებობდნენ, იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის და თავიანთი თვალთი იხილეს აღორძინება სამშობლო ქვეყნისა, მისი აყვავება და გაზაფხული; და რაც უფრო სასიხარულოა, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს იმ დიდ საქმეში, რომელსაც მშობლიური მწერლობა ეწოდება.

ოთხმოცდაათი წლის ნინო ნაკაშიძე, ღვაწლმოსილი, სახელოვანი, მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით გარემოსილია, მას ბევრი აქვს გაკეთებული ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ნორჩი თაობის კეთილი აღზრდისათვის, ჩვენი ბავშვების წმინდა გულში სიკეთის თესლის დათესვისათვის, სასულიერო დედაების დაცვისათვის, მშობლიური ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი საბავშვო მწერლობის, წინსვლისა და განვითარებისათვის.

ნინო ნაკაშიძის ხანგრძლივი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი შინაარსიანად, ღამაზად, დაუცხრომლად.

ბავში სოფელია საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს კუთხეში — გურიაში, რომელსაც, როგორც იტყვიან ხოლმე, ბუნებამ მთელი თავისი მადლი და მშვენება თავზე დააბერტყა.

აი, სწორედ ამ სოფელში ღარიბ ოჯახში, დაიწყო აკვანი მომავალი მწერ-

ლისა. აქ აახილა თვალი და აიღვა ენა, აქ გაატარა თავისი ბავშვობის ერთი ნაწილი; აქვე ჩაიბეჭდა მის გულში ის უხილავი და ძლიერი რამ, რაც ბავშვობიდანვე თანა სდევს ადამიანს, როგორც განუყრელი თანამგზავრი და რასაც უბრალოდ, ადამიანურად 'სამშობლოს სიყვარულს' ეძახიან. აქვე იხილა და შეიერძნო მამრალი ხალხის უმწეო და უმწეო ცხოვრება, მისი ბეჩაობა და ბედშობა.

მწერლის მამას იოსებ ანთაძეს თავისი აზნაურობიდან მხოლოდ სახელი ჰქონია შერჩენილი, თორემ იგი ნამდვილი გლეხი ყოფილა. რაფიელ ერისთავის გმირივით გაიძახოდა თურმე: „ვნნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწისა, ე შრომა მაინც ფუჭია...“ გამარჯე მიწის მუშისა და კარგ მეზობელს, ვისაც თანასოფელის ჭირვარამი საკუთარ ჭირვარამად მიაჩნდა, სიღარიბე მაინც ვერ მოუშორებია თავიდან. ომგადახდილი და ცეცხლში ნატარები კაცი ყოფილა, და ღესტნის ომის მონაწილე და ტყვიანაკრავი. როგორც ნინო ნაკაშიძე იგონებს, მისთვის დამახასიათებელი იუმორით, ფრონტიდან ღამაზა და სამოვარი ჩამოუტანია, რითაც განუცვიფრებია კიდევ კარის მეზობლები.

შესანიშნავი ქართველი ქალი ყოფილა მწერლის დედა — ელისაბედ დათას ასული ჭაყელი, ნაკითხი და მშობლიური ქვეყნის ისტორიის დიდი მოტრფეალე, შრომისმოყვარე და დარბაისელი, კარგი მეზობარე და ძველთა ამბავთა მთხრობელი.

ექვსი წლისა ყოფილა ნინო, როდესაც კითხვა ასწავლეს. ასე სცოდნიათ გურიამი ძველად: როდესაც ბავშვს კითხვას ასწავლიდნენ, ანკარა მდინარის წყალში ჩააყენებდნენ, აქაო და კითხვას წყალივით სწრაფად ასწავლისო. ფეხშიშველა პატარა ნინოც ჩააყენა თურმე მდინარის პირას ბიამისმა და წყალივით ასწავლა დედაენა.

სოფლის დაწყებითი სკოლიდან ნინო მალე გადაიყვანეს ოზურგეთის ქალთა ერთკლასიან სასწავლებელში, სადაც ოფიციალურად კვირაში მხოლოდ ერთ საათს იმეტებდნენ ქართული ენისათვის. მწერამ მაშინ იქ მოღვაწეობდნენ მასწავლებლებიც, რომლებიც დროსა და ძალ-ღონეს არ იმუღებდნენ, ოღონდ ბავშვებს კარგად ასწავლათ ქართული ენა და სამშობლო ქვეყნის ისტორია. მათ შორის იყო მარიამ დემურია, შემდგომში ყურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი და რედაქტორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ქართველი ბავშვების დაუფიქარი მეგობარი.

რა იცოდა მარიამმა, რა იცოდა ნინომ, რომ ცხოვრება კვლავ შეახვედრებდა მათ, როგორც ერთი დიდი ეროვნული საქმის მსახურებსა და მესვეურებს. შემთხვევითი იყო მათი პირველი შეხვედრა, მაგრამ საინტერესო და ღირსასწავარი.

ოზურგეთის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ნინო შინ დაბრუნდა. გონებაგახსნილი, სწავლასმოწყურებული გოგონა ოცნებობდა სწავლის გაგრძელებაზე. ოცნებობდა და არ ავიწყდებოდა, რომ მამამისს ექვსი შვილი ჰყავდა. ნინომ გადაწყვიტა ამოერჩია ისეთი სპეციალობა, რითაც შესძლებდა ღარიბ ოჯახს შეშველებოდა, მშობლებისათვის ხელი გაემართა. ამიტომ შეჩერდა მისი არჩევანი თბილისის საბუბო ინსტიტუტზე (სხვათაშორის, მარიამ დემურიასაც ეს ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული). 1889 წელს იოსებ ანთაძე და მისი ქალაშვილი თბილისს ჩამოვიდნენ.

1892 წლის გაზაფხულზე ნინო ანთაძემ გაიცნო ილია ნაკაშიძე. ილია შვილი იყო პეტრე ნაკაშიძისა, სამოციანი წლების გამოჩენილი მოღვაწისა, რომელსაც დიდი ილია ჭავჭავაძემ უძღვნა თავისი ორი ბრწყინვალე ნაწარმოები — „ქართველის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“.

ილია ნაკაშიძე მამასავით პროგრესულად განწყობილი ადამიანი ყოფილა, სამშობლოს დიდი მოყვარული, მისი ისტორიისა და მწერლობის კარგი მცოდნე, მისი ნათელი მომავლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნისას შეიწავლა რამდენიმე უცხო ენა. გიმნაზიაში იგი სწავლობდა ნიკო მართან ერთად, მასავით გატაცებული იყო ენების შესწავლით.

1894 წელი ბედნიერა თარიღია ნინოს ცხოვრებაში. ამ წელს მასზე დაქორწინდა ილია ნაკაშიძე. ამიერიდან შეერთდა ორი ღირსეული ადამიანის ბედი.

მალე ილია ნაკაშიძე აქტიურად ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. გამოაქვეყნა მრავალი საუცხოო წერილი ქართული მწერლობის შესახებ. მაგრამ ასევე მალე ხუთი წლით გადაასახლეს საქართველოდან. სამშობლოდან განდევნილმა ილია ნაკაშიძემ მოსკოვს მიამშრა, ეწვია დიდი რუს მწერალს ლევ ტოლსტოის და მისი დახმარებით მიიღო მოსკოვში ცხოვრების ნებართვა. ლევ ტოლსტოის დიდი ადამიანური გულისხმიერების დასახასიათებლად მინდა აღვნიშნო: გენიოსი მწერალი პირადად ეწვია გზათა მინისტრს და დაბეჭდვებით სთხოვა ქართველი მეგობრის სამსახურში მოწყობა. აქი მოაწყო კედეც — საერთაშორისო მატარებლის უფროსად.

ნინო და ილია ნაკაშიძეები ლევ ტოლსტოის ხშირი სტუმრები იყვნენ. ლევ ტოლსტოიც ასევე მრავალჯერ სწვევია მათს ოჯახს, როცა ისინი მოსკოვში ცხოვრობდნენ.

ნინო ნაკაშიძე დღემდე იგონებს ლევ ტოლსტოის სიტყვებს, რომლებიც მან უთხრა გამოთხოვებისას თავის ქართველ მეგობრებს:

— უთუოდ, უთუოდ გესტუმრებით თქვენს მზიურ საქართველოში...

და რომ საქართველო მზიური ქვეყანაა, ტოლსტოის მხოლოდ წიგნებში როდი ჰქონდა ამოკითხული. ახალგაზრდა ტოლსტოიმ საკუთარი თვალით ჩახა ჩვენი სამშობლო.

1903 წელს სამშობლოში დაბრუნებული ნაკაშიძეები აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ დროსვე ემთხვევა ჩვენი იუბილარის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე — დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ძიძა“. მანამდე ნინო ნაკაშიძეს მხოლოდ ერთი ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული 1902 წელს გაზეთ „კვალში“.

1905 წელს გურიამი დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება, რაც საერთო რევოლუციურ აღშფოთებასთან იყო დაკავშირებული. იმავე წლის გაზაფხულზე ნაკაშიძეები გაემგზავრნენ გურიამი, როგორც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტები. ამ გაზეთის ფურცლებზე ისინი ვაბედულად ავეიწერდნენ მაშინდელი რევოლუციური გურიის მდგომარეობას, აჯანყებულთა ბრძოლის სურათებს.

ქართველი საზოგადოებრიობა აღაშფოთა გურიის სოფლების გადაწვის ცნობამ. ილია ჭავჭავაძესთან მივიდა ნინო ნაკაშიძე და უამბო ყველაფერი. საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია, რომელსაც ასეთი სიტყვებით მიმართა ილია ჭავჭავაძემ:

„თქვენ იქნება არ იცოდეთ, რომ სასწრაფოდ გავზავნეს დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, ერთი ჩვენი საუკეთესო კუთხის, გურიის მოსასობად. ალიხანოვი უსასტიკესი ადამიანია, ის არავის დაზოგავს და უნდა მოკელოდეთ, თუ ის ჩავიდა გურიამი, ქალიან-ბავშვებიანად ამოსწყვეტს ყველას.

ჩვენი ყველას, მოვალეობაა გადავართო ჩინოთ ეს ჩვენი ქვეყნის თვალი ამ საშინელ განსაცდელს. სასწრაფოდ ახლავე ავირჩიოთ წარმომადგენლები და გავზავნოთ მეფის ნაცვალთან, ვთხოვთ დააბრუნოს ალიხანოვ-ავარსკი, და თუ არ დააბრუნებს, მაშინ ჩვენი ყველანი უნდა ავდგეთ, ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად გავწყდეთ“.

ეს პატარა ადგილი დიდი ილიას სიტყვიდან ერთხელ კიდევ მოგვეგონებს, თუ რას წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძე საქართველოსათვის. ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს მამა, ხალხის წინამძღოლი, მისი ჭირვარამის მოზიარე მუდამ და ყოველთვის.

სხვათაშორის, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შემდგარმა დელეგაციამ, რომელიც ეწვია მეფისნაცვალს და კატეგორიულად სთხოვა მას ალიხანოვ-ავარსკის დაბრუნება, მიზანს მიაღწია. მრისხანე გენერალი სასწრაფოდ გამოიწვიეს გურიიდან.

გურიის ამბებს იოლად როდი გადაჩენია ნინო ნაკაშიძე. ერთ დროს დააპატიმრეს კიდევ. მაგრამ საქმე დამთავრდა იმით, რომ ცოლქმარი თბილისში გადმოსასხლეს.

ამ დროიდან ნინო ნაკაშიძემ დაიწყო მუშაობა ქურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გვიღდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ქართული საბავშვო ქურნალების ისტორიაზეც. ვფიქრობთ, ნინო ნაკაშიძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით ეს ზედმეტი არ იქნება!

პირველი ქართული საბავშვო ქურნალი „ნობათი“ 1883 წელს გამოვიდა. ის იყო საბავშვო პერიოდიკის პირველი მახარობელი, რომელმაც უსაზღვრო სიხარული მოუტანა ნორჩ მკითხველებს და მათს შრომლებს. რა ვუყოთ, რომ ანდრია დულაძის „ნობათი“ არ იყო ისე სრულყოფილი და მაღალმხატვრული ქურნალი როგორც „ჭეჭილი“ და „ნაკადული“. მაგრამ ყამირის გატეხა უფრო ძნელია. ქურნალი „ნობათი“, რომელმაც 1885 წელს შეე-

ყველა არსებობა, მანც ძვირფასი საჩუქარი იყო ჩვენი ხალხისათვის.

„ნობათის“ დახურვიდან ხუთი წლის შემდეგ, დაიბადა ჟურნალი „ჭეჭილი“, რომლის აკენის დამრწვევი იყო ანასტასია თუმანიშვილი, ქართველი ბავშვების გულითადი მეგობარი, უანგარო მოღვაწე და მწერალი. სამი ათეული წლის მანძილზე ემსახურებოდა „ჭეჭილი“ ნორჩ თაობას და მან თვალსაჩინო როლი შეასრულა კიდევ მშობლიური საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, იოსებ დავითაშვილი, შიო მღვიმელი, — აი, ვისი სახელები ანათებდნენ მის ფურცლებს.

დიხ, კარგი ჟურნალი იყო „ჭეჭილი“, მაგრამ იგი, ერთადერთი, მანც ვერ აკმაყოფილებდა ქართველი ბავშვების სულიერ მოთხოვნილებას. ამიტომაც 1904 წელს, პირველი რევოლუციის წინა წელს, დაარსდა ჟურნალი „ნაკადული“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი სულისჩამდგმელი გაზოგად მარიამ დემურია.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ საბავშვო ჟურნალებს სახელმწიფოსაგან არავითარი დახმარება არ ეძლეოდათ. ჟურნალების არსებობა დამოკიდებული იყო ცალკეული კეთილი და შეგნებული ადამიანების ქველმოქმედებაზე, ცალკეული ერთუზიასტების გმირულ შრომასა და ღვაწლზე, ადამიანებისა, რომლებიც ზრუნავდნენ თავიანთი ქვეყნის მომავალზე, ერის მომავალზე. მას შემდეგ, რაც ქართული საზოგადოებრიობის ერთსულოვანი მხარდაჭერთა და დახმარებით დაარსდა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“, საჭირო გახდა ისეთი პიროვნების გამოძებნა, ვინც ეკონომიურად ხელს გაუმართავდა ჟურნალს. ამასთან დაკავშირებით ქართველ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა ასეთი წერილით მიმართა ცნობილ ნათესაობაწევრს იაკობ ზუბალაშვილს. ეს წერილი იმდენად დამახასიათებელი დოკუმენტი იმ დროისა, რომ არ შემოიღობა მთლიანად არ მოვიყვანო:

„დიდად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძე!

ბოდიშს ვინდით, რომ გარემოება გვაიძულებს შეგაწუხოთ ერთი დიდი თხოვნით. ჩვენ ვიცით, როგორ თანაუგრძნობთ თქვენ ყოველ ქართულ კეთილ წამოწყებას და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს თხოვნასაც უწყურადღებოდ არ დასტოვებთ. თქვენთვის არ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლსათვის მთელი ქართველი ხალხის მზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის საქმეს. საკმაოა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ჩვენს დროში ქართულ ოჯახს აუტანელი ბრძოლა უხდება, რათა ნორმალური ნიადაგი მოუპოვოს ბავშვების ეროვნული აღზრდა-განათლების საქმეს. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ ყველას დავეხმაროთ ქართულ ოჯახს და შევამსუბუქოთ მისი მძიმე მოვალეობა. სხვათა შორის, შეიძლება ამ საქმეს უაღრესად დიდი სამსახური გაუწიოს კარგად დაყენებულმა და მატერიალურად უზრუნველყოფილმა საბავშვო ჟურნალმა. ეს გარემოება კარგად ესმოდათ ჩვენს მოღვაწეებს და არაერთხელ უცდიათ შეექმნათ ქართული საბავშვო ჟურნალი-რომელიც შესძლებდა საესებით დაეკმაყოფილებინა ქართული ოჯახისა და სკოლის მოთხოვნილება. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში დაარსდა ამგვარი ჟურნალი, სახელდობრ „ნაკადული“, რომელიც ფრიად დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის დანიშნულებას და დღითი დღე უმჯობესდება. სულ სამი წელიწადია, რაც ეს ჟურნალი გამოდის, და რედაქციამ უკვე გამდიდრა საბავშვო ლიტერატურა რამდენიმე საუცხოოდ თარგმნილი ევროპული კლასიკური საბავშვო თხზულებით.

ამ ახალი პერიოდული გამოცემის ირ-

გვლივ თავი მოიყარეს ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერლებმა, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული საბავშვო ლიტერატურა ღირსეული ნაწარმოებებით. იმედი არის რომ, მომავალში ეს ქურნალი არ ჩამორჩება საუკეთესო ევროპულ საბავშვო ქურნალებს, თუ, რასაკვირველია, ჩვენ ყველანი დავეხმარებით და მხარს დავუჭერთ მის ხელმძღვანელებს. ქართული ქურნალები და გაზეთები, სამწუხაროდ, დიდი რაოდენობით არ ვრცელდება და ხარჯებს ვერ ანაზღაურებს; მით უმეტეს, თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ანაზღაურდეს საბავშვო ქურნალის ხარჯები და ამავე დროს ღირდეს ისე იაფი, რომ ღარიბ ოჯახებს შეეძლოს შეძენა. მატერიალურად „ნაკადულის“ საშუალება ერთობ შეზღუდულია, რაც აბრკოლებს მისი გაუმჯობესების საქმეს. ვიმეორებთ, რომ ქართველი საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებს ამ ქურნალზე და დიდად სამწუხარო იქნებოდა, რომ მასაც წინანდელი საბავშვო ქურნალების ბედი სწეოდა. აი, ეს გარემოება გვაიძულებს, მოგმართოთ თქვენ, ღრმად პატივცემულ იაკობ კონსტანტინეს ძვე, და გთხოვოთ, მიიღოთ თქვენი მფარველობის ქვეშ ეს სასარგებლო და კეთილი საქმე. ამავე წერილთან ერთად გიგზავნით ქურნალის გამოცემისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას, საიდანაც შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, რომ საქმის კარგი დაყენებისათვის დიდი თანხა არ არის საჭირო. თქვენი მფარველობა, ღრმად პატივცემულ იაკობ კონსტანტინეს ძვე, იხსნის ქურნალს კრიზისისაგან, რითაც თქვენ დაუფასებელ სამსახურს გაუწევთ საყვარელ სამშობლოს“.

წერილს ხელს აწერდა მაშინდელ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი ჩვენი სათაყვანო იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით.

იაკობ ზუბალაშვილი დათანხმდა შესრულებინა მოწინავე ქართველ მოღვა-

წეთა თხოვნა, მან დაავალა თავის დისწულს პავლე თუმანიშვილს სათანადო დახმარება გაეწია ქურნალ „ნაკადულისათვის“.

ეს წერილი, ვიმეორებ, მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტია. ამ წერილიდან ჩანს, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყვნენ ქართული კულტურის მოღვაწენი და განსაკუთრებით ქართული საბავშვო ლიტერატურის მუშაენი. იქიდანვე ჩანს, რა მძიმე დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდათ მათ და მაინც როგორი ენერგიით ემსახურებოდნენ მშობელ ხალხს, მის ენას, მწერლობას, მისი მომავლის საქმეს. შევადაროთ დღევანდელობა როცა ჩვენი პარტია, მთავრობა, სახელმწიფო შეუწყენელი ყურადღებით ეკიდებიან ნორჩი თაობის ღირსეულად აღზრდის საქმეს; როცა ქართული საბავშვო წიგნი, ქურნალები, ქართული საბავშვო მწერლობა უდიდესი მზრუნველობით არის გარემოსილი! როგორ მზადდებოდა ქურნალის თვითუფილი ნომერი?

ამის შესახებ ნინო ნაკაშიძე მოგვითხრობს თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნაწარმოებში — მოგონებათა წიგნში: „საბავშვო ქურნალ „ნაკადულის“ მესვეურებს ერთი აზრი და ერთი მისწრაფება ამოძრავებდათ, — თავისი უტარა მკითხველების აღზრდა მიზნული ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს იდეა ასულდგმულებადა და აძლევდა მათ დაუცხრომელ ენერგიას, როგორითაც ისინი მუშაობდნენ ესოდენ უანგაროდ, ესოდენ ერთსულოვნად. იმათ ყოველთვის ახსოვდათ და გარდუვალ მცნებად ჰქონდათ აღიარებული დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის აზრი, რომ „წიგნს, რომელიც იწერება ბავშვებისათვის, უნდა ევიროს ბავშვთა აღზრდის საქმეში ერთი უმთავრესი და უაღრესად საპატიო ადგილი“. არ მახსოვს არც ერთი მოთხრობა ან ლექსი, ან მეცნიერული თუ პოპულარული წერილი, რომ ამ თვალსაზრისით არ ყოფილიყოს განხილული „ნაკადუ-

ლის“ სარედაქციო კოლეგიის კრებაზე...

მასალებს ვკითხულობდით რვიდან თორმეტ საათამდე და მთელი საღამოს განმავლობაში. ხანდახან ორმოცი-ორმოცდაათი მასალიდან შეიძლება ორი ან სამი აგვეტყვიო, ან სულაც არც ერთი, მაგრამ იყო კარგი საღამოებიც, როდესაც ხუთამდის მასალას ვიწონებდით.

ყველა მასალა ისე უნდა ყოფილიყო გააზრებული, რომ ბავშვს შეჰყვარებოდა თავისი ენა, სამშობლო, ყოფილიყო ჩაგრულთა მოსარჩლე, მეგობრისათვის წავლადებული, გამბედავი, თავაზიანი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, სწავლაში წარჩინებული“.

ნინო ნაკაშიძეს „ნაკადული“ წარმოედგინა, როგორც ცოცხალი, მეტისმეტად საყვარელი, ალერსიანი, მეტყველი, ღამაში არსება, რომელიც მოითხოვდა სათუთ მზრუნველობას, სერიოზულ მოპყრობას და სისაჩუქრით ავსებდა მის გულს ისე, როგორც საყვარელი შვილის მოვლა და აღზრდა.

1910 წელს გარდაიცვალა მარიამ დემურია, მაგრამ იგი რა დედა იქნებოდა „ნაკადულისა“, რომ მასავეთ თავდადებული და ნიჭიერი მესვეურები არ აღეზარდა თავისი საყვარელი ქურნალისათვის. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო ნინო ნაკაშიძე, რომელიც, სარედაქციო კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ჩაუდგა სათავეში ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს.

სახელოვანი ტრადიცია ჰქონდა დემურიას „ნაკადულს“. ეს კიდევაც აადვილებდა და კიდევაც აძნელებდა ნინო ნაკაშიძის მუშაობას. აადვილებდა იმიტომ, რომ ქურნალს უკვე ჰქონდა თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე, შემოკრებილი ჰყავდა ნიჭიერი კოლეგები ქართული მწერლებისა და მოღვაწეებისა. აძნელებდა იმიტომ, რომ დემურია მეტად გამოცდილი რედაქტორი იყო, მას შეეძლო საერთო ენა გამოენახა, როგორც გამოჩენილ

მწერლებთან, ისე სრულიად ახალგაზრდა დამწყებ ლიტერატორებთან. ასეთივე უნარი უნდა გამოენახა ნინო ნაკაშიძესაც. ამის გამო, რა თქმა უნდა, ძნელი აყო დემურიას მაგიერობის გაწყვეა. როგორც დიდ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ლუარსაბ ბოცვაძეს უთქვამს: ყველაფერი შეიძლება უთხრა ავტორს, მხოლოდ საქმე ისაა, როგორ ეტყვი! ცნობილია, რომ ეს არც იოლი საქმეა. იყო ნამდვილი რედაქტორი და გამომცემელი, ეს ნიშნავს იყო ჰემმარტი შემოქმედი: პირდაპირი, გულლია საუბარი, ისეთი მგრძნობიარე გულის ადამიანებთან, როგორც მწერლები და საერთოდ ხელოვანი ხალხია, მაღალი შემოქმედებაა. თვითიველ მათგანს უნდა მიუღებ მისი ხასიათის მიხედვით, მისი ნიჭის მიხედვით, მისი მისწრაფების მიხედვით. უნდა იპოვო მისი სულის გასაღები და წარმართო იგი საერთო საქმის საკეთილდღეოდ. ავტორის სასარგებლოდ. აქ საქორთა დიდი სიფაქიზე, ხან მოფერება, ხან სიმკაცრე, ხან წაქეზება, ხან, ასე ვთქვათ, დროზე შეჩერება, ხან დათმობა, ხან კი კლდესავით დადგომა. მაგრამ ყოველთვის მაღალი პრინციპულობა, სამართლიანობა და... გულისხმიერება, გულისხმიერება განუსაზღვრელი. ამ თვისებებთან ერთად რედაქტორს, გამომცემელს უნდა ჰქონდეს ფანტაზია, გამბედაობა წინასწარი ჭერების უნარი. ყოველივე ამ სიკეთეს დაუმატეთ ის, რაც აუცილებელია საზოგადო მოღვაწისათვის. — პირადული ინტერესების მეორე რიგში დაყენება, ზოგჯერ საკუთარი ნიჭის, საკუთარი შემოქმედების მსხვერპლად მიტანა და დი სახალხო, საშვილიშვილო საქმის საკურთხეველზე.

ეს ყოველივე მშვენივრად იცოდა ნინო ნაკაშიძემ, როგორც რედაქტორმა-გამომცემელმა. იგი არ შეუშინდა ამ მაღალ და მძიმე მოვალეობას, სათავეში ჩაუდგა „ნაკადულს“ და სასახელოდ წაიყვანა მისი საყვარელი მოძღვრის მიერ დაწყებული საქმე.

არც გემოვნება ჰკლებია ნინო ნაკა-
შიძეს, არც ალღო, არც მოჭალაქეობრი-
ვი ვაჟკაცობა. დიახ, მე ვიმეორებ, ამ
სათუთსა და ნახ ქართველ ქალს დიდი
მოჭალაქეობრივი ვაჟკაცობაც გააჩნდა.
განა ამ ვაჟკაცობის გამოვლინება არ
არის ის, რომ ნინო ნაკაშიძე ზოგჯერ
(როცა მასალა ჟურნალისათვის შე-
საფერისი არ იყო) უარს ეუბნე-
ბოდა რომელიმე ნაწარმოების და-
ბეჭდვაზე აკაკი წერეთელსაც კი, აღი-
მიანს, რომელსაც „ნაკადულის“ რედაქ-
ტორი მართო დიდ მწერლად კი არა,
ღვთაებრივ არსებად სთვლიდა. მაგრამ
აკაკი აკაკი როდი იქნებოდა. სამართ-
ლიანი აზრისათვის ანგარიში არ გაეწია.
მართებული შენიშვნა არ გაეზიარებინა.

სხვა მრავალ დამსახურებათა შორის,
ნინო ნაკაშიძის ერთერთი დიდი დამსა-
ხურება ის არის, რომ ჟურნალის მთელი
კოლექტივი შეჰკრა, შეამჯიღიროვა, ერ-
თი მიზნით, ერთი მისწრაფებით აღიტა-
ცა ამ კოლექტივის ყველა წევრი.

ასე მოიტანა თავისი მშვენიერი ჟურ-
ნალი ამ შესანიშნავმა ქართველმა ქალმა
1921 წლის 25 თებერვლამდე — საქარ-
თველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარებამდე.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეთქვა,
რომ ნინო ნაკაშიძის რევოლუციამდელი
საქმიანობა მხოლოდ ლიტერატურული
მოღვაწეობითა და ჟურნალის რედაქ-
ტორობით ამოიწურებოდა. მე აქ არა-
ფერს ვამბობ იმაზე, რომ ქალაქ თბი-
ლისში ნინო ნაკაშიძის მსურვალე მო-
წაწილეობით გაიხსნა პირველი ქართუ-
ლი საბავშვო ბაღი; რომ იგი 1914 წლი-
დან თავმჯდომარეობდა კავკასიელ ქალ-
თა საზოგადოებას; რომ მისი თაოსნო-
ბით ამ საზოგადოებამ აღზარდა პირვე-
ლი ქართველი ასოთამწყობი ქალები;
რომ მისივე თაოსნობით მოეწყო უპატ-
რონო ბავშვთა სახლი...

ძნელია, მეტად ძნელი ჩამოსთვალო
ყველა კეთილი და სახალხო საქმე, რაც
ნინო ნაკაშიძის მადლიანი ხელით გა-
კეთდა. ეს ყოველივე მშვენიერად იცის
ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებამ.

და ეს ასევე კარგად იცოდა საბჭოთა
საქართველოს პირველმა რევოლუცი-
ურმა ხელისუფლებამ, რომელმაც ჩვენს
ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების ორი დღის შემდეგ, 1921
წლის 27 თებერვალს, სამუშაოდ მიიწვია
ღვაწლმოსილი მწერალი. იმავე „ნაკა-
დულის“ რედაქციაში (ჟურნალი ამ სა-
ხელწოდებით გამოდიოდა 1928 წლამ-
დე), სახალხო განათლების ორგანოებ-
ში, საბავშვო გამომცემლობაში, საქარ-
თველოს მწერალთა კავშირის საბავშვო
ლიტერატურის სექციაში ნაყოფიერად
განავრძო მოღვაწეობა ნინო ნაკაშიძემ.
ყველგან, სადაც კი იგი მუშაობდა, მის-
თვის ჩვეული ცეცხლი, სიხარული და
ენტუზიაზმი შეჰქონდა.

ნინო ნაკაშიძის მხატვრული შემოქ-
მედება უშუალოდ ერთვის უახლესი
ქართული ლიტერატურის იმ ნაკადს,
რომელსაც სათავე ეგნატე ნინოშვილმა
და დავით კლდიაშვილმა დაუდეს. ნინო
ნაკაშიძეს ქართული ლიტერატურის ის-
ტორიაში მუდამ ექნება თავისი საბა-
ტიო ადგილი, როგორც თვითმყოფსა
და დამოუკიდებელ შემოქმედს, თუმცა
მისი მოთხრობების თემა იმავე საყა-
როს ეხება, რაც აღეღებდათ იმდრო-
ინდელი საზოგადოების სულიერ მესვე-
ურებს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშ-
ნოს, რომ ნინო ნაკაშიძის, როგორც
მწერლის, ფორმირებაში თვალსაჩინო
წვლილი შეიტანა დიდი სამოციანელე-
ბის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა
იდეებმა.

ნინო ნაკაშიძის პირველი ლიტერა-
ტურული ნაწარმოები „ძიძა“ დაწერი-
ლია ნამდვილი ოსტატის ხელით და
ერთ-ერთი საუკეთესოა მის შემოქმედე-
ბაში. აქ გამოამჟღავნა მწერალმა თვი-
სებები, რომლებიც აუცილებელია
მხატვარი-ხელოვანისათვის: ბუნებრივი
თხრობა, ცხოვრებისეული სიმართლით
აღსავეს სიუჟეტის გადმოცემა მოქმე-
დებაში, პერსონაჟების ამეტყველება
მათთვის დამახასიათებელი ცოცხალი
ენით... მისი ყველაზე ძვირფასი თვისე-
ბა, ჩვენის აზრით, ეს არის სიმძაფრე
კონფლიქტებისა, რომლებიც ავტორის

მეცრ ხელოვნურად გამოგონილი კი არ არის, არამედ თვით მდგომარეობიდან, სიტუაციიდან გამომდინარეობენ. ეს თავისებურებანი მეტ-ნაკლებად ახასიათებს ნინო ნაკაშიძის ყველა მხატვრულ ნაწარმოებს.

აღნიშნულმა თვისებებმა განაპირობეს დიდი პოპულარობა პიესისა „ვინ არის დამნაშავე?“, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ქართული თეატრის სცენას. ეს არის მძაფრი სოციალური დრამა, სადაც დახატულია რევოლუციამდელი ქართული სოფლის მშრომელთა უსიხარულო ცხოვრება. საბჭოთა კინემატოგრაფიის გარიყრაჟზე პიესა წარმატებით იქნა ეკრანოზირებული. კარგი იქნება ჩვენი თეატრები ამ სარეპერტუარო გვალვის დროს მაინც გაიხსენებდნენ აღნიშნულ პიესას და კვლავ გააცოცხლებდნენ მის გზირებს.

ნინო ნაკაშიძის ნიჭი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა საბავშვო მწერლობაში. დიდი პედაგოგიური ალლოთი და მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს მწერალი ქალი ბავშვის სულიერ სამყაროს. მასში, როგორც სარკეში, იხედება და შეუმცდარად ხედავს ნორჩი ადამიანის გრძნობა-განცდების თვითეულ მიმორხევას. ქართული საბავშვო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებია ნინო ნაკაშიძის მოთხრობები: „ამაყი ყვავილი“, „ორი დედოფალი“, „მახობელი“, „ბავშვები და ბელურები“, „მათია და ნიკო“, „უღუ და თეთ“, და მრავალი სხვა. რომელი უნდა ამოირჩიო, რომე-

ლი ერთი უნდა განიხილო და გააჩიო? ან კი რა საჭიროა ეს განხილვა-გარჩევა, როცა თვითეულ ჩვენგანს, ყველა თაობის წარმომადგენელს, თავის დროზე წაგვიკითხავს, გვისწავლია და სამუდამოდ გულში ჩავგვიხატავს ნინო ნაკაშიძის მდიდარი შემოქმედება.

თავისი პატარა მკითხველებისათვის ნინო ნაკაშიძემ შექმნა მხატვრული სახეები გამოჩენილი ადამიანებისა — ილია ჭავჭავაძისა, მიხეილ ლომონოსოვისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა, თავისი სხვა თვალსაჩინო თანამედროვეებისა.

მანვე საუცხოო თარგმანებით გაამდიდრა ქართველი ბავშვის ბიბლიოთეკა: ჩინებულად აახშიანა ქართულ ენაზე ანდერსენის, თაგორის, დიკენსის ნაწარმოებნი, ლევ ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა“...

ნინო ნაკაშიძის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფიქრები საბავშვო ლიტერატურაზე“.

დიდია და დაუფასებელი ნინო ნაკაშიძის დამსახურება ჩვენი ხალხის წინაშე, ჩვენი ბავშვების წინაშე, ჩვენი მწერლობის წინაშე. მისი შემოქმედება ქართული მწერლობის ოქროს ფონდშია შესული, მისი ღრმად შინაარსიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა მაღალი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ მშობელ ხალხს, ნორჩ თაობას, ერის მომავალს.

გზაზე კინკაპი

ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები

XX საუკუნის ქართულ ისტორიულ რომანს წევნს ლიტერატურაში წინ უსწრებდა საკმაოდ საინტერესო ცდები ამ ეპოქის დამუშავებისა. გასულ საუკუნეში, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც ეროვნული შეგნების გაძლიერება და გაღრმავება ხელს უწყობს ისტორიული ეპოქის მხატვრული პროზის განვითარებას. XIX საუკუნის ქართულ ისტორიულ-მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად აისახა პატრიოტული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი შიშობის იდეები. ამ დროის ქართული ისტორიულ-მხატვრული მწერლობა არ იცნობს სხვაგვარ კონცეფციას, თუ არა ეროვნულ-მამულისწვილურს. სხვაგვარი შეხედულება ისტორიაზე, საერთოდ, ისტორიულ პროცესზე მისთვის უცნობია. ისტორია ეროვნული თვითმყოფლობის დადგინების, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მატრიანე. ასეთი პატრიოტული სულისკვეთება და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეა უდევს საფუძვლად როგორც ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“, ილია ქავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთვის“, „ნათელას“ და „ბაშა-აჩუკს“, ვაჟა-ფშაველას „მხატრიონს“, ასევე ყაზბეგის „ელისოს“ და „ხევისბერ გიონას“.

ამ მწერალთა თვალსაზრისით, ისტორიულ თემატიკისადმი მიმართვა ორმავალ მნიშვნელოვან და სასარგებლო უნდა ყოფილიყო. ჭკრ ერთი: წარსულის დიდების სურათთა ჩვენება ხალხს შემატებდა საერთო ღირსების გრძნობას, შეახსენებდა წარსულის გმირულ ფერკულეს, მეორე მხრივ, ნაწარმოებში აღძრულ იდეურ-თემატურ შინაარსს ხალხზე განსაკუთრებული გავლენის ძალა ექნებოდა, რადგან მკითხველს საშუალება ეძლეოდა თვითონ გამოეტანა შესაფერისი დასკვნა თემის აქტუალობაზე და თვითონ გაეგოდა პარალელები სადღეისო ამოცანებსა და წარსულის ისტორიულ საკითხებს შორის.

მაგრამ დღეს, როდესაც ისტორიული რომანის ტრადიციებს თვლიან არა გასული საუკუნეიდან, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი

დროიდან, საგელისძვოდ ჩანს ის აზრი, რომ ისტორიული მხატვრული პროზა ერთგვარად უკავშირდებოდეს ისტორიულ-ბიოგრაფიული ეპოქის უძველეს ლიტერატურულ ნიმუშებს. ასეთებს კი, როგორც ვიცით, მწერლობის ისტორიაში ბიოგრაფიული ძეგლები წარმოადგენენ. ის აზრი, რომ ისტორიული რომანი გენეტიკურად ბიოგრაფიის უკავშირდება, ჩვენში პირველად გამოთქვა შალვა რადიანი თავის მონოგრაფიაში ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანების შესახებ შ. რადიანი წერდა: „ისტორიულ-მხატვრული პროზის, უმთავრესად ისტორიულ-ბიოგრაფიული ეპოქის ჩანასახები ქართულ ლიტერატურაში გვაქვს უძველესი დროიდან. მის პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ბიოგრაფიული ნაწარმოებები“...

ყოველ შემთხვევაში, ისტორიული რომანის, როგორც ახალი ლიტერატურული ეპოქის სრულყოფილი, სრულფასოვანი ჩამოყალიბება საქართველოში ამ საუკუნის დასაწყისში მოხდა და ის მჭიდროდ უკავშირდება ვასილ ბარნოვის სახელს. ამ მხრივაც, ქართულ ისტორიულ რომანს აქვს საკუთარი წარსული, მდიდარი ტრადიცია.

ვასილ ბარნოვის ისტორიულ-მხატვრული შემოქმედება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში მხატვრულად გაშეშებულია ყველაზე ადრინდელი, უძველესი მატრიანი საქართველოს, როგორც კი, საერთოდ, ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში ყოფილა გამოყენებულა. ვასილ ბარნოვის შემოქმედება იმითაც არის განსაკუთრებული, ორიგინალურად მოფიქრებული, რომ მან, XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებსაგან განსხვავებით, თავისი ძირითადი შემოქმედებითა თემა—ეროვნული პრობლემატიკა სოციალური სიბრტყიდან მორალურ-ფილოსოფიურ სიბრტყეში გადაიტანა და ამგვარად განიხილა.

მწერალს საცხებით თავისებურად ჰქონდა წარმოადგენილი ეროვნული თვითმყოფობის საკითხი. იდეური თვალსაზრისით, იგი, თით-

1 შალვა რადიანი, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები. თბილისი. 1944, გვ. 34.

ქოს, ყველაზე ახლობელ, — თავისი ერთ-ერთი გმირის, ვანდუცილი მანგიურის მრისხანე ფიგურის (ისტ. რომანიდან „არშაზის მსხვერველი“) მსგავს პოზიციას ადგას. საქართველოს არსებობა მას ვერ წარმოედგინა ვისიმე პროტექტორატის ქვეშ და ერთადერთ ნამდვილ ფორმად თვითმყოფელი, ყოველგვარი უცხო ძალისგან დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ზენობრივი ცხოვრება შიანდა. ეს ნაციონალური სულისკვეთება კარგად გამომჟღავნდა მის მიერ ისტორიის კანონზომიერებათა გაგებაში. ისტორია და ეროვნული თვითმყოფლობა პრობლემა მას თითქმის გაიგვივებულ აქვს.

ვასილ ბარნოვის ისტორიულ პროზაში ისტორია — ეს არის ნაციონალური ძლიერების ძიების სკოლა. ზაღის ისტორია (და არა მისი შინაგანი სოციალური კანონზომიერებანი) გვასწავლის ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას. ისტორიას ერთი აზრი აქვს — ზაღის სულიერ-მატერიალური განვითარების გზები გვიჩვენებს. ისტორიული პროცესი-ეროვნული კიბილის გზა: ისტორიამ უნდა გვაჩვენოს, საიდან მოედინება დასაბამი უნდა წავიდეთ, ან უფრო სწორედ, როგორ მოვდიოდით და როგორ უნდა ვიაროთ. თვით ერისმიდა ბრძოლები, ავტორის აზრით, — ერის გარე კონფლიქტების გამოძახილია, შედეგი.

ასეთია ე. ბარნოვის მარტივი, მაგრამ მთლიანი ისტორიულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თუ თქვენ ესურთ შეამოწმოთ ამ აზრითა ჭეშმარიტება, მიმართეთ ისტორიას, მის მრავალფეროვან უმდიდრეს გამოცდილებას. თვით ე. ბარნოვი სწორედ ამ მისაზრებით მიზნობრივ ისტორიულ თემატიკას; თავის ეროვნულ მარჯამს ის ისტორიით ამოწმებს, მაგრამ ეს ისტორიული მეთოდი ცალმხრივი გზა და რთვით ყველა რომანტიკოსი მწერალი, ე. ბარნოვიც ვერ აცდა ამ გზას. ამ მიზეზთა გამო მისი ისტორიული რომანები მორალიზატორულია თითქმის იმდენადვე, როგორც ეს აღტრედ დე ვინის ან სხვათა შემოქმედების შესახებ შეიძლება ითქვას; მასთან ისტორიული პროცესი,

წარსულის მოვლენათა განვითარება ექვემდებარება ავტორის მორალურ-ისტორიულ შეხედულებებს. ისტორიაში უფრო ხშირად ის ზედავს იმას, რაც უნდა იყო. ეს კი იძლევა ისტორიის შეგვიცლად, დაეწირობებლად წარმოდგენას (რომელშიც დაკინებულა შიდა სოციალური განვითარების სურათი). რატომ იძლევა „არშაზის მსხვერველი“ აზრით? რისთვის ამთავრებს სოციალურ თვითმკვლელობით მისთვის ასული მშვენიერა ზვარამზე? ავტორის ისტორიულ-ეთიკური შეხედულებების თანახმად, აზრით უცხო სხეულია, რადგან უცხო სარწმუნოების დამკველი აღმოჩნდა. ზვარამზეს თვითმკვლელობაში რაი მომენტი შეეძლება გამოყენოს; სიყვარულის ძალა მას უკარნახებს, რომ სიკვდილიში მინც შეუერთდეს თავის სწორედებს; მეორე მხრივ, ავტორის სურს დაგვანახოს, რომ გაქრისტიანებამ ზვარამზე არ აქცია ბედნიერად ქრისტეს რჯულზე მოქცეული ქალი ისეთივე უცხო რელიგიის მიმდევარია, როგორც ცეცხლითაყვანისმცემელი აზრით. აქედან ზვარამზეს მორალური განაპირება, რომელიც მისი თვითმკვლელობით გამოხატა მწერალმა. ასეთია რომანტიკოსი მწერლის მორალიზატორული მხატვრული თვალსაზრისი.

ავტორის აზრით, ძველ საქართველოში არაორი, არამედ სამი ორიენტაცია ებრძოდა ერთმანეთს: სპარსული, დასავლური და საეკლესიო ეროვნული; სარწმუნოებრივი პარტელოზისათვის კიბილი — ეს მხოლოდ პოლიტიკური ქაზმობის არაორაზროვანი ნიღბი იყო, ამიტომ ე. ბარნოვი იმ აზრისაა, რომ „აღდგეს“ ციშებ-ითრეშანის, გუდან მებრძოლის, იალსაზის და ილორის, ლაშარისა და ფრთიან რაშე მქდომი აღტრის ეროვნული სტაქია. ეს არა მარტო „არშაზის მსხვერველი“, არამედ მთლიანად ვასილ ბარნოვის შემოქმედების წამყვანი თემა, ლეტიმოტივია. რომანის მოქმედების დრო დაახლოებით შატობრიანის „მარტივლათა“ მოქმედების ზანის ემთხვევა ქრონოლოგიურად, მაგრამ თუ შატობრიანის ნაწარმოები წარმართული კულტურის წინაშე ქრისტიანობის უპირატესობას მგვენას ემსახურება, „არშაზის მსხვერველი“ სრულიად საპირისპირო თვალსაზრისია გატარებული. ვანა ე. ბარნოვის ბრწყინვალედ არ ესმოდა ქრისტიანობის ისტორიული უპირატესობა წარმართულ ცივილიზაციასთან შედარებით? რაღა თქმა უნდა, რომ ავტორის ეს კარგად ჰქონდა შეგებელი, მაგრამ, რადგან ისტორიის გაგებაში ის ეროვნულ თვალსაზრისს ატარებდა და იქ, თავისებურად, მორალისტური დასკვნებისთვის მასალას ეძებდა, ამიტომ მას რომანში ობიექტურმა ისტორიულმა სიძარბულმა სუბიექტური გაშქება მიიღო...

ვასილ ბარნოვის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში შექმნეს ქართულ ლიტერატურაში განარობრავად დსრულბული სახე ისტორიული რომანისა. მის შემოქმედებაში პარტელოდ მოიხაზა და ჩამოყალიბდა ისტორიული რომანის აზრებითი კონტურები და ისტორიის გრძობა თუ განცდა თავისებურად გამოვლინდა. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დასახელოყო ქართული ისტორიული მხატვრული პროზის ქართული პერსპექტივები. მისი შესანიშნავი ისტორიული მოთხრობის „ისნის ცისკრის“ (1901 წ.) გამოქვეყნებამ

თერთმეტი წლის შემდეგ, 1912 წელს სალიტერატურო კრებულ „გარემოში“ დაიბეჭდა ქართული ისტორიულ-მხატვრული პროზის „პატარა შედეგები“ უიარისრი „მამულეკი“. ზქარა ამიერ კრებულში მას მოჰყვა ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული მოთხრობა „მკისხანე ბატონი“, რომელიც ქართული ისტორიული ხასიათის მოთხრობის თეოსაზიზი ნიმუშია.

„მამულეკის“ თეზად აღებული ადამიანთა ევკროზის პრაქტიკა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ძველ სამეგრელოში მძლავრად იყო ფეხმოკიდებული. ნაწარმოებში ლაქონერად, ცალკეული ფართო შტრახებით აღწერილია სამეგრელოს გლეხობის დაძაბუნებული ყოფა-ცხოვრება და ასეთ ისტორიულ ფონზე კიდევ უფრო გამკვეთებულია მისი მოუტრუნელი იარა — მონების სუიდეა-გაყიდვა. მოქმედების დრო მფთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარია. ეს იქიდან ჩანს, რომ ნაწარმოებში ნახსენება მეფე ერეკლეს გმირული მოღვაწეობის ამბები, ხოლო ხრესილის ომის (1757 წ.) ხსენება კიდევ უფრო ავტორიტეტის მოქმედების თარიღს. „მურხაყან, შენი ჰირიმი, იმ შარშანდელი ხრესილის ბრძოლაში იყავი“ — ეკითხება მოხუცი ტავუია სადილზე შემოსწრებულ აზნაურს. მამასადავ, მოქმედების დრო ნაწარმოებში დაახლოებით 1758 წლიდან ეთარღება და ბარე 1798 წლამდე (ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობამდე) გრძელდება.

სამეგრელო იმჟამად იმერეთის სამეფოში შედიოდა. ეს პოლიტიკური აქტი დაკავშირებულია სოლომონ მეფის შესანიშნავ გამაერთანებელი სახელმწიფოებრივი საქმიანობასთან, რომელიც იმით დამყარდა, რომ მასტრია მამასადავთანის გავრცელებას და ტყვის სყიდვის გამანადგურებელ რეციდივებს. იმერეთის მეფის ეს ლისშესანიშნავი პოლიტიკა და მისი გამომძახილები ქვეყნის შიდა სფეროებში კარგად იხსება უიარისრი „მამულეკი“. გლეხობა ლოკალიზებული იხსენიებენ მას, ის მხარე პატარა კახს აღაგრებენ და თავის მხრივ კი ნატრობენ: „ღმერთო, შენ გაუმარჯვე ყველა ურჯულთა მურხომლს, ქვეყანაზე მშვიდობის დამამყარებელს, საწყალი გლეხიკაცის ეკიოხველს, ქვრივ-ობოლთა შემწესს, ყველას ერთობ, წინასამართლის მექონს, ღმერთო, ის დღე მიჩვენე, ისე საფლავში შენ ჩამიყვან, რომ ყანაზედ უჯოფოდ მივდიოდე. დედაკაცს სადილი მარტოდ-მარტო მოქონდეს და არაფრის შიში და რიდი არ ჰქონდეს“.

როგორც ვიცით, ტავუიას ეს ვედრება არ აღსრულდა, და მისა სანუეარი ზეინა დიდი ბე-საბეტეების შემდეგ ქიაროს მამულეკთა სარდლის, ალი-ბეის კარზე აღმოჩნდა. ეს, ალი-ბეი, უფოდ, ის მამულეკი ბეიი, რომელიც სწორედ აღნიშნულ ხანებში ვანაგებდა ეგვიპტეს, თავისი სახელი ნაწერა ეგვიპტის სახელმწიფოს

ისტორიაში და რომლის ქართული წარმომადგენლობის მტკიცება გ. ბეი-მამიციონის წერტილში საკმაოდ დამაფრებელი ჩანს. ალი-ბეის ქართულ სახელი იოსები უნდა იყოს; ის დამადებულა აფხაზეთში 1728 წელს, ქართველი მღვდლის თაქში. ოცდაორი წლის იოსები პირადი დამსახურების წყალობით ეგვიპტეში ქეშიბი გამხდარა, ხაც მაშინ „თავბრდამხვევი კარბერა“ იყო, ხოლო 50-ანი წლების დამაწყისისათვის ეგვიპტის დიენში ის ბეიად აფრჩევია. I როგორც ვხედავთ, „მამულეკის“ ავტორი საკმაოდ ჩახვლული ყოფილა ეგვიპტელ მამულეკთა ისტორიაში და ზუსტად იმარტებდა იმ ისტორიულ ვადმოცემებს, რომელიც იმ დროს ამ საკითხის გარშემო არსებობდა, ვანსაკუთრებით, ევროპულ ისტორიოგრაფიაში. სწორედ აქედან მოდის მისი გრძნობა ისტორიისა, რომელსაც ასე კარგად უხამებდა ის მხატვრულ ფანტაზიას და მხატვრის უტყუარ აღიღოს. თავის ნაწარმოებში ალი-ბეის შესახებ უიარისრი წერს: „ალი-ბეი, მამულეკთა სახელეოანი საბადა, ოქროთ მთვარაყებულ და ლალ-ფირთხით მორთულ ტახტზედ ფეხმოყვიით იქდა, ყალიონის ტარი პირში ჩავდო და ნელ-ნელა ამოღებდა. დრომ ფიქრებში იყო ვართული ალი-ბეი, და, ლეოს წინაშე, საფიქრებელიც ბეიკი ჰქონდა. მთელი ეგვიპტის უმთავრესი ვამეკ ახლა ის იყო. მან მოიყოლია მამულეკთა დანარჩენი ოცდასამი ბილი (ეგვიპტეს სულ ოცდაათი მამულეკი ბეი ვანაგებდა — გ. კ.) ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეთა მმართველ-ვამეგებელნი, და სტამბოლის სულთანის და მის მიერ ეგვიპტის უფროსად დაყენებული ფამისაჯან თავისი თავი სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძლიერ საწყენად დაურჩა სტამბოლის სულთანს და მით უფრო ეგვიპტის ფამს, რადგან მისი უფლება არაბობამდე ჩამოვიდა, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერა გააწყო რა, ძალა მამულეკთა ბელში იყო და ძალა ზომ აღმართა ხნავს.“

მამულეკთა რიცხვი იმ დროს ათი-თორმეტი ათასი იქნებოდა. ისინი გაფანტული იყვნენ მთელ ეგვიპტეში, სათავეში უდგნენ მხედრობას, ეპირათ თანამდებობის ადგილები, ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონი იყვნენ¹.

„მამულეკის“ ავტორისთვის სხვა ზოგიერთ ფაქტთან ერთად არ იყო ცნობილი ეგვიპტელ მამულეკთა წარმომავლობის ბევრი საკითხი, რომელიც დღესაც საეგვიპტო გარკვეული და დანახუთებული არაა. მაგრამ მის ინტერესთა სფეროში არ შედიოდა ფართო ისტორიული

¹ გ. ბეი-მამიციონისი. „ქართველი მამულეკება ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში“. „მნათობი“ 1957, № 9.

ტილის, ეპიკური ელერადობის ეპოქალური ნაწარმოების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური სახე და ატმოსფერო მასში კეშარიტი ოსტატის ხელით არის გამოყვანილი და ჩახატული. შვერალი, ამ მხრივ, გამჭრელებულია კრიტიკული რეალიზმის ქართული სკოლის ტრადიციების და ახლო დგას ამ რეალისტთა მსოფლმხედველობასთან. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერის განსაკუთრებული მანერით, კომპოზიციურად და მხატვრული ოსტატობით „მამულეკი“ ვეაგონებს პროსპერ მერიმეს რომანტიკულ „შარლ მეცხრის მეტეორს ქრონიკას“. რასაკვირველია, მათი ლიტერატურული ნათესაობა არ განისაზღვრება ამ ისტორიული პრობლემატიკით, სადაც ძმათაშვილები ომებშია შერისხელი და წინა პლანზე გამოტანილი (მერიმეს ქრონიკაში ეს თემა სხვა პლანშია გამოტანილი: ამ პროტესტანტი ბერნარი შემთხვევით კვლავს კათოლიკე მას), არამედ თვალში საყვამია ამ ორი მწერლის მხატვრული აზროვნების ერთგვაროვანება. ორსავე მწერალთან ისტორიულ მოვლენათა განვითარება მორალიზატორულია. მთავარი გმირები არისტოკრატულია წერის ხაზგასმული სიმსუბუქე და სინატიზე, ნათელი, სადა პეტყელება, ლაქონიზმი და სხარტული დახასიათების მეთოდი, რაც მერიმეს „ქრონიკასთვის“ ასე რიგად ნიშნულია. უიარაღის ამ ნაწარმოების შესახებ ყველაზე ზუსტად აღნიშნა ტიციან ტაბიძემ თავის წერალში „ისტორიული ნოველა „მამულეკი“.“ თვითონ ავტორის საყვარელი სხარტულობით აქვს გაშლილი ფაბულა და კონს მონტაჟით არის შეკრული; განსაკუთრებით აღსანიშნავია გეგმათი მოგზაურობა ფოთიდან სტამბოლამდე, ოსმალთა ეპურების პორტრეტები, ნარდის თამაში, ტყვეების აჯანყება და შემდეგ მამულეკების ვარა...

უიარაღის „მამულეკი“ წერის მხრივ სანიშნავია რეალისტური სკოლისთვის. მას ახასიათებს მოქმდი დიალოგი, მომენტალური დახასიათება, პეინაჟის გაცილებული სიკაღის დამორჩილება და შეუღებელი სილამავე, რომელიც დღეს გამოცხადებულია პროზის უეკველ დირსებად. მკითხველი „მამულეკში“ გრძნობს სამეგრელოს პეინაჟს, ყანით და გემბრით, ტუხურას ნაბრებობ, თბის მწყემსებობ, ცხენი და მთელი დანარჩენი ინვენტარიით.

თბრობის მსუბუქი, გამჭვირვალე სტილი აქლიერებს მწერლის ლირიკულ ქვეტექსტს და ხდის მას ძალზე ემოციურს. ის ეროვნული გულსიტყვილია, რომელიც თან ახლავს „მამულეკს“, ის ღრმა ეროვნული კონცეფცია, რომელიც ავტორის მიხედვით, შეუძლებელი იყო თვითონ ავტორის ისტორიულ მსოფლმხედველობას შეადგენს, ანიჭებს ამ ისტორიულ პროზას ქართული პროზის „პატარა შეტყვერის“ სახელს. შიანც მოთხრობაში ყველაზე ძლიერი ფინალური სცენაა. ზეინას მიერ მოკლული ვენეციელი ასისტავი სიცილიის წინ წამოიძახებს „ვია ნანა“ და მამულეკთა ძლევაში სი სარღლის წინ თვალნათლივ აღსდგება მისი დროებითი მივიწყებული წარსული. ავტორის კონცეფციის მიხედვით, შეუძლებელი იყო თვითონ სახელმწიფოებრილი მამულეკისთვისაც, რომ მას საკუთარი წარსული, მშობელი ფესვები დაეიწყებინა. ეს ლიტერატურული პროზის რთობრივ გვახსოვს ბრწყინვალედა და მშვენივრული იაკობ გოგებაშვილის ნოველაში — „ივენანამ რა ქმნა“. „ვია ნანა“ — სეკ თავისებური ივენანის მელოდიაა მამულეკი-ზეინასთვის, თუკი დაუფრებობ მის მწარე შინაგან მონოლოგს, წარმოთქმულ გეგმბრის პირამიდებში და წყალუბრი ნილოსის ლერწმულად ნაბიჭებს შორის... ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, მამულეკი ქართველად დაბადა და ქართველადაც მოკვდა, და არა მამულეკად. მიწის ყივილი, მშობლიური სიტყვის ივენანა მას კვლავ ქართველად აქცევს. ამაში მდგომარეობს უიარაღის „მამულეკის“ ეროვნული პათოსი.

„მამულეკის“ ავტორის მსგავსად, ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ მოთხრობებშიც ნაკლებად ჩანან ისტორიული პირობები და მთავარი გმირებს, უმთავრესად, გამოკონილი პერსონაჟები შეადგენს. რთობრივ ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში, ისე აქაც, მდგომარეობას განსაზღვრავდა ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული და ისტორიული მსოფლმხედველობა. მხატვრული ტემპერამენტის თვალსაზრისითაც მისთვის ძნელი იქნებოდა წარსულის ქრონიკების აკადემიურ ფარგლებში ჩატყვის. მწერლის ფანტაზია და მგრძნობელობა ქრონიკის ჩარჩოებით არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული. ამას მხოლოდ პირადი მხატვრული გეოგონება კი არ უკარანახებდა, არამედ შემოქმედებითი მეთოდი და მსოფლმხედველობა; ჯერ ერთი, პერსონაჟის სახე უფრო კრებითი გამოდიოდა. ის, პირველ ყოვლისა, ადამიანი იყო და არა კონკრეტულ-ისტორიული მეფე, მდებარეობითა არა ან მიწისქველ, მეორე მხრივ კი, ასეთნაირად შედგენილი მხატვრული სახე მის ისტორიულ კონცეფციას შეეფრებოდა. „ესაც გამოუცდია დიდი აკადემიციზმა, ახსოვს ბოლღა, ტყვიულების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოესმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და სასიამოდ დარჩება შორეული ისტორიის, დაეიწყებული შეპარგადმოცემის და

1 ტიციან ტაბიძე. — „წერილები, ნარკვევები“. თბილისი, 1957, გვ. 78.

დაღლილი ოცნების ხლართი... — წერდა ნ. ლორთქიფანიძე „რანდების“ თავისებურ ეპიგრაფში, რომელშიც უფრო მისი მეთოდურ-მხატვრული თავისებურება ჩანდა. თუ ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ თავისებურებაზე ულაპარაკებთ, მას პერსონაჟის კრებითობა იმდენად არ აინტერესებდა, რამდენად მხატვრობის ეკონომიური ზერხებისათვის მივსება. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ეპიზოდურად, ცალკეული შტრიხებით ხატავს გმირს, ეპოქას, საყოფაცხოვრებო გარემოს და მისი შემოქმედების ობიექტებს, მისთვის თქმით, საკუთარი ოცნებებს, თქმულებებისა და ისტორიის ლაშაში ნაერთია. ადამიანში შეიძლება ჩამდენიმე მხარე იყოს საინტერესო, მასში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე თავისებური, განუმეორებელი თვისება და ამით დავეყიფოთ დღეს; სურათი მაინც კოლორიტული და მრავალფეროვანი იქნება.

ისტორიული თვალსაზრისით, ნიკო ლორთქიფანიძე ეწევა ისტორიის მოდერნიზაციას, წარსულის გათანამედროვეებას. ის იმ ისტორიული ხასიათის მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ისტორიის გრძობის წარმოსაქმნელად იშველიებენ, ძირითადად ისტორიულ გარდერობსა, გრიმებს, ისტორიულ დეტალებს, რეკოზიტს და ასე მშინად ადვილთა და დროის კოლორიტს. მის მიერ დახატული ადამიანები „ზედროულ“ თვალსაზრისით არიან წარმოდგენილი. ავტორის ორმა რწმენით, ადამიანის უფრო ფსიქო-ბიოლოგიური აზრებაა, და სოციალური ცვლილებანი მის პიროვნებას გარეგნულად, ზედპირულად ცვლის.

გათანამედროვეებს სამშრობებს ვერ გაექცა თვით „სალამის“ ავტორი, მაგრამ ის, რაც ფლობისთვის გადაუღაბა სიძნელეს „გარდაუდებლ ანაქრონიზმს“ წარმოადგენდა, ნიკო ლორთქიფანიძისათვის შეგნებელი, ეკონომიური ადამიანის აზროვნებაა. ქართული მწერლის აზრით, ისტორია უნდა გათანამედროვედოს. რას ნიშნავდა ეს ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ-მხატვრული მრწამსის მხედვეთი? მისი აზრით (რაც უფრო სადავოა), დღევანდელი ადამიანის ფსიქიკა თავისუფლად ეგვება წარსულის ადამიანთა აზროვნებას, გრძობებს, ვნებათა სამყაროს და ბიოლოგიას. ადამიანის სულიერი სამყარო ბევრად უფრო მძიმე-მძიმედ იცვლება, ვიდრე სოციალურ წეს-წყობილების ფორმები, ამიტომ გათანამედროვეება ისტორიისა, მისთვის იყო ადამიანის იმგვარად ხატვა, როდესაც ის ისტორიულიც არის, გამოხატავს ეპოქის ატმოსფეროს, თავისებურებებს, სულს და თანამედროვე ნორმებსაც ეგვება. მისი აზრით, ადამიანის სულიერი იდუმალუბანი სუსტად, ნაკლებად ემორჩილებიან დროის მსულებლობას და, რაც მთავარია, თვით ადამიანის ნებასაც ნაკ-

ლებად ეჭვმდებარებთან. ამიტომ წარსული თანამედროვეობასთან კონტაქტში უნდა იმყოფებოდეს ისე, რომ ძველი პარობლიემო დღევანდელი დღის წესრიგში უნდა იდგეს. ანუ ის ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული მსოფლმხედველობა.

ნიკო ლორთქიფანიძეს იმ დროისათვის საკმაოდ ორიგინალური შეხედულებანი ჰქონდა ადამიანის ბუნებაზე, მის პიროვნულ რაობაზე; ის ცოდვისა და სიკეთის თავისებურ შეჯვარდინებაზე ჰყავდა წარმოდგენილი. მწერალს ვერ წარმოედგინა, რომ ყველაზე ზნედაცემულ ადამიანშიც სულგრძელი და მომანიებელი არსება არ ბუღობს. მოწინაებით კი იწყება ადამიანის სულიერი აღორძინება, გამართლება. ეს ორმაგობა ადამიანის ბუნებისა ყველაზე რელიეფურად მან ციყინთა და ლევანის სახეების გამოძერწვისას გვიჩვენა. „მრისხანე ბატონი“ ნიკო ლორთქიფანიძის მორალურ-ფილოსოფიური მრწამსის ყველაზე სრული გადმოშლა.

რატომ აიღო მრისხანე ბატონმა მოწიერ ცხოვრებაზე ზელი? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ იგი ვლარ უძლებდა საკუთარი ცოდვების სიმძიმეს, არც იმიტომ, რომ მოწიერ ბოროტებათა ჯამი მისთვის აესებულა იყო. მრისხანე ბატონი ჭერ კიდევ უფრო ძლიერი ზანდა ჩადენილ საკუთარ დანაშაულობებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თავი უნდა მოეკლა, საკუთარი არსება უნდა გავნადგურებინა, — ე. ი. საკუთარ თავს გაქცეოდა. ის კი თვითმკვლელობის ნაცვლად, სულიერ განწმენდაზე ფიქრობს და რომელიც მომენტში, დღეთაბრივად მოწესრიგებულ ცხოვრებასაც კი სწვდება. ავტორი ავტოწმენის საკმაოდ ბიბლიურ ტონებში, რომ ლენკანა მოწიერის ერთ-ერთ გამოქვაბულს შეადარა ამით, სადაც დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, თავმდაბლად ეპყრობოდა. სულიერი რეზინიაცია იქამდე მიდის, რომ „ჩიტები თამამად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ თმაზე. შველი, წყალზე ჩამოსული, ზელიდან ართმევდა ჰადის ნაჭებს. მოხუცი კი ლოცულობდა ხის ხატის წინ, განუწყვეტლავ კითხულობდა სახარებას; უფლის შენდობას ევედრებოდა ბაბაის გადთელვისათვის, მზის სხივის შერეაჩუყოფისთვის, ორ-ოთხე ლეკმისათვის, რომელსაც შორი-ბორის უტოვებდნენ მცხოვრებნი. ერთ დღეს მწყემსმა ნახა გამოქვაბულში ვაცივებული ვეამი. გულზე დაკრეფილ ზელეში მაცვალებულს ეპირა ხის ხატი“.

რით არის გამოწვეული ეს სულიერ-ზნეობრივი კათარზისი, რას ეყრდნობა ასეთი პოლარული კონტრასტები? ავტორის აზრით, ანგვარი წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანის ბუნება, ზნეობრივი დიალექტიკის, წინააღმდეგობათა გარეშე ადამიანი მტვრულ უფერული, მო-

ნოტარული არსება იქნებოდა. ავი იგივე ემართება ციციოსაც. ისიც თითქოს შორალურ გადახალისებას განიცდის, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ეს აქტი მხატვრულთა თვალსაზრისით ბევრად უფრო სუსტად და ნაკლებად დამაჩერებლადაა განხორციელებული. ციციოს კითხვისი უფრო მსჯელობითია, ცნებების ერთ არის გამოთქმული. სწორედ ციციოს დაკისრია ავტორმა გამოთქვა თავისი ზნეობრივ-ფილოსოფიური დებულებებიც ადამიანის შესახებ. ეს დებულებები ხსნიან მისი შემოქმედების ერთ უმთავრეს უბანს:

„— პო, ლევანი ყოველი ადამიანი ორსულა. მხოლოდ რომელი სულა როდის გამოჩნდება, იმამა ზედა...“

— როგორქადაგვიით ლაპარაკობ რაღაცას ჩსაფიქრებელს, მაგრამ გაუგებარ სიტყვებს?

— რომ იცოდე, ლევანი, ამ ოთხ დღეში რამდენი ვიფიქრე ამ ორ სულზე, ამ ორ სურვილზე. ღამეები არ მიძინია, დღეები კარში არ გამოვსდევარ. არიან ადამიანები, რომელთაც დაღე წმინდა აზრი, მიზანი აქვთ, ჰყავთ ერთი საყვარელი არსება და შუღამ ერთგული რჩებიან მისი. ჰყავთ შეილა და მოულობა მის ბედნიერებას. სწამთ ღმერთი და გრძობა სახსე აქვთ სასოებით. ასეთს ადამიანებს არც სიკვდილის ეშინიათ, არც სინიღისი ჰქვნიან. ცხოვრების მოვალეობა მოუხდიათ. განა არ შეიძლება ასე ყოფილიყო! ...განა ყველას ასეთი წმინდა მეორე სული არ უღვაჰ, მუჰეიხა, ფუჰსავატობისა და უმონობის სამოხელში გახვეული? ოპ, ერთა ბევრე მიანე მყოლოდა, რომ მისთვის გადაქცევა ეს დღეგანდღეა ჩემი რწმენა. ცხოვრებამ ბევრი მასწავლა“...

როგორც ვხედავთ, შერალი ჯანსაღ თვალსაზრისს ადგას და ადამიანის დროებით მარცხს, წახტენას, ძირითადად, ის ისე აფასებს, როგორც საფუძველს, ზნეობრივი გამოხიზნულებისა და გაცეითილშობილებისათვის. მიუხედავად ასეთი ოპტიმიზმისა, შერალი არასოდეს არ ხეჰვედა თვალს ამ დიდ შემზარად სისუსტეებზე, რაც ფეოდალური ზანის ადამიანს ახასიათებდა. „ყამთა საივის“ ურჩხულსიანური ფეოდალური მორალს გამოხატავა განმეორებელია ქართულ ლიტერატურაში. აქ კინემატოგრაფის სისწრაფით ცვლის ერთმანეთს ადამიანთა ღალატ, ორგულობა, ისევე ღალატ, ცბიერება და დაუნდობლობა. ყოველი ეს ქცევა ნაწარმოებში ისევე მოულოდნელია, როგორც არადამიანურად ვერაგული. ამ ნაწარმოებში ავტორი მრავალსართულიანი კოლონიების და ადამიანთა ვერაგულ-მუხანათურ ქცევათა ხატვის შესანიშნავი ოსტატია.

ყველა ისტორიული ხასიათის ნაწარმოები, რომელიც კი ნ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, ღრმად სოციალურია; ეს სოციალური ელერა-

ლობა კი უფრო იქიდან წარმოსდგება, რამე მწერალი ყოფილი სურათების მოყვარულა, „გენრისტია“. ადამიანისა და ჯარყმის მიზობების ხატვა საყოფაცხოვრებო ფონზე +++ ეს მასი საყვარელი ხერხია. ის გასაოცარი, დაუფიქრავარი ისტორიული დეტალები, რომელთაც მხატვრობის ვარდა, შემეცნებითი ღირებულებაც აქვთ, ამოღებულია ძველი ქართველი კაცის (სხედასხვა კლასობრივი ფენის) ცხოვრებიდან. მწერალი შეიძლება არ ფიქრობს, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ასახვა ადამიანის ხატვის უღრის, მაგრამ ესმის, თუ დამოაყრებელი პორტრეტის შესაქმნელად რა მნიშვნელობა აქვს მათ ყოფაში ღრმად ჩახედვას. მწერალს შეტად უყვარს ადამიანთა სექციანობის დანაწევრებულად, წერითად, დამახასიათებელი დეტალებით გაცნობა მკითხველისთვის.



ქართველ ისტორიულ რომანისტებს შორის შალვა დადიანი ყველაზე ახლო დგას ვახილ ბარნოვის ისტორიულ მსოფლმხედველობასთან. ვახილ ბარნოვის მსგავსად „გეორგი ტუტისი“ (1916-1926) ავტორი ისტორიის გაცემანისასეხებით დამოაყრებულ ეკოვულ-მატრიოტულ თვალსაზრისს ადგას და ისტორიის განვითარების პირიზონტი მისთვის თაქდება იქ. სადაც ეკოვული თეითყოფიზმის და დამოუყრებლობის საკითხები იჭრება და წყდება. ვახილ ბარნოვის მსგავსადვე შალვა დადიანი წარსულის ფერცლებს უფერებს, როგორც თანამედროვეთა გაცეითილებს, ისტორია მწერლისთვის არსებობს იმისთვის, რათა შემოქმედლობამ ზნეობრივი დასკვნები გამოიტანოს მისგან და ისტორია ზნეობრიობის სკოლად იქცეს.

მართლაც, „გეორგი ტუტისი“ ყოველ გვირის ის საზღაური და ზეედრი მიეზღვევა, რასაც იმსახურებს მათი ზნეობრივი ქცევა და სახე-მთავარი გვირის, იური ბოგოლუბსკის ზედი იმთავითვე განწირული იყო, რადგან თვით მისი ჩამოსვლა საქართველოში იყო არასწორად მოფიქრებულია. ავი მისი ჩამოყვანის აზრი, ნაწარმოების მიხედვით, გეზნდა თბილისელ სოვედაგარს, ზანქან ზორაბაშელს, რომელიც მხოლოდ ნივთიერად იყო დაინტერესებული ბოგოლუბსკის გამეფებით. ასეთ პრინციპზე აშენებული მეფობა კი უნდა დამხობილიყო, განადგურებელიყო, და ასე მოხდა კიდევ მაინც ყველაზე მძლავრად რომელი პრინციპი გამოვლდა შერყვილი, როდესაც ქართულ ტახტზე იური ბოგოლუბსკის აყვანა განიზრახეს? ავტორის აზრით, მთავარი ის კი არ იყო, რომ იური ამორალური პიროვნება, სოდიშის ცოდვით აღბეჭდილი ადამიანი გამოდგა. მისი შეხედულებით, ამაზე მიუღებელი გარემოება



ისა, რომ ხალხს არ ეყოლებოდა მისივე წილიდან გამოსული მმართველი. შვერლის მოსაზრებით, თუკი ეს კანონიერი და ბუნებრივი პრინციპი დარღვეულია, იქ ისტორია ფართო გზაზე ვერ გამოვა და შერყენილი ადამიანის ყველაზე ძვირფასი უფლებებზე, როგორც ითქვამს, შიშველ დადიანს ისტორიული მსოფლმხედველობა ეროვნული პრინციპებით განსაზღვრება, მაგრამ მისი მორალიზატორული მიდგომა ისტორიის ფაქტებისადმი ასევე ეროვნულ თვალსაზრისზეა დასყუარნი. ავტორის ამ ძირითად პრინციპებს — ერთვნილი სუვერენიტეტის იდეას, რომანში ანთიპარტებს თვით თამარი, უმთავრესად კი გოდერძი ჩორჩანელი. ავტორი, იშვიათად, სხვათა ავტორიტეტსაც იმორჩილებს საკუთარი აზრების დასადასტურებლად: „წიგნი ბერძნულად იყო დაწერილი, სქელ, ყვითელ პაპირუსის ქაღალდზე.“

ეს იყო მეათე საუკუნეში დაწერილი იმპერატორ კონსტანტინე მონოთეოსის თხზულება. ამ ნაწარმოებში იგი დარიგებას აძლევდა თავის შვილს.

თამარმა გადაფურცლა. შენდევ ადგილს წააწყდა და ჩაუღრმავდა:

„ყოველ ხალხს თავისი კანონი და ჩვეულება აქვს. ამიტომაც ყოველი ხალხი უნდა ცდილობდეს ამ ჩვეულების დაცვას და განმტკიცებას. ყოველივე კაცშირი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მან თავის შორის უნდა გამოიწიოს და მოიძიოს ამის საშუალება; როგორც ყოველი კხოველი თავის მსგავსს ეძიებს, აგრეთვე ხალხმაც ივეთი წესი უნდა შემოიღოს შეუფლდეს არა უცხო ტომის მთამომავალსა და უცხო ენის პატრონს, არამედ თავისავე მოდგმისა და მიხივე ენის მკაცრად. მხოლოდ ამას შეუძლია მუდღუნობ შორის განამტკიცოს მშვიდობა, სათნობა და უნაზესი გრძნობანი...“

ერთვნილი თვითყოფნის იდეის მესაყვირედ რომანში გოდერძი ჩორჩანელი, შუა საუკუნეების საქართველოს ეს ლეგენდარული პოეტი არის გამოყვანილი. მას ერთვნილი მონიანობა, მართვა-გამგეობის გონიერება და ჰარმონიულობა ვერ წარმოუდგენია, თუკი ხალხის მმართველობა სათავეშივე მორღვეულია. ამ იდეითაა შეპყრობილი გოდერძი, რაც არასტორიულიც კი ჩანს იმეამინდელი საქართველოსთვის, რომელიც თავისი ტოლერანტული პოლიტიკით და ერთვნილ-რელიგიური შემწყნარებლობით სანიმუშო ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ ამიტომაც მისი ისტორიული კონცეფცია მორალიზატორულ-ტენდენციური. მაინც ავტორის სხენებული ისტორიული თვალსაზრებულებიდან პატრიოტიზმი და ის უფრო ხშირად იზიარებს გოდერძის მსგავსებას, მის აზრთა და გრძნობათა ლოკუსს: „...და ვე არის კიდევ ჩვენი უბედურება. ყოველთვის ჩვენსას

უცხო გვიჩვენია. ეს ჩვენმა სამასი წლის აზრბთა ხელში ყოფნამ შემოგვტყდნა, ეს გოდერძი აზროვნება.“

გეოგრაფიული

რავი შეწითლდა და, გოდერძიმ არ დაშინია.

— ჩვენი გვერდი, რაც უცხოა — უთუოდ კარგია. მაგრამ თვით უცხოეთში უნდა მიხედეთ, რომ ნათლად იგრძნოთ ეს საუცხოობა. მშის საუცხოომ ეს სიტყვა უნდა ამოგარდეს ძირთან-ფესვთანად ჩვენის ენიდან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან. ...ვგვლუპავს ჩვენი... გვიშობს თავის რწმენას, მაგრამ რად ვერ მოხდა? არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქვეყნის აღმამეზნების მოღმა მაინც, რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი?!“ მხატვრის ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბება, საკუთარი ერის წარსულის სურათი და მომავლის ბედ-იღბლის მოწესრიგება მას სწორედ ერთვნილი სუვერენიტეტის ბაზაზე აქვს წინმოდგენილი და არა სხვაგვარად. ამ მხრევ, „გიორგი რუსი“ კემშარბიად პატრიოტიული სულიკვეთებით გაუღენთილა წიგნია.

ავტორის მორალიზატორული კონცეფცია ყველაზე მეტად გამოჰქადაგდა გმირთა შინაგანი პორტრეტების ხატვისას. გიორგი რუსის შწარე ხედრი ნაწარმოებში „მეტრმეტად“ მოტივირებულიც კი ჩანს: ვერ ერთი, ის თბილისის რუინანური პლეტერატის და გამყიდველი ფეოდალების დაყენებული კაცია; შემდეგ, ის გადამოქვლია, ქართული ყოფისა და აზროვნებისთვის უცხოა. ყოველივე ამას კი დაემატა ისტორიულად ცნობილი ამბავიც, რომ სუზდალის უფლისწული უზნეთ ადამიანი აღმოჩნდა. ავტორის აზრით, ბუნებრივია, თუ ასეთი ადამიანი თვითმკვლელობით დაამთავრებს სიციუხლებს. მისი ანტიბოდიან რომანში თამარ მეფის სახე. ეს მხატვრული პორტრეტი ფრესკული წესით არის შესრულებული: ის ბოლომდე „გაციოსლებული“ არაა, თითქმის მთელი არსებით, მთელი ადამიანური ნიშან-თვისებებით არ ცოცხლობს. შ. დადიანი თითქმის ვერ განთავისუფლებულა იმ ქართულ მოწმენტილისტ ფერმწერთა გაუღენისაგან, რომლებიც მეტად ცალმხრივად და სტილიზებულად გვაწვდიან ამ ქართული მეფის პორტრეტს. ამ ფრესკული ხელწერის გამო მეფე-ქალის სახე მეტად ამორფული, გახევებული, გაუბედავი და მხატვრულად დაუმთავრებელი ჩანს. თამარს რომანში, მართლაც, ანგელოზის ბიოლოგია და მოწყვლების დის ფსიქოლოგია აქვს (მოყოფნით მისი უშუალო მონაწილეობა „მშლავით“ დაზიანებულ ბაზალეთში). მაინც მეფის სახე სათნობისა და სიკეთის განსახიერებაა, ის ადამიან-

ნის საეჭივროს თვისებათა დროშა, ნაწარმოების მიხედვით.

ასე და ამგვარად, ყოველ ადამიანს მიეზღვება მის მიერ დამსახურებული ზედობა: აქ ერთ მხარეზე დგანან ვარდან დღიანი, აბულასანი, ურანდარი, ცვატა, რომელთა ტრავიკული აღსასრული განაზღვრულია წინდაწინვე მათი პირობითი უზუნო ქვევით; მეორე, საპირისპირო მორალურ პლატონობაზე დგანან ვოდერძი ჩორჩანელი, რატი სურამელი, ანდა კუჭმა რუსი. ყველა ესენი ღრმადწინდობრივი ადამიანები არიან და თუკი ზოგი მათგანი მაინც ვაუბრდებულად ჩანს, ერთის შეხედვით, ეს ავტორის ერთგვარ წინააღმდეგობაში წაყარდნას ვაუჭმობს, მაგრამ სინამდვილეში ზოგი ეს გვირი ფიზიკურად ვაუბრდებულა იმიტომ რომ ურაცოდ, ბორბობაზე ვერსიანებმა სწორედ მათ წინააღმდეგ მომართეს თავისი მუხანათური ისრები, სწორედ მათვე გამოიჩინეს თავისი ბორბობა. მორალურად კი მათ ეს ზედ არ უშლის, რომ შეთხვედის თვალში დიდ ზნეობრივ სიმადლზე იდგან. ავტორის სიმპატიულობა მათ მხარეზე, მხოლოდ მათი ზედ უფრო ვართლებული ჩანს.

რომანში მკრთალადა ნაჩვენებია XII ს. საქართველოს სახელმწიფოს შინაგანი საზოგადოებრივი სტრუქტურა, მიმდინარე სოციალური პროცესები, სხვადასხვა კლასობრივი ფენები. მათი ჩვენება ნაწარმოებში მკრთალ ეპიზოდურ ხასიათისა და ამიტომ ნაწარმოებებს დიდი ეპოქური ტილოს ხასიათი არა აქვს. არაეპოქურაა თვით ავტორის თბობის მანერაც. იგი მოკლებულია ობიექტივობას, მხატვრულ მიუკერძოებლობას, სურათის მთლიანობას და ზედმეტი ბეტაფორულიობით თუ ეფეთქებით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ავტორის თავისი პატრიოტული მარწმას გასაგებად მიაქვს მკითხველამდე.

მიხეილ ჭავჭავიძის „არსენა მარბდელი“ პირველი ისტორიული ნაწარმოებია, რომელიც მთელი თავისი სიბრტული და მასშტაბურობით ამჟამოვლამდე მხატვრულ-ისტორიული პროზის ყველაზე მაღალ მოთხოვნილებებს. ასეთ შემთხვევაში, ისტორიზმის ასპექტი ერთგვარ შეცნობილ დონეზე დგას და ვარჯიანი სოციალური სურათის, მომხდარი ამბების იქით შემოქმედის გვიხატავს მის გამოიწვევ ობიექტურ მიხედვებს, ცდილობს გამოიწვოს და აჩვენოს საზოგადოებრივი კონფლიქტებისა და განვითარების კანონზომიერებანი, ამ საზოგადოების მამოძრავებელი შინაგანი დინამია. ასეთ შემთხვევაში, ისტორიული აზროვნება ყველაზე უფრო მაღალ დონეზეა და ავტორს შესაძლებლობას აძლევს გაშალოს მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი, შექმნას ეპოქური ელერადობის, დიდი სუნთქვის ეპოქური ნაწარმოები.

ასეთი ფართო დინამიზმის პროზა ასახავს ხალხის ცხოვრებას, აცლევს მისი ისტორიული ხედვის მიხედვებს, მხატვრულად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს მის ისტორიულ განვითარებაზე, მომავალზე, და, ამგვარად, სდება დღევანდელი დღისათვისაც საინტერესო, საპრობორტო. ისტორიის ქმნის ხალხი, მაგრამ საზოგადოებრივი და ისტორიული კანონები, რომლებიც მის ცხოვრებას აწესრიგებენ, ამ ცხოვრების ძირითად ფორმებს აყალიბებენ, მწერლის საყვლევი საგანია, მწერალი მათ თვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში, ისტორიული წინააღმდეგობანი, ისტორიული მოტყეები და მოვლენები, რომლებიც მწერლის ყურადღების ცენტრში ხდებიან, მადლებენ ღრმადდამატულ თემებს, ხალხის ცხოვრების გამოხატვა ამგვარი მწერალთათვის ნიშნავს გამოხატოს ის მტანჯველი წინააღმდეგობანი, რომლებიც სთარგნავენ ხალხს. ხალხი ქმნის ისტორიას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ისტორია მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ მიიმართება. შამ, სად არის აქ საიდუმლოება? ყოველთვის ამ საკითხზე თანამედროვე ისტორიული რომანის ავტორები მკრთალ-ნაკლებად იძლევიან პასუხს. მიხეილ ჭავჭავიძელიც იძლევა საკუთარ პასუხს, კერძოდ, იმ მტანჯველ პრობლემაზე, რომელიც XIX საუკუნის საქართველოს პირველ ნახევარში ეროვნული დამოუკიდებლობის და სახალხო თავისუფლების პრობლემა ეწოდებოდა.

მიხეილ ჭავჭავიძელს სრულყოფილად ესმოდა ისტორიული რომანის ყველა თავისებურება, ამოცანები და დანიშნულება, ისტორიზმის პრობლემის დაყენებისას ის თვალისწინებდა იმ ვარჯიშებას, რომ მწერლის სურათია — შექმნას ობიექტური ისტორიული მხატვრული სურათი — თითქმის დაუძლეველია. მას არ ეგულებოდა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ისტორიულ სიუჟეტზე იქმნებოდა აგებული, და რომლის შესახებ თავისუფლად იტყოდა, რომ ის ადეკვატურია ისტორიული სინამდვილისა, ზუსტი სურათია ამა თუ იმ ეპოქისა. ქართველმა რომანისტმა ადრევე კარგად შეიგნო, რომ შემოქმედის მხატვრული მეთოდის სუბიექტური ბუნება, მხატვრის სუბიექტური ხედავ თავის განუმოკლებელ ბეჭდს ასევე აღსაწერ საგნებსა და მოვლენებს. მაგრამ, როგორც გამოცდილება ხელუყვანია, მ. ჭავჭავიძელმა იცოდა, რომ ისტორიულ-მხატვრული პროზის ეს თავისებურება, ეს მხარე მხატვრის სასარგებლოდ უნდა გადაიკრეს, მწერალმა ის თავის შეხედულებათა და წარმოდგენათა რეალიზაციისათვის უნდა გამოეყენოს. როგორც ეპიტორ პიეტო ამბობდა: „ღიადი უნდა შევსებულყო სიმართლით, ხოლო სიმართლე დიადი“.

მ. ჭავჭავიძის რომანში საკმაოდ ბევრი მოქმედი პირია. ერთი კრიტიკოსის თანახმად, მათი რიცხვი: ოცდათხუთმეტზე ნაკლები არაა,

უნდა ითქვას, რომ თუკი პერსონაჟთა როდენობას მათი მნიშვნელობის მიხედვით დავყოფთ, გამოვჩინოთ გმირთა სახელები თითქმის გაუტოლდება ისტორიულად ცნობილ პირთა რიცხვს. ამ შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინოთ ისიც, რომ ბევრი ასტორიული პერსონაჟი თავის „ისტორიულობით“ ბევრი არაფრით განსხვავდება შეთხზულ გმირთაგან. მაგალითად, თვით არსენაჟი, მარინეჟი ან სევესტი ლაცაბი-ტეჟი ავტორის იდეაზე ძუნწი ცნობები ჰქონდა, როგორც კუპტანელზე ანდა ჯოანაშვილზე, მაგრამ ყველა ესენი ისტორიულ პიროვნებად ითვლებიან. მწერლისათვის, რასაკვირველია, ძვირფასი იქნებოდა ფოლკლორული წარმოშობის „არსენას ლეჟისი“ ყოველი სტრიქონი, ყოველი ცნობა და დეტალი, მაგრამ მისივე აღიარების თანახმად, რომანისტრატეგის ის მეტად მცირე მასალას წარმოადგენდა. შ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა აბლებური კონცეფცია. შექმნა სულ სხვა სამოქმედო ფონი და მხატვრული ხორცი შეასხა არსენას პიროვნებას. გმირული და სოციალური მოტივები, რომლებიც „არსენას ლეჟისში“ არის, მწერალმა გაამდიდრა ეროვნული პიროვნებატკით და ყველა საკითხები ამ უკანასკნელს დამუქემდებარა. „არსენა მარაბდეღში“ ძირითადად ეროვნული კონცეფცია, რომელიც სოციალურ სიფართოვით, პოლიტიკური სიმახვილით და მსწრაბებრობით არის დასმული და გადაწყვეტილი. ხალხურ ლეჟისში არსენა მებატონე ზაალს ებრძვის, რომელში — რუსეთზე ზაალს. მაგრამ, არსებითად, არსენა, ეს ღრმა სიმბოლიკის შქონე კრებითი სახე ებრძვის ორლოვს, რომლის გამოჩენის შემდეგაც მისთვის მარაბდეღში აუტანელი გახდა ცხოვრება.

არსენას ისტორიული ფიგურა წარმოიშვა, ბორველ ყოვლისა, რუსეთის ეროვნული ჩაგვრის ნიადაგზე. შეფის რუსეთის აღმოსავლური ექსპანსია, მისი სავაჭრო-სამრეწველო აღმავლობა და ნატურალური მებრუნების ნგრევა თავს დაატდა ქართველ მშრომელ გლეხობას, როგორც ორმაგი, ორნაირი რისხვა: ნაციონალური და ეკონომიური. ამის შესახებ მეტად სამართლიანად წერს დიპტირი ბენაშვილი თავის წიგნი „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“¹. „ისტორიული გამოცდილება აღას-

ტრებს, რომ ხშირად ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, რომელმაც დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა და სხვის კოლონიად აქცია, ეროვნულ და სოციალური პირობებები ხშირად ერთი და იმავე ინტერესით იმსჯელებიან და ერთერთთან კავშირში გამოდის დამპყრობელის წინააღმდეგ. ამიტომ სრულიად მართებულად მოიქცია მიხეილ ჯავახიშვილი, როცა რომანში აშვაბრი პრინციპით იხელმძღვანელა. მწერალმა ორგანულად დაუკავშირა ერთი-მეორეს ეროვნული და სოციალური თავისუფლების პირობებმა და ერთ მონოლითურ ძალად აქცია ცარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

სრულიად არ იყო შემთხვევითი ის გარემოება, რომ 1832 წლის შეთქმულებას წინ უძღოდა მთიულეთის, კახეთის და იმერეთის აჯანყებები. აჯანყებულ ხალხს ყოინა ერთგვარი უკერტურა იყო 1832 წლის შეთქმულებისა. აჯანყების მიზეზებს თუ გონების თვალთ გავაანალიზებთ, დაგრწმუნდებით, რომ ქართველი ხალხის სურვილი იყო არა მარტო სოციალური, არამედ ნაციონალური თავისუფლება, ბატონყმურ უღელთან ერთად კოლონიალური უღლის გადაგდებაც“.

ამ სოციალური და ეროვნულ-პოლიტიკური ნაგებობის ორმაგი ძალა არსენას კარგად აქვს გაგებული და საკუთარი კისრით გადატანილი. არსენას გათვალისწინებელი აქვს, თუ ერთ-ერთულად რამდენ უბანზეა საჭირო ბრძოლის გადახდა, და მან არ იცოდა, რომელთან ბრძოლის შეალიოს თავი და ძალა — რუსის ხელმწიფესთან, ხონთქართან, ყველთან თუ საკუთარ მეზობლებთან..

არსენას, აღბათ, ძალზე ბუნდოვნად ახსოვდა ის დრო, როდესაც საქართველო ნახევრადველური ტომების შემოსევათა სარბიელი იყო. საბუნაშრო ამბავს ჰგავდა, მაგრამ ნამდვილი იყო, რომ მეფერამეტე საუკუნის დამდეგს თბილის-ქალაქში ერთი ასეთი ბარბაროსული ურდო შეტრილიყო, ქალაქის საწყობიდან ღილა მოეტაცათ და მშობლიურ მთებისათვის მიეშურებინათ იმ იმედით, რომ ფასდაუდებელი განმეული მიგვაქვსო. არსენა ხედავდა, რომ ასეთი ისტორიული კურთხვები აღარ ხდებოდა, მაგრამ ქართველი კაცო კელავ უღელში აღმონდა: ზრდა მხრივ, ბატონყმური იყო ეს უღელი, მეორე მხრივ, ცარისტულ-კოლონიური. არსენამ ორივეს ბრძოლა გამოუცხადა და როდესაც დამარცხდა, თავის საქმეს ანდერძის ძალა და ღირსება მიანიჭა.

¹ დ. ბენაშვილი. „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, თბილისი. 1959 წ. გვ. 125—136.

პირველი მონაწილე

ილია ჭავჭავაძემ მილიტარიზმისა და ომის საფრთხის შესახებ ევროპაში

(XIX ს-ის 70-90 წწ.)

ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნით დასავლეთ ევროპის ცენტრალურ ნაწილში 1871 წელს აღმოცენდა ძლიერი მილიტარიზტული სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკამ დასაწინააღმდეგებელი იტალიის ხანაით მიიღო. „კრინის კანკლერმა“ ოტო ბისმარკმა, რომელიც სათავეში უდგა გერმანიის „მახვილითა და სისხლით“ გაერთიანების რევოლუციურ გზას, იმპერიის დიპლომატია შეზღუდული სახელმწიფოების დამინებისა და ურთიერთ წაბიდების პოლიტიკაზე ავიდა. მომავლელი პეცეპონობის შენარჩუნება და მისი შემდგომი განმტკიცება, დამარცხებულ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური იზოლაცია და მუხანათობის ყველა მეთოდის მომარჩვება ამ დიპლომატიის აღფლად და ომეგად იქცა.

„შეიარაღებული მშვიდობიანობის“ ვითარება, რომელიც დიდი ხნით დამკვიდრდა ევროპის კონტინენტზე, დიდ სახელმწიფოთა მზარდი ანტაგონიზმის და ომის რეალური საფრთხე ევროპის და მთელი მსოფლიოს საზოგადოების ფართო ფენების აქტიური დაინტერესების სავანა გახდა ამ დაქვიშული ვითარების აღმოცენების მიზეზები, მისი ხასიათი და განვითარებას პერსპექტივები პარტიათა ბრძოლის, საპარლამენტო ტრიბუნის დებატებისა და პერიოდული ორგანიზაციების პოლიტიკის ცენტრში იქნა დაყენებული. მის გარშემო შეიქმნენ საზოგადოებრივი მიმდინარეობანი; დაგროვდა მრავალფეროვანი ლიტერატურა. დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მმართველები, კლერკალურ-მეცნიერული წრეები, მსხვილი ბურჟუაზია და მათი აპოლოგეტები მოითხოვდნენ მილიტარიზმის შემდგომი განვითარებას და ომების გარდევნაობას ქადაგებდნენ. მათი ეაწრო ევოლუციური ინტერესები ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებისადაღმი დამეტრალურ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა. სულ სხვაგვარად ადაცებდნენ აღნიშნულ სიტუაციას პროგრესული წრეები, მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა ქომავნი. ისინი სამარცხენო ბოძზე აკრავდნენ მილიტარიზმის სულსამდგამელებს

და მკაცრად გამოდნენ მილიტარიზმისა და ომების პოლიტიკას. მხარს უჭერდნენ რა ხანგრძლივი მშვიდობას შენარჩუნებას, აღნიშნული საზოგადოებრივი წრეები დაყინებით მოითხოვდნენ მუდმივი არმიის შემცირებას და პროპაგანდას უწევოდნენ განიარაღების საპარავებლოდ.

თუ გაეთვალისწინებთ ზემოაღნიშნულს, სარეებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ის დიდი ინტერესი და უფრადლება, რომლითაც მოეკლა მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა და მისი დიდი წარმომადგენელი ი. ჭავჭავაძე ევროპაში 1871 წლიდან შექმნილ ვითარებას.

ი. ჭავჭავაძემ, რომელიც მსოფლიო ისტორიის აქტიულოდურ პრინციპების გამოქვეყნის დიდ როლს აკეთებდა ქართული ხალხის გათვითცნობიერების საქმეში, თავისი ორგანიზაცია „ივერიის“ ფურცლებზე თანმიმდევრობით მოუთხრო ქართველ მკითხველ საზოგადოებას საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად ევროპაში შექმნილი ვითარების შესახებ. მან, როგორც მისალოდნელი იყო, წინა პლანზე წამოსწია მილიტარიზმის საფრთხე და მისი ნამდვილი სურათი დახატა. ევროპაში მილიტარიზმისა და ომის საფრთხის საკითხი ი. ჭავჭავაძემ აღმარა წერილებში — „სამოლიტკო მიმოხილვა“,¹ „ევროპა 1886 წელს“,² „ომი საფრთხის წინა“,³ „მილიტარიზმი ევროპაში“,⁴ „სივც. ევროპის მილიტარიზმის შესახებ“,⁵ „ევროპის მილიტარიზმი და ამერიკის მერმისი“,⁶ „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“⁷ და სხვ. გაკვირით ამ საკითხებს ი. ჭავჭავაძე ხეხა სხვა ხასიათის წერილებშიაც.

ი. ჭავჭავაძეს უღოდენ უბედურებად მიიჩნია მილიტარიზმი, რომლის მძიმე ღრუბლები გადა-

1. ვაზ. „ივერია“, 1882 წ. № 1—2.
2. იქვე, 1886 წ. № 35—46.
3. იქვე, № 157—158.
4. იქვე, 1889 წ. № 11.
5. იქვე, № 33.
6. იქვე № 43.
7. იქვე, 1890 წ. № 16.

უფროა ევროპის ცას, დაახუნდა იგი და ქარიშხლისათვის მოამზადა მისი ატმოსფერო, მიანინა რა მილიტარიზმი ევროპის პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორად, ი. ჰავეაიამ შემდეგებში გადმოგვეცხა მის აზრს. იმ ორი ათეული წერილის ძირითადი დერძი, რომელიც ილიამ ევროპის 80-90-იანნი წლებში პოლიტიკურა ცხოვრების მიმოხილვას მიუძღვნა, მილიტარიზმისა და ომის საფრთხის ზრდის საკითხია.

წერილში — საპოლიტიკო მიმოხილვა, რომელიც 1882 წელს არის დაწერილი, ილია მკითხველს მოუთხოვს ომის საფრთხის ზრდის შესახებ ევროპაში: „... დღეს თუ ევროპაში ლამაზაია რაზედღე, საღამარაო საგანთა შორის ომის... მოლოდინს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. არ არის ევროპაში არცერთი თვალსაჩინო სახელმწიფო — ომის ფაქტში არ იქონი და იმის ცდაში, თუ მხედრობა როგორ იქნე მოაწიოს — კაცით, ტყვია-წამლით, თუ თოფიარალით, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს“.¹

გამაღებული შეიარაღების საქმეში იგი პირველ ადგილს, როგორც მოსალოდნელი იყო, სამართლიანად აუთოვნებს გერმანიას, რომელშიც, მისივე სიტყვებით რომ ვამოხებატო „სასაფრანგეთის დამარცხების შემდეგ პატრიონა დაინგმა ევროპის საქმეებში...“² მაგრამ გერმანიის გვერდით იგი ახახულებს საფრანგეთს და იტალიას, სადაც მთავრობები აგრეთვე ცენტრეულ ზომებს ღებულობდნენ ქარის გასაძლერებლად და იპარლის ხახლი მარაგის დამატარებლად.

ომის საფრთხის ზრდისა და დამკვიდრობისათვის ევროპაში ილია მთავარ პასუხისმგებლობას ატარებს ბისმარკს, რომლის დიპლომატია, როგორც არავრთხელ მოუთხოვებს იგი, ვერაგობაზე, შანტაჟზე, დაშინებასა და ძალაზე იყო დამყარებული. „ზღანდელი პოლიტიკის მავთულში ზელთ უჭვირია ამ ტყინის კაცსა“³ წერს ილია ბისმარკის მისამართით და ისახელებს ამ პოლიტიკის კონკრეტულ მაჩვენებლებს. ბისმარკმა ესტრია-უნგრეთი წააქეზა ხალკანეთზე აქტიური მოქმედებისაკენ, „... რომელ შეატარაინა სლავიანების საქმეში“, შეაძლებინა ბოსნია-ჰერცეგოვინის დაჭერა და ეს გააკეთა იმიტომ, რომ გაეუარესებია მისი ურთოვრობა რუსეთთან.

„რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება უბოა შორის დაუნდობლობა და მძლეობა“⁴, წერს ილია 1889 წელს და განავრძობს:

„დღეიანდელი ევროპა ჰკავს იმ კაცსა, რომელიც ვარუდამ მტერს უყენებს თვალსა და

შინგნადამ მოყვარესა. მართლა-და მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთ სახელმწიფოს ვერა მნახეთ, რომ გული გულს ადგულყ ქვეყნებს. ყველს მუშტი მოღრებულუ ემპირე მტერის დასაყენებლად...“¹

ი. ჰავეაიამ ნათელი წარმოგვინა აქვს იმ მძიმე ეკონომიური შედეგების შესახებ, რომელიც მოეტანა ევროპის სახელმწიფოების ხალხებს გამაღებული შეიარაღებამ და ომის საფრთხის სისტემატურმა ზრდამ. ოპია მთიანქა უროგუნელი შემოსავლის დიდი ნაწილი, არახუნელ ვახარა მოსაძლერობის საგადასახლო ტვირთით: „...გამტორება ევროპის ხალხს ცხოვრება, უკეთესი ნაწილი ერისა და მოხრდილი ლეკმა ერის ქონებისა იღუება დღეიანდელ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონების ყლახავს იგი გაუმძლარი ვეშაირომელსაე მეთოფიარობებულს მშვიდობიანობას ვახინა“.²

ევროპის დიდი სახელმწიფოების მთავრობები ერთიმორეს ეკობრებიან ქარის რიცხვის გადიდებისა და ახალი სამხედრო ტექნიკის დანერგვის საქმეში. „...რბში რახუნელ ეწყობა, — წერს ილია, — ქარება, რაც ძალა დასაღე აქვთ, უმტერებ, თოფსა და ზარბახანს და ტყვია-წამლის აზხადებენ და მიინ გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა ვაქვს-რაო. ვერ წარმოიღვენთ, რა აუარებელი ფულა აპოლის ევროპის მკვიდროა ყინისაგან და რა აუარებელი იხარყება ამ მეთოფიარობებულ მშვიდობიანობისათვის. ევროფერი მშვიდობიანობა, თუკი კაცი იძულებულია ზელი ჰმალუნელ ვულს დღეიანდელ და ისე მპატრონობულს თავის-თავსა“.³

ი. ჰავეაიამისთვის სერიოზული დეინ ოპიექტს არ წარმოადგენს ის ტემპირიტება, რომ გამაღებული შეიარაღება ხალხს ფართო მასებისა და ქვეყნების სასოცოცლო ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული და ერთი მეტა ექსპლოატატორების ინტერესებს ემსახურებოდა. მილიტარიზმის საკითხში, ისე როგორც სხვა სასოცოცლო საკითხებშიაც, ხალხები და მთავრობები, ილიას მხედლებით, სხვადასხვა ბანაკში იმყოფებიან და სხვადასხვაგვარად აზროვნებენ:

„...გამტებლნი ევროპისა ისე ნათლად ვერა მხედვენ, როგორც თითონ მკვიდრნი თავის თავზე გრძნობენ, — წერს ილია, — ევროპის მკვიდროა მულეო ეპიყებათ დღეიანდელის დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქათი აღარა აქვთ. აი ის შიგნითი მხარე ევროპისა, რომელიც მოყვარეს თვალს უყენებს“.

1. ი. ჰავეაიამ, საპოლიტიკო მიმოხილვა. თბ., კრებ. ტ. 9, გვ. 68.
2. იქვე, გვ. 68—69.
3. იქვე, გვ. 65.

1. ი. ჰავეაიამ, მილიტარიზმი ევროპაში, თბ., კრებული, ტ. 9, გვ. 49.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 49—50.

ევროპაში სამიარე ხარკების განუწყვეტელი ზრდის ნათელსაყოფად ილია აგრეთვე ციფრობრივ მონაცემებს მიმართავს. მისი მონაცემებით საფრანგეთს ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავდა თოფქვეშ. ამ არმიისა და ფლოტის შენახად იგი ყოველწლიურად 900 მილიონ ფრანკზე მეტს ხარჯავდა. მაშინ როცა ა. შ. ფრანკების ყოველ მცხოვრებზე 4 1/2 ფრანგი მოდიოდა არმიისა და ფლოტის შენახვაზე, ევროპაში ეს ხარკები უდრიდა: „საფრანგეთში — 2 1/2 ფრანკს, ინგლისში — 21 ფრანკს და გერმანიაში — 12 1/2 ფრანკს.“¹

თუ ასე ვაგრძელდა ევროპაში საქმე, წერს ილია, მაშინ იგი დაეარება საეკონომიკურად პირველობას და ამერიკის დაუთმობს მას. მისალოდნელია ევროპა საესკებით გაკოტრდეს და იგი დასავლეთის ქვეყანას ჩუუვარდეს ხელში.²

უკანასკნელ წერილებში, რომლებიც 1889 წელს ეკუთვნის და ევროპაში დამკვიდრებულ მილიტარიზმის გამუქებას ისახავს მიზნად, ილია უფრო მეტ საღებავებს იყენებს ამ ვითარების ნათელსაყოფად. ილიას მსჯილ თავის მხედველობიდან არ რჩება მილიტარიზმის შემდგომი სტიმულის მიცემა ახალი ფაქტორები: „...ამითი ევროპა... იმასა ცდილობს, — წერს ამ ვითარების შესახებ ილია, — რომ საომრად მოეშალოს. ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფოთი არავითარს ხარკებსა და საშუალებას არა ჰსოვავენ მხოლოდ იმითომ, რომ აღარებელი ჯარი იყოლიონ... დღეს ევროპის სახელმწიფოთი, თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარ ყოფა-მდგომარეობას ურის ვალაობება, ვალატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს... ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფიარაღს ქვეშ ჰყავს ერთი შერეულ შთელის მუშა, მწარმოებლის ხალხისა. ეს ერთი შერეული წლიდან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელთაში ვარჯიშობს და თავის თანამომეტა ნაშრომიითა და ნაღვერით იკვებება.“³

ფიროსმანიშვილის ზოგი სურათი მრავალფეროვანია, აქ ადამიანი დახატულია დახვეწილად დაშვრებულითა და მკაფიო დახასიათებით, მხატვარი ხატავდა მიკიტანებს, მოხუცებს, სირაქებს, მათხოვრებს, კინტოებს, რკინიგზის მუშებს, ღარიბ დიდუკაებს, მღიდავ თვალებს, გლეხებს, მზიარული სახლების ქალებს, ბავშვებს, ქართველები, სომხებს, თათრები, რუსი მალაკნები, ქურთები, მთიელები, — ყველა ესენი გამოსახული არაა მის ტილოებზე. ხატავდა ის, აგრეთვე, თმარ მფეფს, ვრავლე მფორეს, ვიორჯი საყაძეს, შოთა რუსთაველს...

ფიროსმანიშვილის შემოქმედება უშუალოა, თვითმყოფელი; სურათები ბუნებრივი, თითქოს თვით ბუნების მიერ წარმოშობილი. ამევე დროს ქართულ ფრესკის ტრადიციები და აღმოსავლეთის ხელოვნების გავლენა აშკარად ემჩნევა მათ. ფრესკის კომპოზიციის თავისებურება, სურათის განზრახი სიმბოლურობა, ფიგურათა კესტები, თავის მობრუნება, გამოსახულების სიმკაცრე, სიმარტივე და სიღიალე ახასიათებს ფიროსმანიშვილის მრავალ სურათს. ნატურის დახვეწილი გრძნობა ბრწყინვალედ მოჩანს ფიროსმანიშვილის მთელ რიგ სურათებში, მხატვარი გამოირჩევა კომპოზიციისა და პერსონაჟის ნახატის ინტელუტური ოსტატობით. კომპოზიციის არაჩვეულებრივი ბუნებრივი უნარი, რითაც იგი წარმატებით სწევრტს რთულ მრავალფეროვან დაღაგებას,

მუდამ იწვევს ხელოვნების მოყვარულთა აღტაცებას. მხატვარი ზუსტად და დაშვრებულად ანაწილებს სურათის სიმბოლუტე ადამიანებისა და ცხოველების ცალკეულ ფიგურებს, დიდ ხელოვნურ სურათებს ნიკო ხატავს თავისუფლად, მოკლე ვადაში (არა უმეტეს ერთი კვირისა); ერთფეროვანს — რამდენიმე სათში. მხატვრის ტექნიკა და ნახატი გამოირჩევა გამოსახულების ლაკონიუტრობით, ეკონომიუტრობით და გამოსახულები სავნის ცოცხლად ვადმოცემით. მხატვრის ოპტიმისტური ნიჭი ამკვიდრებს სურათებში მზიარულ და ნათელ ცხოვრებას, მის არაჩვეულებრივ სიღამაზეს, ქართული ერის შემოქმედებით გენია, რომელიც რუსთაველის, ბესიკის და ბარათაშვილის ნაწარმოებებში ასე მკაფიოდ გამოვლინდა, ჩანს აგრეთვე ფიროსმანიშვილის ნაწარმოებებში.

ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული, მის ხელოვნებას არ ამჩნევა ევროპული და რუსული ფერწერის გავლენა, თუმცა თუმის ფერწერული ვადამწვეტა ზოგჯერ ემთხვევა საქართველოს ვარტ არსებულ ფერწერულ იდეებს. შეიძლება ითქვას, რომ რუსულ ფერწერასთან მას აკავშირებს ჰუმანიტური დამოკიდებულება ადამიანისადმი, თანამედროვე ევროპულთან კი — ფორმის სქემატიზაცია, მისი ვამარტივება, ადრეული ფორმების მორეული მსვადგება კუბიზმთან. ცხადია, ასეთი დამთხვევები უმეტესად შემთხვევითია, მაგრამ მაინც არსებობენ. როგორც უკვე აღენიშნეთ, ფიროსმანიშვილის შემოქმედების ძირითადი მაცოცხლებელი წყაროა — ქართული ფრესკა, ხალხური ქანდაკება (თიხა), ხელოსნების შემოქმედება, დი, რაც მთავარია, ვარსამყაროდან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებანი; თბილისში, მისმა ბუნებრივმა ადგილმდებარეობამ, ხელოვნობურებამ, ძველმა კულტურამ, ხალხურმა შემოქმედებამ, აშუღების პოეზიამ, მუსიკამ, ფერწერამ, და, ბოლოს, ზენ-ჩვეულებამ — ვადამწვეტა ზემოქმედება მოახდინეს მხატვრის შემოქმედებითი სახის ფორმირებაზე. შესამჩნევი კვალი დასტოვა ფიროსმანიშვილის შემოქმედებაზე მისმა სიყვარულმა გლე-

ხების ცხოვრებისადმი, კახეთის ბუნებამ და ხალხმა. თბილისის გამოყენებზე ექსპონირებულა, ნიკოსდროინდელი ფერწერა, მისთვის უცხო იყო; ეს იყო ევროპული და არა ქართული ფერწერა, როგორც ზნობად იტყობა ხალხმ მხატვარმა.

ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება შედგება რამდენიმე ელემენტისაგან, რომელთაგან ძირითადია — მონუმენტურობა, ტრადიციულობა და დეკორატიულობა, ნიკოს სურათები ადვილი გასაგებია, ხალხს უყვარს მისი შემოქმედება, რადგან იგი მასში ხედავს ძველებური ოსტატების ხელოვნების განგრძობას, აღორძინებულს და დღევანდელი დღის შესაბამისად ვარდატეხილს. ხალხის აზრით, ფიროსმანიშვილი გამონახა და დასაბა გზები ქართული ფერწერული ხელოვნების აღსადგენად.

მხატვარი სწავლობდა შუასაუკუნეების ოსტატების ხელოვნებას, რომელშიც თავისი საერო და საეკლესიო კომპოზიციებში გვიჩვენა მონუმენტური ფერწერის მთავარი პრინციპები. ევანგელისტთა ფიგურები, მათი ჰაერით და გამომსახველი სილუეტური მოხაზულობა და ფერთა ორიგინალური შეფარდებანი დამახასიათებელია ნიკოს სურათებისათვის. ზნობად ფერთა ვაშა ერთხანისა როგორც ძველ ფრესკებზე, ისე ნიკოს სურათებში.

ქართული ფრესკა საერთოდ ოპტიმისტურია, აქ აშკარა სინაზითა და სიყვარულითა მოხაზული ადამიანური, „წმინდანები“. მათი კეთილი ქართული თვალები უდავოდ მოწმობენ, რომ ამ „წმინდანების“ სახით ცოცხალი ადამიანების პორტრეტებია მოცემული. ნიკო ფიროსმანიშვილმა გააერთიანა თავის შემოქმედებაში ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ფორმები, რომელნიც ხალხურ შემოქმედებაში იყო შერჩენილი. ფიროსმანიშვილის ფერწერა გაყვლითილია ძველი ხალხური ძეგლების სული. მხატვარი ნათლად და კონკრეტულად გამოსახავდა მოცემულ თემას, შემოქმედებისათვის გაიზრებდა ნატურას, არ ბაძავდა მას, არ იღებდა მის ასლს, არამედ შეისწავლიდა, და ფორმების გამარტივებითა და შეკუმშულობით, სურათს ორგანიზებულობის ანიჭებდა. მხატვარს ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სურათისათვის კომპოზიციის, ამიტომ იგი ყურადღებითა და გულმოდგინედ ემზადებდა სურათის დასაბატავად. ჩვეულებრივად, მხატვარი ცარცით ან ნახშირით პირდაპირ იატაკზე ან რომელიმე ფიციარზე მოხაზავდა ხოლმე მოხვედლი სურათის სქემას, ამას იგი აყვებდა სწრაფად და შეზღვევარ გადაყვებდა ხოლმე. მერე ტილოზე ან მუშაობაზე ფერის ოდნავ შესამჩნევ მონასმით კომპოზიციის ყველა წერტილს მოხაზავდა და ასევე მსუბუქად აღნიშნავდა ფიგურებს და პეიზაჟს. შემდეგ ლია ფერით შესრულებდა სურათის ნათელ ადგი-

ლებს... კომპოზიციის მოხატვისას ფიროსმანიშვილი იძლეოდა თემის დამაჩერებელ გადაწყვეტას, როგორც დალაგებას. სურათის სიმბრეცისე იყო მოხატული, რომ კომპოზიციისა და ფორმების დალაგების არც გადაწყვეა, არც რამის მიხატება არ შეიძლებოდა ისე, რომ სურათის პარამონიულობა არ დარღვეულიყო. სურათის შინაგანი ღერძი, როგორც წესი, ისე იყო გამოხატული და დანარჩენ ცალკეულ საგნებთან ან ფიგურებთან შეთანხმებული, რომ დიდ დამაჩერებლობას აღწევდა. ვაგარნიოთ ჩათული კომპოზიციის რამდენიმე სურათი და დავრწმუნდებით, რომ ნიკო ფიროსმანიშვილი კომპოზიციის დიდი ოსტატია. „კახეთის ემოლი“ დიდი ტილოა, ზომა 536 X 88 სანტიმეტრი, სურათით ორად გაყოფილია პირნიონტის მთელნული ხაზით; მუქმწიანე ფერის დედაშიწი; ცა, რომელიც დედაშიწის მახლობლად თეთრია, ზევით კი მუქ-ლურჯი ფერისაა; დამქდარი მსხვილი ფიგურები და ფეხზემდგარი მსახური შესანიშნავად არის დაკავშირებული სურათის დანარჩენ ნაწილებში გაფანტულ პატარა ფიგურებთან. სიმბრეცის ვერტიკალურ კეთილობას, ადამიანის ფიგურებით, ზევით, კლდითა და ეკლესიით, შეაქვს სურათში მონუმენტურობისა და ზეიმურობის ელემენტები. კარგად არის დაგებული სურათის ყველა ნაწილის წონასწორობა. სურათის ცენტრი მტკიცედ და დაკავშირებული მის განაპირა მხარეებთან. თეთრი ლაქები: შორეული ქალაქი, სახლი მერე პლანზე, წისკვილი, თეთრი ცხენები და ბოლოს, კაცი, რომელსაც ყანაღები სძარცვავენ, ქვინა თეთრი ფერის წონასწორობას. ეს სურათი კომპოზიციის აგების თემშია, ამ სურათზე შეიძლება ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა დაეალაგოთ პეიზაჟი, ფიგურები, ცხოველები.

მერე სურათი კომპოზიციურად უფრო რთულია, სახეა ადამიანის ფიგურებით, ბუნე რით სურათებით, ცხოველებით. ეს არის „ქეიფი დროშა“. აქ გამოხატულია მშობრული „კომპანიების“ რამდენიმე მომენტი; მოცემული მიგიდებს უსხედან, ნაშვი ქეიფობენ; აქვეა უონი, დათვი, სახეღარი, მიხუცი ყვავილების თაიგულით ხელში, ოფიციატები, შეარდნები, მოცეკვავნი, დამცველები. ნიკო ფიროსმანიშვილის სხვა სურათების „წყიფის“ ადგილია და სასიამოვნო. ზოგჯერ მხატვარი ხატავს ერთი და იგივე სიუჟეტისა და ზომის ორ სურათს, მაგალითად, ორთავილის ტურფები, ორი მუშა, ესენი წარმოადგენენ სიმეტრიულ დიპტიქონს.

ფიროსმანიშვილის სურათების უმრავლესობას, ქართული ფრესკის გაუღწევი, ფრონტალური გადაწყვეტა აქვს; ფიგურები მოცემულია ბრტყლად, ვერტიკალური ხაზები და ხაზობრივი ფორმები სტარბობენ; სურათის სიმბრეცის შეფარდება მოცემულია დეკორატიულად,

ადამიანებისა და ცხოველების ფიგურები — სტატუარად. ფორმა დაყვანილია უკიდურეს სიმარტივემდე და გამომსახველობამდე; მსოფლმწებარეება ეპიკური და ობტიმისტურია, რაც ასე დაამახსიათებელია ადრეულ აღორძინების პრიმიტივისტებისა და XI-XII საუკუნის ქართული კედლის ფერწერის მონუმენტური სტილისათვის.

ფოროსმანიშვილი ბევრჯერ ხატავდა საქართველოს ბუნებას, მის ზღვას, მთებს, ბუდეებს, მინარეებს, ყველაფერი ეს მოცემულია ძუნწი ფერებით. სწორად ამა თუ იმ სივსის მხატვარი ათავსებს ბუნების ფონზე. რამდენიმე მოქიფე ზის გამწვანებულ კორღზე, ან მოხდობია მავიღის ზის ქვეშ. ტყის ფონზე, ქორწილი, პარაკლისი, სოფლის ეზოს იდილიური ცხოვრება, სამთავადი და სხვა მრავალი უფთა-ცხოვრებით სივსა გამომსახველია ქართული პეიზაჟის ფონზე. დამის ან დღის პეიზაჟი ნიკოს სურათებზე მეტად თავისებურადაა მოცემული, ზოგჯერ პეიზაჟს მკაცრი ზასათი აქვს, რასაც იძლევა შავი ფერი, შეტანილი პეიზაჟის მწვანე, ყვითელი და ყავისფერი. ბუნება და პეიზაჟი ფოროსმანიშვილის სურათებში პირობითი ფერებით ისეა აგებული, რომ თავის სიწრელით ხელი არ შეუშალოს ადამიანის გამოსახვას. ყვითელი, მწვანე და შავი ფერები — აი მხატვრის პეიზაჟების ჩვეულებრივი გამომიუხედავად ფერების პირობითობისა, ჩვენ ვხვდებით ნიკოს სურათებში საქართველოს ბუნების მრავალნაირობას და სიმდიდრეს. ამაშია მისი ნიჭის ძლიერება.

ნიკო ფოროსმანიშვილის ნახატმა განიცადა ეკოლოგია მისი შემოქმედების პერიოდების მხებდებით. თუ პირველ პერიოდში ნახატი იყო არაა ზნეტი და გამარტოებულად სქემატური, მეორე პერიოდში იგი ვახლდა მტკიცე, ნატურალთან უფრო მიახლოებულა, თუმცა დტაღეზის თავიდან აცილებით მხატვარი იძლეოდა მეტად კონკრეტულ და მართალ, მთლიან, საერთო შთაბეჭდილებას. ნატურაში, იქნებოდა ეს ადამიანი თუ ცხოველი, დამახსიათებლის ძიება, ნიკოს სურათებში პერსონაჟი; იგი ამბობდა: „სახე მინდოდა გამეკეთებინა და ეს მე შეეძლო“. მის მიერ ნაოჯი სახე, მიუხედავად გამოსახულების პირობითობისა, ყოველთვის მოდიოდა ნატურადან, რეალური სინაღდელიდან, რომელსაც იგი დახვეწილად და დიდი ჩაწვრილობით გადმოსცემდა. ნიკოს რეალიზმი არ პავდა ნატურის ჩვეულებრივ ფორად ფორტოგრაფირებას ან მისი ასლის გადაღებას; არა, მხატვარი ეძებდა სიმართლის სინათლს ისე, როგორც ეს მას ესმოდა. მის სურათს და მკერეად ჩამოსხმული ერთიანი ფორმებით, დტაღელების თავიდან აცილებით, სამყაროს ვაღმყოფია. ფერის რამდენიმე მოსმით ნიკოს შეეძლო მოცულობითობის გადმოცემა, ნიკოს

ნახატი მჭიდროდაა დაკავშირებული საგნის ფორმასთან, სინარტული ფორმასთან, თუნუკ პირობით ფორმასთან. ფიროსმანიშვილი ფაქტულად გრძნობდა და ხატავდა ნახატს, რომლის შესახებ ძნელია თქვა, რომ იგი არჩეულია; იგი უფრო წააგავს უკანასკნელი ათეულ წლების თანამედროვე დახვეწილ ნახატებს. ნიკოს არ შეუღწავლია პერსპექტივის კანონები. ამის გავირობის უწყვედა სურათზე საგნების დალაგების კომპოზიციის გრძნობა, რაც უფრო დამაზრუნებელია ხდოდა მის პერსპექტივასა და ნახატს. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე სურათი-პეიზაჟი („ბათუმის პორტი“), სადაც ქალქის პორიზონტისა და პერსპექტივის ნახატი გადაწყვეტილია პრიმიტიულად.

მხატვრის პალიტრა მთავარი ფერებისაგან შედგება. მას არ უყვარდა სურათის ვადატვირთვა ფერებით, ტონების სიწრელეს გაფრთხილადი ოსტატობით ნიკო ქმნიდა ტილოზე რამდენიმე ფერის ვარიაცია, მათი შეფარდება ხან პარმონოლია, ხან კონტრასტული. ვემოგნებით და მხატვრული ტაქტით იყენებს მხატვარი ფერებს, იგი არ დაუშვებს ფერადულობის შემთხვევით გადწყვეტას. ნიკო ჩაკურია კოლორატში, იგი არ იძლევა ფერადულობას შაბლონური ხერხებით, სურათის თემა ყოველთვის უკანახებს მას, ფერის რომელი გამა აიღოს ამა თუ იმ სურათისათვის. მაგალითად, სურათი „დიდი მარხვა“ შესრულებულია თეთრი, რუხი და შავი გამის ფაქიზი ნოვანსირებით. ასევე შავ-თეთრი ფერების შეფარდებითაა შესრულებული რამდენიმე სურათი, მავალითად „ღორი და გოჭები“ და სხვ. სურათში „კალთ“ (ტრიტიაკვის ვალერეა) საერთო რუხ და შავი გამაში შეტანილია ყვითელი და ყავისფერი. სრულიად განსხეავებული ფერებითაა შესრულებული „რამდენის ჭოგა“. ამ სურათის გამა არაჩვეულებრივია, ირმების ფერი მონაკისფრო-ისფერი და ყავისფერი; ნახი და ლამაზი. ამავე დროს მხატვარი ქმნიდა ფერების კონკრეტულ შეფარდებას; მაგალითად, სურათში „ლამით თევზის ჭერა“. შავ ფონზე წყალში მდვარი მეთევზე გვიყვანებს თეთრ თევზს, თვითონ მეთევზეს კი თვალისმომკრელი წითელი პერანგი აცვია. ფერების შესანიშნავი გადაწყვეტაა ასევე კარგია ფერებით „წაიქი ჭიქა ლუღით ხელში“. სახის, მკერდისა და ხელების ვარდისფერი კარგადაა შეფარდებული წითელი ფერის კოფთასა და კაბასთან, ქალის წინ დგას თეთრი ტუპი და ყველაფერი ეს შავ ფონზეა მოცემული. აქვე უნდა აღინიშნოს სურათი „მალაგანის ქვიფა“, სადაც ნიკომ შეიტანა ვარდისფერი, ცისფერი და თეთრი ფერი (პერანგისა). ფერების სულ სხვა შეფარდებაა მოცემული სურათში — „შეშის გამყიდველი სა-

ხედრით", სადაც გამოყენებულია ყვირფერა, მონაცრისფრა და შავი ფერები.

ფიროსმანიშვილის სურათები მოკლებულია მხეს; შეუი და ჩრდილი გამოყენებულია ზოგჯერ იმისათვის, რომ გამოაჩინოს ფორმა.

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებში ფაქტურა სხვადასხვანაირადაა მოცემული. ეს უფრო შესამჩნევია ცხოველებისა და ფრინველების დახატვისას; ფუნჯის სხვადასხვანაირი მოხმით, — ხან დაკლავილი, ხან მსუბუქი შტრიხებით ან მკვირივი ფერით, მხატვარი აღწევს დასაყვრებელ გამოსახულებას. მაგალითად, „აღდგომის ბატონის“ მატყლი დახვეულია, „ტახს“ მხველვტივი ჯავარი აქვს. იდამიანის სახეები შესრულებულია მკვირივი ფერით.

ძირითადი ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები შესრულებულია შავ მუშაბუნებზე, რომელსაც მხატვარი ბრწყინვალედ იყენებს. იგი არ ფარავს მას საღებავით და, თუ „შეეხება“ ფუნჯით, ისიც იმისათვის, რომ ხელშესახები გახადოს ფორმა. შავი მუშაბუნა კი შავი ფერის წესშეღადავ იძლევა შავი ტანსაცმლის სრულ შთაბეჭდილებას. ასევე კარგადაა წარმოდგენილი არწივის, ბატისა და ჭათმის ფრთები. წიწილებისა და ჭუკების ტანზე იგრძნობა ბუმბული, რისთვისაც სრულად სხვა ხერხია გამოყენებული.

ფიროსმანიშვილის დიდი ოსტატობა, ფაქტურის გამოყენების იშვიათი უნარი, განსაკუთრებით გამოირჩევა სურათში — „შემის გამყიდველი ბიჭი სახედრით“. მუშაბუნის შავ ფონზე დგას შვეით დატირებული სახედარი; მის გვერდითაა ბიჭი. შვემა შესრულებულია ფუნჯის ერთმანეთთან დაკავშირებული მსუბუქი წახით, მათი მონაცრისფრო-ყვირფერია ფერწერა ქმნის დაკლავილი, ნუერიანი, ბოლონამოკრალი შვეის სრულ შთაბეჭდილებას. და ესეც სხვა ხერხითაა შესრულებული. სახედარი — ეს თათქმის ფერწარმული მუშაბუნა, მაგრამ იგრძნობა ცხოველის დინჯის ჰაერადოვნობა, მისი თვლების ბრწყინვა. ბიჭის ძველი ფარავ და ქალაქნები გვანიშნებენ მის სიღარიბეს, საერთოდ მისი ფიგურა შესანიშნავა გამოსახულების რვალობით. შესრულების სიმსუბუქე და უშუალო ოსტატობა ამ სურათში უმაღლეს მწვერვალს აღწევს.

დიდ სრულყოფას მიიღწია ნიკო ფიროსმანიშვილის ტექნიკამ 1905-1915 წლების პერიოდში. მხატვარი თავისუფლად ფლობდა ფუნჯს; ჩვეულებრივ ახდებდა, რომელსაც შეეხო მისი ფუნჯი, მხატვარი აღარ უბრუნდებოდა. ამჟინით გამოჩაყლის ვარდა, ნიკოს მიერ დახატული სურათები, თუ შეიძლება ასე თქვათ, „ერთი ამოსუნთქვითაა“ დახატული. ფიროსმანიშვილის ტექნიკა რომ გვაფიქროთ, საქმარისა მოვიყენოთ სირაჯ აქიევის ნაშრომი. ბევრ

იაქიევი ერთ დროს მხატვრის „შფარველი“ ან „გლოზი“ იყო. მასთან ნიკო დროდადრო დადიხით ზღრღუნებოდა ხოლმე, მეტადმე ამ უწყებებში, როცა სამუშაო არა ჰქონდა. ბევრ იაქიევის ნაშრომიდან ჩანს, თუ როგორ დახატა ნიკომ სურათი „თელეთობა“. ერთხელ ჩემს სამიჯტროს წინ ვაჩვენა მონარდახელი ურემი, ვილაც მდებარე კაცის თვალი იქნა შიგ. თვითონ უნარმა აბატრონი წინ იქნა. ურემის შიგნით მოხინდა ასალავარდა ჭალი, რომელსაც ხელში საიდგომო ბატანი ეჭირა. აქვე ეგდო უშველებელი ტივი. უღელში ორი კამეჩი იყო შეხმული; ურემის უკან კი ჭოფაკი ძალი მიეხათ. ყველაფერი ეს ისე მომეწონა, რომ დავეძახე ნიკოსა, რომელიც აქვე სამიჯტროს უკან ცხოვრობდა, და ვთხოვე, დეახატა. ნიკომ შეხება ამ ურემს ისე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო შეეხება თავისი „ცუცხლოვანი თვლებით“, და წავიდა.

ერთი საათის შემდეგ გამომიტანა სურათი: ყველაფერი ისე იყო, როგორც სინამდვილეშია. არ დავუჯერე თვალებს! ჯადოქარი ყოფილა! არა, ასეთი სასწაულის ჩადენა მხოლოდ ნიკოს შეუძლია, მეტი არავის. ნამდვილი „თელეთობა“!

შესრულების სისწრაფესა და სიმსუბუქეს ნიკო ფიროსმანიშვილმა მიიღწია ბევრით და შეუბოგარი შრომით, რომელშიც მხატვარს მტკიცე ხელი და მახვილი თვალი განუყოფარია. ამ პერიოდის სურათებში პერსპექტივა უფრო ბუნებრივი ხდება; მისი პირობითობა არ იწვევს არავითარ გვეგებრობას, თუმცა აკადემიური სკოლის მოყვარულები ყოველთვის გამოინახვენ მის სურათებში ამ მხრივ „ნაკლს“.

ბევრჯერ ხატავდა ფიროსმანიშვილი სხვადასხვა ლექსებისა და სამიჯტროების კვლებზე და მინახუ. მაგრამ, უწყე დიდი ხანია, მათი კვალი აღარ დაჩინილა, მინა დამტკრევილია. კვლებს კი მღებავის ფუნჯი შეეხო. ბედი უფრო ნიკოს აბრებსა სწავლობდა. რამდენიმე მათგანი შერჩენილა. საეურადღებოა აბრა შემდეგი ტექსტით: „ჩაი, ლუდი და ლიმონათი, სელტრის წყალი, სხვა მავარი სასმელები“ (140 X 72). აბრა ლი-მწვანე ფერისაა. ხელზე მოსამსახურე თეთრ ტანისამოსშია გამოწყობილი, ხელში უკავია ჩიდიანი ჩაით; უჩინარი კაცის ხელი ავსებს ქიქის ლუდით. ორიგინალური და საუცხოო ნაწარმოებია. ვარდა ამისა, არსებობს აბრა „კახური ღვინო კარდანახი“. ტექსტო ჭკრთულ და რუსულ ენაზეა. აბრაზე გამოსახულია ურემი ორი კამეჩით, მჭერა და დინჯის უშველებული კასრი. ვანადვრებულა ფიროსმანიშვილის მიერ შესრულებული მრავალი აბრა: „ვენტლმენი“, „სან-სუსი“, „შანტელიორი“, „ელდორადო“, „დარდანელი“, „ფანტაზია“ და სხვ.

* * *

ნიკო ფიროსმანიშვილის მთელი შემოქმედება პირობითად შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად. პირველი პერიოდი დაკავშირებულია მშობლურ კახეთთან, სადაც მხატვარმა ვატიკა ბავშვობა და ჰაბტუკობა. ეს სურათები ვერცხვით წოდებული „გლეხური“ ციკლისა, ესაა მხატვრული შემოქმედების დაწყების პერიოდი. მეორე პერიოდი — მხატვრის ნიჭისა და ოსტატობის გაფორმების პერიოდი, შესაძენ. — ნიკოს ცხოვრებისა და შემოქმედების უწყასკენ წლები.

პირველი პერიოდი მოიცავს დროს 1895 წლიდან 1903 წლამდე. მხატვარი ეფუძლება თავის ხელოვნებას, ეძებს გამოსახულების სამუალებებსა და ხერხებს, ეძებს საკუთარ გზას. ამ პერიოდში ნიკო სურათის მთელ სიბრტყეს შეღებავდა ზოლზე; უმთავრესად ეს იყო მოყვრული-მწიფე ფერის ღია ტონი, მაგრამ შემდეგში, ოსტატობის დაღუფებისთან ერთად, მხატვარი სტოვებს შედეგებად ფონის ნაწილს. ან შეეფუძრებას. პირველი პერიოდის სურათების უმრავლესობა შესრულებულია ტილოზე, მეორე პერიოდისა — მუშაბანზე, მესამისა კ — მუაბზე.

ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედების პირველი პერიოდისათვის ყველაზე დამახასიათებელი სურათებია: „მედუქნეების ნადირი“ (205 X 121) და „ექვსი პეიზაჟი“ (352 X 102).

„მედუქნეების ნადირი“ შესრულებულია დიდი ყვითელ-მომწიფე ტონით. ტექნიკა და ნახატი ყურყურობით ვაგებდავია, წეროლი შტრიხებითა, მაგრამ სურათში მკაფიობა ფიროსმანიშვილის ნიჭის ახალგაზრდობა. კოლაც ხერხივსკიმ ეს სურათი დაკვილი იპოვა დუქნის მივლებულ კუთხეში. მედუქნე დაცინით ეუბნებოდა: „ეს ძველი სურათია. მე აღარ მქირდება. შევიღო წილი, ფულს ამასი არ გამოვირთმე, წილზე წემკან სახივრად“. ახლა ეს სურათი საქ. ხელოვნების მუზეუმშია.

„ექვსი პეიზაჟი“ ერთ ნაწარმოებადაა გაკეთებული. ბტუკობა, აღმჩნეული ნამუშევრების მანერა, მაგრამ კოლორითი უფრო ინტენსიური, კონტრასტული. ამ პეიზაჟებში გამოაქარავდა მხატვრის ბუნებრივი გემოვნა კომპოზიციისა. საკვირველია, რომ მიუხედავად ვაგროთიანებისა, თვითელი პეიზაჟი, იალკე აღებულა, არ კარავს თავის მნიშვნელობას. მხატვარს პირველ პერიოდში ხშირად იყენებს ახსნა-განმარტების ტექსტს, რომელიც ბუნებრივად ჩართულია სურათში. შემდეგში, მცირეოდენი გამოკაცლისის ვარდა, მან უარყო ეს ხერხი. „ექვსი პეიზაჟი“ ასეთი წარწერებითაა შემოკლებილი: „ფორის ხილი“, „წმინდა ანტონი“, „კახეთი“, „შირაქის ვხა“, „მამადავითი“, „ბელაჟანი“. ამავე პერიოდის სხვა სურათზე „ნადირობა და სახი ზღვა“ (364 X 106) გაკეთებულია

არსული წარწერა: „ნადირობა ირეშზე“, „ყავა მთაზე“, „მედი ზღვის ხედი“ და „ნადირობა დათზე“. — შემკვეთელი მიხე ჰიქტატუშვილი“. ახლა კარვად ცნობილი ეს სურათი სურათურ-სო კომპოზიციითა და კოლორითი ატრაციების იწვევს. თუმცა სურათზე დახატულია შავი ზღვა, მაგრამ ცხადია, რომ დანახინი პეიზაჟი, რომელიც ვაგრობავს ტყესა და კლდეს, — ტიპური კახეთია. ხშირი ტყიდან გამობრის რა ირეში, უკან მოსდევნ მონადირეები, ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით, ზღვის სრტის პატარა ენებულზე მონადირეებმა ხელში ჩაიგდეს დათვი. შიორე დათვი იმალება ხეების აქით; კლდეზე დვას ვახვს; მონადირეებით სავსე ნაეი უახლოვდება ნაბისს; შეტად ძლიერია ხშირი ტყისა და ლურჯი მთების შეგარბობა; შავი ფრანველები დაფრინავენ ცაში.

პირველი პერიოდის სურათებში ძალიან ცოტა დარჩა, მაგრამ მიიღეს ისინი კარვად მეტყველებენ მხატვრის დიდ შესაძლებლობასზე. ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედების მეორე პერიოდი გრძელდება 1903 წლიდან 1915 წლამდე. დროთა განმავლობაში იზრდებოდა მხატვრის ოსტატობა, ფერების დაწყობის უნარი, ნახატის დაუფლება, ფერწერული ოსტატობის ყველა მხარე ღრმად ეითარებოდა. მხატვარმა მიიღწია კომპოზიციის, ფერისა და შესრულების ტექნიკის პარამოიულ შეფარდებას; ამაღლდა საერთოდ სურათის კულტურა ამ პერიოდში შეიქმნა ფიროსმანიშვილის საუკეთესო სურათები. მხატვარი მტკიცედ ურთობდა თავს ვაშლილი შავი მუშაბის წინ, რამდენიმე შტრიხით ქმნიდა სურათებს, რომელიც ახლა საქ. ხელოვნების მუზეუმის მშვენიერს წარმოადგენს.

ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი სურათები, სადაც გამოსახულების სიმწიფე და ძლიერება უდრის ამბის გამომხატვის ემოციურ დახატულობასა და მკაფიო კონკრეტულობას. მეორე პერიოდში სურათების კომპოზიციის რამდენიმედ მარტივდება, ხნდება ფიგურები, რომლებიც მთელ ტილოს იკავებენ; ფერწერა აღწევს ზედმიწევნით ბრწყინვალეობას. ფერები მკაფიოდ და ამოღებულად მღერობს, ტექნიკა უფრო თვისებულა და სრულყოფილი ხდება ნახატი ნაკლებად სქემატურია, ხოლო ფიგურების მოხუმენტრობა მიღწეულია მათი სტიტირობით.

მეორე პერიოდში შეიქმნა ფიროსმანიშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი სურათები: ჯგუფური პორტრეტები, ნადირები, ცხოველების გამოსახულებები, პეიზაჟები, დიდი იდეოლოგია მხატვრის შემოქმედებაში ნადიმების, ქეიფებისა და საოჯახო სადილების დახატვის, მაგრამ არც ერთი სურათი არა ჰკავს ერთი მეორეს, ისინი შინაგანად განირჩევიან ერთმანეთისაგან. აგერ მივიღას მიუქმენ ან უზრალო

მწიანზე დამყარებულ სხვადასხვა ეროვნების აღმამანებო; მუშები, გლეხები, ეპურები, ღარიბები, მდიდრები, შორთულნი და ძონძებნი გახვეულნი. ნიკოს სტრატეგზე ყველა გვიბრუნებდა ქაშს, ღვინოსა სვამს. მოისმის მუსიკის ხმა: ზურნისა ან არღნისა. სტრატოს თავზე გამოყვანილია ნიკოს ხელით დაწერილი წარწერები: „მადლობა ღმერთს, რომ აღდგომა გავეთრედა. ქრისტე აღსდგა-ჰქმნა ჩუნი“ „გაუმართლოს პურმართიან კაცს“, „გაუმართლოს ბევოს კამპანას. ღმერთმა ყველა აღდგომა ძელოს“, „მადლობა ღმერთს, ქრისტეს აღდგომის დაესწარი“. შეხედეთ, როგორი ნათარქობა სახეობია, როგორი დახასიათებანი შეხედეთ იგანე კეკელიძის ნაღმს“, რა სიმდიდრეა ხასიათებისა, როგორი დამაჯერებელი კომპოზიციისა... „მალაგნების ქეიფი“, — ისევე ახლო ფერწერული გადაწყვეტანი, ფორმების მოლიანობა ბრწყინვალე სამი იმერული და ძალია, — ერთმანეთს ეჯობებინან მახვილი და მოსწრებული დახასიათებით.

აღსანიშნავია დიდი ზომის სურათი „ქეიფი რთველი“ (346 X 110), სადაც კახეთის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდი გამოხატულია. მხატვარი ცოცხლად და სიამოვნების გრძნობით ალაგებს მოქმედ პირებს ამ სურათზე. აქ თვალნათლად წარმოგვეჩვენა ქართული მიწის ბარაქა; მსუბუქი, გამჭვირველი პაერი ფალერსება კახეთის მთებს, ხეობას, ვენახს. სურათი ოპტიმისტურია, ძარღვიანი სიციხელოთ სავსე, სურათის ცენტრში თეთრად ელვარებს სურსათსაზოგადოებრივი გადატვირთული სუფრა, დარბაისს-სურათს სხედან მოქალაქენი, ფორტალირად, რთავ ფორსმანიშვილის ფერწერას ტრადიციული მონუმენტურობა ენიჭება, მივიღოს უკან დგას სამი მეზურნე, რომლებიც ტყბილი ხმით სიამოვნებას ჰგვირან მოქეიფებს. თეთრებში გამოწეულია მხარეული მწიანს, ხოლო ფრთხილი ოდიციანტი — ტაფაზე დაწყობილ შეშვარა ინდურს სთავაობენ სტუმრებს. მეორე მხარეულს გაჭეით დაბნული დათვი გამოყავს. სურათის ორთავე გვერდზე გლეხები საწინააღმდეგო ყურძენს წურავენ. სურათი ღამაზა კოლორიტით და პაქონილია.

აგრ, „აღდგომის სუფრა“ (165 X 72) ქართული ტექსტით: „მადლობა ღმერთს, ქრისტეს აღდგომის დაესწარი, ქრისტე აღსდგა-ჰქმნა ჩუნი“. მწიანე მფლონი ჩამოქდარი სამი წვერულვამიანი მოქალაქე, ორი კინტი, ცენტრში ნიკოს სტრატეგისათვის დახასიათებელი მახუცი კაცია, რომელსაც ერთ ხელში ღვინით სავსე თუნგი უკვიათ, მეორე აწეული ხელით კი საღამო იძლევა. მის გვერდით დგას ბიჭი, ხელში ყვავილების თაიგული უქრავს, შემდეგ ოდიციანტი ტაფით, სამი მეზურნე და წვერულვამიანი მოქალაქე ყანწით ხელში, პირველ პლანზე მწიანეში თეფშები მწიანით, დომით, თევ-

ზით და სხე. შოთი პურები, სამარტილე, ბუთლი, ხელადა და ბოლოს სურათის ცენტრში „პასკა“, ზედ გამოხატული ვერით და ყვავილებით დაღვინების პორჩონტალი სურათი მარცხენა მხარეს აღის ზევით სურათის ნაბრამდე. ეს დაჯერებული თეთრი ღრუბლებით, ზემოთ ღურჭი ცა წარწერის თეთრი ასობით. სურათის კომპოზიციის ბრწყინვალეაა გადაწყვეტილი, აღტაცება ვიპრობს, როდესაც ამ აღამართალ სურათს უყურებ.

„მალაგნების ქეიფი“ სხვა აღმამანებისა და სხვათაი ქეიფს წარმოსახავს. სექტანტები მღერინან: ყველას დაღებულ აქვს ბიჭი, ერთი მათგანი ვაწოლია მაგიდას წინ სიგარტზე, მუარლედ კინტო აშკარა ირონიით უცქერის თავგალულ მალაგნებს. და ბოლოს, უნდა აღენიშნოთ სახეობით წესიერი ქეიფი სახელგანთქმული მეორენე დათვი ზემელთან ერთად. მოქალაქეებს ყანწები ხელში უკვიათ, მაგრამ სუფრა არაა მანცდამანც გადატვირთული საკმლით, ეტყობა, უფრო ღვინოს მიეძალენ. ტიკედა და ხელადა შესანიშნავაა დახატული. ფერწერა საუცხოოა: შავი ფიგურები ღვინოსფერფონზე და თეთრი სუფრა ქმნიან დახასიათვარტებულ გამოს. წესრიგი, დარბაისლობა, ქართული სუფრის ეს ძველი ტრადიციის დაღვლია ამ შესანიშნავ სურათში.

ოქაბური სადილები ამსახველი სურათების დათვიერებისას, არ შეიძლება არ იყოთ გატაცებულნი ფერწერის თვისებებითა და მისი შესრულებით. იგრძნობა ნიკოს, როგორც მხატვრის, რამდენადმე ირონიული დამოკიდებულება გამოხატულია პერსონაჟებისაღმ. „მოდლებების სადილი“ (164 X 107) გამოსახავს დიდი ხანია ჩვენგან წაუღლ აღამანებს, რომელნიც, მხოლოდ ნიკოს მუშაშახლება ცოცხლობენ. სხედან ილია კუბრანინიშვილი, ივანე კიკვაძე, ვასო გვიგუკური, ბრამივიცი, დგას იოსებ კიკვაძე. ამ უკანასკნელს და იაკობ კუბრანინიშვილს ხელში უკვიათ ყანწი და ჭიკა. ჩოხა-ყარაღანი ილია კუბრანინიშვილს ჭიკა უკვიათ, ზრდილობიანად უქრავს თავი. მოქალაქეების ოსტატური დახასიათებანი, დახვეწილი დამკვირვებლობა და მოხდენილი კომპოზიციის ამ სურათის შედევრად ხდინან. სამწუხაროდ, ამ სურათის ბედი ცნობილი არაა. ამაჲ წინათ მოსკოვში აღმონდა რამდენიმე სურათი ივანე კიკვაძის კოლექციიდან. საიდან ვხანდა იქ, გამოწეულია. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ახლა მოსკოვში ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები 15-20 საბლში აქვთ.

„ოქაბური ნაღმი“ (180 X 115) დიდი სურათია. იგი ყურადღებას აქვრობს გადებული და ორიგინალური კომპოზიციით, აღამანთა ფიგურებისა და ხეობის ვერტიკალურ ხაზება სტრის მაგიდის პორჩონტალი. დედა, მამა, ვაჟი და ძიდა სხედან მაგიდასთან; შვილი დგას მაგიდის

წინ; აქვე მიწაზე ძვეს ჰილის ქუდი, რომელიც სურათის პირველ პლანს აცოცხლებს. მაგიდის წინ აწეული ჰიქით სადღეგრძელოს წარმოსთქვამს შევედრამიანი პრანჯია ახალგზრდა. ფრანკან ოფიციალტს თეფშით მოაქვს ხილი. პირობითი ნახატის სიზუსტე და ოქაბური ნადიმის ზემოქრობა გადმოცემულია საუცხოოდ.

„შინაური არიფანა“ (102X226). მექ-ლურჯი ცის ფონზე ქართული წარწერა: „გაუმარჯოს ბეგოს კამპანისა, დმერთმა ყველა აღღვრემ-ღოს“. სურთლად ორიგინალური ფერადობის სურათია; საერთო ტონალობა ყვითფერ-მარწითალის ჩამქრალი ყუითელი ფერით. ჩრდილი მოშავოა. ფიგურები მომცრო; ზგო იაქივეისა (მაგიდის ცენტრშია), ორი ქალისა, კაცისა, რომელსაც თეფში უქირავს და ჩოხაყაბალახინი კაცისა. შარცხნე მისამსახურეა, რომელსაც ღვინით საესე ხელდა აქვს ხელში. სურათის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზეა მარანი, შამფურზე აგებული მწვადი, სახამთრო, ნესეი, მიწაზე გლია ტიკტორა, მაგიდაზე აწყვილი საცემელებით საესე თეფშები. ბეგოს „კამპანია“ ორი ხის ძირშია განლაგებული.

ფიროსმანიშვილის ამ სურათებში, სადაც ნადიმ ამ ქეითია გამოსახული ყოველთვის მოთავსებულია საინტერესო კომპოზიციისა და გადწყვეტის ნატურმოტეტები. ქართული გემოვნებითა და ლაზაით ქმნიდა ნიკო ნატურმოტეტებს ყურძნის, ხილის, ზელადების, ტიკების, ნანადირევის, თევზულობის, ყველის, მარლის, პურისა და მწვანილისაგან. ნატურმოტეტი განლაგებულია სუფრასზე სიმეტრიულად. ამ შემთხვევაში კი, როცა ნიკო საეციალურად ნატურმოტეტს ხატავდა, მხატვარი კომპოზიციის უფრო თავისუფლად წყვეტდა.

ზვენამდე არც თუ ისე ბევრმა ნატურმოტეტმა მოაღწია, მაგრამ, რაც დარჩა, ყველა საუცხოოა. მხატვარი ამ სურათებს ხატავდა „თავისთვის“ ამ თავისა გულისნადები გაგვიხსნა და გვიჩვენა რჩმა სიყვარული მშობლიური ბუნებისადმი. ორი მკითრე ზომისა და ერთი დიდი ნატურმოტეტი ყურადღებას იპყრობენ შესრულების უშეაღობითა და სილამაზით. პირველი ნატურმოტეტი (65X15) საინტერესოა კომპოზიციის მხრივ და რჩმა, ინტენსიური კოლორით. საგნების სიდიდე განაზღვრულია მუშაობისა და საერთო კომპოზიციის სიდიდით; ზელა ცენტრში ფერო დიდი, ვიდრე ტიკტორა და თენვი; დედალი უფრო პატარაა, ვიდრე ღვინიანი ჰიქი და სხვა კომპოზიციური ოსტატობის წყალობით ყველა ფორმა მკიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული. მეორე ნატურმოტეტი (65X44) თუნუქზეა შესრულებული, მის ამშვენებს წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე „გაუმარჯოს პურამილიან კაცს!“ ეს ნატურმოტეტი რთულად თავისი კომპოზიციით. სურათის

თის ცენტრშია ღია-ყვითფერი ხელადა, რომლის ორთავე მხარეს ორი ბოთლია, წინ მთლი, მარცხნივ პატარა ტიკი, უკან ვამპლური, წინა თეფშზე ორი თევზია, ხელადას მარჯვნივ ყანწი, ორი ჰიქი, ორი შამფური მწვადით, დედალი და სამარცხნივ. დიდი ფერწერული კულტურა ეტყობა ამ ოსტატურ სურათს! ყველაფერი გადპირილია ლაგონურად, თავშეკავებითა და ლამაზად.

მაგრამ თუ ნატურმოტეტს ფიროსმანიშვილი ჩვეულებრივ ათავსებს მაგიდის სიბრტყის მიხედვით, დიდი ნატურმოტეტი (120X70), რომელიც საქ. ხელოვნების მუზეუმშია, სულ სხვანაირადაა შესრულებული, საგნების განლაგება სიერტეში შვე ფონზე პირობითია და გაბედული; ბრწყინვალე ფერები და ძლიერი ფორმა უხვეულია თვით ფიროსმანიშვილისათვისაც. ყაისი ფერი და თითქმის წითელი გრძელი თევზები, თეთრი დაყვლი ცხვარი, შამფურზე მწვადეა, შუაში ძეხვის რგოლები, ხილი, დოქი, მწვანილი და წაგრძელებული ფორმის ღვინის ბოთლები. სურათი მომხიბვლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ფორმათა სიმდიდრით, ფერების გაბედულობით. შესრულებულია მეტად მომკირნე საშუალებებით, თვითელი საგან შესრულებულია ფუნჯის რამდენიმე გაბედული მონასმით!

ცნობილია სამი სურათი თემაზე „ქეითი ღამით“, მათგან ყველაზე საინტერესოა ქეითი ნავებით, რომლებზეც მოთავსებულია მტკვარზე ქეითის მოყვარული ადამიანები. საინტერესოა ამ სურათის კომპოზიცია. სურათზე ბევრი ხალხია გამოსახული, მაგრამ ადამიანები ერთმანეთთან და ბუნებასთან კარგად აიიან დაკავშირებულნი. სურათის ორივე მხარეს განლაგებულია ხეები და მათში კონტრუსი გვიხატავს დამის ცის დამშვენებულს თეთრი მთვარითა და ღრუბლებით, რომლებიც ღერჯ ცაზე მკაფიოდ მოჩანან. ქვევით წყალი, ზედ ნავი, რომლებიც მაგიდაა მოთავსებული, სუფრასთან გვეს მოქიფეს ჰიქები უქირავთ ხელში. მხარაულობა მეფობს აქ, გრილი თბილისური ღამე ზაფხულში სიამფრენებას პვერის მოქალაქეებს.

ასევე საუფრადლებოა ქერთი მუშების ქეითი. ფიროსმანიშვილი შესანიშნავად ჩასწვდა ამ დაბნეიებული ადამიანების ცხოვრებას. მრკველ მაგიდას უზის ოთხი მუშა. მათი ყვითფერი სახეები და შავი დამძინილი ტანსაცმის მკაფიოდ მოჩანს ღამ მონაცრისფერი ფონზე. მოყუითალღო-ყვითფერი მაგიდა და ასეთივე ფერის იატაკი შეფრადებულია სურათის ფერების საერთო გამასთან.

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებში არა ერთხელ გაისმოდა პიროტეტის ხმა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. რამდენიმე ასეთმა სურათმა ჩვენამდე მოაღწია. ნიკოს სძულს მეფის რეჟიმი, არ უყვარს მდიდრები. თავის დამოკიდებულებას მდიდრებისადმი მხატვარი გამოხატავს ცნობილ სურათში „უშვილო მილიო-

ნეკი და ბავშვებიანი ღარიბი ქალი“ (ეს ტექსტი ფიროსმანიშვილმა მოყავს რუსულად). სურათი თითქოს გვეუბნება, “შეხედეთ ამ მდიდარს, რა ანგარება, ევოიზბა, უფულობა, პირმოთენობაა აღბეჭდილი მის სახეზე! მან თითქოს დარჩევათ ხელი გაიშვირა ბავშვებიანი ღარიბი ქალი-ჩაყენი: „გააჩინა სამი ბავშვი, არც პური აქვს და არც ჩასაცმელი. ჩვენ რა გვიჭირს, ჩვენ ყველაფრით უზრუნველყოფილი ვართ, ამ საყოფაცემო არაფრით ერთ კაპისკაც არ მისცემს“.

„არწივი და კურდღელი“. ფიროსმანიშვილის თქმით, არწივი — ეს შეფის რეჟიმის არწივი, კურდღელი კი უზარალო ხალხი, რომელსაც შეფის შთავრობა სტანჯავს. მეყაოები „დაკრიოლა ქარისკაცი“, „ეირზე შემქდარი ვაჭარი“ და სხვ.

მეტეველობა ნიკო ფიროსმანიშვილის საყვარელი თემაა. ამ თემას მან ბევრი სურათი უძღვნა. საუკეთესოა მათ შორის მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში მოთავსებული „მებაღერი კლდეში“. მხატვრის დიდი ოსტატობა ემჩნევა ამ შექმანებას. მებაღერის ფიგურისა და კლდეების შევეთრი კომპოზიციის, დამაჯერებელი და მტკიცე ნახატი, ბრწყინვალე ფერები ერთმანეთთან პარპონიულადაა დაკავშირებული. გვაკვირვებს ნიკო ფიროსმანიშვილის ფერწერითი ხერხების მსავსებლა ფრანგი მხატვრების სეზანის, დერენისა და მატისის ხერხებთან. კლდეების ფორმის გამოსახვა მოგვაგონებს ტიპისტურ ხერხს, მებაღერის ხელში ელინდრული ევდრო, თეთრი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი ფერების გამა ენათესავება მეცხბამეტე საუკუნის დასასრულის ფრანგულ მხატვრობას.

ძალადურბანებელი ტექნიკა და შესრულების თავისუფლება მხატვრის მომწიფებულობაზე მეტყველებენ. ფუნჯის მსუბუქი მიქნევა ქმნის პერანგის, შარვლისა და წყლის ფაქტურას, მას მოსდევს გლუვად დახატული კლდეები, ის და ყვითელი ქუდი, რომელიც მებაღერის თეთრ სახეს აგვირგვინებს. ნაცრისფერხალათიანი მებაღერი ღვას წყალში, ერთ ხელში დიდი თევზი — წყერა უჭირავს, მეორეში — ევდრო. შავი თაღული ბრწყინავენ თეთრ სახეზე. ზეითი კაშკაშებს უძირო ლერჯი ცა, რომელიც თავის ფერით სურათის საერთო კოლორიტს ეგუება.

უდავოდ, ამ სურათით ფიროსმანიშვილის შემოქმედებამ მიიღწია ოსტატობის სიმწიფეს. ზიხარულისა და ბენდიერების შეგრძობობა, სიყვარული დღეამიწისა და ადამიანისაღმე ამკარად გამოსტვივრის ამ სურათში.

„აქტირისა მარგარიტა“. თეთრ ფერს ნიკო სთვლიდა სიყვარულის, სიკეთისა და სულიერი ზიწინდის სიმბოლოდ და, ამიტომ, მარგარიტა დახატა თეთრი ფერით. ამ სურათით ნიკომ ერთერთი საუკეთესო პორტრეტი შექმნა, პორტრეტი საყვარელი ქალისა, რომელსაც მომწენება-

საით გაიფლვა მის ცხოვრებაში. მსახობა-ქალის თეთრი ფიგურა მექ-ლურ ფონზეა გამოხატული. იგი ღვას მთელი ტანით ძალდატკბუნებლად და თავისუფლად სტყნის ტექნიკის ფონზე. ღრმად ამოკრალი კორსაკი, შიშველი ხელები, წელი ბადითაა შემოკერული. მსუბუქი ლოყები, შავი თვალები და წარბები აღმოსავლეთს მოგვაგონებენ, მაგრამ მხატვრულ თავისუფლად ჩამოშვებულს ყვითელი თმა მომდევნალი ქალის ვერბაულ წარმოშობაზე მეტყველებს. ყვითელი ჩიტი უზის მარგარიტას მხარზე. ამ დეტალით ფიროსმანიშვილს უყვარდა მის მიერ დახატული ქალების უმარკოების დახასიათება. ბალერინას ხელში თავიფული უჭირავს, ეს იმ მარჯვად თავიფულის გახსენებაა, რომელსაც ნიკო მას მარტომედა ზოლმე. სწრაფად დაწერილი სურათი შესრულებულია მსუბუქი და ძალადურბანებელი ტექნიკით, პარპონიულად. საოცარია ამ სურათზე გამოხატული გრძობის სიწმინდე და სიღრმე.

ძლიერი ჰუმანიზმითაა გაყენილი სურათი „ბავშვებიანი დედაცაი წყალზე მიღის“. გლეხის ქალს მხარზე შემოდგმული აქვს დიდი კოკა წყლით; მარცხენა ხელი ჩიფელია პატარა ბავშვსათვის, იმასაც კოკა უჭირავს. უფროს ქალიშვილსაც დედასავით მხარზე შემოდგმული კოკა მოაქვს, ფეხშიშველა. ყველა ღარიბულიაა ჩიქმული. შესრულების სწემატურობის მიზეზდავად, დედის სახეს ემჩნევა ტანჯვა. არც ბავშვები არიან მზიარულნი, ეტყობა, არა აქვთ კარგი ცხოვრება. ამ სურათის ფერწერა მაგონებს ესპანელს — მუქი მწვანე ფონი, თეთრი თავშალი და ქვედატანი ისე საოცარადაა დახატული, რომ მაგონდება სერბარანის სურათზე მატერიის ნაკეციები, ისეთივე ძალითაა შესრულებული, ისეთივე ფორმები, თითქმის სკულპტურული. ამ გაუბედურებელი გლეხების სიყვარული თითქმის ფიზიკურად შეიგრძობა და მათღამ სიზრალულიც უფრო ძლიერდება.

• • •

გადავივიართ ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედების მესამე და უკანასკნელ პერიოდზე. ეს არის ყველაზე უფრო მოკლე და ტრაგედიული პერიოდი 1915 წლიდან 1918 წლამდე.

1916 წელს მხატვრები ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ქიპურელი შეხვდნენ ნიკო ფიროსმანიშვილს. იმ რას გვიამბობს ამის შესახებ მიხეილ ქიპურელი:

„დიდი ძმების შემდეგ, ნიკო ფიროსმანიშვილი ვიპოვეთ დიდუბეში ნახევრად სარდაფში. ითახში რომ შევედი, გაოცებულნი გავშეშდი. ნახევრად სიბნელეში პატარა საკმელთან ნათქერა ბეურბუდა, მასზე მინები ელაგა — მხატვარი მჭვარტლს აგროვებდა შავი საღებავისთვის. მჭვარტლით იყო მოფენილი მთელი ოთახი, მჭვარტლი დაფრინავდა პერში, მჭვარ-

ტლში იყო გახვეული ნიკოც. ის დუშდა და დიდი ანთებული თვალებით გვიყურებდა. ბოლოს, გონს რომ მოვედით, ჩვენ გავუხილეთ მოსელის მიზანი, მხატვართა კავშირის სხდომაზე გიწვევენო, — ვუთხარი. ნიკოს გაუკვირდა: „შე კი შეგონა, ყველას დავაფიქვდი“, შემდეგ დასძინა: „მუყაოს ეფერავ შვედრტლით, შეე გრუნტზე მივერზეე ხატვას...“ მერე ტანსაცმელზე დაიხედა და გეითხრა, ახლა ჩემთვის ძნელია კავშირში წამოსვლა, ასეთი სახით ჩემი თავი უკანასკნელ კაცად მიმანიაო!“

ასეთ პირობებში იყო შექმნილი ფიროსმანის ყველა სურათი და მუყაო 1915 წლიდან 1918 წლამდე. ვასაკვირი არ არის, რომ მხატვრის ნაწარმოებებმა ნაწილობრივ დაკარგეს მისი შემოქმედების მეორე პერიოდის ხარისხი. მაგრამ რა აუტანელია არ უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში ნიკოს ცხოვრება, მაინც ხანდახან სიკაცაშით ამოხედავდა ტალანტი და მხატვარი ხატავდა ახალ სურათებს ძველებზე რისტატო-

ბით. ასეთია „დღეობა ბოლნის-ხაჩინში“, „ერთ-რა დათეები“, „დღეადლორი და გოჭები“.

ნიკო ფიროსმანიშვილის შესახებ პერიოდის ნაწარმოებებს ატყვია შემოქმედების გარეშე არსებული პირობების კვალი. ომმა, შეკვეთების უქონლობამ, სუსტმა ჭინმრთლობამ და მუდმივმა შიშობობამ გატეხეს ფიროსმანიშვილი.

ნიკოს ერთ-ერთი უკანასკნელი სურათი „ბაზრის მეთვალყურე ქალი“ შესანიშნავია მოქმედებითა და ხასიათებით. ქალი, ვაჭრობის ინსპექტორია ბაზარზე. „ბაზრის ახალმა მეთვალყურემ“ რაღაც უწესრიგობა აღმოაჩინა მოხუცებულ ვაჭრის დუქანში. მისი შეშინებული და დაბნეული სახე მკერდმეტყველურია. პოლიციელს მგაღდური გამოშვებულება აქვს.

„დაჭრილი ქარისკაცი“, „მოწყალების და“ იყო ხარკი ომისა, რომლის დროსაც მას ავადმყოფობა შეეყარა და ბოლოსდაბოლოს სამართის კარამდე მიიყვანა.

მერი კახბელაშვილი

სერგო ქობულაძის ნახატები ქართული ხალხური
გლავრების კრებულისათვის

ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის ბოლო დროის ნამუშევარებთან თავისი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა ნახატების სერია ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისათვის, რომელიც „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა რუსულად. ეს ილუსტრაციები მხატვრის მიერ ტექსტის ინტერპრეტაციის წარმოგიდგინენ და ამავე დროს, როგორც დეტალური ელემენტები (თავსართები), ერთვებიან ტექსტს. იქ, სადაც ტექსტის შემდეგ აღივლი რჩება, ზღაპრის ბოლოსართი მისდევს. თავსართებისგან განსხვავებით ბოლოსართებს ტექსტთან უშუალო სიუჟეტური კავშირი არა აქვთ, მათ მხოლოდ სამკაულის მნიშვნელობა ენიჭებათ.

ნახატები შესრულებულია კალმით, შავი ტუშით. თავსართების ზომა (15 სმ X 6 სმ) ნაკარნახევია მათი ადგილით თვითული ზღაპრის ტექსტის თავში. ეს მკარვ ადგილი და ფორმატის ერთგვარობა ასე ნახატისათვის უკვე თავისთავად კომპოზიციების ერთფეროვნების საფრთხეს ქმნის, რომლის თავიდან აცილება მხატვრისაგან გონებასამხედრობას მოითხოვს.

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ზღაპრები: ვადოსნური, ნოველისტური, ზღაპრები ცხოველების შესახებ. ტექსტი მხატვრის საილუსტრაციოდ მდიდარ მასალას აღწევს.

მხატვარი ტექსტის მონაცემებს სხვადასხვაგვარად იყენებს. ზოგჯერ მისი ნახატი ზღაპრის საერთო განწყობილებას ვადმოგვცემს. ასეა, მაგალითად, თავსართში ზღაპრისათვის „ორი ქურდი“ (გვ. 333) ეს ილუსტრაცია ასურალებს სიტყვებს, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება ზღაპრებში და რომლებსაც საინტერესო ამბის თხრობა მოჰყვება ხოლმე: „გამოსცადეს ერთმანეთი და წაეიღნენ, იარეს, იარეს, ცხრა მთა დაღაიარეს, მიადგნენ ციხე ქალაქს“. მხატვარი, ფაქტობრივად, თავის ნახატში ზღაპრის შესავალს გვაძლევს, საინტერესო თავგადასავლის მოლოდინს. ორი კაცი — ერთი მძალი, მეორე და-

ბალი (ალბათ, ხასიათებიც შესაბამისად სხვადასხვა აქვთ) მიიბიჯებენ გზაზე. შორა გზა ტუის-პირად მიდის, უცერად უხვევს და შორს წინდება დაბა ციხითა და გვლესიებით. ასეთი გზები საქართველოში ძალიან ბევრია. ასეთი მგზავრები, რომლებმაც უკვე დიდი გზა გაიარეს და მიადგნენ ადგილს, სადაც მათი თავგადასავალი დაიწყება, დამახასიათებელია ზღაპრებისათვის. მთელი მოძრაობა სურათის სიღრმისაკენაა მიმართული — იქით, სადაც მათი მოგზაურობის მიზანია. სიღრმისაკენ მოძრაობის განსაზღვრავს, როგორც მგზავრების მოძრაობის მიმართულება, ისე კომპოზიციის მთელი აგება — სიღრმისაკენ მიყვართ ხეების პერსპექტიულ შემცირებას, რაც იწვევს მკაფიო წარმოდგენას მანძილზე, რომელიც პირველ პლანზე გამოისახულ დადავებით ხვს ფიგურებისგან ამორებს.

მრავალ შემთხვევაში მხატვარი საილუსტრაციოდ საკვანძო მომენტს იღებს, სწორედ იმ მომენტს, რომელიც მოცემული ზღაპრისათვის ყველაზე დამახასიათებელია, ასეა, მაგ., ნახატში „აბუზარა“ (გვ. 382). ზღაპარი მოგვითხრობს, რომ მამის სიყვდილის შემდეგ ორ ძმას მხოლოდ ერთი უღელი ხარი დარჩათ. ბარები უფროსმა ბორკტმა ძმამ მიიტაცა, უმცროსი კი იძულებულია შორიდან თვალი ადევნოს, როგორ ხნავს მინდორს მისი ძმა.

უმცროსი ძმის ფიგურა დიდი ზომისაა, იგი სურათის მარჯვენა კუთხეში, მკურებლისკენ ზრვით დგას, ის სურათის სიღრმისკენაა მოქცეული, იქით, სადაც მისი ძმა გუთანს მისდევს. მოხსნული მიწის ბელტების შავი რიგები პორბოზონისაკენ იყრბება და მკურებლის თვალიც იქით მიყვას, სადაც უმცროსი ძმა იყურება. მინდორი თითქმის მთლიანად თეთრად დატოვებული. ეს სითეთრე ძლიერი განათების შედეგად იღვბება ქმნის: სრულიად მარტივი ხეხებთი იქმნება „ზაფხულის მზიანი, ცხელი დღის“ შეაბეჭდილება.

ასევეა თავსართში ზღაპრისათვის „მარჯალიტის ცრემლი“ (გვ. 244). ძმის მიერ სახლიდან

გაღებული უშვილო მოხუცები ბედის საძებლად მიდიან. მაყურებლისაგან ზურგით მღვრომი ორი ფიგურა, — მოხუცები ძლიერ მიამბიყუნენ; მათი სიციხლე უსიხარულოა. ამას მეტყველებს მათი ფიგურები. მიწაზე ვრძელი, შავი ჩრდილები უცუმა ბინდია. თავშესაფარი არა ჩანს.

კომპონიციური მომენტს იღებს მხატვარი მზის ქალის (გვ. 38) ზღაპრის ილუსტრაციისათვის. ღარიბი გლეხი ბედნიერების საძებლად მზის ქვეყანაში წასვლა. ის ღიღინას მიდიოდა და უფროდ შეჩერდა, მზის ამოსვლის წარმტაცი სურათით აღტაცებული. დაეწყება უკომპონიციური განსაცდელი, ვხვდებით გაღიზიანებულს ამოსვლას და ბედნიერებას. მისი ფიგურა, გაწვილი ხელი, მოლოდინს გამოხატავს. სულ ცოტა დარჩა და მიზანს მიაღწევს.

ამ კომპონიციურ გადაწყვეტა ლაქონურია. ხეების გადაკვეთით და პერსპექტიული შეწყობით იქმნება თვალწინდელი სივრცე მზის ქვეყანაში წასვლი ადამიანის წინ. პირიზონტზე მზის დსკო ერთი ხაზითაა შემოხაზული. კაშკაშა განათების შთანძედილება აქაც დამტრისულია და თეთრად დატოვებული სიბრტყეების მონაცვლეობითაა მიღწეული. ადამიანის ფიგურა უპირისპირდება მზით განათებულ სიბრტყეს. იგი ცენტრიდან მარცხნივანაა გადაწყვეტილი. კარგადაა მოქმენილი ადგილი ამ ფიგურისათვის (ის თითქმის ნახატის მთელ სიმაღლეს იკავებს ქვემო და ზემო ჩარჩოს შორის), — აქედან ფიგურის მონუმენტურობა და წინასწრობა კომპონიციისა. მთელი თავსართი გაშვებულია იმ სასიხარულო მოლოდინს განწყობილებით, რომელიც ასე დამახასიათებელია ამ კრებულის ერთ-ერთი ყველაზე ღამაზ ზღაპრისათვის.

ზღაპრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ ფანტასტიკურ მოვლენებსა და სახეებს. ნიშანდობლივია, რომ ფანტასტიკური, ჯადოსნური ელემენტი აქ გამოდის, როგორც რეალური მოვლენების, ხასიათების, მისწრაფებების გამოხატველი თავისებური მხატვრული ფორმა.

ზღაპრის-სივრცეებს ახასიათებს მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ სიმახიელისთან ერთად ფანტასტიკური და საყოფაცხოვრებო ელემენტების შერწყმა. ზღაპრებისათვის ეს დამახასიათებელი მომენტი ითხზა ს. ქობულაძის ნახატებში. მხატვარმა ხაზი გაუსვა ფანტასტიკურ მოვლენების ხასიათს ან, როცა ეს შესაძლებელია, მხატვრი გადიტანა საყოფაცხოვრებო, რეალურ მომენტებზე. ასე, მთავალიად, მწყვეტის ბიჭია (გვ. 376) მთავალი ციხეს, რომელშიც მზეთუნახავია დაწყევლებული, ციხის გაღივანზე გამოკიდული იმათი თავებუ, ვინც ეცადა მზეთუნახავის ნახვას. ქობულა

ძის ბიჭია ცნობისმოყვარეობით შესცქერის ციხეს დევეების ციხე ბუტაფორულია ბიჭიას ნაბღის გაშლილ მხარებსა და მოღერებულ კობაღლიან შეღარებით. მხატვარს დეტალურად აქვს ნახვები ცენტრალურ ფიგურას (ნაბღის ფაქტურაც კი გადმოცემულია), ხოლო დანარჩენის ზოგად ნახატს იძლევა, რაც ხელს უწყობს ამ შთანძედილებს გაძლიერებას. მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ნახატებში ჯადოსნურ ელემენტს ზღაპრებში ეშმაკის ლაგამი (გვ. 77), ლურჯა ცხენი (გვ. 61), თუ შის შვილი და მებეის შვილი (გვ. 111), ფისასის ზღაპარი (გვ. 220). ამ უკანასკნელში მხატვარი ძალიან გაბედულად ჰყვით ფიგურებს, სტოვებს მხოლოდ ხეხუტულ წინდებთან გლეხის ფეხებს და მზეთუნახავის ფარჩის კაბის კალთას. ამრიგად, იძლევა პერსონაჟების დახასიათებას, მათ ფეხებთან ათავსებს ღამაზს და თვალმარგალებს; მათ პატივობას თვალყურს ადევნებდა ვხატები.

ზემოთ განხილულ ნახატებშიც ნაწევრებია მომენტები, რომლებიც მოვლენების რეალურ ხასიათს გადმოგვცემენ; მთავალიად, ზღაპრიდან მზის ქალი (გვ. 38) აღებულია მზის ამოსვლის სცენა, ე. ი. სრულიად რეალური მოვლენა და არა, მთავალიად, მზეთუნახავთან შეხვედრა ან გლეხის ფანტასტიკური თავგადასავალი „მარგალიტის ცრემლი“ (გვ. 244) მხატვრის მიერ ხაზგასმულია დარბების გაძველება, მათი უბედურება, და არა ის მომენტი, როცა მათ ბავშვი ეყალიბა და ტირილის დროს მარგალიტის ცრემლებს აფრქვევდა. ამ ნახატებში ძალიან ცოტა დევეებისა და სხვა ფანტასტიკური არსებების გამოხატულებანი და სადაც არის, ეს საუკეთესო ნახატები არაა (მაგ. ფსევქვი“ (გვ.28), ზელშიფის შვილი, (გვ. 121), უმცროსი ძმა (გვ. 241). ამ ნახატებს შორის ყველაზე უფრო მეტყველია თავსართებო, სადაც ზვეულებრივი მოვლენები და ხასიათები გამოხატულია.

ს. ქობულაძის ამ ნახატებთან დაკავშირებით ძნელია არ ვთქვათ, რომ მხატვარ ლ. გუდიაშვილის მიერ ქართული ზღაპრების თემაზე შესრულებული ნახატები. ეს მხატვარი სწორედ ჯადოსნურის, გამოჯონილის სიღამაზის აქცენტირებას ახდენს, ავლენს სიღამაზეს და მოვლენების არა მარტო იმისას, რაც სინამდვილეში არ არსებობს, არამედ ნამდვილ, რეალურ ფაქტებსაც აძლევს ჯადოსნურ იერს. მისი „ბეჭადლომ და ეთერის“ შეხვედრა, ან „შველიანი ქალი“ ოცნების მომიზნებულობით არის აღბეჭდილი. მხატვარს უყვარს დევეების დანახატები, ის არა მარტო იმეორებს ზღაპრების არ-

სებებს, თვითონაც იგონებს, ფანტასტიკური მასთან ნამდვილის იერს იღებს, ნამდვილი კი გამოგონილს ემსგავსება. ამ ორი მხატვრის ნახატებში ქართული ზღაპრის ორი მხარე აისახა, ე. ვ. გულიანკოლიანი — პოეტური ფანტაზია, ს. ქობულაძესთან — ეპიკური თბრობის სისადავე, რეალური მოვლენებთან კავშირია.

მეტაბორომა კომპოზიციების აგების სხვადასხვა ხერხებს მიმართა. იმ შემთხვევაში, როცა ეს ზღაპრის პერსონაჟების დახასიათებას იძლევა მათი „პორტრეტები“ შექმნილ (ეს უფრო ხშირად ნოველისტურ ზღაპრებში ვხვდებით), მხატვარი ქმნის დიდ ფიგურაან გამოსახულებებს. იგი ორს, ან რამდენსამე, მოქმედ პირს უპირისპირებს ერთმანეთს, ცალკეულ გმირის დახასიათებით, ან ხასიათების შეკვეთი კონტრასტის გამოვლენით აღწევს დიდ გამომხატველობას. (მაგალითად, თვისართები ზღაპრებისათვის „ობოლი და ქოსა-მატყუარა“ (გვ. 354), „ფაშასთან მიბარებელი ფული“ (გვ. 379), „ვაკრის ქალი“ (გვ. 316), „კომბლე“ (გვ. 304), „მუქთახორა“ (გვ. 322) და სხვ.).

საილუსტრაციოდ არჩეულ სიუჟეტებში სხვადასხვაგვარი მიდგომა მხატვარს საშუალებას აძლევს კომპოზიციები სხვადასხვაგვარად გადაწყვიტოს, რითაც ნახატების მრავალფეროვნებას აღწევს.

ნახატებში, რომლებსაც პირობითად შეიძლება დიდ ფიგურაიანი ეპიქოლომ, კომპოზიციის ისეა გადაკეთილი, რომ რჩება გმირების სახე და ზოგჯერ ხელები. მხატვრის ყურადღება სახისა და ხელების დამუშავებასა და ამბრეველებისაგანა მიმართული („ობოლი და ქოსა-მატყუარა“, გვ. 354, „ფაშასთან მიბარებელი ფული“, გვ. 379, „კომბლე“, გვ. 362, „ნაკარქეპია“, გვ. 348 და სხვ.).

პერსონაჟები ქმნიან მკვიდრო ჩვეულებს, მაგრამ მათ განლაგებაში არ იგრძნობა არაერთი ძალდატანება, მათი მოძრაობა ბუნებრივი და დამაყრებელია. გამოსახულება დამუშავებულია გადაჭარბებული შტრიხებით, რომლებიც ხრადილი სწორდება, დრმა ჩრდილი კი ერთმანეთს უერთდება და მრავალჯერ ქმნის (ფაშას წვერი, კომბლეს თვალები და სხვ.). დიდი ყურადღება ექცევა სახის მოდელირებას — თვითუღი მოცულობა პლასტიკურია და გამომხატველი. გულმოდგინედაა დამუშავებული დეტალები, რომლებიც პერსონაჟების დახასიათებას ემსახურება, ვადმოცემულია საგნების ფაქტურა — ფაშას წვერი, ჩაღმა, ჭირფასი თვლები ტანსაცმელზე და სხვ.

თავსართები, რომლებიც დამახასიათებელ სიტუაციას, ან გმირების თავგადასავალს ვადმოვლავს, გვიჩვენებს გარემოსაც, სადაც მოქ-

მდებარე მიმდინარეობს. ადამიანების ფიგურები ორგანულად ერწყმის პერსონაჟს; გარემო და პერსონაჟები ურთიერთს აპირობებენ; მკნებსს უერთ მთლიან განწყობილებას შექმნილ ენკაპსულაცია ზოგჯერ დამატებით აღსავსეს, ზოგჯერ კი იმპატივიზმისა და მხიურობის გამომხატველს, რაც ზღაპრების არსებით მხარეს შეესაბამება. ასეთთა თავსართები ზღაპრებისათვის — მარტალიტი ცერკელი (გვ. 244), აბუზარა (გვ. 362), ორაქურდი (გვ. 333) და სხვ.

ამ ნახატებში სახეები ისე დეტალურად აღარაა დამუშავებული, როგორც „დიდფიგურაან გამოსახულებებში“, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ამ კომპოზიციებში გამომხატველობა მიღწეულია მთელი ფიგურის ან ფიგურების ჩვეულების განაწილების მეშვეობით. ფიგურებისა და საგნების მკაფიო განლაგებით, პერსპექტივაში საგნების შეკვეთი შემცირებით და პლანების დაპირისპირებით მიღწეულია დიდი სიერტეების შთაბეჭდილება. პირველი პლანის ფიგურები და საგნები უფრო ხშირი დამტრახითაა დამუშავებული, რაც მათ რელიეფურობას ზრდის და გამოჰყოფს გარემოსაგან.

ზღაპრებ-ნოველებს ახასიათებთ სოციალური სიმბოლე, ზოგჯერ მზარდი იუმორი. ხალხური ზღაპარი ჰგომოს უსარყოფით მოვლენებს. მხატვარს უხდება ასეთ შემთხვევებში ზღაპრების პიპერბოლების გრაფიკულად გამოსახვა. მისი ნახატი ამის შესაბამისად სატირული გროტესკის ფორმას იღებს. ასეთი ნახატია „მუქთახორა“ (გვ. 322) და „ზარბაიცი“ (გვ. 350) მუქთახორას სახე ზღაპარში ისევე კარიკატურულია, როგორც ნახატში. მხატვრის მიერ შექმნილი სახე დიდი ყებებით, უპირობ ჩამოყრდილ უტრებით და საცოდავი გამომტყველებით კარგად უდგება ზღაპარში მოცემულ ამ პერსონაჟის დახასიათებასა და მის ბედს (ბოლოს სოფლიდან გააგდეს და მგელმა შეყლაბა). მუქთახორას თავი გადაწეულია ფურცლის მარცხენა ნაწილში იმგვარად, რომ კარგად ჩანს ფონი, რომელსაც კონტრასტისათვის იყენებს მხატვარი. აქ განაღებულია შრომა — ამუშავებულ მუქს, მართავენ ტრემს, მოზანს ახლად ჩარტულ ხეზე და სხვ. კომპოზიციებში ზედმეტი არაფერია, დეტალები ემსახურება მუქთახორას და სოფლის მშრომელი გლეხების მკაფიო აზრობრივ დაპირისპირებას, ისევე, როგორც ეს ზღაპარშია მოცემული. საინტერესოა, რომ თითქმის ისეთი უმნიშვნელო დეტალიც კი, როგორცია ღობე, ხელს უწყობს მაყურებლის ყურადღების გამახვილებას შრომელ გლეხების ჩვეულებზე. ასეთსავე კონტრასტურა აგებული მეორე ილუსტრაციაც ზარბაიცი (გვ. 360). ნახატი მარცხენა ნაწილი უცა-

უნდა უზაროდეს ურჩი სარდლის გაქრება, მაგრამ არც ეს სიხარული ჩანს.³

ქანიკლი-ალი-ფაშას მეგვიდრეკე გვიწყნარებოდა, სახელად — ბატალი. ზვანთქარს არც მისი იმედი ჰქონდა. ოსმალები მასაც მამამისივით ურჩ მმართველად სთვლიდნენ.⁴ მიუხედავად ამისა, 1786 წელს, სექტემბერში, კაფუღან-ფაშამ (ადმირალი) პასანმა (წარმომოხმობთ ქართველმა) იგი ალაბის (ალეპო) გუბერნატორად პოსტზე წამოაყენა.⁵ აქ ბატალი-ფაშას დიდი ხანი არ დაუყვია, რუსეთის დესპანის 1786 წლის 27 ოქტომბრის ჩინაწერში ნათქვამია: „...ემირჩაყად და დამასკოს გუბერნატორად დაყენებული ამას წინათ ალეპოს ვაგზავნილი ბატალი-ბუსეინ ფაშა“.⁶

1788 წლის რუსულ ცნობაში იუწყებოდნენ, რომ ბატალი-ფაშა უარს აცხადებდა ფლორისათვის მიმწველი ძალების მიწოდებაზე.⁷ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს ოსმალები რუსეთთან დიდი ომი ჰქონდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ლაზი სახელმწიფო მოღვაწის ეს ვაგვიონარი მამაცობა და რისკზე წასვლის უნარი.

ბატალი-ფაშას მეგვიდრეკობით გადაეცა მამამისის ფუნქციები, 1788 წლის 4 აპრილის თარიღით რუსეთის დესპანი იუწყებოდა — ბატალი-ფაშას და ანატოლიის სხვა ხელისუფალთ არც იმდენი ჯაბა ჰყავთ, როგორც წინათ ამბობდნენ. აგერ ახლა მათ ებრძანათ გაელაშქრათ გენერალ-ანშუფ ტუეკელს არმიის წინააღმდეგ და საქართველოს შესეოდნენ.⁸ ეს ბრძანება ქანიკლის შვილმა ბატალიმ არ შეასრულა.

1788 წლის 21 მაისის დღიურში: რუსეთის სტამბოლელმა დესპანმა ჩაინიშნა: ბატალი-ფაშამ უარი თქვა იბრძოლოს კაფუღან-ფაშას სარდლობით. ამან ზვანთქარი ერთობ შეამფრთხა და ზელმეორედ უბრძანა ურჩ ფაშას ახალციხისაკენ წარებით წასვლა.⁹

მოტანილი ცნობები ცხადყოფენ ლაზი პოლიტიკოსების დიდ გავლენას ოსმალეთის იმპერატორს და მათ დამოუკიდებელ მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას ბევრი რამ რჩება გასაყვებელი იმ მხრივ, რომ ლაზების წარსულის ეს ასპექტი მთელი სისრულით გადავივალის.

¹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან“, დავთ. № 655, ფურც. 43.

² იქვე, დავთ. № 710, ფურც. 49—50.

³ იქვე, დავთ. № 676, ფურც. 29.

⁴ იქვე, დავთ. № 677, ფურც. 13—14.

⁵ იქვე, დავთ. № 710, ფურც. 49—50.

⁶ იქვე, დავთ. № 709, ფურც. 10.

⁷ იქვე, დავთ. № 709, ფურც. 83.

¹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან“, დავთ. № 640, ფურც. 50.

² იქვე, დავთ. № 655, ფურც. 43—45.

³ იქვე, დავთ. № 642, ფურც. 68—69.

ერთი ახალი ცნობა გავილუკ კლი-პის შესახებ

ოსმალეთის მიერ დამონებული ეგვიპტეში 1768 წელს დიდმა აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში ჩაუდგა ქართველი მამულეი ალი-ბეი, რომლის შესახებ უკანასკნელი წლების ქართულ პრესაში ჩამდენიმე წერტილს გამოქვეყნდა. ახლა ჩვენ გვინდა შეითხველს მივაწოდოთ ერთი საარქივო ცნობა, რომელიც დაეუღია სტამბოლის რუსული დიპლომატიური მისიის ყურნალებში და გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ალი-ბეის პეივალი ერთი გამოჩენილი მეგობარი, სახელად მონტემიურლი. ეს კაცი მამით აელანელი თურქი, დედით კი ქართველი, თბილისის პატრიარქის დისშვილი ყოფილა. იგი 1740 წელს დაბადებულა. მამამისი სპარსეთის მზარაზებელს ნადირ-შაჰს ერთ-ერთ სასიქადლო სარდალს ჰყოლია და დიდად ჰყვარებია. მამის დაღუპვის შემდეგ, დედის თავისი პირმო შვილი ძმასთან — თბილისის პატრიარქთან გაუგზავნია. ამ უკანასკნელს პირადი მტრების შეშინებია, დისშვილი თავის სახლში არ გაუჩერებია და ოსმალეთს გადაუხიზნავს. მალე მიჰი საფრანგეთში წასულა, დიდი ხნის შემდეგ, ევროპიდან ეგვიპტეში დაბრუნებულა და ოსმალეთის სეანთქრის წინააღმდეგ აჯანყებულ ალი-ბეის სამსახურში

შესულა. ალი-ბეის იგი პლიერა შეწყვიტებია, შერიან ადამიანებს მალე მათ შორის მტრობა ჩამოუგდათ და მამულეთა ბელადს ახალი მეგობრის მოკვლა განუზრახავს. ბრალდებული თათონ მისულა შეცდომაში შეეყვანილ ბელადთან და მამაცურად განუცხადებია: ნუთუ დიდ ადამიანს შეგვერის სიკვდილით დასაჯო ერთგული მოსამსახურე, როცა ამ უკანასკნელს სასჯელის უმაღლეს ზომად განდევნა ეყოფაო. ალი-ბეის მოსწონებია მონტემიურლის გაბედული საქციელი და მისთვის სიცოცხლე უნუქებია. ამის შემდეგ გზავამრუდებულ აღმოსავლელ ჩაილდ-პაროდს გეროპა მეორედ მოუნახვლებია. იქედან ჩამოსული, სტამბოლში დიდ ვაზირ აბდულ-ჰალილ-ჰამიდს (1782-1785 წწ.) სტუმრებია და მის სამსახურში შესულა. რუსეთის სტამბოლელი დესპანის იაკობ ბუღაეკოვის მიერ მოპოვებული ეს ინფორმაცია ალი-ბეის კეთილშობილებზე მეტყველებს, ამავე დროს იგი აესებს ევროპელი მოგზაურის ლუიზიანის ცნობებს ალი-ბეის ქართული გარემოების შესახებ და გამოჩენილი მამულეის ამალას უმატებს კიდევ ერთ პიროვნებას — მამით თურქს, დედით ქართველს, ყოველ შემთხვევაში — საქართველოს მმართველ წარებთან ნათესაობით დაკავშირებულს.

1 რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან“, დოკ. № 682, ფურც. 50—58. (ერთერთი დიპლომატიური აგენტის მოსხენება ფრანგულ ენაზე).

ქართული საზოგადოებრივი აზრის ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის

გაბრიელ მეგრელიშვილის გამოკვლევა დაფუძნებულია ავტორის მიერ ძირითადად სწორი მეთოდოლოგიური და მეცნიერული პოზიციებიდან განალიზებული ფაქტობრივ მასალაზე. მონოგრაფიაში გამოყენებული საარქივო თუ სხვაგვარი მასალის შერჩევა-თავმოყრა შესაძლებელი იყო მხოლოდ წლების განმავლობაში წარმოებული შრომის შედეგად. მაგრამ გ. მეგრელიშვილმა არა მარტო თავი მოუყარა უხვ ფაქტობრივ მასალას, არამედ კვალიფიციური ანალიზი გაუკეთა მას. ავტორი არ ერიდება აღებულ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებათა გამოთქმას მაშინაც კი, როდესაც ის ავტორიტეტულ მეკვლევათა მიერ წამოყენებულ დებულებებს ეწინააღმდეგება. და უნდა ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში სათანადო არგუმენტაციის მოტივით სავსებით აქერებს მკითხველს თავის შეხედულებათა სისწორეში. ასე დამაჯერებლად გამოიუფრება, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებათა ზედამხედველი შეფასების კრიტიკა. სწორად იქცევა გ. მეგრელიშვილი, როდესაც ის 60-70 წლების ნიკოლაძეს მიიჩნევს არა ბუტყუაზის იდეოლოგიად და რეფორმისტად, როგორც ამას აკეთებს სიმონ ზუნდაძე. არამედ რადიკალური მიმართულების მოაზროვნედ, ჩერნიშევსკის ერთგულ მოწაფედ, რევოლუციონერ-დემოკრატად. (იხ. ტ. I გვ. 297, 387 და სხვ.).

მოწონებას იმსახურებს სარეცენზიო ნაშრომის პირველი ტომის მეორე თავი, რომელშიაც ქართული საზოგადოებრივი აზრის პერიოდიზაცია და ძირითად მიმდინარეობათა დახასიათება მოცემული. იგივე ითქმის პირველი ტომის მეხუთე და მეექვსე თავებზე, სადაც ნიკოლაძისა და 70-იანი წლების ქართველი ხალხისების სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებია გარკვეული.

ღრმად შეუსწავლია ავტორს ავრთვე 80-90

წლების ხალხისობა საქართველოში. ზოგი მეკვლევისაგან განსხვავებით, ავტორი ერთმეორისაგან განარჩევს ეურნალ „იმედის“ ნაროდნიკების ჯგუფს, (სტ. კრეულაშვილი, ნ. ხაზინიშვილი, ს. მგალობლიშვილი, ზ. გულისაშვილი და სხვ.), რომელიც ძირითადად 70-იანი წლების რევოლუციურ ტრადიციებზე დარჩა (იხ. ტ. II, გვ. 15), რეფორმისტულ დებულებულ ლიბერალ ნაროდნიკებისაგან, როგორც იყვნენ ვ. წერეთელი, ალ. ნანეიშვილი, დ. მაჩხანელი და სხვები.

გ. მეგრელიშვილის ნაშრომი, რომელიც საერთოდ დაღებით შეფასებას იმსახურებს, ამევე დროს მრავალ საკამათო, ზოგ შემთხვევაში კი აშკარად მცდარ დებულებას შეიცავს, რაც, ჩემი აზრით, საქმის უტოლდინარობით კი არაა გამოწვეული, არამედ ავტორის კონცეფციის თავისებურებით.

1. პირველ ყოვლისა სრულებით გაუგებარია, რომ ავტორმა თავის ორტომიან გამოკვლევაში, რომელიც საგანგებოდ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისადმი მიძღვნილი, რეგრული აუარა ილია ჭავჭავაძეს. ამ უკანასკნელის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა გარჩევის გარეშე შეუძლებელია გასული საუკუნის მეორე ნახევრის იდეურ მიმდინარეობათა სრული სურათის წარმოდგენა. აღნიშნული გარემოება სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ნაკლად ჩათვლება.

2. გ. მეგრელიშვილი ძალზე იოლად სწყვეტს 1864 წლის 6 მაისის დოკუმენტის, რომელიც შეიცავდა თავადაზნაურების მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტის კრიტიკულ განხილვას, ავტორობის საკითხს, ნიკო ჭავჭავაძის ავტორობა, მისთვის, როგორც ჩანს, იმდენად უტყველად (გვ. 265), რომ ამაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტად მიუჩნევია. ნამდვილად კი სხეულებული დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული, რაც კარგად დასტურდება რიგი პირდაპირი და არა პირდაპირი მონაცემებით.

მართალია, ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტს ზღოს აწერას „ნ.“, ე-ი ნიკო (ჭავჭავაძე), მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მის ავტორად შინც არ შეიძლება აღიარებულ იქნას. მე საგანგებოდ

1. Г. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века. Т. I, 1960 წ. „საბჭოთა საქართველოს“ გამოცემა და ტ. II, 1959 წ. თბ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამოცემა.

შვეიცარულ საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ნიუს ქავევაძის პირადი საქმე და საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ მას არაერთი კავშირი არა აქვს 1864 წ. 6 მაისით დათარიღებულ და შეაჯრობაში წარდგენილ კრიტიკულ შენიშვნებთან. ეს უკანასკნელი წინააღმდეგ ავტორის მტკიცებობას, ჭარბი რადაკლერ-დემოკრატიული აზრის შესახებ ნიშნებს წარმოადგენს და ამიტომ, ბუნებრივია, მისი შედგენა მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლო, რომელიც მინამდვილ. ე. ი. საგლებზე რეფორმადიცი. ენობილა იყო თავისი მოწინავე მემარცხენე აზრების შემცველი განმარტებით, მატერიალ. თუ პედაგოგიკური ნაწილებით. ასეთი პირობებია, ცხადია, მთავრობის განსაკუთრებული მეთვალყურეობისა და დეენის ქვეშ იქნებოდა. ნიუს ქავევაძის შესახებ არქივი დაცული მასალები კი აბსოლუტურად გამორიცხავენ დემოკრატების ბანაკისადმი მის მკეთებლობას შესაძლებლობას და წარმოგიდგინენ მას როგორც მთავრობის ნდობა და წყალობა დამსახურებულ აღამანს ის, განსხვავებით ილია ქავევაძისაგან, დენილ-შეიქროვებელი კი არ ყოფილა. არამედ, პირიქით, დაფასებულ და აღზევებულ ყოფილა მეფისა და მამინდელი წყალობისა და დემოკრატული სამსახურის გამო. ნიუს ქავევაძე თითქმის ყოველწელიწადს ქალაქოფებოდა და წინაურდებოდა. თავისთავად ცხადია, მთავრობა ასეთ გულუბნობას არ გამოიჩენდა იმ პირობებშიც, რომელიც რადიკალური აზრების შემცველი კრიტიკული შენიშვნები წარუდგინა საგლებს საქმის მომგვარებელ-ამიერ კავკასიის ცენტრალურ კომიტეტს. სიმეცია ამ დოკუმენტის ავტორის მისამართით იმპერატორ ალექსანდრე მეცამეს ეთქვა რომ მან მისი განსაკუთრებული ყურადღება მერად გულწრფელი, თვდადებელი და უმწიველი სამსახურით დაიმსახურა.

სხვებელი დოკუმენტის ავტორის პირობების დასადგენად შეცნიერებას გარდა არაპირდაპირი, მაგრამ მერად სერიოზული არტემენტისა, პირდაპირი ხასიათის მონაცემები გააჩნია. აი ერთი მათგანი. 1914 წელს, როგორც ჩანს, ვახუთი „თემის“ რედაქცია დაინტერესებულა კრიტიკულ შენიშვნების ავტორის საკითხით და ამ მიზნით მიუმართავენ თავად ზაღ ნორმირების-ზე ქავევაძისათვის, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გლეხთა განთავისუფლებასთან დაკავშირებულ მონამუშაებულ მუშაობაში. „როგორც ავტორს გლეხთა განთავისუფლების ერთ-ერთი პირობებისა, — წერდა „თემის“ რედაქცია ზაღ ქავევაძეს, — თქვენ უმწიველი, გაცადინებთ, თუ ვინ იყო და რა ურთვა იმ თავად ქავევაძეს, რომელიც 4 მაის 1864 წელს დაწერა ცნობილი კრი-

ტიკული წერილი მთავრობას ანუ კომიტეტს პირობებზე... და რომელსაც იტყვიან სე. ავლიანი თავის შრომის პირველ კტმეს 1348 გვერდზე“. (გაზ. „თემი“, 1914 წ. № 478 გვ. 2, პროფ. პ. გუგუშვილი: «Сельское хозяйство и аграрные отношения», т. II, გვ. 695). რედაქციის ამ ყოთბაზე ზაღ ქავევაძის შემდეგი პასუხი გუყვია: „ის თავადი ქავევაძე, რომელიც იტყვიან სე. ავლიანი თავის შრომის 1348 გვერდზე. გასჯაით, ჩვენი ცნობილი მწერალი თავად ილია ვრიგოლის ძე ქავევაძე. მე და ილიას გარდა, არაფის სხვა ქავევაძეს არ წარუდგენია მამინ პირობები ან კრიტიკული წერილი“ (იქვე).

ვერადეერი ის, რაც ზემოთ აღინიშნა, საფუძველს გაძღვეს უარყოფით გ. მეგრელიშვილის მოსაზრება სხვებელი კრიტიკული შენიშვნების ავტორად ნ. ქავევაძის გამოცხადების თაობაზე. ნამდვილად ამ შესანიშნავი დოკუმენტის შემდგენელი ილია ქავევაძეა. საკითხის ამგვარ გადაწყვეტის მხარს უჭერენ პროფ. პ. გუგუშვილი, ა. იოიძე და ვასული საუკუნის საზოგადოებრივი აზრის ბევრი სხვა გამოჩენილი მკვლევარი.

პ. გ. მეგრელიშვილი ედება არა მარტო ამ საინტერესო დოკუმენტის ავტორის საკითხის გარკვევისას, არამედ, რაც მთავარია, მისი კლასობრივი არსის შეფასებისასაც. მისი მოსაზრებით, „კრიტიკული შენიშვნები“ თავიდანუნაურთულ-ლიბერალური ხასიათისა. ვ. ი. დენილი ლიბერალების საქმიანობის შესახებ საგლებზე რეფორმის გატარების პერიოდში წერდა: «Прелюватая борьба крепостники и либералов стои раздутая и разукрашенная нашими либеральными и либерально-народническими историками, была борьбой внутри господствующих классов, большей частью внутри помещиков, борьбой исключительно из-за меры и формы уступок». (Соч. т. 17, стр. 96). ლიბერალები, მისივე დახასიათებით: «Либеральные торгаша, протыгивающие одну руку (открыто) демократии, другую руку (за спиной) крепостникам и полицейским». (Соч. т. 20, стр. 5), ისინი არსებითად, საბოლოო ვაჭრი, ხალხის მტრები, მისი ინტერესების გამოქმნი იყვნენ (История СССР, т. II, 1954, стр. 389).

გ. მეგრელიშვილი, ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ეკარგად იცის, მაგრამ ის მინც არ ებრძება „კრიტიკული შენიშვნები“ ლიბერალურ დოკუმენტად გამოცხადოს. ვანა სრული უსამართლობა არ იქნება მისი ავტორი „მლოქუნელ ჩარჩად“ და ხალხის ინტერესების მოღალატედ მივიჩნიოთ, გამთავცხადოთ ასეთ ვინმედ, რომელიც მხოლოდ რადაც უმნიშვნელო დათმობაზე ლაპარაკობდა და არა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის პირფესვიან მისობაზე? ის ხომ დავინებით მოითხოვდა არა წერილი

მან ცვლილების, არამედ ყმადა და ბატონს შორის არსებული ერთფერობის სრულსა და საბოლოო ლიკვიდაციას:

«Я признаю необходимым теперь же его решить окончательно, и, уничтоживши всякие обязательные столкновения между освобождающим и освобождаемым условиями, определить окончательное отделение крестьян с предоставленным им наделом». კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოთქმული ეს აზრი მეორე დოკუმენტში, რომლის ავტორადაც მკვლევართა გარკვეულ ნაწილს კრიტიკული შენიშვნების შემდგენელსავე აცხადებს: «Определить различные правила и средства уничтожения зла, имеющего начало с незапамятных времен, положение (о реформе — И. А.) не имеет однако, никакого понятия о самом зле, о болезни, от которой нужно спасти народ, подвергшийся недугу крепостного состояния. Для того, чтобы излечить раны и язвы и вообще для того, чтобы излечить больного от болезни, необходимо дать такие средства, которые могли бы уничтожить тотчас и немедленно зло с корнем». („ისტორიის მოამბე“) № 3, 1947 წ. გვ. 313-314).

„კრიტიკული შენიშვნების“ ყველა მუხლი გამჟღავნებულია გლეხის ინტერესების თანმიმდევრულად და პრინციპულად დაცვის იდეით. აქ ხალხის კუმშვარტი მეგობარი ლაპარაკობს, „შლიქნენდ ჩარჩს“, როგორც უწოდებს ლენინი ლიბერალებს, არ შეეძლო უმისჯაღ განცხადებინა: გლეხებს ნერადურს ჩამოკრთო, რადგან მათ ისედაც ვერაფერია ჩამოკრთესო (იქვე, გვ. 185, 2 893).

ამრიგად, როგორც ირკვევა აქ წარმოდგენილი მსჯელობიდან და მსახლეობიდან, „კრიტიკული შენიშვნები“ არ არის ლიბერალური დოკუმენტი, მისი ასეთად გამოცხადება — ისტორიული უსამართლობა იქნებოდა. სხნებული დოკუმენტი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის მკაფიო ნიმუშია.

4. წიგნში, როგორც უკვე ვთქვი, ილია ჭავჭავაძე საერთოდ უფრადების გარეშეა დატოვებული, მაგრამ აქაიქ, სხვა საკითხის განუქმებისას ავტორი მიიწვინა კავსოსტეპის თავის მოსაზრებას, რომელიც ჩემი აზრით, არსებითად მკდარია. მკდარია და უსაფრთხო ეროვნულ-გამათვისებულგებელი მოძრაობის ბელადისა და სულს ჩამტყველის, ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ენერგიული მებრძოლის, დიდი ქართველი მოღვაწის ილიას ლიბერალების ბანაკში მოქცევა. როგორ შეიძლება ასეთი კვალიფიკაცია მიეცეთ „კეთს ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობისა“ და „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორს, ამ ადამიანს, რომელიც ჩვენმა გლეხობამ და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა თავის მებრძოლად და საიმედო ზღვრქვეყნულად

აღიარეს? ცხადია, ამ საპატიო როლში მღვქენელი, უპრინციპო, მერყევი, მთავრობასთან შეპირებულ პოზიციებზე მდგომი ხალხისა მოქმედე, არსებობდა მისი მტერი, სტალინი კერამოვიდოდა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მეტოფრად მხოლოდ რევოლუციონერ-დემოკრატი შეიძლებადა ყოფილიყო. ილია ჭავჭავაძეც სწორედ ასეთი იყო.

5. ეღება გ. მეგრელიშვილი ცნობილი ქართული საზოგადო მოღვაწის სერგეი მესხის სოციალ-დემოკრატიული შეხედულებათა დაახასიათებისას, მესხი მას რევოლუციის მტრად, ბურჟუაზიულ ლიბერალად მიიჩნია. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მე ძალიან გულთ მიწდა, — წერდა ს. მესხი 1837 წლის ოქტომბერში, — რომ ერთი რევოლუცია ვნახო, ვნახო გამწვევებული ხალხი, რომელიც მხოლოდ ამ რევოლუციის დროს იჩენს ნამდვილ ძალას და გულის მიდრეკილებას“ (ს. მესხი — წერილები, 1950 წ. გვ. 73). რომ ს. მესხი მაშინ არსებულ წყობილებას წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუციურ გზას აღნაგადე არ გამოიხატავდა, ამას მისი შემდეგი სიტყვებიც ამტკიცებს: „ჩვენი ამგვარი მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც ყოველი სხვა ხალხისა, დაეხმარება განათლება, უფრო გონიერს გზაზე დაყვება ჩვენი ხალხის შრომისა და ზოგი სხვა წამალიც, რომელზედაც ლაპარაკი დრო ეხება არ არის“ (ს. მესხი: ნაწერები, ტ. I, გვ. 151). ვფიქრობ, არაა ძნელი იმის მიხვედრა, რომ ციტირებულ კონტექსტში „სხვა წამლის“ ქვეშ სწორედ რევოლუცია იგულისხმება და კიდევ ერთი ნაწილში: „ამას გარდა კიდევ ერთი პატარა პროექტი მტრიალენს თავში, — სწერდა იგი — მინდა შევადგინო ქართველად, წიენი საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე... მაგრამ ცენსურის მხრივ იქნება ცოტათი საშიში. ჩემის აზრით დიდი რევოლუციის გაცნობა ჩვენი მეთხველასთების ავტობებულ საქოროებს შეადგინს. ის (რევოლუცია — ი. ა.) პირს წყარო, რომელდაც ჩვენი უძვირფასესი პრინციპები, რწმუნებები და აზრები მომდინარეობენ, თუ ჩემი პატარა წიენა... ცოტათი მაინც გააცნობს ჩვენს მკითხველებს ამ უდიდეს და უვალზე უფრო შესანიშნავ ემიზონს კაცობრიობის ცხოვრებისას — ქრჩეობითი ეხეც საკმარისი და ხანარგებელი იქნება“ (იხ. ს. მესხის წერილები ი. ნოცეაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სსუბუ, 1950 წ. გვ. 111-112).

ს. მესხის ანტირევოლუციონერობის დასამტკიცებლად ავტორი იმორქმებს მის კრიტიკულ წერილს, მიძღვნილს არსენას ლეკსისადმი. ამ წერილში, მისი აზრით, ს. მესხი, не поддерживает его (т. е. Арсена) борьбу против угнетателей, его духа, революционных протестов

პროტინ помещиков и торговцев, его насильственных деяний против эксплуататоров народа» (ტ. 1, გვ. 271).

ნამდვილად შესხი არამც თუ არ ჰქცევას ძალზე დამყარებულ არსენას მოქმედებას, არამედ, პირიქით, მთელა სიმბატითი გეგმება მას. „შეონი, — წერს ის, — ჩვენს ქვეყანაში ისეთი ქართველი არ მოიძებნება, რომელსაც ზემოთ თუ არ უსწევლია არსენას ლექსი, უკანასკნელი ათჯერ მაინც არ გაუგონია ან მესტერი-რისაგან, ან საზანდარისაგან და ან სხვა ვისმე-ნაგან. განსაკუთრებით ჩვენ სოფელ ხალხს ძალიან უყვარს არსენა: თითქმის ყოველმხარეში (იმერეთში, კახეთში, რაჭაში, გურიაში), ყოველ სოფელში არსენას ლექსის სხვადასხვა ვარიანტს იმეორიან. ყველა შენატრის მის ბედს, ყველა ლოცავს მის მარჯვენას, ყველას უკვირს მისი მოქმედება და ყველა, განსაკუთრებით ღარიბები, თანაუგრძობენ იმას, ერთი სიტყვით, არსენა ჩვენი საბაღო გმირია“ (ნაწერები, გვ. 59).

ს. მესხი ვერტილად გამოდიოდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების წინააღმდეგ და თვდაბარველად იბრძოდა იმისთვის, რათა გლეხი მიწის მესაკუთრე გამხდარიყო. „ახლანდელი ჩვენებური გლეხის უმეცრობას, სიღარიბეს და დაცემას, — წერდა ის, — სხვათაშორის, რაი გეონომიური ძალა უწყობს ხელს: ხოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვოჭვით, ფულის გამსესებელი და ნაბატონარები... ხანამ გლეხი საკუთარი მამულის მატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქმნება, ხანამ ნაბატონება და ნაყმებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოხსობია... უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი ვაჭრებისა და ფულის გამსესებელთა კლანებიდან ვერ განთავისუფლდება“ („დროება“, № 12, 1875 წ.). ერთი წლით უფრო გვიან კი, სახელდობრ, 1876 წელს, ის წერდა: „ქართველ გლეხს მიწა უნდა მქონდეს; უმიწოდ ამის ცხოვრება შეუძლებელია; იმ დროს, როდესაც ჩვენ გლეხს მიწა ჩამოერთვია, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნით უნდა გამოვიფრთხოთ.“ (ნაწერები, გვ. 331). დასასტრად, გახეხმა „დროებაში“, რომელიც ს. მესხის ტრადიციების ერთგული დარჩა ბოლომდე, 1885 წლის 6 იანვრის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში მოკლედ ასე ჩამოთვალა თაიისი აგრარული პროგრამა: „საქაროა, რაც შეიძლება მაღრ ხაზით (ე. ი. სახაზით — ი. ა.) მამულებთან ერთად ნაფულის მამული გლეხების სრული საკუთრება გახდეს“.

საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ, რისთვის და რა მიზეზის გამო არ შეიძლება ეს პროგრამა გლეხური დემოკრატიის აგრარულ პროგრამად გადაართო?

ამრავად, როგორც ჩანს ზემოთ მოტანილი ფაქტობრივ მასალიდან, გ. მეგრელიშვილი

ცდება ს. მესხის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა კლასობრივი არსის გარკვევას. მას, მე ვეჭვობ, მოუხდება წამოყენებული დებულების ვალდისწავა და შემდგომში დასტურება.

6. ავტორი ძირითად სწორად აფასებს დიმიტრი ყიფიანის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ აშკარად ცოდავს მისი საქმიანობის სხვა მხარის შეფასებას. გ. მეგრელიშვილი არა მარტო უარყოფს დიმიტრი ყიფიანის თვალსაჩინო დამსახურებას ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, არამედ არსებითად მას ამ მოძრაობის მტრად მიიჩნევს. მხოლოდ სტანდარტული და მზამარეული სქემების მოყვარულ მკვლევარს შეუძლია გულდაშვებულად განაცხადოს, რომ «борьба (Димитрия Квициани) против реакционного курса царской колониальной политики была приукрашена фразами о заботливости и защите национальных интересов, приукрашена криками о судьбе нации» (ტ. 1, გვ. 234). და ვანა შეიძლება ასეთი რამე დაიწეროს იმ ადამიანზე, რომელმაც ნამდვილად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თავი შესწირა მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მისი პედნიერება-კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეს. თუ ეს ყიფიანის მთელი საქმიანობა მარტო მყვარალა ფრანგებში გამოიხატა, (იხ. გვ. 234 ტ. 1), მაშინ რით იხსენება მისადმი ჩვენი წინაპრების არანეუღებოცი სიყვარული? ნუთუ მყვარალა ფრანგების მოყვარულ და ხალხის ორგულ ადამიანზე თქვა 1887 წელს ვალერიან გუნიამ შემდგომ სიტყვები: „დიმიტრი იყო რაღაც დევაგმირი, უცხო ქმნალება, აღსაფრ მხნეობით, პატრიონებით, სიმართლით და განუზომელი საყვარულით... დიდებული სული და გულით, იგი დიდებული იყო კაცთა შორის თავის საქმეებით, შეუდრეკელის ხასიათით და უხედეელის სიმტკიცით. დევაგმირ, დადებული და ყიფიანისაგან ჩვენთვის და ქვეყანაზე სწორედ არ დაუფრახებელია... ყველას სჯეროდა, რომ დიმიტრის ფეარად ჩვენი ქვეყანა და მხოლოდ ამათის სიყვარულით იბრუნებდა იგი სულს. დიხ მთელს საქართველოს სჯეროდა, რომ: ის იყო კაცი, ვით შეფერის კაცთა კაცობა... მე ვეღარ ვხაზავ მის მსავახსა ჩემს სიცოცხლეში...“ (იხ. პროფ. შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, თბილისი 1947 წ., გვ. 505-506).

სწორედ იმიტომ, რომ ის იყო დევაგმირი, ქართველი ხალხის ბაიარხტარი (ასე უწოდებს მას ვალერიან გუნიამ) და მისთვის თავდადებულ, უძღვნა მას აჯიკი წერეთელია შესანიშნავი ლექსი. სწორედ ამიტომ და არა მყვარალა ფრანგებისათვის იგლოვა ქართველმა ხალხმა

დმიტრი ყიფიანი და მიაბარა მისი ცხედარი მთაწმინდის პანთეონს.

საქაროა აქვე კიდევ ერთი გარემოება აღინიშნოს, სახელდობრ ის, რომ ყიფიანის მეგობრულნიშნისხელ შეფასებას არც მეფის მოხელენი უქერენ მხარს. ჩანს, მთავრობა უყურებდა მას, არა როგორც მეგობარს, არამედ როგორც საწინააღმდეგო ადამიანსა და მტერს. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის დახასიათება, რომელიც მთავარმართებელმა დენდუკოვ კორსაკოვმა მისცა (1886 წ.) დმიტრი ყიფიანს. ასახულებდა რა თავის მოთხოვნას ყიფიანის ვადასახლების აუცილებლობის შესახებ, ის წერდა: „წლებში და წარსულში გამოცდილებამ ვერ შეანელა ბ. ყიფიანის ავადმყოფური მისწრაფება ითამაშოს როლი ქართველი ხალხის მოწინავე დამცველისა... მე არ შეიძინებდი ვინააუთრებულ მნიშვნელობას ბ. ყიფიანის ამ

სუსტ მხარეს, რომ მას არ ეკიროს თავდახართა წინამძღოლის თანამდებობა და რომ ის, ამ თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ, არ ეწოდეს ერთობ აშკარად და გაუაღწრით ავტორიტეტის მმართველობის ამჟამად მოქმედი სისტემის წინააღმდეგ... ბ. ყიფიანის უკანასკნელი საქმიანი კი, რომელიც მიმართულია ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლის გავლენის შესუსტებისაკენ, შაბილუბს მე განაცხადო, რომ ბ. ყიფიანის არამეტუ კვლავ დატოვება თავადანაფრობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ ამ მოსახლეობაშიც კი, რომელიც მას უყურებს როგორც თავის... ინტერესების დამცველს, მე მიმართა საზიაროდ მთავრობის მიზნებისათვის“ (წ. ჩხეტი. მისაღები... გვ. 347-348).

ასეთი საქმის ნამდვილი ვითარება.

პროფ. ი. ანთილავა

სოფლიური მიწის გაღლით *

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ქართულ ლიტერატურაში მეთხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სოციალისტური ლექსების ერთმა შესანიშნავმა კრებულმა. ეს იყო გიორგი კაჭახიძის „ის უბანი და ის კარ-მიღამი“. ჩემს ხსოვნაში დღემდე ცოცხლდება მასში აღწერილი იმერეთისა და კოლხიდის უნაზესი პეიზაჟები თავისი კეთილი, ენამახვილი და მუსიკით აღამიანებით. ხსოვნაში ცოცხლდებიან აგრეთვე ზღვისპირეთის ხასხასა სანაპიროები სადაც მოშავილო პოეტი ცხენის ყოვებს მწყემსავდა. თვალწინ მიდგას ჭიხაიშის აივანიანი ოდა-სახლები, რომელთა საკემურებიდან ისული კვამლი ფრთხილ ქაჭვა ღუზებზეთ იმირებოდნენ ზღვასავით მოღივლივ ცის ლაქვარდში. ეს კიდევ ცოტაა, მე თვალწინ მიდგას ფაფარგა-წყვილი ის უბელო ლაფშაც, რომლის ჭიხივინაც სიმამრევილისა თუ სიჭაბუკის უტკბილეს რომანტიკაში გადამყავს ადამიანი...

დღეს უკვე გიორგი კაჭახიძე მრავალი წიგნის ავტორია და მათი ვაკერის სწავლებაც კი შორს წაგვიყვანდა. მე მინდა, ამ პატარა წერილში შევეხო „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემულ მის ახალ კრებულს — „სამღერაში დამათენდა“.

გიორგი კაჭახიძის ეს კრებული ნამდვილად საინტერესო ლიტერატურული ფაქტია, თუმცა ლექსში — „აქ დასახლება ვერ მოვასწარი“.

გიორგი კაჭახიძე, სიმღერაში დამათენდა, „საბჭოთა მწერალი“. 1961 წ.

— ავტორი თავის პოეტურ მოწოდებას რატომღაც ბედ იღბლის სასწორზე ადგებს:

„ნეტავ რა ხმაზე ვამღერო ვანცა, ექვანკრავივით ვარ ფაქარაშლილი. იქნება სჭობდა, ცხრა წიგნის ნაცვლად რომ ვუთფილიყავ მამა ცხრა შეილის ცხრა სიხარულთ, ცხრა კარ-მიღამო მომანათებდა როგორც ცხრა თვალა... ასე როდემდის უღდავ, ეღდავო, მითხარით ვინმემ სიტყვა მართალი...“

უკვე კარგა ხანია, რაც ეს მართალი სიტყვა ჩვენმა მკითხველმა უთხრა პოეტს. გიორგი კაჭახიძე მას სამართლიანად მიიჩნია თანამედროვე ქართული პოეზიის ნიჭიერ წარმომადგენლად. ისე რომ, პოეტური სიტყვის ამ ანკისის გადმოგება, ეფიქრობთ, არც იყო საქირო.

სარეცენზიო კრებულში გვხვებით ლექსების ერთ გარკვეულ წყებას, რომელთაც ვერ გამოვლავლებთ ვერც აზრის მოუწიფებლობაში, ვერც რითმების უფარგისობასა და ვერც თეითონ ლექსის წყობაში. ამავე დროს ვერც იმას ვიტყვი, რომ იგი ხალასი პოეზიაა, რადგან მასში ძალზე ნაკლებია ემოციური მხარგასეთ ნაწარმოებებზე ჩვენ შეგვიჩინა: „შხენელ-მთესულა, ვამარჯობა“, „არ ვაიკვირვებს“, „კვლავ დავესწარი“, „ერთი ნატრა“, და „სამშობლოს მადლით ნამღერა“.

სარეცენზიო კრებულში თავისი მხატვრულ ხრულყოფით ჩვენს ყურადღებას იქცევს ლექსი — „ასე ამბობს საქართველო“:

„ბელთ ნაწვევი ცაცხლს და შექაბილს,
 პურსაც ვერ ეტყვილ გულამშვილებით,
 დიდი არა მკვებს ეხო, ვენახა,
 მაგრამ შამა ვარ დიდი შვილების...
 ...მისივამს წვეთ-წვეთად მწველი ნალველი
 და მათებნია სანთლით და-ამბობ, —
 საქართველო ვარ — ბუკრის მნახველი,
 ლხინის ტრფალი, ქირის გამძლეობა...
 ...მწვიდად ვინ ხატოს ჩემი სურათი,
 საღ ამოედღელი, საით მიუღვლია...
 საქართველო ვარ — ერი პურადი,
 შეუწყვეტილი ერთი სიმღერის...“

საქართველო რომ პატარაა თავისი ტერიტორიით, საქართველო რომ დიდი შვილების მამია, მამა, რომელმაც მზავალ განსაცდელს, მრავალ გაქირვებას გაუძლო, არ მიეცა უიმედობას, გუთამს დარხმალი დაამზობილა, მტერს მტრულად დახვდა, დაცვა ქართველ დედათა პატროსნება, შემოინარჩუნა თავისი ერთგული სახე, ვაჟკაცობა და მომავლის ღრმა რწმენა,— ეს ყოველივე უფრო ადრე სხვებსაც უთქვამთ, —და მაინც მიუხედავად ამისა, დასახტელებული ნაწარმოები რაღაც სახალის შთაბეჭდილებას ახდენს გვინბლავს თავის უშუალოებით, პოეტური ფრაზის ელვარებით. ეს კი, ალბათ, იმით აიხსნება, რომ პოეტი ამ შემთხვევაში ღრმად იასწვლენია ქართულ სიტყვას. აქ ერთერთ სხვა ლექსში ამას თვითონ ავტორიც გვეჩვენებს: სიტყვის ქადოთი ქვეც წამოდგება, წამოდუღდება გრძნობა მიმცხრალიო. დავუბოთ ყური, რას ამბობს იგი შემდეგ:

„სიტყვა გზნება მარად ახალი,
 ასი გრძნობა და ასი თვალა...
 რომ არ აესხა სიტყვის ფარსხალი,
 სულს იქცარდა მიწა ვალიად...
 საუფარტოვით სიტყვა მწველია,
 ერთიც რომ დავთმო — ბადალს ვინ
 მომცემს!
 მგედარსაც სიცოცხლე თუ მიწერია,
 ზემო ქართულის ეშით ვიცოცხლებს...“

ლექსში „ჩველი ფერცლები“, პოეტი იგონებს რა ურბობის დროინდელ ნაწარმოებებს, დღევანდელ თავის სიმღერას მუდართო ეტბნება, რომ მან სასაცილოდ არ აივლოს ისინი. რა ეუფოთ, რომ მეოცნებე ჭონდრის კაცებს ჰგვანან და ზოჯერ მთების იწვეას მამინ ლამობენ, როდესაც სინამდვილეში ცის ლავარდიც უჭიმომეს ტვირთად აწვებთ მტრებზე. მათი დაცინვა, პოეტის აზრით, მისივე ბავშვობის დაცინვას ნიშნავს. ეს კი სასიქადულო არ იქნება, რადგან ბავშვობა მისი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. ამით ავტორი უადრესად მართალ

გრძობას გამოხატავს, მაგრამ იმე უნდა შევნიშნოთ ისიც რომ გიორგი კაქაბიძის ადრინდელი ნაწარმოებები არც ისე სუსტუნენ უბრუნ, როგორც მას ჰგონია. ეს რომ ვსჯე უფროდ ვხევის მესხიერებაში არ აღსდგებოდა ოცდაათი წლის წინათ დაწერილი მისი წიგნი — „ის უბანი და ის კარ-მიდამო“. პოეზია მართო აზრითა და ოსტატობით არ განიზომება, პოეზიაში საჭიროა დიდი ემოცია, და დღევანდელი გიორგი კაქაბიძე სწორედ იქ არის ძლიერი, სადაც პირველი წიგნის ამ სუბიექტის თვისებასაც ანვითარებს.

ლირიკულ ლექსში „მერცხალო“ პოეტი თბილ ქვეყნებიდან მოფრენილ ფრთოსანს მიმართავს:

„ცხრა გზით ცხრა მხარეს ფეჭრი გაეფშვი,
 მაინც ძნელია ქვეყნის გაცნობა...
 ხმას რომ გავონებ ამდენ ხმაურში,
 ესეც საქმეა და ვეჯკობას!...“

წმინდა პოეტური თვალსაზრისით აქ დასაწერი არაფერია, მაგრამ მასში გამოთქმული აზრი სწორედ ის უხილავი კაცანთია, რომელიც ხანდახან გიორგი კაქაბიძის შემოქმედებას ემოციის მხრივ ფრთხვს არ აშლივენებს.

პოეტი აზრისა და ემოციის აწვალაზე მერ ერთიანობას აღწევს იმ ლექსებში, რომლებიც შინაარსობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული სიუჟეტულია თუ სიუჟეტის მოგონებებთან. საილესტრაციოვად გაიხსენოთ „ჩემი სოფლის მდინარე“ და „თოვანი“, პირველ ნაწარმოებში ავტორი მშობლიურ მდინარეს ასე ესაუბრება:

„ვიცო, ბავშვობას ვერ დამიბრუნებ,
 არც მე ვისურვებ, არც შენ ეცდებო,
 მაინც ძვირფასო, რაცა გიუფრებ,
 ვლურტულ იწვებენ ყრმობის მერცხლები,
 რიყის სველ ქვეზე ფუხის დაცდენამ
 ვერ დამიტოვა შენზე ნალველი,
 ვიცო, ღროღადრო გამოსაცდელად
 რისთვის მიტევიდ შამა ტალღებით“.

ბავშვობის დროინდელ ამ უბრალო დეტალს ლექსის შემდეგ სტრიქონებში გიორგი კაქაბიძე ისეთ მხატვრულ განზოგადებას აძლევს, რომ იგი მთელი მისი სულიერი ცხოვრების გამძსნულად გუჟავინება:

„მამინ გისწავლე ცურავა, სიფრთხილაც,
 შენს მოჩვევივე შეგბად ვინცდილი.
 შემდეგ ვეება ზღვა რომ ვიხილე,
 არ შეერცხენილვარ შენი გაწვართნილი.
 როგორ შემეძლო უქმად დარჩენა,
 ვოქვი: ქვეყანაზე მტრავს მეც ქუდი“.

ტილის ქობორზე დავარ მარჯვენა, —
და გაბედულად ზღვაში შევუტერი!”

აქ კომპოზიცია, პოეტური აზრის გამომსახველობითი საშუალებანი, კერძოდ მხატვრული ოსტატობა და სინამდვილის ემოციური აღქმა ისე ბუნებრივად გადადიან ერთმანეთში, რომ ლექსი მართლაც მდინარესავით ლაღად მოედინება, გვესმის მისი მუსიკაც და მისი შინაარსიც... აზრისა და ემოციის ერთიანობით ხასიათდება აგრეთვე ლექსი „თოვში“:

„გადამავიწყდა წუთით ქალაჩი,
გზა გადავიჭერი მარღად მოედინს...
ასე ნეტავი რამ გამახარა,
ან ამ თოვში რად გამიყვანი?
წუხელ რომ ფიქრად დამცალალებდა,
თოვზე ქარბუქობს აქ ის თაობა,
ამ ქალ-ვაყვებთან, ამ ცქრიანებთან
ხოც არ მოუნდა გულს გუნდაობა!“

ქალაჩი პოეტს გული სწყუდება, რომ მოყრილულე გოგონები და ბიჭუნები თოვლის გუნდას აღარ ესრთან მას. და იმედოდ მხოლოდ ისრა დარჩენია, რომ ფიქრით მიინც მათთან იქნება. ამ უღამაზეს ადამიანურ გრძნობასა თუ განწყობილებას პოეტი ასე გადმოგვცემს:

„შედივარ, როგორც ნაღველნასვამი,
ფიქრით მათთან ვარ, მათთან იქნები...
თოვს, და გზადგზა ქალაჩისათვის
შეძალბიან თოვლის ფიჭვები...“

კრებულში კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ აგრეთვე

რთვე ლექსები: „ბევრი რამ მიწოდდა“ „ყურაცხევი“, „მშის ვახსენება“, „გაბათული“, „ჩემი სიმღერის საილალო“, „სტრუქტურის უკნა“, „შგოსანი ხმელთ-ზერმუნტის...“ „ბელარები“ და „როგორ არ ეთქვა, არ შეეძაბო“. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლოს დასახელებული ლექსი, რომელსაც არც თუ ისე შორეული სათაურია აქვს:

„ეს საქართველო
ჩემი სურთქვა, ჩემი გულია,
ვრცელი არ არის
ქირახელი მისი მთა-ბარი,
მაგრამ აქ სტუმრად
კაცს ერთხელაც თუ გაუვლია,
ამბობს:
— ენახეო ქვეყნად ზღაპარი!“

ჩემს პატარა მიწა-წყალზე ყველა სტუმარი თუ ამას ამბობს, მე რატომ აღარ უნდა ეთქვა ჩემი ქვეყნის ქება-დიდებაო, — დასძენს პოეტი. უოველივე ეს პოეტის სტირდება იმისათვის, რათა მან მთელი ზმით გასძახოს: „მე ჩემს მიწაზე ვღგავარ ამაყად!“ ამაყადა კი იმიტომ დგას, რომ მისი საშობლო თავისი გმირულ წარსულით, თავისი დიდებული აწმყოთი და უფრო დიდებული მომავლით თვალს უსწორებს მოთფლიონი სახელგანთქმულ ყველა ქვეყანას.

ლექსების ეს პატარა კრებული გიორგი კვახიძის მორიგი გამარჯუებაა. მასში იგრძნობა მშობლიური მიწის ძალა და მადლი, მისი აორთქლილი ბელტების სტრინელება.

შალვა აბისონაშვილი

მონომგრაფია საქართველოს სახალხო მუერნეოგის განვითარების შესახებ *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულია შრომა „საქართველოს სახალხო მუერნეობა 1921-1961 წ.წ. შრომა მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი.

მართალია მსგავსი სახელწოდების ნაშრომი ჩვენ ჯერ ვიდევ 1947 წელს მივიღეთ (საქართველოს სსრ სახალხო მუერნეობა 1921-1946 წ.წ. რედაქტორი პ. გუგუშვილი), მაგრამ როგორც შრომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ თავისი არქიტექტონიკითა და შესწავლად სისტემატი-

ზებული მასალის მზრავივე ეს წიგნი სავეებო განსხვავებულ ნაშრომს წარმოადგენს.

დასახელებული შრომა მომზადებული და შედგენილი იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლების: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები ი. ზაქაძისა და ა. ნუციბიძის, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. კაკაბაძის მიერ, პროფ. პ. გუგუშვილის უშუალო და პირდაპირ ხელმძღვანელობით.

შრომა შედგება სამი ნაწილისა და თხუთმეტი თავისაგან. პირველ ნაწილში (1-124) გადმოცემულია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მომენტები (კაპიტალიზმამდელი ეპოქისა და კაპიტალიზმის პერიოდში), მეორე ნაწილი (125-376 გვ.) ეხება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სოციალისტური ეკონომიკის აშენების

* საქართველოს სსრ სახალხო მუერნეობა 1921-1961 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა. თბილისი, 1961 წ. რედაქტორი პ. გუგუშვილი.

(1921-1937 წ. წ.) საკითხებს, ხოლო მესამე ნაწილში (379-620 გვ.) განხილულია სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხები სოციალისტიკური კომუნისმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. (1938-1961 წ. წ.).

შრომის პირველ ნაწილში, რომელიც შედგება ორი თავისგან: ა) ქართული კულტურის სათავეებთან, ბ) ფეოდალური ურთიერთობა, გ) ფეოდალური რღვევა და კაპიტალიზმის გენეზისი, დ) ბატონყმობის გაუქმება, ხოლო კაპიტალისტური წარმოების წესის ანალიზისას განხილულია: ა) სოფლის მეურნეობა, ბ) აგრარული ურთიერთობანი, გ) მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ვ) ხელისნობა და შინამრეწველობა, დ) მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა და ე) პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლები. შრომის პირველი ნაწილის ბოლოს მთელი სიმკვეთრითაა გადმოცემული სახალხო მეურნეობის მოშლისა და დაცემულობის სურათი საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში (1917-1920 წ. წ.) როდესაც კატასტროფამ და შიმშილობამ უმაღლეს საზღვარს მიღწია.

მთელი სახალხო მეურნეობის განიანგება, მისი გამოუვლი კატასტროფული მდგომარეობა, მუშათა კლასისა და მშრომელი მასების სიღატაკე, მუშაბუნებისა და კაპიტალისტების აღვირახსანილი ბატონობა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტების თავისუფალი თარეში საქართველოში — აი რა შთაფარი მომენტებით ხასიათდებოდა ქართველი ხალხის მთლიანტე, უბადრუკი მენშევიკური შთაფრობის „მოღაწეობის“ შედეგი 1920 წლის დასასრულს (გვ. 221-222).

მონოგრაფიის მეორე ნაწილი იწყება იმით, თუ რა დიდი ისტორიული როლი შეასრულა დიდი ოქტობრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარების საქმეში და რომ მხოლოდ საბჭოთა ზელისუფლებამ იხსნა საქართველო კატასტროფისა და განიანგებისაგან. მეურნეობრივ და კულტურულ მშენებლობის ქართველი ხალხი კომუნისტური ზატარის ზელმდგენლობით შეუდგა ყველა საბჭოთა ხალხთან მჭერ თანამშრომლობის ვითარებაში. საბჭოთა წყობილება საქართველოში დამყარდა იმ დროს, როდესაც რუსეთში უკვე დამთარებული იყო სამხედრო კომუნისმის პერიოდი და იგი უკვე მშვიდობიან მეურნეობრივ მშენებლობაზე გადადიოდა. აქ რომ „საქართველოს არ გავუღია სამხედრო კომუნისმის პერიოდი და აქ საბჭოთა წყობილების მშვიდობიანი მეურნეობრივი მშენებლობის კონომიკური პოლიტიკის გატარება არსებობდა ამ წყობილების დამყარებიდან დაიწყო“ (გვ. 133).

შრომის მესამე ნაწილში უამრავი ფაქტობ-

რივი მასალების საფუძველზე გაშუქებულია სახალხო მეურნეობის აღდგენის, (1921-1925 წ. წ.) სოციალისმის ეკონომიკური საქმეგლმისა და სოციალისტური საზოგადოებების მშენების (1926-1937 წ. წ.) შემდეგი საკითხები: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ფინანსები, წარმოებისა და შრომის სოციალისტური განზოგადებისა, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, კოლმეურნეობრივი მშენებლობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურები, წარმოების სპეციალიზაცია და ვადაგვილება, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის შეცვლა. მასალების მატერიკული კეთილდღეობა და კულტურული აღწევა „საბჭოთა საქართველო, სსრ კავშირის ხვევა მოავშირე რუსებუნეობთან ერთად, მთარე ზეთწლების დამღვიდან შევდა თავისი განვითარების ახალ ხანაში — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთარებისა და სოციალისმის კომუნისმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში“ (გვ. 376).

სარეკენზიო შრომის უკანასკნელ, მესამე ნაწილში ფართოდაა წარმოდგენილი შემდეგი საკითხები: ა) სახალხო მეურნეობა 1938-1941 წლებსა და დიდი სამხედრო ომის წლებში (1941-1945 წ. წ.), ბ) საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი განვითარება, ვ) კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა შთაფრობის მიერ 1953-1960 წ. წ. გატარებული რეფორმებისა მნიშვნელობა, დ) სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმა (1959-1965 წ. წ.), ე) ეკონომიკური აღმშენების 40 წელი და ვ) პერსპექტივებისათვის.

შრომში ნათლადაა ნიშნები, რომ უკვე საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარების 20 წლის თავზე ძირეულად გარდაქმნა საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობა. კერძო მესაქურთული წერტილმრეწველური ინდუსტრიის, დაქვემდებებული გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მთლიანკონცენტრირებული ინდუსტრიული და სოფლისმეურნეობრივი წარმოება.

უკვე ამ ხნისათვის საქართველო, სსრ კავშირის სხვა მძიმე ერებთან ერთად წარმატებით განიარბოდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, მაგრამ ჩვენს ქვეყანაზე დამისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეაჩერა მშვიდობიანი მშენებლობა და დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამხედრო ომის ხანა. ომის პერიოდში მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, საქართველოს სახალხო მეურნეობაც გარდაქმნა საომარ ყინდაზე. ამ ომში კიდევ უფრო თვალნათლივ დადსტურდა სოციალისტური წყობილების ვადამწვეტი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ომმა დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ სახალხო მეურნე-

ობაზე, კერძოდ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1945 წელს ერთი მეხუთედით ნაკლები იყო ვიდრე 1940 წელს. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მაგრამ ომის დამთავრების პირველი დღიდანვე, საქართველოს მშრომელები ახალი ენტუზიაზმით შეუდგნენ ომის ტრაგიკულების მოშუშებას და სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებას. უკვე 1950 წლისათვის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია საქართველოში 1940 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 1,5-ჯერ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია კი 140%-ით.

შრომაში ხაზგასმულია რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უდიდესი ღონისძიებები გაატარეს უკანასკნელ 1953-1960 წლებში მთელ საბჭოთა ქვეყანაში და მამასა-დაშე საბჭოთა საქართველოშიაც სახალხო მეურნეობის რვეილუციურად გარდაქმნის საქმეში და რომ სწორედ ამ 1953-1960 წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება (გვ. 446) საბჭოთა ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მომხდარ ღრმა გარდაქმნათა შედეგად თავისი განვითარების ახალი კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობის პერიოდში შევიდა.

„კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განუხრებლად გატარების გზით საბჭოთა წყობილება უზრუნველყო საქართველოს გადამტევა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად“ (გვ. 616).

„შეიღწილიანი გეგმის შესრულებაში უკვე განვილიშა დრომ და გამოცდილებამ გამოავლინეს ახალი რუხერეგები, მეტი შესაძლებლობანი წარ-

მოების ამა თუ იმ დარგის უფრო სწრაფი ტემპითა და ფართო მასშტაბით განვითარებისა, ვინამ ეს იყო გათვალისწინებულნი ყოველივე ამით საბჭოთა საქართველოს მშენებლობის წელიწადის სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაში“ (გვ. 619).

მონოგრაფია უსათუოდ მოიგებდა, რომ: ა) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ფინანსების განხილვასთან ერთად ცალკე მუხლად (ქვეთავად) გამოყოფილი ყოფილიყო საბჭოთა ეპოქობა და საქონეღრუნვა. ეს საკითხი მეტად მკრთალადაა გადმოცემული განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით ახალ შეიღწილედში. ბ) რთდესაც ლაპარაკია საქართველოში ჭანმრთელობის დაცვის განვითარებაზე და მის მიღწეებზე 40 წლის განმავლობაში, საჭირო იყო რამდენადმე ზინც ხაზი გასმოდა ფიზიკური ექტურისა და სპორტის განვითარებას. ეს საკითხი კი შრომაში უყურადღებოდაა დატოვებული. გ) ჩვენი აზრით შრომაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნახევრები ის თუ რა ოდენობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იწარმოება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

მონოგრაფია „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ.“ ჩვენი ეკონომიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენამენია და იგი დიდ სამსახურს გაუწევს როგორც მოსწავლე თაობას ისე უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა პადაგოგებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შრომა უახლეს ხანში გადათარგმნება და გამოიცემა რუსულ ენაზე.

ბ. სტაზანიშვილი

ახალი წიგნები

„საბოთა მწერალი“

- გიორგი ღვინძე — მუხის ფოთალი. რედ. შ. დემეტრაძე. გვ. 165, ფასი 29 კაბ.
- ვასილ ბარსოვი — თხზულებანი. ტ. 4. რედ. თ. კობლაძე. გვ. 411, ფასი 1 მან. 50 კაბ.
- ვახტანგ კოტეტიშვილი — ხალხური პოეზია. რედ. ელ. ვირსალაძე. გვ. 472, ფასი 1 მან. 60 კაბ.
- კოტე მავაშვილი — რჩეული. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 169, ფასი 36 კაბ.
- კარლო კალაძე — ნათარგმნი ლექსები და პოემები. რედ. რ. მარგვანი. გვ. 188, ფასი 40 კაბ.
- გიორგი ცუჭაბიძე — სიმღერაში დამათენდა. რედ. ე. გორგაძე. გვ. 80, ფასი 11 კაბ.
- ოთარ ჭელიძე — აქანყებელი გული. რედ. შ. დემეტრაძე. გვ. 86, ფასი 16 კაბ.
- ვლადიმერ თორდუა — დაუფიქარი. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 113, ფასი 13 კაბ.
- ვლადიმერ მაჭავარიანი — პუბლიცისტის დღიურიდან. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 204, ფასი 60 კაბ.
- შოთა ნიშინაიძე — ზეთისხილის რტო. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 70, ფასი 13 კაბ.
- ელიზბარ მაისურაძე — დაკარგული ოცნებები. რედ. ე. ქარელიშვილი. გვ. 274, ფასი 63 კაბ.
- გ. ნახუცრიშვილი — მგელკაცა. რედ. თ. კობლაძე. გვ. 242, ფასი 57 კაბ.
- გერმანული ბალადები — თარგ. ა. გელოვანიძისა. რედ. შ. ფოცხიშვილი. გვ. 232, ფასი 61 კაბ.
- ჟან კახუ — პარიზის სისხლისღვრა. თარგ. ირ. ქავთაძისა. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 355, ფასი 1 მან. 20 კაბ.
- ჟორ მანა — ტაძრის ქურუმი. თარგ. შ. კურდღელიაშვილისა. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 192, ფასი 44 კაბ.
- მეგობრობის ცისარტყელი — რედ. შ. ფოცხიშვილი. გვ. 182, ფასი 38 კაბ.
- ქალიშვილის მამედგულიანა — დაკარგული სახედარი. თარგ. ლ. ვარაძისა. რედ. ა. ვახტანგიაშვილი. გვ. 238, ფასი 55 კაბ.

„ნაბადული“

- ა. გრიშაშვილი — ბეშეგებისათვის. რედ. ვ. გვეტაძე. გვ. 132, ფასი 25 კაბ.
- როდიონ ქორჭია — მწვანე კარავი. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 186, ფასი 45 კაბ.
- ა. თევზაძე — პირველი დილა. რედ. ე. გვეტაძე. გვ. 44, ფასი 5 კაბ.
- დ. ცვარნაში — ლალის სიზმარი. რედ. ლ. გეგელია. გვ. 26, ფასი 36 კაბ.
- ე. რიახიკოვი — ვარსკვლავეთის მზევრავი. თარგ. გ. პეტრიაშვილისა. რედ. ჟ. ჭანტუ-რაია. გვ. 38, ფასი 12 კაბ.
- ახსნური ზღაპრები — ირმის შვილი. თარგ. პ. წერეთლისა და ნ. ოქროპირიძისა. რედ. ჟ. ნიჭაბაძე. გვ. 156, ფასი 32 კაბ.
- ვ. ბაგრიცა — მტრედები. თარგ. ოთარ კვიციანი. რედ. შ. ნიშინაიძე. გვ. 48, ფასი 8 კაბ.
- ჟ. პირველი — ჯოვანილი და პუნჩეროზა. თარგ. მ. ჯავახიანი. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 128, ფასი 38 კაბ.
- ბ. შინკუბა — ბულბული და მელი. თარგ. რ. მარგვანი. რედ. შ. აბაშვილი. გვ. 15, ფასი 10 კაბ.
- ლ. პანტელევი — ლიონკა პანტელევი. თარგ. შ. კაკაბაძისა. რედ. ბ. ბახტაძე. გვ. 424, ფასი 75 კაბ.
- გახართობი ფილია — რედ. შ. უახრაია. გვ. 32, ფასი 6 კაბ.

№ 80 კვ.

610/123



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“